სერგო ხოსიტაშვილი

ასპინძის ომი

გამომცემლობა „განათლება“
1972 წელი

9 (C (41) + 355 (C 41)(09)
9(47 . 922) +355 (47 . 922)(09)
ბ 783

ეუძღვნი ჩემი მასწავლებლის
პროფესორ დავით გვრიტიშვილის
ნათელ ხსოვნას

წიგნი ეძღვნება 1768- 1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის ერთ ნაწილს, 1770 წლის ასპინძის ომს, რომელშიც ქართველებმა მეფე ერეკლე II-ის წინამძღოლობით უმაგალითო გმირობა გამოიჩინეს და დაამარცხეს თურქი დამპყრობლები.

წიგნში გაშუქებულია რუსეთ-საქართველოს და თურქეთ-საქართველოს ურთიერთობა, რაც ნათელს ჰფენს ამ ომის ზოგიერთ შეუსწავლელ საკითხს. მეცნიერული წყაროების გარდა ავტორს გამოყენებული აქვს ადგილობრივი მასალებიც — თქმულება-გადმოცემანი და ტოპონიმიკა, რაც გარკვეულ დახმარებას გაუწევს როგორც საქართველოს ისტორიის მასწავლებლებს, ისე მოსწავლე ახალგაზრდობას.

ავტორისაგან

საქართველოს მშრომელებმა დიდი შრომითი აღმავლობითა და აღფრთოვანებით აღნიშნეს საქართველოში კომუნისტური პარტიის შექმნისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავი. ამ ღირსშესანიშნავი თარიღის წინასამზადისს დაემთხვა ასპინძის ომის 200 წლისთავი, რომელშიც ქართველი მეომრებისა და მისი სახელოვანი სარდლის მეფე ერეკლეს ბრწყინვალე სამხედრო ნიჭმა კიდევ ერთხელ გაიმარჯვა.

ქართველ ხალხს ხანგრძლივი და სახელოვანი ისტორიული გზა აქვს განვლილი. მას მახლობელი აღმოსავლეთისა და ამიერკავკასიის მრავალი ქვეყნის ხალხებთან მეზობლური და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. საქართველოს ძველი მეზობელი სახელმწიფოები მტერთან უსამართლო და ხანგრძლივი ბრძოლების შედეგად აღიგავნენ პირისაგან მიწისა. მათ ადგილზე ახალი სახელმწიფოები წარმოიქმნენ. მათ შორის აღსანიშნავია XIII საუკუნის ბოლოს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით ჩამოყალიბებული ოსმალეთის (თურქეთის) სახელმწიფო, რომლის არაერთი შმართველი თავისი მეზობელი ქვეყნისადმი აგრესიულად იყო განწყობილი და დაპყრობით ომებს ეწეოდა.

ქართველი ხალხისათვის უაღრესად დამღუპველი და გამანადგურებელი იყო ოსმალო დამპყრობთა მეზობლობა. საქართველოს არც ერთი დამპყრობლისაგან იმდენი ზიანი, ნგრევა, აწიოკება, აოხრება, მოსახლეობის ფიზიკური მოსპობა არ განუცდია, რამდენიც განიცადა მან ოსმალეთისაგან.

მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალეთის სახელმწიფომ საქართველოს მოგლიჯა და მიიტაცა სამხრეთ დასავლეთის ერთ-



ასპინძის ომის ობელისკი.

ერთი მდიდარი და კულტურული მხარე — სამცხე-საათაბაგო, რომლის გასათავისუფლებლად ქართველმა ხალხმა არა ერთი ბრძოლა და ომი გადაიხადა. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე II-ის სარდლობით გადახდილი სახელოვანი ასპინძის ომი, სადაც ქართველთა ლაშქარმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

1970 წლის 27 მაისს დაბა ასპინძაში ჩატარდა სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ასპინძის სახელოვანი ომის 200 წლისთავისადმი. ასპინძის მშრომელთა ინიციატივით, საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში და ასპინძის ბრძოლაში დაღუპულთა უკვდავსაყოფად საძირკველი ჩაეყარა დიდების ძეგლს. დაბა ასპინძის შოთა რუსთაველის სახელობის სარაიონო კულტურის სახლში მოეწყო ასპინძის ომის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა.

ერეკლე II-ის დროინდელი ხიდის შემორჩენილი ბურჯის ახლოს შენდება ახალი თანამედროვე ხიდი, რომელსაც ერეკლე II-ის სახელი დაერქმევა.

დაბა ასპინძის საშუალო სკოლამ დარგო და გაახარა კაკლის 1.000 ნერგი, რაიონის ცენტრიდან ერეკლეს ხიდამდე მისასვლელი გზის ორივე მხარეს, ასპინძის ომში დაღუპულ გმირთა უკვდავსაყოფად.

დაბა ასპინძის ერთ-ერთ ქუჩას მინიჭებული აქვს ერეკლე მეორის სახელი.

ასპინძის ომი რუსეთ-თურქეთის 1768—1774 წლების ომის ერთი განუყრელი ნაწილია, ამიერკავკასიის ფრონტის სახით. ამ ომთან დაკავშირებით, ბუნებრივია, წინა პლანზე წამოწეული უნდა იყოს, ერთი მხრივ, რუსეთ-საქართველოს და, მეორე მხრივ, საქართველო-თურქეთის ურთიერთობა.

I თავი

რუსეთ-თურქეთის ომის წარმოშობა

ასპინძის ომი, რომელიც ქართლ-კახეთისა და თურქეთის ლაშქარს შორის მოხდა 1770 წლის აპრილის მეორე ნახევარში, რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომის ერთი პატარა, მაგრამ მეტად საინტერესო მონაკვეთია.

ქართულ საისტორიო წყაროებში სოფელ ასპინძას პირველად იხსენიებს XI ს. ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე და „მატიანე ქართლისაჲ". ქართლის მეფე ადარნასე დავითის ძე კურაპალატმა 888 წელს შური იძია თავისი მამის მკვლელ ნასრი გვარამის ძეზე. იგი წერს: „შეეწია ღმერთი მცირეთა ამათ ადარნასეს კერძთა და სძლეს ნასრას, მეოტ ქმნეს, შეიპყრეს და მოკლეს ნასრა ჰევსა სამცხისასა, სოფელსა ასპინძას, ქორონიკონსა რ—ე"[1].

მე-18 საუკუნის 50-იან წლებში მეფის რუსეთის საერთაშორისო ავტორიტეტი საკმაოდ გაიზარდა. მან ბრწყინვალე გამარჯვებით დაამთავრა შვიდწლიანი (1756—1763 წწ.) ომი პრუსიასთან და ევროპის სხვა დიდ ქვეყნებთან და შედარებით ადვილად მოიშუშა ომით მიყენებული ჭრილობები. იმდროინდელ რუსეთს უკვე მტკიცედ ჰქონდა მოკიდებული ფეხი ჩრდილოეთით ზღვის სანაპიროებზე, მაგრამ, სამაგიეროდ, სამხრეთით მასთან ახლო მდებარე შავი ზღვა და მისი სანაპირო ქვეყნები არცთუ ისე ადვილად მისაწვდომი იყო მეფის რუსეთისათვის.

---

1 „ქართლის ცხოვრება", ყაუხჩიშვილის რედაქტორობით, I, 1955, გვ. 379.

აღმოსავლეთში ორი დიდი მტაცებელი ქვეყნის — მაჰმადიანური ირანისა და ოსმალეთის აქტიური თავდასხმების გამო ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის, თვით სამხრეთ რუსეთისა და უკრაინის ხალხები საშინელ რბევას განიცდიდნენ. მეფის რუსეთის ხელისუფლება, მემამულეები, და მსხვილი ვაჭრები დაინტერესებული იყვნენ სამხრეთით მდებარე გასასვლელების — კასპიისა და შავი ზღვის სავაჭრო გზების გახსნით, რაც ხელს შეუწყობდა საგარეო ვაჭრობის განვითარებას.

თვით რუსეთი სამხრეთ საზღვრების გასამაგრებლად და თავდასაცავად იძულებული იყო ერთხელ და სამუდამოდ გაესწორებინა ანგარიში თურქეთის აგრესიულ სახელმწიფოსთან. საამისო საერთაშორისო პირობებიც თითქოს რუსეთის სასარგებლოდ იხრებოდა, მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელი საფრანგეთი ერთ-ერთი ყველაზე დაინტერესებული ქვეყანა იყო, რათა ინგლისთან და ავსტრიასთან ერთად შეეზღუდა რუსეთის ძლიერების ზრდა შავი ზღვის სანაპიროებსა და ბალკანეთის ქვეყნებში. ისინი ცდილობდნენ რუსეთი დაეპირისპირებინათ მის ახლო მოსაზღვრე ისეთი ქვეყნებისათვის, როგორიც იყო შვეცია, პოლონეთი და პრუსია. საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XV სტამბოლში მყოფ თავის ელჩს პირდაპირ განუმარტავდა: ჩემი პოლიტიკის მიზანია შეძლებისდაგვარად ევროპის საქმეებიდან რუსეთის ჩამოცილებაო[1]. ამ დროს ევროპის ქვეყნებს შორის საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი ყველაზე მეტად თურქეთის ეკონომიკაზე ბატონობდა. თურქეთში საფრანგეთის წარმომადგენლებმა 1740 წ. მიიღეს შეუვალობისა და შეღავათიანი ვაჭრობის უფლებები. ასეთ პრივილეგიურ უფლებათა აქტები თურქეთისათვის სავალდებულო კოდექსის სახით იქნა შედგენილი. საფრანგეთის ელჩმა თურქეთის მთავრობა დაარწმუნა, რომ რუსეთის გაბატონება პოლონეთსა და ბალკანეთში დიდ საფრთხეს შეუქმნიდა თვით თურქეთს. ეს უკანასკნელიც კარგად გრძნობდა ამ მოსალოდნელ საფრთხეს, ერთი მხრივ, შავი ზღვის სანაპიროების, ყირიმის ნახევარკუნძულისა და ჩრდი-

---

[1] С. М. Соловьев, История России, кн. V, т. XXV, стр. 1431.

ლოეთ კავკასიაში სამფლობელოების დაკარგვით და, მეორე მხრივ, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე თავისი ბატონობის შესუსტებით.

რუსეთის წარმატებები და მისწრაფებები ბალკანეთსა და ამიერკავკასიაში ბრძოლის სურვილს უღვიძებდა თურქეთის სახელმწიფოს, რომელსაც ზურგს უმაგრებდნენ ევროპის დიდი სახელმწიფოები, განსაკუთრებით საფრანგეთი და ავსტრია. ამ დროს ინგლისი ნაწილობრივ თავს იკავებდა რუსეთის მიმართ აშკარა მტრული პოლიტიკისაგან საფრანგეთთან მისი უთანხმოების გამო. ამრიგად, მე-18 საუკუნის 70-იან წლებში ახლო აღმოსავლეთის საკითხი კვლავ ამოტივტივდა. როგორც კარლ მარქსი აღნიშნავდა, იგი კვლავ ევროპის სახელმწიფოთა „თავსატეხ საკითხად" იქცა.

1763 წლის 5 ოქტომბერს, პოლონეთის მეფის ავგუსტ III გარდაცვალების შემდეგ, ერთიმეორეს დაუპირისპირდნენ ავსტრია-საფრანგეთისა და რუსეთ-პრუსიის დაჯგუფებები, რომლებმაც პოლონეთის სამეფო ტახტზე თავიანთი კანდიდატები წამოაყენეს. ეს დიპლომატიური ბრძოლა რუსეთ-პრუსიის გამარჯვებით დამთავრდა 1764 წ., როდესაც პოლონეთის სამეფო ტახტზე აიყვანეს სტანისლავ პონიატოვსკი.

მაგრამ პოლონეთში საფრანგეთის აგენტურის აქტიური მოქმედებით მდგომარეობა მეტად გამწვავდა. 1768 წ. მეფის რუსეთის ჯარები შევიდნენ პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში წესრიგის დასამყარებლად. საფრანგეთისა და ავსტრიის წაქეზებით თურქეთი აშკარად გამოვიდა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამის საბაბად ოსმალეთის სახელმწიფომ გამოიყენა პოლონეთიდან გაქცეული კონფედერატებისადმი უკრაინის აჯანყებული გლეხების დადევნება, რომლებიც აღნიშნული შემთხვევის გამო თურქეთის სასაზღვრო სოფელ ბალტაში შეიჭრნენ. „1768 წ. 11 ივლისს რუსეთის წარმომადგენელს კონსტანტინოპოლში ა. ობრეზკოვს წინადადება ნისცეს დაუყოვნებლივ გაეყვანათ რუსეთის ჯარი პოლონეთიდან. 1768 წლის 25 სექტემბერს დიდმა ვეზირმა ობრეზკოვისაგან მოითხოვა გარანტია, რომ რუსეთი დაუყოვნებლივ გაიყვანდა ჯარს პოლონეთიდან და ხელს აიღებდა პოლონეთის საქმეებში ჩარევაზე. ობრეზკოვმა მოითხოვა დრო, რათა და-

კავშირებოდა თავის მთავრობას, მაგრამ თურქეთის მთავრობამ რუსეთის მთელი საელჩო დააპატიმრა, რითაც კონფლიქტის დიპლომატიური მოლაპარაკების საშუალებით გადაჭრა შეუძლებელი გახდა."[1] ევროპის სახელმწიფოების დახმარებით დაიმედებულ თურქეთის მთავრობას უკრაინის მითვისება და რუსეთისათვის შავი ზღვის ხელში ჩაგდების სურვილზე ხელის აღებინება სურდა.

პოლონეთიდან რუსეთის ჯარის გაყვანა შეუძლებელი იყო რუსეთის მთავრობისათვის, ამიტომ თურქეთმა რუსეთს ომი გამოუცხადა და შეტევაზე გადავიდა. თურქების დიდი ლაშქარი მდ. დნესტრზე გამაგრდა, რათა შეტევა განეკითარებინა პირდაპირ კიევზე, ხოლო 1769 წლის 23 იანვარს ყირიმის ხანმა კრიმ-გირეიმ ასიათასიანი ცხენოსანთა ლაშქრით შეტევები დაიწყო სამხრეთ უკრაინაში. ამ დროს შავ ზღვაზე თურქეთის ძლიერი ფლოტი მოქმედებდა. მოლდავეთში, დუნაის შესართავთან, თურქებს ძლიერი ციხესიმაგრეები, ბენდერი და იზმაილი ეკავათ. თურქები ამ ომისათვის დიდი ხნით ადრე ემზადებოდნენ, მხოლოდ შესაფერ მომენტსა და საბაბს ელოდნენ. რუსეთი იმ დროს ომისათვის მაინცდამაინც დიდად მომზადებული არ იყო, ამიტომ თურქეთის ჯარებს ბედმა დროებით წარმატება არგუნა, თურქთა ჯარი სამხრეთ უკრაინას შეესია და ერთხელ კიდევ გამოამქღავნა თავისი ვერაგობა — მოსახლეობა გაძარცვა და ააწიოკა, ზოგან კი ამოწყვიტა. თურქეთის ჯარების წარმატება რუსეთის ქვემეხების მძლავრმა ცეცხლმა შეაჩერა ქ. ელიზავეტოპოლთან (ამჟამად ქ. დნეპროპეტროვსკი). რუსეთის მთავრობამ ვალახეთის მმართველის დახმარებით ყირიმის ხანი კრიმ-გირეი მოაკვლევინა, რაც თურქეთის ხონთქრისათვის დიდი დანაკლისი იყო. ოსმალეთის მთავრობამ ყირიმის ხანად მოკლული ხანის კრიმ-გირეის შვილი, თურქეთის სულთანის ბრძანების უსიტყვო აღმსრულებელი, უნიჭო დევლეთ-გირეი დანიშნა.

რუსეთის ჯარი მთავარსარდალ გოლიცინის სარდლობით თურქეთის ჯარების წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა; 1769 წ.

---

1 ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, 1957, გვ. 24.

15 აპრილს მდ. დნესტრი გადალახა და მოლდავეთში ხოტინის ციხეს ალყა შემოარტყა. თურქი მეციხოვნეები დაღუპვისაგან ახალციხის ჰასან-ფაშამ იხსნა თავისი 20000 კაცის მიშველებით. ოსმალებმა რუსები დაამარცხეს და უკუაქციეს.

ამ ამბავმა მეფის რუსეთს გადააწყვეტინა მოწინააღმდეგისათვის თავისი იარაღის ძალა ეჩვენებინა და შეტევა დაიწყო აზიაშიც, ამიერკავკასიიდან, კერძოდ, საქართველოდან. აი რას წერს ამის შესახებ გრაფ ტოტლებენის ადიუტანტი, ფრანგი ოფიცერი კაპიტანი დე გრაი დე ფუა: „ამ მიზნით გადაწყდა საქართველოსთან დაკავშირება და მისი თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმა. რამდენადაც კარგად შედგენილი იყო ეს გეგმა, იმდენად ცუდად იქნა ის განხორციელებული“[1]. ამის მიზეზს იგივე კაპიტანი დე გრაი დე ფუა გენერალ ტოტლებენის უხასიათობას მიაწერს.

რუსეთის სამხედრო საბჭომ გოლიცინი გაათავისუფლა ფრონტის მთავარსარდლობიდან და მის ნაცვლად გამოჩენილი მთავარსარდალი პ. ს. რუმიანცევი დანიშნა.

ამის შემდეგ ფრონტზე მდგომარეობა შეიცვალა. 1769 წ. სექტემბერში რუსებმა დაიკავეს იასი, ბუქარესტი, ხოლო უკრაინის ფრონტზე—აზოვი და ტაგანროგი. მიუხედავად ასეთი წარმატებისა, რუსეთის მთავრობა თურქეთთან ომის დაწყების წინ არ იყო დარწმუნებული თავის გამარჯვებაში, რადგან იგი ევროპის სახელმწიფოებისაგან მთლად იზოლირებული დარჩა. რუსეთის სახელმწიფოს ერთადერთ საიმედო მოკავშირედ უნდა მიეჩნია თურქეთის მფლობელობაში მოქცეული ქრისტიანული მოსახლეობა. ამიტომ 1768 წლის 12 ნოემბერს სამხედრო საბჭომ დაადგინა: „...მორეაში, დალმატებთან, საქართველოში და თურქეთის ოლქებში ჩვენი სარწმუნოების ყველა ხალხებთან გამოცხადებულ იქნას, რომ

---

1 კაპიტანი დე გრაი დე ფუა, გრაფ ტოტლებენის 1769–1770 წლების ექსპედიცია საქართველოში. ფრანგულიდან თარგმნილი კ. გურულის მიერ, ახალციხის რაიონული გაზეთი „წითელი დროშა“ № 108, 10 სექტემბერი, 1964.

რუსეთი იძულებულია თურქეთთან ომი რელიგიისათვის აწარმოოს"[1].

მეფის რუსეთი დაინტერესებული იყო თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაება ყველა ის ხალხი, რომლებიც ოსმალეთის ბატონობის მძიმე უღლისაგან იჩაგრებოდნენ, არა მარტო პოლიტიკურად და ეკონომიურად, არამედ რელიგიურადაც. რუსეთის მთავრობის მიზნები და ნამდვილი მისწრაფება ზემოთ მოყვანილ განცხადებაში აღნიშნული არ იყო, მას მარტო ომში გამარჯვება როდი აინტერესებდა. რუსეთის პოლიტიკურ მიზანს შეადგენდა შავი ზღვის სრუტეებისა და ამიერკავკასიის ხელში ჩაგდება. „...დრო გადიოდა, მოსკოვის სახელმწიფო ძლიერდებოდა, ამიერკავკასიას ის თანდათან უახლოვდებოდა; ამ ოდესმე შორეული ქვეყნის უშუალოდ დაუფლება შესაძლებელი ხდებოდა, ძველი მეტოქეები კი სულ უფრო და უფრო სუსტდებოდნენ, ხოლო რუსეთის ინტერესები ამიერკავკასიისადმი იზრდებოდა"[2].

რუსეთის მთავრობას საგარეო საქმეთა კოლეგიამ საქართველოს შესახებ შემდეგი სახის გეგმა წარუდგინა:

1. რუსეთის მთავრობის სახელით ქართველებს იმედი უნდა ჰქონოდათ, რომ თურქეთთან ზავის დადების დროს საქართველოს სამეფოთა ინტერესები გათვალისწინებული იქნებოდა.

2. თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმულ ქართულ სამეფოებს მიეცემოდათ ფულადი დახმარება.

3. თუ ქართველებს არტილერია არ გააჩნდათ, მაშინ საქართველოში გაიგზავნებოდა ქვემეხები არტილერისტებით, ხოლო საექსპედიციოდ ჯარის გაგზავნის საკითხი გზების სიძნელეების გამო ვერ ხერხდებოდა[3].

რუსეთი რომ ასეთ სამზადისში იყო, 1768 წ. 4 ოქტომბერს მიიღეს ყიზლარის კომენდანტის გენერალ პოტაპოვის პატაკი იმერეთის მეფის სოლომონ I ელჩის მაქსიმე ქუთა-

---

1 С. Соловьев, История России древнейших времен, стр. 561.

2 ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნარკვ. I, 1944, გვ. 129—130.

3 ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, 1957, გვ. 26—27.

თელის (აბაშიძის) ყიზლარში მისვლის შესახებ. ამ ამბავმა რუსეთის მთავრობა მეტად გაახარა. იმერეთის მეფის ელჩი სასწრაფოდ სამეფო კარზე მიიწვიეს, ხოლო გრაფ ნ. პანინის დავალებით, თავის მხრივ, ყიზლარის კომენდანტმა იმერეთის სამეფოში გაგზავნა პორუჩიკი ხვაბულოვი (ქობულაშვილი), რომელმაც კარგად იცოდა ქართული და დიპლომატიაშიც ერკვეოდა მასვე გამოაყოლა იმერეთის ელჩის მაქსიმე ქუთათელის არქიმანდრიტი. იმერეთი თურქეთთან ომში უკვე დიდი ხნის ჩაბმული იყო. სოლომონ I თითქმის თორმეტი წლის მანძილზე ხმალამოწვდილი იბრძოდა ოსმალეთის წინააღმდეგ სამშობლოს განთავისუფლებისათვის.

იმდროინდელი რუსეთ-საქართველოს ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა. რუსეთი ცდილობდა შავი ზღვის სანაპიროებისა და სრუტეების ხელში ჩაგდებას, საქართველო კი თავისი დაკარგული მიწა-წყლის, (სამხრეთ საქართველოს) შემოერთებას, რომელიც ოსმალეთს ჯერ კიდევ მე-16 საუკუნის 80-იანი წლებიდან ჰქონდა მიტაცებული. იმერეთის მეფე სოლომონ I (1752—1784 წწ.) და ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II (1744—1798 წწ.) დიდი სიხარულით შეხვდნენ რუსეთის მოწოდებას თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმის შესახებ. სოლომონ I რუსეთის დედოფალს ეკატერინე II-ეს და მის მინისტრ ნ. პანინს გულწრფელად სწერს: „ჟეშმარიტებამ იცის, სრულის გონებითა და ანთებულის გულით განმზადებული ვარ, რომ ყდ დიდებულის ხელმწიფის ბედნიერს უღურზე და ქრისტიანობისათვის ჩემი სისხლი დავთხიო, და მეცა და ჩემი სამეფოცა ხელმწიფის მტერს შევეხოცნეთ“-ო[1].

თურქეთიც თავის მხრივ რუსეთში და მის მეზობლად მდებარე ქვეყნებში მცირე ხალხების ამხედრებას ლამობდა და მაჰმადიანურ მოსახლეობას მტრის ხელიდან გამოხსნას პირდებოდა.

ამრიგად, ორივე მეომარი ქვეყანა ყოველგვარი საშუალებით, სამხედრო იარაღით და აგიტაციით იბრძოდა. განსაკუთ-

---

[1] Грамоты и другие исторические документы, том II, вып. I, под редакцией А. А. Цагареля, Санкт-Петербург, 1898, გვ. 23. შემდეგ წიგნს დავასახელებთ Грамоты.., том,.. вып... стр...

რებულ ყურადღებას აქცევდნენ ამ- უკანასკნელს. რუსეთი ამიერკავკასიაში საუკეთესო იარაღად მიიჩნევდა „სჯულისათვის“ ომის წარმოებას[1]. ამ დროს ოსმალეთის სამფლობელოში შემავალ ქვეყნებს შორის ყველაზე მეტი ქრისტიანული მოსახლეობა ბალკანეთისა და ამიერკავკასიის ქვეყნებში იყო. ამიტომ რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა ამიერკავკასიაში ოსმალეთის წინააღმდეგ ქრისტიანი ხალხების ასამხედრებლად, ქართველებისათვის მაგალითის მისაცემად და წასახალისებლად საქართველოში ერთი კორპუსი ჯარი გამოეგზავნა. რუსეთის მთავრობის კანცლერი გრაფი ნ. პანინი ავალებდა გენერალ-მაიორ ტოტლებენს, რომ მას ემოქმედა ლოზუნგით „რუსული სული, ხორცი კი ქართული“. ამ მოსაზრებას ეთანხმებოდა და ამაგრებდა თვით იმპერატორ ეკატერინე II-ის წერილი იმავე ტოტლებენისადმი. იგი წერდა: „ქართველებმა შეტევისას საკუთარი ძალებით იმოქმედონ, ჩვენი ჯარებიდან კი მხოლოდ იმდენი დაემატოს, რამდენიც საკმაო იქნება მაგალითის მისაცემად და წასახალისებლადო“.

1769 წლის 2 მაისს ეკატერინე II იმერეთის მეფეს სოლომონს წერს: „თქვენ მალე გამოგეგზავნებათ ერთ-ერთი მხედართმთავარი, რომელიც თავის საქმეებში უკვე საკმაოდ გამოცდილია, ხოლო თქვენი ქვეშევრდომებისათვის მაგალითისა და მხნეობის მისაცემად — ქვეითი ჯარის ასეული, ცხენოსანთა ასეული... რამდენიმე შტაბს- და ობეროფიცრითურთ, რომელთა შორის არიან ციხეების შენებასა და აღებაში გამოცდილნი, ამასთანავე, მსროლელებიც ქვემეხებისა...“. აქედან, ჯერ ერთი, ნათლად ჩანს, თუ როგორი შემადგენლობის ჯარი იგზავნებოდა საქართველოში და მეორეც, რუსეთის მთავრობას არ სურდა ადამიანთა მსხვერპლის გაღება. იმპერატორ ეკატერინე II-ის 1769 წლის 27 მარტის ბრძანებით გენერალ-მაიორი ტოტლებენი ყიზლარიდან მოზდოკში წავიდა რუსეთის ჯარის სამი ასეულით და 4 ქვემეხით, თავისი მომსახურე პერსონალით და თვით გენერლის პირადი მცველი რაზმით, სულ 480 კაცით. გრაფი ტოტლე-

---

1 შ. ბურჯანაძე, სოლომონ პირველის ურთიერთობა რუსეთთან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 15-B, 1948, გვ. 52.

ბენი გერმანელი იყო, ჭაბუკობიდანვე დაუწყია სამხედრო სამსახური. ცოლად შეურთავს ლამაზი და მდიდარი ქალი, მაგრამ ცოლის ქონება მალე გაფლანგა. ბოლოს სამსახურში მეექვთამეობისა და ბოროტმოქმედებისათვის პასუხისგებაში მისცეს, რის გამოც საზღვარგარეთ გაიქცა და ჰოლანდიას შეაფარა თავი. ამ დროს ჰოლანდია ინგლისს და სხვა მეზობელ ქვეყნებს ეომებოდა. ტოტლებენმა ნებართვა ითხოვა ცალკე რაზმი შეედგინა. ამ რაზმმა ღალატი ჩაიდინა ომში. ტოტლებენს დამნაშავეობა დაუმტკიცეს და ციხეში ჩასვეს. ციხიდან განთავისუფლების შემდეგ ჰოლანდიაშივე დარჩა. ნაცნობის შუამდგომლობით იგი ერთი ობოლი, მდიდარი, 14 წლის ქალიშვილის აპეკუნად (მეურვედ) იქნა დანიშნული. შემდეგ კი სიმდიდრის გამო ამ ქალიშვილზე დაიწერა ჯვარი და ცოლის ქონება გერმანიაში, თავის მამულში გაგზავნა, თვითონ კი ცოლთან ერთად ბერლინში დასახლდა, მაგრამ სამხედრო სამსახურში მაინც ვერ მოეწყო. ბერლინშიც თავაშვებულ ცხოვრებას მიჰყო ხელი. ცოლის მზითევი გაფლანგა და ბოლოს ქალი იძულებული გახდა გასცლოდა. ტოტლებენმა თავისი თავშეუკავებლობის გამო ბერლინში ერთ დიდებულს შეურაცხყოფა მიაყენა და ქალაქიდან გაიქცა. ერთხანს საქსონიაში იმალებოდა, ხოლო აქედან ჩქარა კვლავ ჰოლანდიაში წავიდა. აქ გაიგო, რომ რუსეთის იმპერატორი ელისაბედი ავსტრია-პრუსიასთან ომს ამზადებდა. მან საჩქაროდ პეტერბურგში ამოჰყო თავი და ელისაბედს სამხედრო სამსახური შესთავაზა. ტოტლებენმა პრუსია-ავსტრიის წინააღმდეგ საომარი გეგმა შეადგინა და იმპერატორის სამეფო კარს წარუდგინა.

ზოგიერთების შეშწეობით იმპერატორ ელისაბედსაც შეხვდა, რომელმაც მოწყალების თვალით შეხედა და განკარგულება გასცა ტოტლებენის მიერ შედგენილი საომარი გეგმა განეხილათ. გეგმა მოიწონეს, რის შემდეგაც ტოტლებენს განსაკუთრებული კორპუსი და გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭეს. ტოტლებენმა მონაწილეობა მიიღო რუსეთ-პრუსიის 1756-1763 წწ. ომში. იგი ამ ომში დაიჭრა და კვლავ ზოგიერთების წყალობით დააჯილდოეს „ანდრია პირველი დიდებულის“ ორდენით. რუსეთის მიერ ბერლინის აღების შემდეგ გამოირკვა მისი ვერაგობა, რომ ტოტლებენი საიდუმ-

ლოდ დაუკავშირდა პრუსიის მეფეს ფრიდრიხ II-ს. ამ „მიმოწერის გამართვის შემდეგ, რუსი ოფიცრები ეჭვში შევიდნენ და ტოტლებენის აგენტი შეიპყრეს ფრიდრიხ II-სათვის გადასაცემი რუსეთის გენ. შტაბის საიდუმლო გეგმებით. ოფიცრებმა ტოტლებენი დააპატიმრეს, ხოლო სამხედრო სასამართლომ მას სიკვდილის განაჩენი გამოუტანა. ეკატერინე II-მ ტოტლებენი შეიწყალა და 1763 წელს განაჩენი შეუცვალა ჩინების აყრითა და რუსეთიდან გაძევებით, ამასთან, რუსეთის ტერიტორიაზე გამოჩენის შემთხვევაში ყოველ მოქალაქეს შეეძლო იგი, როგორც რუსეთის მოღალატე, მოეკლა, რისთვისაც პასუხს არ აგებდა"[1].

1769 წლის მაისში ტოტლებენი რუსეთში დაბრუნდა. მონანიების წერილი მისწერა ეკატერინე II-ს და კვლავ სამხედრო სამსახური შესთავაზა. რუსეთის იმპერატორმა იგი კვლავ შეიწყალა და სამხედრო მინისტრის გრაფ ზაქარია ჩერნიშევის განკარგულებაში გაგზავნა. ამ უკანასკნელს ტოტლებენის ჩამოსვლა სულაც არ გახარებია; სხვაგან რომ ვერსად გამოუნახა სამსახური, ჩერნიშევმა გადაწყვიტა, როგორც უცხოელი, დაენიშნა იმ რაზმის მეთაურად, რომელიც უცხოეთში, საქართველოში იგზავნებოდა. მან, როგორც უნიჭო და უტაქტო გენერალმა, თავისი თავიც შეირცხვინა და რუსეთისა და საქართველოს საქმეებსაც დიდი ზიანი მიაყენა. ამაში თვით რუსეთის იმპერატორი ეკატერინეც დარწმუნდა, ამის შესახებ იგი გრაფ ნ. პანინს წერდა: „ვფიქრობ, რომ მას (ტოტლებენს — ს. ხ.) უფრო შეუძლია ჩვენი საქმე საქართველოში გააფუჭოს, ვიდრე სასარგებლო მდგომარეობაში მოიყვანოს; მე ვფიქრობ, საჭიროა ვინმე სხვა დაინიშნოს".

1771 წელს იგი საქართველოდან ისევ რუსეთში გაიწვიეს. გრაფი დაბრუნდა პეტერბურგს, სადაც ძალიან კარგად მიიღეს, „წმინდა ალექსანდრეს" ორდენით დააჯილდოეს და სამსახურის გასაგრძელებლად პოლონეთში გაგზავნეს. გრაფი ტოტლებენი პოლონეთში გარდაიცვალა იქ ჩასვლის ცოტა ხნის შემდეგ.

კაპიტანი დე გრაი დე ფუა გრაფ ტოტლებენის რუსეთში ხელმეორედ ჩამოსვლაზე წერს:

---

[1] ვ. მაჭარაძე — ასპინძის ბრძოლა, 1957, გვ. 113.

„ამასობაში სამხედრო სამსახურის გასაგრძელებლად რუსეთს დაუბრუნდა გრაფი გენერალი ტოტლებენი. გრაფ ზაქარია ჩერნიშევს (რუსეთის სამხედრო მინისტრს), რომლის განკარგულებაშიც ტოტლებენი გამოცხადდა, მისი ჩამოსვლა სულაც არ გახარებია. სხვაგან რომ ვერსად მიუჩინა ადგილი ამ უცხოელს, ჩერნიშევმა გადაწყვიტა ტოტლებენი იმ რაზმის მეთაურად დაენიშნა, რომელიც საქართველოში გასაგზავნად გაემზადებინათ... თუ სატახტო ქალაქში ტოტლებენი არავის ეპიტნავებოდა, თავის მხრივ მისთვის აუტანელი იყო პეტერბურგში ყოფნა". მან ითხოვა ყიზლარში გაშვება, რათა ჯარი დაეკომპლექტებინა. გენერალი ტოტლებენი თავისი ჯარით, რომელსაც „არტილერიას" უწოდებდა, ორ მცირე ყალიბიან ქვემეხს მიათრევდა, ეს ამბავი რუს ოფიცრებს სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ. ანტონ მოურავოვმა გენერალს ურჩია, გზების უვარგისობის გამო, ქვემეხები იქვე დაეგდოთ ჩრდილოეთ კავკასიაში. მან განუცხადა ტოტლებენს: „ამ ზარბაზნებით ომს მაინც ხომ ვერ დავიწყებთო", ტოტლებენმა ცივად უპასუხა — „ჩემი მოქმედების შესახებ მე ანგარიშს არავის ვაბარებ... თუ ხელსაყრელი შემთხვევა მომეცა, ომსაც დავიწყებო". კაპიტანი დე გრაი დე ფუა წერს, რომ ამის შემდეგ გრაფ ტოტლებენსა და ანტონ მოურავოვს შორის შავმა კატამ გაირბინა. მას შემდეგ სულ კამათი და უნდობლობა იყო მათ შორის. მისი თქმით, ტოტლებენი ერეკლეს ატყუებდა რუსეთის ჯარის რაოდენობის შესახებ. იგი წერს: „გენერალი მტკნარად ცრუობდა, რადგან სინამდვილეში თვითონ 150 კაცზე მეტი არ ყავდა, ხოლო რემენნიკოვს, რომელსაც ის მოელოდა, 300 კაცი მოჰყავდა".

რუსეთის ჯარი საქართველოსაკენ აგვისტოში დაიძრა. ერეკლე II-მ წინასწარ დარიალის გზა და ხიდები შეაკეთებინა და 1769 წ. აგვისტოს ბოლოს ყაზბეგის ახლოს, ადოს მინდორზე, მეფე ერეკლე II და გრაფი ტოტლებენი ერთმანეთს შეხვდნენ.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის კაპიტანი დე გრაი დე ფუა გრაფ ტოტლებენისა და მეფე ერეკლე II-ის პირველი შეხვედრის შესახებ. იგი წერს: ტოტლებენს „...განზრახული ჰქონდა პირდაპირ მეფის კარავში შეეჭრილიყო, მაგრამ... მისდა

განსაცვიფრებლად, უეცრად მეფის კარავიდან თორმეტი ხელკვერთხიანი დიდებული დაიძრა და მისკენ გამოემართა, ხელკვერთხიანები გენერალს შეხვდნენ, მოწიწებით მიესალმნენ და მისთვის სპეციალურად გამზადებულ კარავში შეიპატიჟეს.

გენერალი სახტად დარჩა და უკმაყოფილოდ თქვა: „ჰაერზე ყოფნას ვარ მიჩვეულიო“. მერე მხლებელი ოფიცრებითურთ უკან გამობრუნდა და ფერდობზე ჩამოჯდა.

მალე იქ მას მოართვეს ღვინო, ხილი და ტკბილეული, გრაფმა მომტანს 10 მანეთი აჩუქა და შემდეგ მხლებელი ოფიცრები ხილზე და ღვინოზე მიიწვია.

ნახევარი საათის შემდეგ გენერალთან ორი ქართველი დიდებული მოვიდა და ერეკლეს სახელით საქართველოში კეთილად მოსვლა მოულოცეს. ტოტლებენი გაოცებული იყო. მას ვერ წარმოედგინა, თუ ეს აზიელი პატარა მბრძანებელი ასე ძნელი სანახავი იქნებოდა.

დაახლოებით ერთ საათს იცადა ტოტლებენმა, მეტს ვეღარ ითმენდა და გაბრუნდებოდა კიდეც, რომ თავად რატიევს არ დაეკავებინა. ბოლოს მას განუცხადეს, რომ შეუძლია მეფეს ეახლოს. იგივე თორმეტი ხელკვერთხიანი დიდებული წარუძღვა გრაფს ერეკლე მეფის კარავისაკენ.

ერეკლე იმყოფებოდა მშვენიერ, სპარსულად მორთულ კარავში. კარვის გარშემო ბევრი ხალხი ირეოდა, მაგრამ მეფის სადგომს ახლოს ვერავინ ეკარებოდა. კარავიდან ოცდაათიოდე ნაბიჯის დაშორებით თეთრკვერთხიანი ზედამხედველები იდგნენ. მათ გაატარეს გრაფი ტოტლებენი მხლებელი ოფიცრებით. როცა გრაფი კარვის პირველ კალთასთან მივიდა, მას ერეკლეს უფროსი ვაჟი შემოეგება. გრაფმა ტოტლებენმა აკოცა უფლისწულს. ახალგაზრდა ბატონიშვილს ეს გაუკვირდა. თურმე მამაკაცებს შორის კოცნა საქართველოში ჯერ შემოღებული არ ყოფილა. კარვის მეორე კალთასთან პატრიარქი — ერეკლეს ბიძა იდგა. ტოტლებენმა მასაც კოცნა დაუპირა, მაგრამ ყოვლად სამღვდელომ უკან დაიწია, კურთხევით გრაფს პირჯვარი გადასახა და კარავში შეუძღვა თანმხლები ოფიცრებიც შეეყვანა.

მეფე ერეკლე ნოხზე იჯდა. გრაფის შესვლისთანავე ფეხზე

ადგა, სტუმარს მიეგება და გვერდზე მოისვა. პატრიარქი და უფლისწულიც დასხდნენ. თავადი რატიევიც დასვეს. დანარჩენი ოფიცრები კი ფეხზე დავრჩით, — „ვფიქრობ, — დაიწყო მეფემ, — კავკასიის გადმოლახვა გაგიჭირდათ“... „მე მეტი სიძნელეები მინახავს, — უპასუხა ტოტლებენმა, — სამხედრო სამსახურში ბავშვობიდან ვარ. მთელი ევროპა შემომირბენია, ჩემთვის დაღლა არ არსებობს“[1].

ტოტლებენი მეფე ერეკლესგან სამ რამეს ითხოვდა:

1. ნება მიეცა, რუსეთის ჯარს გაევლო ქართლზე და გადასულიყო იმერეთში, რათა სოლომონ მეფის ჯართან ერთად ომი დაეწყო თურქეთის წინააღმდეგ.

2. ერეკლეს სამეფოში შეეძინა ყველა პროდუქტი, რაც კი მის ჯარს სჭირდებოდა.

3. ერეკლესაგან თანხმობას, რომ რუსეთის მოკავშირე გამხდარიყო და თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმულიყო. გამარჯვების შედეგად დაპყრობილი ტერიტორია საქართველოს დარჩებოდა.

მეფე ერეკლემ ორივე თხოვნას დადებითად უპასუხა, მესამეზე კი გენერალმა ტოტლებენმა შემდეგი პასუხი მიიღო: „პასუხი თქვენს მესამე წინადადებაზე, ცოტა არ იყოს, რთული საქმეა. არა, მე ეჭვი კი არ მეპარება თქვენს უფლებამოსილებაში იმპერატორი-დედოფლის სახელით მოკავშირეობა შემომთავაზოთ... პირიქით, ეს მე ხელსაყრელ და უპირატეს მდგომარეობაში მაყენებს, მაგრამ... მოდით, ამის შესახებ უფრო ვრცლად შემდეგ ვილაპარაკოთ. მე თვითონ წაგიყვანთ ჩემი სამეფოს წიაღში, სადაც თქვენი ჯარიც დაისვენებს და ჩვენც დაწვრილებით მოვილაპარაკებთ“.[2]

ერეკლეს პასუხი დინჯი, ბრძნული და სამართლიანი იყო.

რუსეთის ჯარის სარდლად, როგორც აღვნიშნეთ, გრაფი გენერალ-მაიორი ტოტლებენი დაინიშნა, ხოლო რუსეთის სამეფოს წარმომადგენლად ანტონ მოურავოვი, რომლებსაც

---

[1] კაპიტანი დე გრაი დე ფუა, გრაფ ტოტლებენის ექსპედიცია საქართველოში, გაზეთი „წითელი დროშა“ № 117, 1 ოქტომბერი, 1964.

[2] იქვე.

სპეციალური სამოქმედო ინსტრუქცია მიეცათ. რუსეთის ჯარი 1769 წ. 26 სექტემბერს იმერეთში გადავიდა. შემდეგ მას მიემატა რემენნიკოვის მიერ ჩამოყვანილი საექსპედიციო რაზმი 372 კაცის შემადგენლობით. იმპერატორის 1769 წ. 22 ოქტომბრის ბრძანებით საქართველოში ჯარი 3767 კაცამდე უნდა გაზრდილიყო.

რუსეთის მთავრობამ გაითვალისწინა, რომ საქართველოს მეფე-მთავრები ჩაებმებოდნენ თურქეთის წინააღმდეგ ომში და შეიქმნებოდა დამატებითი ფრონტი ამიერკავკასიაში, რაც დიდ დახმარებას გაუწევდა მთავარ ფრონტზე რუსეთის ჯარებს. კავკასიის ფრონტის გახსნით თურქეთი ყოველთვის თავდასხმისა და შეტევის მოლოდინში იქნებოდა, მოესპობოდა საშუალება მთელი თავისი ძალები გადაესროლა ცენტრალურ ფრონტზე, ყირიმსა და უკრაინაში. ამრიგად, საქართველოს ტერიტორიაზე ბრძოლის დაწყება რუსეთისათვის წარმოადგენდა დამატებით ფრონტს, რომელშიაც აქტიურ მონაწილეობას მიიღებდნენ ქართველები, ხოლო ამ ბრძოლებს ხელმძღვანელობას გაუწევდა თვით რუსეთი და გამარჯვების ნაყოფს თვითონვე მოიმკიდა. „რუსეთის მიზანი კი იყო: ოსმალთა წინააღმდეგ ომით ქართველებს მტრის დიდი ძალები დაებანდებინათ, რომ ამით ომის მთავარ ფრონტზე მტერს ხელი შეშლოდა“.[1] ამ მიზნის მისაღწევად გენერალ-მაიორ ტოტლებენს დავალებული ჰქონდა საქართველოს მთელი ძალების გაერთიანება და ქართველ მეფე-მთავართა შერიგება, რათა მათ თავიანთი შინაფეოდალური წინააღმდეგობებისათვის დროებით თავი მიენებებინათ, მთელი მონდომებით თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმულიყვნენ და ომის მთავარი სიმძიმეც მათვე გადაეტანათ.

გრაფ ტოტლებენისათვის მიცემული საიდუმლო ინსტრუქციის მთავარი აზრი ის იყო, რომ ქართველი მეფეების, ერეკლე II და სოლომონ I მთელი ძალები გამოეყენებინათ რუსეთის ინტერესების შესაბამისად.

რუსეთიდან საიდუმლოდ გამოგზავნილ პორუჩიკ ხვაბუ-

---

1 ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1950, გვ. 398.

ლოვის ინიციატივით 1769 წლის 21 მაისს თბილისში ერეკლე II და სოლომონ I შორის სამხედრო კავშირი დაიდო. „ეს კავშირი განსხვავდებოდა 1758 წლის ხელშეკრულებისაგან იმით, რომ იგი ორივე მონაწილეს თურქეთის წინააღმდეგ აბამდა ომში და თანაც ამის შესრულება გათვალისწინებული იყო რუსეთის სამხედრო დახმარების პირობით"[1].

ქართველ მეფეთა სამხედრო კავშირის დადება დაემთხვა რუსეთ-თურქეთის ფრონტზე რუსეთის ჯარების დიდ წარმატებას, რაც ქართველ მესვეურებს გამარჯვების რწმენას მატებდა.

ავანტიურისტ გენერალ ტოტლებენს, რომელიც განდიდების მანიით იყო შეპყრობილი, ქართველი მეფე-მთავრები არამც თუ შეურიგებია, არამედ, პირიქით, უფრო მეტი შური და მტრობა ჩამოუგდია მათ შორის. მას სულაც არ აინტერესებდა საქართველოს მესვეურთა ეროვნული ინტერესები, რასაც ოდნავ ანგარიშსაც კი არ უწევდა. იგი ქართველ მეფე-მთავრებისაგან მოითხოვდა უსიტყვო მორჩილებას, მაგრამ სახელოვანი ქართველი მეფეები, ერეკლე II და სოლომონ I როდი იყვნენ ისეთი უსუსური მმართველები, რომ უვიცი და უნიჭო ტოტლებენის სურვილებს დამორჩილებოდნენ. „საქართველოს მეფეებს ეს გენერალი იმთავითვე ვერ შეეგუა. ტოტლებენს განსაკუთრებით ის არ მოსწონდა, რომ ერეკლესა და სოლომონს საკუთარი მიზნები ჰქონდათ. საქართველოს ინტერესებისათვის ანგარიშის გაწევას კი ის საჭიროდ არ სთვლიდა და ერეკლე — სოლომონის მხრით უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა"[2]. გარდა ამისა, რუსეთის სამეფო კარისაგან გრაფ ტოტლებენს ევალებოდა მოემზადებინა ნიადაგი საქართველოს რუსეთთან შეერთებისათვის, თუ ამის შესაფერისი სიტუაცია შეიქმნებოდა.

---

1 შ. ბ ურ ჯ ა ნ ა ძ ე, იმერეთის სამეფო 1768—1774 წწ., ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. III, 1961, გვ. 116.

2 ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1950, გვ. 398.

II თავი

ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის პოლიტიკური მიზნები რუსეთ-თურქეთის ომში

საქართველოს მეფეებმა ერეკლე II-მ და სოლომონ I-მა 1768 წელს დაწყებული რუსეთ-თურქეთის ომი თავიანთი პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის შესაფერის ხელსაყრელ პირობად მიიჩნიეს. ისინი კარგად ხედავდნენ, რომ რუსეთ-საქართველოს ინტერესები ამ ომში ერთიმეორეს კი არ ეწინააღმდეგებოდა, პირიქით, ამ ორი ქვეყნის მისწრაფებას რეალური საფუძველი და მომავლის საუკეთესო პერსპექტივები აკავშირებდა ერთმანეთთან. „ქართველები ამ საქმეში სრულიად გარკვეული მიზნებით ხელმძღვანელობდნენ. სოლომონს რუსეთის ჯარი თავისი საშინაო და საგარეო გაძლიერებისათვის უნდოდა. რუსთა ძალის შემწეობით მეფე თავადებსა და მთავრებს დაიმორჩილებდა, ოსმალთა მიერ მიტაცებულ ქვეყნებს დაიბრუნებდა და დამპყრობლებს იმერეთიდან საბოლოოდ გააძევებდა. ასეთივე დიდი საკითხების გადაჭრას ფიქრობდა ერეკლეც ამ ახალი ძალის დახმარებით“.[1]

მეფე სოლომონ I-ის დროს დასავლეთ საქართველოში მეტად მძიმე მდგომარეობა იყო. 1752 წელს მან ხმლით მოიპოვა მამის, ალექსანდრეს, იმერეთის სამეფო ტახტის მემკვიდრეობა.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, ნაწ. I., 1950, გვ. 398.

თურქ დამპყრობთა მუდმივი თავდასხმების შედეგად მე-17—18 საუკუნის პირველი ნახევრისათვის მეტად საშინელი მდგომარეობა შეიქმნა დასავლეთ საქართველოში. გახშირდა შინაფეოდალური ომები, ფეოდალური განკერძოება უფრო და უფრო გაღრმავდა, ტყვეთა ყიდვა წესად იქცა. მე-18 საუკუნის 20-იან წლებში დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი გრიგოლი შეიპყრეს და მონასავით გაყიდეს. იქ, სადაც ქვეყნის კათალიკოსს ტყვედ ჰყიდიდნენ, ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში იქნებოდა ყმა გლეხობა.

დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები კი ამ დროს მუდმივ ურთიერთ თავდასხმასა და ძმათა შორის სისხლის ღვრას ალევდნენ თავიანთ ძალებს. „დრო გადიოდა, იმერეთის მეფე-მთავართა შორის ქიშპი მრავლდებოდა. თვით სამეფო-სამთავროში შინაგანი წინააღმდეგობანი მძვინვარებდა. მამა შვილს არ ინდობდა, შვილი-მამას, ძმა-ძმას“.[1] სიმონ გურიელმა თავისი მამა, მამია სარეცელზე დააკლა მძინარე და თვითონ გახდა მთავარი. ლევან დადიანმა „შინაურ“ მტრებზე გამასპინძლების „შემდეგ თავის სიძის გურიელის წინააღმდეგ გაილაშქრა, დაატყვევა იგი და ღირსეულად დასაჯა: დასთხარა თვალები, წაართვა ცოლი, შვილი და სამთავროც, მისი სამთავრო დადიანმა გადასცა გურიელის ბიძა მალაქიას“[2].

არანაკლები ქიშპობა იყო აფხაზეთისა და სამეგრელოს სამთავროებს შორის. შინაფეოდალური ბრძოლისა და შუღლის შედეგად დიდად შეირყა დასავლეთ საქართველოში ზნეობა და მორალი. იმერეთის მეფე-მთავრები ერთიმეორეს ცოლებს სტაცებდნენ. დედინაცვლის მიერ დაბრმავებულმა იმერეთის მეფე ბაგრატმა სამჯერ წაართვა ცოლი ლევან დადიანს. ოსმალებისა და სხვების დახმარებით ლევან დადიანმა სამჯერვე უკან დაიბრუნა თავისი მეუღლე თამარი. მაგრამ ბოლოს იგი მეფე ბაგრატს დარჩა ცოლად. 1681 წ. მეფე ბაგრა-

---

1 დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. II, 1965, გვ. 423.

2 არჩანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, 1938, გვ. 21.

სოლომონ I.

ტის გარდაცვალების შემდეგ გიორგი გურიელმა უმსგავსობა ჩაიდინა: თავისი კანონიერი მეუღლე დარეჯანი გაუშვა და სიდედრი, ბაგრატის ქვრივი, თამარი შეირთო ცოლად. ეს გაუგონარი რამ, გიორგი გურიელისადმი ყველას ზიზღს იწვევდა.

მართალია, ეს ამბები სოლომონ I მეფობის წინა პერიოდს შეეხება, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მისი მეფობის დროს დასავლეთ საქართველოში და თვით იმერეთის სამეფოში მშვიდობიანი ცხოვრება ყოფილიყოს.

სოლომონ I-ს მემკვიდრეობით წილად ერგო ოსმალთა ბატონობის მძიმე უღელი, შინაფეოდალური ამლილობა და განუკითხავი ტყვეთა სყიდვის საშინელება. დასავლეთ საქართველოს ოსმალებისათვის ყოველწლიურად ხარკის სახით უნდა ეძლია ქალ-ვაჟები ან ფული და ტილო. ოსმალები უფრო მეტად „ცოცხალ საქონელს“ — ადამიანებს ეტანებოდნენ. ოსმალთა ხელში იყო გონიის, ბათუმის, ციხისძირის, ფოთის,

ანაკლიის, სოხუმის, ცუცხვათის, შორაპნის, ბაღდადისა და თვით ქუთაისის ციხე-სიმაგრეები. „..ეს ციხეები ტყვის სყიდვის ბუნაგებად იქცნენ. ციხისა და მის გარშემო მდებარე სოფლების მოსახლეობა თანდათან მაჰმადიანდებოდა. ოსმალები ამ ციხეებიდან ადვილად ერეოდნენ ფეოდალების ურთიერთობაში და ქვეყნის საბოლოოდ დასაპყრობად თანდათან გზას იკვლევდნენ[1]".

სოლომონ I-მა თავისი მეფობის პირველსავე დღეს მტკიცედ მოჰკიდა ხელი ქვეყნის გაერთიანებას. სასტიკად აკრძალა ტყვეთა გაყიდვა, მკაცრად დასაჯა თავგასული ფეოდალები. მაგრამ მას განუდგა საკუთარი დედა და სოლომონის მტრების მხარეზე გადავიდა. ფეოდალური ინტერესებით ლევან აბაშიძეც, სოლომონის დედის ძმა, მეფეს განუდგა და ახალციხეს გაიქცა. მან ფაშას დახმარებით ჯარი მოიწვია და სასტიკი ბრძოლა გაუმართა სოლომონს 1757 წ. ხრესილის ველზე, მაგრამ მეფემ გაიმარჯვა. გრაფ ტოტლებენის ადიუტანტი ფრანგი კაპიტანი დე გრაი დე ფუა წერს: „იმერეთის ტყე-ღრეში მოხეტიალე სოლომონს ორი ომი აქვს გადახდილი: მისი სამეფოს ერთადერთი ქალაქი ქუთაისი და შორაპნის ციხე თურქებს უჭირავთ. მეფე სოლომონს თავადი როსტომ რაჭის ერისთავიც განუდგა და თურქებს დაუკავშირდა. მოღალატემ მტერთან საერთო ენა გამონახა: მას ოსმალეთისათვის ხარკი უნდა ეხადა, სამაგიეროდ, ახალი პატრონები ჰპირდებოდნენ, სოლომონს იმერეთიდან განვდევნით, მის სამფლობელოს კი მთლიანად შენ დაგიმტკიცებთო. მებრძოლ მეფეს თავის განკარგულებაში სულ თხუთმეტი ასეული ჯარისკაცი ჰყავს. ამ არმიით ის თავდაცვას ძლივს ახერხებს". იმდროინდელ დასავლეთ საქართველოში ყველაზე უფრო წყნარი ცხოვრება დადიანის ქვეყანაში, სამეგრელოში ყოფილა. დე გრაი წერს: „დადიანი ოსმალეთს ხარკს უხდის და მშვიდად ცხოვრობს თავის სოფელში. სოფელშიო ვამბობთ, რადგან მას თავის საბრძანებელში არც ერთი ქალაქი არ გააჩნია.

თურქთა წყალობაზე მინდობილი დადიანი იმდენადვე

---

1 ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, გვ. 393—394.

იბრძვის სოლომონის წინააღმდეგ თავისი პოლიტიკით, რამდენადაც ამას ერისთავი აკეთებს ძალით“.

დადიანიც და გურიელიც ყოველთვის მეფე სოლომონის მოწინააღმდეგე ძალებს უჭერდნენ მხარს და მათთან კავშირის დამყარებას ცდილობდნენ. ამიტომ იყო, რომ სოლომონ მეფეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი თავისი სკიპტრისადმი მთავარ დადიანის დაქვემდებარება და რუსეთის მთავრობას არწმუნებდა დადიანის შესახებ თავის გადაწყვეტილებაში. „...სანამ ცოცხალი ვართ, ცდას არ მოვიშლი, რათა იგი ჩვენს სრულ ქვეშევრდომობაში შევიყვანოთო.[1] სოლომონს უნდოდა მეფის რუსეთის ჯარის დახმარებით თავისი პოლიტიკური მიზნები, ერეკლე მეფესთან ერთად მეგობრულ კავშირში განეხორციელებინა. მისი მთავარი მიზანი იყო ოსმალთა გაძევება დასავლეთ საქართველოდან, ამ ქვეყნის მთავრების დამორჩილება და ტყვეთა სყიდვის აკრძალვა, რაც ხელს შეუწყობდა ქვეყნის ნორმალური ცხოვრების მოწესრიგებას.

ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II პოლიტიკურ მიზანს წარმოადგენდა საქართველოს აღდგენა და გამოხსნა ირან-ოსმალეთის ბატონობისაგან. საქართველოს გაერთიანება და ქვეყნის შიგნით მშვიდობიანი ცხოვრების შექმნა იყო მისი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა. ერეკლე II-ს სურდა ჰეგემონის როლი ეთამაშა და მთელი ქრისტიანული ხალხების დამცველ-ქომაგად გამოსულიყო ამიერკავკასიაში. იმდროინდელი პოლიტიკოსები, და მათ შორის, პირველ რიგში, მეფე ერეკლე, კარგად ხედავდნენ, რომ თავადურ-ფეოდალური სისტემა საქართველოს აღდგენა-განვითარების საშუალებას არ იძლეოდა და ქართველი პოლიტიკოსები დამხმარე ძალას ქვეყნის გაერთიანება-აღდგენისათვის გარეთ, შორეულ რუსეთში ეძებდნენ. პრაქტიკულად საქართველოს გაერთიანებას, გარდა თავადურ-ბატონყმური სისტემისა, ხელს უშლიდა გარეშე მაჰმადიანური (ოსმალეთ-ირანის) ძალები, რომლებიც ყოველნაირად ხელს უწყობდნენ საქართველოს დაშლა-დაქუც-

---

1 შ. ბ ურ ჯ ა ნ ა ძ ე, იმერეთის სამეფო 1768—1784 წ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. III, 1961, გვ. 122.

ერეკლე II (მხატვარი ს. მაისაშვილი)

მაცებას. „მათი ინტერესები ჩვენი ქვეყნის დაშლა-დასუსტებას ითხოვდა (თუ ერანი ან ოსმალეთი საქართველოს ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციად გადააქცევდა, ეს „საქართველო" კი აღარ იქნებოდა, არამედ ყიზილბაშური „გურჯისტანი" — სახანო, ან ოსმალური „გურჯისტანის ვილაიეთი" — საფაშო, ე. ი. ყოფილი საქართველო გამაჰმადიანებულ-გადაგვარებული...). ამდენადვე ყოველი ცდა ერანის ან ოსმალეთის ხელქვეშ და მათი დახმარებით საქართველოს გაერთიანება-გადარჩენისა უნდა მარცხით დამთავრებულიყო. ასეც ხდებოდა. და ქართველი პოლიტიკური მოღვაწენი ღრმად რწმუნდებოდნენ, რომ არც ერანი („ფოცხვერი") და არც ოსმალეთი („ბაბრი") ჩვენი ქვეყნის ქართველობით გაერთიანება-გაძლიერებას შხარს არასოდეს არ დაუჭერდნენ"[1].

[1] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, გვ. 128-129.

მეფე ერეკლე II კარგად ხედავდა, რომ ქვეყნის გაერთიანებისათვის სხვა გზა არ ჰქონდა გარეშე ძალის გარდა, ასეთ ძალად კი არც ყიზილბაში და არც ოსმალო არ გამოდგებოდა. მან გაითვალისწინა მეფის რუსეთის ინტერესები თურქეთის წინააღმდეგ ატეხილ ომში, რის გამოც რუსეთი შეეცადა ამ ომში ჩაება ამიერკავკასიის ქრისტიანები და, პირველ რიგში, საქართველო. ერეკლემ დიდი დაკვირვებისა და გარკვეული დიპლომატიური მოლაპარაკების შემდეგ გადაწყვიტა რუსეთ-თურქეთის ომში ჩაბმულიყო.

რუსეთის სახელმწიფო, წლების განმავლობაში, თუ პრაქტიკულად არა, სიტყვიერად, მტკიცედ და დაბეჯითებით მოუწოდებდა საქართველოს მეფე-მთავრებს ქვეყნის ძალების გაძლიერებისაკენ, რუსეთის მფარველობით საქართველოს ძველი ძლიერების აღდგენისაკენ. ქართველ მოღვაწეებს და განსაკუთრებით მეფე სოლომონსა და ერეკლეს გულწრფელად სჯეროდათ მეფის რუსეთისა. ამ სიტყვიერ მოწოდებას თითქოს თან ახლდა პრაქტიკული ნაბიჯებიც, საქართველოში ჯარის გამოგზავნა ფულითა და იარაღით დახმარება და სხვ.

თვით მეფის რუსეთის წარმომადგენლებიც კარგად გრძნობდნენ საქართველოს მესვეურთა გულწრფელობას და ერთგულებას რუსეთის მოკავშირეობისადმი. 1769 წლის 24 ივლისს რუსეთის წარმომადგენელი ხვაბულოვი (ქობულაშვილი) ყიზლარის კომენდანტ პოტაპოვს ატყობინებდა: „საქართველოს მეფე ერეკლე დიდად ცდილობს, რომ რუსეთმა ამ ომში მოიგოს, რადგან თვითონ მეფე ხედავს ოსმალეთის დამარცხებაში საკუთარ სარგებლობასაც. იგი მხურვალე მონაწილეობას იღებს ყოველნაირ საქმიანობაში ოსმალეთის წინააღმდეგ"[1].

ოსმალეთის მიერ მიტაცებული სამცხე-საათაბაგო და მისი ცენტრი ახალციხე ტყვეთა სყიდვის ერთ-ერთ ბუნაგს წარმოადგენდა. ეს საკითხი მწვავედ დგებოდა ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა წინაშე.

ერეკლე მეორის მოღვაწეობას იმთავითვე ახასიათებდა ანტიოსმალური და ანტისპარსული პოლიტიკა, რის გამოც ეხურვალე სურვილი გამოთქვა ომში ჩაბმულიყო ოსმალე-

---

[1] Грамоты... том I. стр. 428.

თის წინააღმდეგ რუსეთის მხარეზე ქართლ-კახეთის მონაწილეობით. ამ ომში ერეკლეს აინტერესებდა რუსეთის გამარჯვებაᲐ არა მარტო ცენტრალურ, არამედ ამიერკავკასიის ფრონტზეც, რის შედეგიც, რუსეთის სახელმწიფოს პირობის თანახმად, საქართველოს სასარგებლოდ უნდოდა გამოეყენებინა. „რუსეთის დახმარებით ერეკლე ოსმალეთის მიერ მიტაცებული მესხეთის შემოერთებას, ჭარ-ბელაქნის დაპყრობასა და ქართლ-კახეთში „ლეკიანობის“ მოსპობას აპირებდა. ამის გარდა, რაკი საქართველო ამიერიდან რუსეთთან კავშირში იქნებოდა, ეს ოსმალეთისა და ირანის თავდასხმებისაგან დაიცავდა მას მომავალში.“[1]

ერეკლე მეორის პოლიტიკური მიზნების განხორციელებას ხელს უშლიდნენ არა მარტო გარეშე მოძალადეები თურქეთი და ირანი, არამედ ქვეყანაში დამკვიდრებული ბატონყმური სისტემაც. „საქართველოს გამოხსნისა და აღდგომისათვის“ მთავარი ბრძოლები ჯერ კიდევ წინ იყო. მაგრამ მოპოვებულ წარმატებათა უზრუნველსაყოფად და მომავალი ბრძოლებისათვის მოსამზადებლად საჭირო იყო ქვეყნის შინაგანი განმტკიცება, მისი ეკონომიური და პოლიტიკური გაძლიერება. ერეკლეს კარგად ესმოდა ეს და ამ მიმართულებით დაუცხრომლად მოქმედებდა. მაგრამ სასურველ წარმატებას შესამჩნევად აფერხებდნენ სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის მოვლენები.[2]

რა სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის მოვლენები აფერხებდა ქვეყნის გაერთიანებასა და მეფე ერეკლეს პოლიტიკურ მისწრაფებებს?

პირველ რიგში, აქ უნდა ვიგულისხმოთ ქვეყნის შიგნით იმ თავადების აღვირახსნილი, მტრული საქმიანობა, რომლებიც განკერძოებისაკენ მიისწრაფოდნენ და ძირს უთხრიდნენ ქვეყნის გაერთიანების კეთილშობილურ საქმეს.

თუ ადრეულ საუკუნეებში ეს მტრული ფეოდალური ძალები ნელა და ფარულად მოქმედებდნენ, მე-18 საუკუნისა-

---

1 ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I. 1950, გვ. 398.

2 საქართველოს ისტორია უძველესი ხანიდან ჩვენს დრომდე (ხელნაწერის უფლებით), 1940, გვ. 366.

თვის ისინი უკვე სააშკარაოზე გამოვიდნენ, როგორც ერთიანი საქართველოს დამრღვევი ძალები. ამ ხანგრძლივმა შინაფეოდალურმა აშლილობამ საქართველოს ჯერ ეკონომიური დაქვეითება გამოიწვია, ხოლო მომდევნო ხანებში თანდათან ნიადაგი შეუმზადა ქვეყნის პოლიტიკურ დაშლას. ქვეყნის ეკონომიურად დაცემას შედეგად მოჰყვა პოლიტიკური გათიშვაც. საქართველოს ეკონომიურ-პოლიტიკურად დაშლას ხელს უწყობდნენ გარეშე მტრული ძალები: მონღოლები, ყიზილბაშები და ოსმალები. „თუ პოლიტიკურ კრიზისს მე-13 ს-ის საქართველოში მონღოლთა შემოსევამ მოუსწრო, საქართველოს პოლიტიკურ დაშლილობას (მე-15 ს-ის დასასრულს) დაემთხვა ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოს გაძლიერება და სეფიანთა სახელმწიფოს წარმოქმნა (მე-16 ს-ის დამდეგს). ასე რომ ფაქტიურად მე-16 ს-ში შეიკრა საქართველოს მტრულ სახელმწიფოთა გარემოცვის რკალი".[1] ერეკლე მეორის მეფობამდე სამი საუკუნის განმავლობაში, ქართველი ხალხი დაუცხრომელ ბრძოლებს ეწეოდა მაჰმადიანური სამყაროს წინააღმდეგ. ამას უნდა დაემატოს ფეოდალური შინაომები, სათავადოებისა და სამთავროების ქიშპობა, მათ შორის გაუთავებელი შუღლი და მტრობა. საქართველოს ასეთ აწეწილ მდგომარეობას მე-16 საუკუნიდან დაემატა ისეთი მახინჯი და გამოუსწორებელი მოვლენები, როგორც იყო „ტყვეთა სყიდვა" და „ლეკიანობა", რაც გახშირდა განსაკუთრებით მე-17—18 საუკუნეებში. ამ უკანასკნელმა მოვლენებმა საქართველოს ყველაზე მეტი ზიანი მიაყენა და გარკვეული დაღი დაასვა.

გარეშე მტრების ბარბაროსულ საქმიანობაში არანაკლები წვლილი მიუძღოდათ მოღალატე თავადებს. ქვეყნის შიგნითა რეაქციული ძალები თავს მაშინ წამოყოფდნენ, როდესაც ესა თუ ის ტახტის მაძიებელი გამოჩნდებოდა. ქართლის რეაქციულმა თავადებმა მეფე ერეკლე II წინააღმდეგ ბრძოლის ხერხი შეცვალეს. თუ ისინი ადრე ირანის ან ოსმალეთის მრიმედე იყვნენ და იქ მირბოდნენ დახმარების საძიებლად, 1765 წ.

---

[1] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ფეოდალური წყობილება საქართველოში მე-16—17 სს-ში, 1958. გვ. 61—62.

ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყვეს. მათ უნდოდათ ქართლის სამეფო ცახტზე აეყვანათ ვახტანგ VI-ის უკანონო შვილი პაატა ბატონიშვილი. „შეთქმულთა მიზანი იყო მეფისა და მისი სახლობის ამოწყვეტა და სამეფო ტახტზე მათთვის სასურველი პირის დასმა. შეთქმულება გამომჟღავნდა და განადგურებულ იქნა. მსხვილ ფეოდალთა შეთქმულების დამარცხებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყნის გაერთიანებას და მეფის ხელისუფლების განმტკიცებას".[1]

„მარკოზაშვილის დარბაზის" შეთქმულება სამშვილდელმა გლეხმა დათუნა ფეიქარმა გასცა. გლეხი მეფის ერთგული გამოდგა. მეფე ერეკლე II სასტიკად გაუსწორდა აღვირახსნილ შეთქმულ ფეოდალებს: პაატა ბატონიშვილი სიკვდილით დასაჯა, ივანე თაქთაქიშვილი ცეცხლში დაწვა, ალექსანდრე ამილახვარს ენა და ცხვირი მოაჭრა და სხვებთან ერთად სამშობლოდან გააძევა. დანარჩენები დაამცირა და მამულები ჩამოართვა. ერთგულებს კი მფარველობა და წყალობა არ მოაკლო. საერთოდ, როგორც ტახტის ეს პრეტენდენტები, ისე თავადები, თავიანთი რეაქციული მიზნების განსახორციელებლად „...ერთნაირი ხალისით უკავშირდებოდნენ საქართველოს ყველა მტერს: ყიზილბაშებს, ოსმალებს, ლეკებს და სხვებს"[2]. ერეკლე II როდი იყო ისეთი ქვეყნის მბრძანებელი, რომ მტრების შიშით სამოქმედო ასპარეზზე არ გამოსულიყო და მტრებთან ბრძოლის დროს მეგობრები არ ეძებნა. იგი გაბედულად და მხნედ გამოდიოდა როგორც შინა ურჩი თავადების, ისე უცხო მოძალადეთა წინააღმდეგ. მეფე ერეკლე მეორე თავის პოლიტიკურ მიზნებს შესაფერის დროსა და მოვლენათა ურთიერთობას მოხდენილად უფარდებდა.

რუსეთის ჯარის დახმარებით ერეკლეს უნდოდა ჭარ-ბელაქნის განთავისუფლება ლეკებისაგან. 1578 წ. ოსმალეთის მიერ სამხრეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, კახეთის სამეფოს გაუჩნდა ახალი საშიში მტერი — დაღესტნის ლეკები, რომლებიც ჯგუფ-ჯგუფად, ქურდულად ესხმოდნენ თავს

---

1 შ. მესხია, ვ. გუჩუა, საქართველოს ისტორია, მე-7-10 კლასების სახელმძღვანელო, 1968, გვ. 147.

2 საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1950, გვ. 389.

კახეთის სოფლებს, არბევდნენ მათ და მოსახლეობა ტყვედ მიჰყავდათ. „ლეკთა საშიშროებას კახეთისათვის საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ ლევან მეფის დროს (1520—1574 წ.), რომელმაც დაასახლა ფიფინეთს, ალაზნის გაღმა ლეკები და დაადვა მათ ბეგარად კავკასიის მთიდან ზაფხულისათვის ყინულის მოტანა. ლეკებმა თანდათან იწყეს ფეხის მოკიდება ფიფინეთში, რომელსაც შემდეგ ეწოდა ჭარი. ამით დაღესტნის ლეკებს გაუჩნდათ კავკასიის ქედის აქეთ საკუთარი ფუძე, საიდანაც ადვილი იყო წვრილ-წვრილი თარეშების გაშვება კახეთის სოფლებზე“[1]. ლეკების ჩამოსახლებიდან არ გასულა რამდენიმე ათეული წელი და მათ იწყეს საქართველოს სანაპირო თემების დარბევა. ალექსანდრე ლევანის ძის მეფობის დროს კი კახეთში უკვე საკმაოდ გაძლიერდნენ.

ლეკებს შორის პირველი ადგილი ეჭირა შამხალს, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა დაღესტნის ლეკების ყველა ტომზე. მის სატახტო ქალაქს წარმოადგენდა კასპიის ზღვის სანაპიროზე მდებარე პატარა ქალაქი ტერკი. „საქართველო-დაღესტნის ურთიერთობა მე-15—18 საუკუნეებში ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა ამ ორი ქვეყნის ისტორიაში. ეს ურთიერთობა, თავის მხრივ, განპირობებული იყო არა მარტო სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკურ-კულტურული განვითარებით, არამედ მათი ურთიერთობითაც გარე სამყაროსთან — რუსეთთან, თურქეთ-ყირიმხანსა და ირანთან. აღნიშნული ურთიერთობანი ერთმანეთს ხშირად უპირისპირდებოდნენ, მაგრამ დროდადრო პარალელურადაც ვითარდებოდნენ, თუმცა ისინი არსებითად არასოდეს არ დაცილებულან ერთმანეთისაგან“[2]. „ტყვეთა სყიდვა“ და „ლეკიანობა“, ამ სოციალური სენის ორივე მახინჯი ფორმა ყველაზე მეტად მწარმოებელ კლასს, მშრომელ გლეხობას ანადგურებდა. პროფ. ვ. გაბაშვილის დაკვირვებით „ტყვეთა სყიდვა“ და „ლეკიანობა“

---

1 ს. კაკაბაძე, საქართველოს მოკლე ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, 1920, გვ. 19.

2 თ. ბოცვაძე, საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან, 1968, გვ. 5.

ირანისა და ოსმალეთის აგრესიული პოლიტიკის უშუალო გამოვლინება იყო ქართულ-ფეოდალურ სინამდვილეში.

ლეკთა გაუთავებელი თავდასხმების შედეგად ქართლ-კახეთი აოხრდა და აწიოკდა, ხოლო სოფლის მეურნეობა განადგურდა და საქალაქო ცხოვრებაც ჩაკვდა. მოსახლეობა თითქმის მუდმივად გახიზნული იყო სოფლებიდან, რადგან ლეკთა თარეშის მთავარი მიზანი იყო ძარცვა-გლეჯა და ხალხის დატყვევება. აღნიშნული მდგომარეობა უცხოელს, ფრანგ კაპიტანს, დე გრაი დე ფუასაც შეუნიშნავს და თავის დღიურში ჩაუწერია: „გავიარეთ პატარა ქალაქები ანანური და დუშეთი. მათი გარეუბნები დანგრეული და გაპარტახებულია. მთიდან ჯგუფურად ჩამოსული ავაზაკი ლეკები ამ ნანგრევებში კატებივით ჩასაფრდებიან ხოლმე. თუ ვინმე ქალაქიდან გასული დაიმარტოხელეს, გაბაწრავენ, გაიტაცებენ და მონებად ჰყიდიან.“ ქართლ-კახეთის მოსახლეობა ლეკების შიშით აყრილიყო. უიარაღოდ მარტო კაცი საკუთარ სოფელშიც კი ვერ გაივლიდაო, აღნიშნავს მეფე ერეკლე მეორის ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი. ლეკების ბრძოლის ერთ-ერთ ხერხს მარბიელობა წარმოადგენდა. ბრძოლის ასეთი ხერხი დამახასიათებელი იყო მეჯოგე-მოხეტიალე ტომებისათვის. ქართლ-კახეთის არც ერთი სოფელი არ დარჩენილა, რომ ლეკებს არ გაეძარცვათ. სამხრეთ საქართველო ხომ მათ სათარეშოდ იყო ქცეული. აქედან ისინი თავს ესხმოდნენ ხან ქარჟოლს, ხან დასავლეთ საქართველოს. ხოჯა ოსანათ ტერ ეოანე თავის დღიურში წერს: „1770 წ. 12 იანვარს მეფემ (სოლომონმა—ს. ხ.) ლეკები გააქცია შორაპნის ციხის მოსახმარებლად მოსულნი თათრებთან ერთად.“[1] ყველაზე უმძიმესი ძნელბედობა — ლეკთა თარეში, მთელი ოცდახუთი წლის მანძილზე გრძელდებოდა „...ქართლ-კახეთში არ დარჩენილა არც ერთი სოფელი, არც ერთი კუთხე, რომ ლეკებს არ აეოხრებინათ, არ გაეძარცვათ. ერთიმეორის ქვეყნების სარბევად ლეკები მოჰყავდათ ქართველ ფეოდალებს, აჯანყებულ ქართველთა დასასჯელად ლეკები მოჰყავდათ ოსმალებს; და-

---

1 „ახალციხის ქრონიკები“, აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ახალციხის შხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწ. № 29, გვ. 8.

ბოლოს, უპატრონოდ ქცეულ ქვეყანაში ლეკები დაუპატიჟებლადაც მოდიოდნენ, თავს ესხმოდნენ მხარეებს, სოფლებს და თან მიჰყავდათ, და მიჰქონდათ ყველაფერი, რასაც კი მოაწელთებდნენ: ადამიანი, ოთხფეხა საქონელი, პური, იარაღი, ავეჯი და სხვ.“[1]

მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში ფეოდალური წყობილება საქართველოში კიდევ უფრო ჩიხში მოექცა. ქვეყნის შიგნით გაძლიერდა ქიშპი, მტრობა, უნდობლობა, ურთიერთ მიხტომა და აწიოკება-აოხრება. როგორც დავით გურამიშვილი წერდა:

კახელების აღმა ხნული
ქართლელებმა დაღმა ფარცხეს...
უკუღმართად ხვნა და ფარცხვამ
ეს ნაყოფი გამოიღო:
მოგვითხარა ქართლ-კახეთი,
ძირ-ფესვიან ამოიღო!

მომხდურთა უმეტესობას ყიზილბაშები, ოსმალები და ლეკები შეადგენდნენ. ტყვეებსა და სხვა საქონელს ისინი შემდეგ ახალციხის ბაზარზე ჰყიდდნენ. უფრო მეტიც, მე-18 ს. 40-იან წლებში დავით ციციშვილმა საციციანოდან 155 ყმა გაიტაცა და ტყვედ მიჰყიდა ოსმალებს. პაატა ციციშვილმა ჯერ თავისი ნათლულის რძალი ხასად დაისვა, ხოლო ესეც რომ არ იკმარა, მთელი მისი ოჯახი ოსმალებზე გაყიდა. ის სასტიკად მოექცა ძამის ციხეში შეხიზნულ მოსახლეობას. „დასახოცი დახოცეს, გასასყიდი გაჰყიდეს, ნახევარი ოსმალოს მიჰყიდეს და ნახევარი იმერლებსა. რაც ჩვილი ყმაწვილი იყო, რომ არავინ იყიდა ციხიდამ გადაყარეს და ნადირ-ფრინველმა შეჭამა. რაც მონაზონი და ბერი იყო, რომ არ გაიყიდებოდა, სულ ერთს სახლში შეყარეს, ბოძები გამოუყარეს, სახლი ზედ დააქციეს და ისე უზიარებელი დახოცეს“[2]. ყოველივე ამის შე-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1944, ნაკვ. I, გვ. 178.

[2] დ. გურიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 230.

დეგად საციციანო ისე აოხრდა, რომ ოთხი წელიწადი არც ხვნა იყო, არც თესვა, არც ცეცხლი ანთებულა, არც კალო გალეწილა.

ქართლ-კახეთის ფეოდალები ერთმანეთის სამტროდ იყენებდნენ როგორც საკუთარ, ასევე გარეშე მაჰმადიანურ ძალებსაც, რასაც შემდეგ მოსდევდა ქვეყნის აოხრება. ფეოდალური საქართველოს ცალკეულ სამეფოებად გაერთიანებაც კი მყარი არ იყო. ეს იყო უფრო ადმინისტრაციული გაერთიანება, ვიდრე ეკონომიური. ი. ბ. სტალინი ეხება ქართულ სამეფოთა დაშლას, ფეოდალთა ურთიერთ შორის გაუთავებელ ბრძოლას და წერს: „...საუკუნეთა განმავლობაში ეომებოდნენ და ანადგურებდნენ ერთმანეთს, ერთი-მეორეს უსისიანებდნენ სპარსელებსა და თურქებს. სამთავროთა ეფემერული და შემთხვევითი გაერთიანება, რასაც ზოგჯერ ესა თუ ის იღბლიანი მეფე ახერხებდა, უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ზედაპირულ-ადმინისტრაციულ სფეროს ეხებოდა და მალე ირღვეოდა მთავრების ჟინიანობითა და გლეხების გულგრილობით"[1].

მე-18 ს. 40-იანი წლებიდან აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ვითარება წინა წლებთან შედარებით მოგვარებული იყო. ეროვნულ ზეიმად გადაიქცა 1744 წ. 1 ოქტომბერს თეიმურაზ მეორის (ქართლისა) და ერეკლე მეორის (კახეთის) ქართულ-ქრისტიანული წესით მეფედ გამოცხადება. ამ დღესასწაულს მთელი ქართველი ერი ზეიმობდა. თბილისი საზეიმოდ იყო მორთული. ქართლ-კახეთის ლაშქარი ძველებური ქართული წესით განლაგდა მეფეთა კურთხევის დროს. „ბრძანა მეფემ: „დროშათა გაკეთება: გააკეთეს, ვითაც ძველად რიგი ყოფილ-იყო, დროშა ოთხი ჯვართა მოცული... შემოეხვივნეს თვის თვისი ჯარი დროშათა."[2] როდესაც მეფე ერეკლე კახეთიდან მცხეთას მოდიოდა მეფედ კურთხევისათვის „წამობრძანდა ერთ-პირად, გზაზე მტერი აუჩნდათ, გაერივნენ კახნი ხმალ და ხმალ, ვითაც კახნი მუდამ გამზადე-

---

1 ი. ბ. სტალინი, თხზ. ტ. II, გვ. 318.

2 პაპუნა ორბელიანი, საქართველოს ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, 1854, გვ. 383.

ული იყვნეს... გარდუცვივდენ დასაფრებულთა ლეკთა და რისხვა ღვთისა დასცეს, ამოწყვიტეს ლეკნი, დასჭრეს თავები ლეკისა და წამოიღო მოსართმევად მეფის თეიმურაზისა"[1].

ერეკლე II-მ ხმლითა და დიდი ნიჭის წყალობით 1744 წ. მოიპოვა ჯერ კახეთის, ხოლო მამის, თეიმურაზ II-ის სიკვდილის შემდეგ, 1762 წ. ქართლის სამეფო ტახტი. მას მეტად ცუდი მემკვიდრეობა არგუნა ბედმა. 112 წლის განმავლობაში, 1632 წლიდან ქართლის სამეფო ტახტს, გამაჰმადიანებული მეფეები მართავდნენ. მამა-შვილის გამეფება ქართული წესით ქართველების დიდ პოლიტიკურ გამარჯვებას ნიშნავდა, სამაგიეროდ, ეს იყო სპარსელების პოლიტიკური დამარცხება.

ქართლ-კახეთის სამეფომ თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მეთაურობით არა ერთი და ორი ბრძოლა გადაიხადა ლეკების წინააღმდეგ. ამ ბრძოლების შედეგად ქართველები დარწმუნდნენ, „რომ ლეკთა საკითხი გაცილებით უფრო მძიმე და რთული იყო, ვიდრე ეს ქართველ პოლიტიკოსებს წარმოედგინათ."[2] ლეკები ქართლ-კახეთიდან გატაცებულ ტყვეებს ოსმალეთში ჰყიდდნენ, აქედან კი ნაყიდი ტყვეები ეგვიპტეში, ბაღდადსა და ყირიმის სახანოში მიჰყავდათ. როდესაც რუმიანცევის სარდლობით რუსეთის ჯარებმა ყირიმის ნახევარკუნძული დაიპყრეს, იქ გაყიდული მრავალი ქართველი ტყვე მონობისაგან იხსნეს რუსის ჯარებმა. ლეკთა საკითხმა ერეკლე-თეიმურაზის დროს მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. მართალია, ქართველები პირდაპირ ყველა დიდ ომში ლეკებს ამარცხებდნენ, მაგრამ მათთან ბრძოლა მაინც ძნელი იყო, რადგან ქართლ-კახეთს ამ დროს არ ჰყავდა მუდმივი ჯარი. ქართველებმა 1754—1755 წწ. მჭადიჯვართან (მუხრანთან ახლოს) და ყვარელში გაიმარჯვეს, მაგრამ ამით ლეკიანობა საქართველოში მაინც ვერ აღიკვეთა. ეს საკითხი მე-18 საუკუნის ბოლომდე გადაუჭრელი დარჩა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავ-

---

1 პაპუნა ორბელიანი, საქართველოს ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, 1854, გვ. 382—383.

2 საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1950, გვ. 381.

და, თითქოს მეფე ერეკლე გულხელდაკრეფილი იყო და არავითარ ზომებს არ ღებულობდა ლეკიანობის მოსასპობად. მოთარეშე ლეკთა წინააღმდეგ ერეკლე II ისეთივე ხერხით დაიწყო ბრძოლა, როგორსაც ისინი იყენებდნენ. ქართველებმა ლეკების მიმართ ბრძოლის ასეთი ხერხი გამოიყენეს 1755 წ. ყვარლის ციხის ალყის დროს. „ყვარლის ციხეში მეშველი რაზმის შეგზავნასთან ერთად ერეკლემ აარჩია გულადი და კარგი ცხენოსანი ქიზიყელები და ჭარის დასარბევად გაგზავნა. ამ რაზმმა დიდძალი საქონელი და ტყვე მორეკა დაუცველად დაგდებული ჭარიდან"[1]. ლეკების თავდასხმებისაგან ქვეყნის გადასარჩენად მეფე ერეკლემ მორიგი რეგულარული ჯარის შექმნის გეგმა შეიმუშავა და პრაქტიკულადაც განახორციელა იგი 1774 წლისათვის.

რუსეთ-თურქეთის ომში ერეკლე მეფის მთავარ პოლიტიკურ მიზანს შეადგენდა თურქ დამპყრობთა მიერ მიტაცებული სამცხე-საათაბაგოს შემოერთება. მას სურდა რუსეთის ჯარი ამ შემთხვევაშიც თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა და სამხრეთ საქართველოს შემოერთების საკითხი ამიერიდან თავის საპროგრამო საქმედ აქცია.

მეფე ერეკლე მთელი თავისი მოღვაწეობის პერიოდში სამცხე-საათაბაგოს საქართველოს განუყრელ ნაწილად თვლიდა, მიუხედავად იმისა, რომ ასპინძის გმირული ბრძოლის შემდეგ ვერ შემოიერთა. საქართველოში რუსეთის კორპუსის ჩამოსვლით თითქოს ერეკლეს მისწრაფებას ხორცი ესხმოდა, მაგრამ ტოტლებენის წყალობით საქმე ისე არ დაგვირგვინდა, როგორც მოელოდა. 1771 წ. 30 დეკემბერს ერეკლე II ეკატერინე დედოფალს სწერდა: „კუალად ვედრებით მოგახსენებ თქვენს ყოვლად მოწყალებასა, რათა ამავე გაზაფხულსა არ უტეონ დაუპყრობლად ქვეყანა ახალციხისა, და უკეთუ შერიგება მოხდეს თ. დ. (თქვენი დიდებულებისა ს. ხ). და სულტანისა, მაშინც გარეთ არ დარჩეს ქვეყანა ახალციხისა, ვინაადგან საქართველოსა შინა არის და ქართული ენა აქუსთ, და მრავალნი ქრისტიანენი არიან იმათში, და სხუანიც ახალნი გარდაქცეულნი არიან მაჰმადიანობაზედ"[1].

---

1 საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1950, გვ. 386.

გარდა ამისა, 1773 წ. 24 აპრილს ერეკლეს დავალებით ქართლ-კახეთის ელჩობა, რომელსაც კათალიკოსი ანტონი და ერეკლეს შვილი ლეონი ხელმძღვანელობდნენ, რუსეთის სამეფო კარისაგან მოითხოვდნენ ახალციხის მხარის შემოერთებას.

სამცხე-საათაბაგოს შემოერთების საკითხი მეფე ერეკლე II-ს არც 1783 წ., რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების დადების დროს დავიწყებია. მფარველობის ტრაქტატის მეოთხე არტიკულში საგანგებოდ აღნიშნულია: „დიდებულება იმპერატორებისა მისისა აღჰსთქვამს, რათა დროსა ბრძოლისასა იჯმაროსმცა ყოველი შემაძლებლობაჲ მეცადინეობისა ღონითა საჭურუჱლისათა; ხ-ო დროსა მშვიდობისასა დაზავებისა შიერ უკუმოქცევისათვის ქუჱყანისა, და ადგილითა (სამცხე საათაბაგო ს. ხ.) მტერთაგან ქონებულთა, და ძუჱლადვე სამეფოჲსა მიმართ ქართლისა და კახეთისა, შერაცხილთა“[2].

მართალია, ხელშეკრულების ამ მუხლში ნახსენები არ არის „სამცხე-საათაბაგო“, მაგრამ 1784 წ. 24 იანვარს ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლეს მიერ რატიფიცირებულ 1783 წ. მფარველობის ტრაქტატში ერეკლე იხსენიება როგორც „... მეფე ქართლისა, მეფე კახეთისა, მემკვიდრე მფლობელი სამცხე-საათაბაგოსა.“[3]

როდესაც რუსეთ-თურქეთის მეორე ომი (1787—1791 წწ.) დასასრულს უახლოვდებოდა, მეფე ერეკლე II-ემ თავის ელჩის სულხან თუმანიშვილის მეშვეობით 1791 წ. მეფის რუსეთის მთავრობას კვლავ შეახსენა 1783 წ. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სამცხე-საათაბაგოს საქართველოსთან შემოერთების შესახებ. სახელოვან სახელმწიფო მოღვაწესა და მამულიშვილს მეფე ერეკლეს ანდერძის დატოვების დროსაც, სულთმობრძავს, არ დავიწყებია დიდებული მესხეთის საქართველოსთან შეერთების საკითხი. 1798 წელს დარეჯან დედოფალი წერდა რუსეთის იმპერატორ პავლე პირ-

---

1 Грамоты... том II, вып. I, გვ. 84.

2 ი ა ს ე ც ი ნ ც ა ძ ე, 1783 წლის მფარველობის ტრაქტატი, 1960, გვ. 132.

3 ი ქ ვ ე, გვ. 230.

ველს: „მეფემან ჩვენმან, დღესა აღსასრულისა თვისისა განმიმეორა მე ჩვეულებრივი ბრძანება თავისი... რათა უმაღლესი საფარველი თქვენი გვაქვნდეს ნუგეშად და მაცხოვარებად“. ყოველი ზემოთ თქმული ამტკიცებს იმას, რომ გმირ მეფეს საქართველოს ამ საუკეთესო მხარის (სამცხე-საათაბაგოს) შემოერთებაზე ხელი არ აუღია.

ზოგიერთი მკვლევარისა თუ პუბლიცისტის შეხედულებით ეს ომი თითქოს რელიგიური მიზნებით წარმოებდა და მას არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არ ჰქონდა. ერეკლე თითქოსდა ქრისტიანობისათვის იბრძოდა და არა სამცხე-საათაბაგოს შემოერთებისათვის. 1895 წელს გაზეთ „ივერიაში“ ინ-ფარი (ხონელი) წერს: „ერეკლე და მისი მცირე რაზმი ასპინძის მიდამოებში იბრძოდნენ არა მარტო თავისი თავის დასაცავად, არა სახელის მოსაპოვებლად, არამედ მთელის ქრისტიანობისათვის; ამ ომში ისინი გამსჭვალულნი იყვნენ ქრისტიანობის იდეებით“[1]. ასეთი შეხედულება ქართლ—კახეთის ლაშქრის გმირულ ბრძოლებზე სამხრეთ-საქართველოს განთავისუფლებისათვის ისტორიული ფაქტის გულუბრყვილო შეფასებაა. ერეკლეს ლაშქრობა ამ მხარეში წმინდა პოლიტიკური მოსაზრება იყო. მეფეს უნდოდა საქართველოს ეს მიწა-წყალი ისევ საქართველოსათვის დაებრუნებინა.

მეფე ერეკლეს სარდლობით ჩატარებული აწყურისა და ასპინძის ბრძოლების მიზანი იყო თურქ-დამპყრობთა დამარცხება და ამ მხარის განთავისუფლება.

გენერალი ტოტლებენი 1769 წ. აგვისტოს ბოლოს მეფე ერეკლესთან შეხვედრისა და მოლაპარაკების შემდეგ სასწრაფოდ დასავლეთ საქართველოსაკენ გაეშურა. იმერეთის მეფე სოლომონი თავისი დიდებულებით ქართლის საზღვარზე შეხვდა და დიდი პატივით მიიღო. მაგრამ ტოტლებენის უხასიათობისა და ქედმაღლობის გამო მეფე სოლომონთან განწყობილება შეიცვალა. მართალია, ისინი გარეგნულად ერთმანეთს არაფერს ამჩნევინებდნენ და თითქოს მეგობრობასაც

---

1 ინ-ფარი, ბიბლიოგრაფია იაკ. გოგებაშვილის წიგნის, „ასპინძის ომი“-ს შესახებ, გაზეთი „ივერია“, № 152.

ეფიცებოდნენ, მაგრამ თანდათან აშკარა ხდებოდა მათ შორის უკმაყოფილება, რაც კაპიტან დე გრაი დე ფუას შეუმჩნეველი არ დარჩენია. ის წერს: „გულში კი ორივეს სხვადასხვა ცეცხლი უტრიალებდა — ურთიერთს არ ენდობოდნენ. მეფე ფიქრობდა: — „ეს კაცი ჩემს დასახმარებლად მოვიდა. მერე და როგორ უნდა დამეხმაროს ასეთი პატარა ზარბაზნებით და 500 ჯარისკაცით"!.

გენერალი ტოტლებენი თითქმის იმასავე იმეორებდა თავის გულში: —„რა სახელი უნდა დაიმკვიდრო ამ კლდეღრეებში. ეს ღარიბი კაცი თანამებრძოლად როგორ გამომადგება?!" მიუხედავად ამისა, მხედართმთავრებმა მაინც საომარი გეგმები შეადგინეს. სოლომონს იერიში სამეფო დედაქალაქ ქუთაისზე უნდა მიეტანა. მაგრამ გენერალმა ტოტლებენმა რომ გაიგო იქვე ახლოს შორაპნის ციხეში თურქები დგანანო, დაიჟინა ამ ციხის აღება. ოთხი დღის მგზავრობის შემდეგ შორაპნის ციხეს მიადგა რუსეთის ჯარი. თურქ მეციხოვნეებს ადრევე სცოდნიათ რუსების შემოსვლა საქართველოში და თავის მხრივ სამზადისს შესდგომიან. მეციხოვნეებს ახლომახლო მყოფი ყველა მაჰმადიანი ციხეში შეუყვანიათ და ციხეც საიმედოდ გაუმაგრებიათ. რუსების ჯარის მისვლისთანავე მოულოდნელად იანიჩარებს ზარბაზნებიდან ცეცხლი გაუხსნიათ. ეს ამბავი გრაფ ტოტლებენს სოლომონ მეფის ღალატად ჩაუთვლია. თითქოს მეფემ მათ წინასწარ შეატყობინა რუსების მოსვლა შორაპნის ციხესთან. აი რას წერს ტოტლებენის ადიუტანტი: „თურქმა მეციხოვნეებმა შეგვამჩნიეს თუ არა, ზარბაზნის სროლა აგვიტეხეს. ჩვენ ყველას ეს ბუნებრივად გვეჩვენა, ტოტლებენი კი გაიძახოდა: სოლომონმა გვიღალატა, მტერს ჩვენი მისვლა აცნობაო". 1769 წ. 3 ოქტომბერს რუსეთის ჯარი შორაპნის ციცაბო კლდეზე აშენებულ ციხეს მიადგა და ალყა შემოარტყა. ოთხი დღის უშედეგო ბრძოლის შემდეგ ციხე ვერ აიღო. თვით მისივე ადიუტანტს სასაცილოდ არ ყოფნის ტოტლებენის შეიარაღება. იგი წერს: „ან როგორ უნდა აგვეღო ციხე, როცა ტოტლებენმა ქვეყნის სასაცილოდ ოთხი არშინის სისქის, მძიმე ლოდებით ნაგებ კედლებს გირვანქიანი ყუმბარები დაუშინა." როდესაც ამ გზით ციხე ვერ აიღო (დენთი შემოელია), ტოტლებენმა მაღალი, 20 არ-

შინის სიგრძის კიბეები გააკეთებინა და ამით სცადა ციხის აღება, მაგრამ უშედეგოდ. ასეთ უმწეო მდგომარეობაში მყოფ გენერალ ტოტლებენს სურსათიც გამოლეკია, რუსეთის ჯარი კვახითა და წაბლით იოლად ვერ გავიდოდა მანამ, სანამ მეფე სოლომონი დადიანის წინააღმდეგ ლაშქრობიდან დაბრუნდებოდა. ფუფუნებით ცხოვრებას მიჩვეულ გენერალ ტოტლებენს ვეღარ მოუცდია სოლომონისათვის, 1769 წ. 13 ოქტომბერს იმერეთი დაუტოვებია და იმავე წლის 29 ოქტომბერს აღმოსავლეთ საქართველოში, ცხინვალში დაბანაკებულა ანტონ მოურავოვთან ერთად. აქედან თბილისში მეფე ერეკლესთან თავისი ადიუტანტი კაპიტანი დე გრაი დე ფუა გაუგზავნია და შეუთვლია: „შენი სიტყვები გამართლდა, სოლომონმა ვერ მოგვაწოდა სურსათ-სანოვაგე, ამიტომ იმერეთი დავტოვეთ, ისევ შენს ქვეყანაში მოვედით, რომ შემოგიერთდეთ და თურქეთს ერთად ვეომოთ". ეს მთლად მართალი არ არის. განა დასაჯერებელია ის ამბავი, რომ 6 თვის შემდეგ სოლომონი იმავე ტოტლებენის 4000 კაცის სურსათ-სანოვაგეს შოულობდა, მანამდე კი 500 კაცის საკვები ვერ იშოვა?! ამრიგად „იმერეთიდან დაბრუნების მიზეზად სურსათის ნაკლებობის მიჩნევა უსაფუძვლოა"[1].

მეფე ერეკლე დედოფალ ეკატერინესა და გრაფ ნ. პანინისადმი 1769 წლის 4 და 5 ივნისს გაგზავნილ წერილებში, ერთსულოვნებას გამოთქვამს რუსეთის მოკავშირეობაზე და მოუწოდებს მთელი ამიერკავკასიის ქრისტიანულ მოსახლეობას გაერთიანებისაკენ, რომლის ინიციატორად თვით ერეკლე გამოდის. იგი ერთგვარი კოალიციური ძალების გაერთიანებას მოითხოვს ოსმალთა წინააღმდეგ; მაგრამ თურქეთთან ომში ჩაბმისათვის ერეკლე რუსეთისაგან მოითხოვს გარკვეული რაოდენობის ჯარს. ერეკლეს გეგმით, ვიდრე ოსმალები თავიანთ ძალებს საქართველოს საზღვარზე მოუყრიდნენ თავს, მანამდე უნდა დაეწყოთ შეტევა ოსმალთა წინააღმდეგ. „რა თქმა უნდა, ქართველი პოლიტიკოსები ანგარიშობდნენ, რომ რუსეთთან კავშირი სამუდამო მფარველობის გარანტიაც უნდა გამხდარიყო და ირან-ოსმალეთის ძალმომრეობისაგან

[1] ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, 1957, გვ. 48.

ქვეყანა ამიერიდან დაცულიყო; ამ მფარველობაზე დაყრდნობით ჭარ-ბელაქნის დაპყრობის საკითხიც უნდა გადაწყვეტილიყო და ლეკთა თარეშებსაც ბოლო მოღებოდა".[1] ერეკლეს მთავარ პოლიტიკურ მიზანს — სამცხე-საათაბაგოს შეერთებას საქართველოსთან, თითქოს უკვე ფრთები ესხმოდა. იგი რუსეთიდან მხოლოდ დამატებითი ჯარისა და თავად რატიევის ჩამოსვლას ელოდებოდა.

რუსეთის ჯარის ჩამოსვლამ საგონებელში ჩააგდო მთელი მაჰმადიანური სამყარო. მათ უკვე ეჭვი არ ეპარებოდათ იმაში, რომ დადგა ამიერკავკასიაში მაჰმადიანთა ბატონობის ალაგმვის ჟამი. ყველაზე მეტად ამ ამბით ოსმალეთი იყო შეშფოთებული. ახალციხის ფაშამ ერეკლე II-ს დაუწყო „ძმობითა და მეგობრობით" მოკითხვა, რისთვისაც არაერთხელ გამოუგზავნა ელჩი და აუარებელი საჩუქრები. თავის მხრივ სოლომონ მეფესაც გაუგზავნა ხმალი და ცხენი. ახალციხის ფაშა ქართველი მეფისაგან მოითხოვდა რუსეთ-თურქეთის ომში ჩაურევლობას და საქართველოს ფარგლებიდან რუსეთის ჯარის გაძევებას. ნამინ ფაშა ერთ-ერთ წერილში მეფე ერეკლეს წერს: „მაღალო დანიშნულო მეფეო!

„სასურველო, მართლებრო და გულით შეერთებულო, შემძლებელო მეზობელო ჩვენო და მეგობარო—შენ კეთილ ნაჭედი პირველი და უკანასკნელი, და სიმართლის შესწორებული და საკადრო მოკითხვა კარგად ყოფნისა უცხოს მოკითხვით მოგიკითხავთ"... ახალციხის ნამინ ფაშის ხოტბა და ქათინაური ერეკლესადმი გამოწვეული იყო არა სიყვარულით, არამედ შიშით. იგი ერეკლეს აგონებს ძველ „მეგობრობას", რომელიც თურქეთს ჰქონდა საქართველოსა და, კერძოდ, ერეკლე მეორესთან და სწერს: „ჩვენის მეგობრობის მხრიდამ ახალის კაცის გამოგზავნის მიზეზი ეს არის... ფრიად შეკრული და შემტკიცებული მშვიდობიანი შერიგება,... მტკიცება და საზღვრების პირობის დადება და ფიცი საუკუნოდ,... საზღვრებზედ ერის კაცის წყენის და შეძლებისაგან—დიაღ შორსა ვართ და ვყოფილვართ... ჩილდირის ვეზირობა მებოძა მასუკან თქვენის მაღალის მხრისაკენ ჩვენი მეგობრობა ანკარა და საუკუ-

---

[1] ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, 1957, გვ. 53.

ნოდ დამტკიცებული იყო, რომ ერთი რამ წყენა არ მომ-ხდარა არც თქვენიდამ ჩვენთან და არც ჩვენიდამ კვალად თქვენთან, ნიადაგ მეგობრობა გამოცხადებულ ყოფილა, და საუკუნოს მეგობრობისათვის გვეჰვრიტა და იმ დოსტობის (მეგობრობის — ს. ხ.) სიმაგრის მიწაზედ ფეხით დამტკიცებული ვყოფილვართ"[1].

ახალციხის ფაშა განსაკუთრებით აღშფოთებულა სოლომონზე, რადგანაც სოლომონი იყო ინიციატორი რუსეთის ჯარის ჩამოყვანისა საქართველოში. მან ხომ პირველმა გაგზავნა ელჩი რუსეთში ჯერ კიდევ 1768 წელს მაქსიმე ქუთათელის სახით და დახმარება და მფარველობა ითხოვა დიდი რუსეთისაგან. ოსმალეთის ელჩობას დაემთხვა იმერეთიდან დაბრუნებული ტოტლებენის ჩამოსვლა თბილისში მეფე ერეკლესთან.

დე გრაი დე ფუას უნახავს ორი თურქი თბილისის ბაზარში და გაკვირვებია, ამ ომიანობის დროს როგორ გაბედეს თურქებმა აქ მოსვლაო. „ის ორი თურქი, მე რომ ბაზარში შემხვდნენ, ოსმალეთის ელჩების მხლებლები ყოფილან თურმე. ელჩი სამი დღეა, რაც ერეკლეს კარზე იმყოფება. მეფეს უკვე ორჯერ გაუმართავს მასთან აუდიენცია, ხვალ კი იგი ახალციხეს უნდა დაბრუნდესო", — წერს იგი. მეფე ერეკლე სულაც არ მორიდებია რუსებს თურქების ელჩობა რომ მიიღო და, პირიქით, თურქებთან ერთად რუსებიც მიიღო. ადრე კი რუსეთის ელჩი ხვაბულოვი (ქობულაშვილი) ქართულ ტანსაცმელში გამოწყობილი მოაყვანინა თბილისში, რათა თურქთა ელჩობისათვის აშკარა არ გამხდარიყო მისი ვინაობა. მაგრამ თურქებმა ყველაფერი შეიტყვეს და იმ სახლის ახლოს ტრიალებდნენ, სადაც ერეკლემ რუსეთის ელჩი დააბინავა. ამ ამბავმა მაშინ ისე ააღელვა ერეკლე, რომ ოსმალეთის ელჩები თბილისიდან დაითხოვა. ახლა კი, პირიქით, გრაფ ტოტლებენს დაანახვა, რომ თურქეთის სულთანი ერეკლეს ეხვეწებოდა რუსეთ-თურქეთის ომში ნეიტრალიტეტი დაეცვა. ასევე თურქეთის ელჩსაც არ დაუმალა, თუ როგორ დაინტერესებული იყო ერეკლეს მიმხრობით რუსეთის გენერალი

---

[1] Грамоты... том II. вып. I. стр. 14—15.

ტოტლებენი, რომელიც თავისი ფეხით ეახლა ერეკლეს იმერეთიდან პირდაპირ თბილისში. ეს ყველაფერი ერეკლეს დიდი დიპლომატიური ნიჭის ბრწყინვალე მაგალითია.

თურქეთის ელჩობის ამბავმა გააცოფა გრაფი ტოტლებენი და გადაწყვიტა თურქეთის ელჩების მოტაცება თბილისიდან სამი-ოთხი ვერსის დაშორებით. „ამ მიზნით მან 30 კაზაკი გამოჰყო და მათ დაავალა თბილისიდან ვიწრო გასასვლელში ჩასაფრება.

კაზაკთა ატამანს ეს საიდუმლო ბრძანება ვიღაცასთან დასცდა და ელჩი (თურქეთის — ს. ხ.) გაფრთხილებულ იქნა.“[1] მეფე ერეკლეს გაუგია ტოტლებენის უტაქტო გადაწყვეტილება თურქეთის ელჩების შეპყრობისა და ზომებიც მიუღია მის ჩასაფუშავად. ტოტლებენის ავანტიურისტული განზრახვა რომ ჩაეშალა, მეფე ერეკლეს დავალებით რუსი ჯარისკაცები ღვინით მაგრად გამოუთვრიათ. გარდა ამისა ტოტლებენის ყურადღება რომ მოედუნებინა, ერეკლე საგანგებოდ ეწვია გრაფს, რომელიც მას დიდი პატივით შეხვდა. „გრაფმა მეფე მიიღო დიდ დარბაზში, სადაც თორმეტამდე ხის სკამი იყო წინასწარ მომზადებული.

თორმეტ საათზე ერეკლემ უთხრა ქონდაქართუხუცესს სადილად სასახლეში დაბრუნება უკვე გვიან არის და შენი სტუმრები ვართო“. აქედან ცხადია, ერეკლეს უნდოდა გრაფის ყურადღება მოედუნებინა და დაეკავებინა თავისი სტუმრობით; ეს მოხდა სწორედ დღის 12 საათზე, როდესაც თბილისიდან თურქი ელჩები გადიოდნენ. მეფე ერეკლეს მხედველობიდან არ გამორჩენია არც რუსი ოფიცრები, ისინიც ძალად მოუწვევია სადილად, მიუხედავად იმისა, რომ ტოტლებენს ეს არ მოსწონებია.

ერეკლე გრაფ ტოტლებენთან ნადიმს აჭიანურებდა, რათა დრო გასულიყო და ამით ელჩებს საშუალება მისცემოდა სამშვიდობოს გასულიყვნენ. ამ ნადიმზე დამსწრე ტოტლებენის ადიუტანტი დე გრაი დე ფუა წერს: „რუსეთის იმპერა-

---

[1] კაპიტანი დ ე გ რ ა ი დ ე ფ უ ა,... გაზეთი „წითელი დროშა“, № 120. 8/X 1964.

ტორის სადღეგრძელოს, რომ ვსვამდით, სალუტი მისცეს — მიწაყრილიდან ზარბაზნები დააქუხეს.

ერეკლემ ქართულად უთხრა თავის ბიძას: (ანტონ კათალიკოსს — ს. ხ.) —„ალბად, ამ ზარბაზნების ხმას გაიგონებენ.“ —„ოჰ, — უპასუხა პატრიარქმა, — ისინი (თურქი ელჩები ს. ხ.) ახლა ძალიან შორს არიან, ზარბაზნის ხმას ვეღარ გაიგონებენ.“

როცა არტილერიის ოფიცერმა ეს მითარგმნა, იმ წუთში ბივხვდი;—წერს დე ფუა—რომ ჩვენი ოპერაცია (თურქი ელჩის შეპყრობა—ს. ხ.) ჩაშლილია და ამის შესახებ ნასადილევს გრაფს მოვახსენე... გრაფი სიბრაზისაგან ტუჩებს იკბამდა, როგორ გამაცრუეს, თურქები როგორ გამექცნენო.“

გენერალ ტოტლებენის ავანტიურისტული გადაწყვეტილება რომ ჩაიფუშა, „სომეხი ჯაშუში“ მათთან გამოცხადდა და უთხრა—მეც დამათვრეს და კაზაკებიც, ხოლო თურქეთის ელჩობა ხვალ კი არ უნდა წავიდეს, დღეს თერთმეტ საათზე უკვე გაემგზავრაო.“ ამრიგად, ერეკლემ ყველაფერი ისე მოაწყო, რომ არ დარღვეულიყო საერთაშორისო სამართლის ნორმები. ერეკლემ დე გრაი დე ფუას რუსული ენის მცოდნე „სომეხი ჯაშუში“ თვითონვე მიუჩინა. ამავე სომეხის საშუალებით ერეკლემ წინასწარ გაიგო ტოტლებენის განზრახვა და როდესაც გონიერმა მეფემ ყველაფერი მშვიდობიანად დაამთავრა, ტოტლებენის ადიუტანს მთელი სიმკაცრით გამოუცხადა, რომ მისი, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის მმართველისა და ძლიერი მბრძანებლის ნებართვის გარეშე არავის უფლება არა აქვს მის საქმეებში ჩარევისა. „მეორე დღეს გენერალმა საქმეზე ერეკლესთან გამგზავნა, წერს დე გრაი დე ფუა — მეფემ კარგად მიმიღო.. ნახევარი საათის განმავლობაში ტკბილად მესაუბრა. შემდეგ ადგა, მეზობელ დარბაზში შევიდა. მე და თარჯიმანს გვანიშნა, შემომყევითო. შევყევით. კარი მოხურა და დარბაზში ბოლთას სცემდა. მერე მომიახლოვდა, განრისხებულმა თვალი თვალში ისე გამიყარა, რომ შიშისაგან მუხლები მომეკვეთა.

— ვინ ხართ თქვენ და რას აკეთებთ ჩემს სახლში?! — რისხვაშეგუებებულად და ცივად მკითხა მან.

მე ვცადე გულუბრყვილო კაცის გამომეტყველება მიმეღო და ვკითხე.

— რად ინებებთ ასე განრისხებას, გთხოვთ ამიხსნათ, თქვენო უდიდებულესობავ?

— თქვენ ძალიან კარგად იცით, თავი მიამიტად ნუ მოგაქვთ, — კბილებში ცრიდა ერეკლე.

„თქვენ ცდილობდით, მოგეტაცნათ ელჩი, რომელიც მე ახალციხის ფაშამ გამომიგზავნა. სტამბოლში კარგად იციან, რომ ჩემს სამეფოში რუსთა მხედრობა იმყოფება, რომელიც მე მთხოვს მოკავშირეობას თურქეთის წინააღმდეგ. ოსმალეთის მთავრობა ელჩის პირით მთხოვს, რომ არ დავარღვიო კეთილმეზობლური განწყობილება, ჩვენს შორის რომ სუფევს. ამავე დროს ისინი მთავაზობენ ბევრ ოქროსა და დიდ მიწებს, თუ გაგცემთ და თქვენ თავს თურქებს გადავცემ. მაგრამ მე კარგად ვიცი საერთაშორისო სამართალი და ვიცავ მას. ამიტომ ელჩი (თურქეთის—ს. ხ.) სრული უარით გავისტუმრე. თქვენ კი, ჩემი სტუმრები, უგულვებელყოფთ ყოველგვარ სამართალს და ელჩის მოტაცებას ცდილობდით. მაშინ, ვინა ხართ თქვენ?! მე პატივი გეცით და მიგიღეთ იმპერატორის ყოველგვარი წერილობითი რწმუნების გარეშე, მაგრამ ჩემს სამეფოში თქვენ ისე იქცევით, როგორც დაპყრობილი მტრის ქვეყანაში. ხალხს ძარცვავთ, ქვეშევრდომებს ჩემს დაუკითხავად ამხედრებთ ჩემს წინააღმდეგ. მე ყველაფერი ვიცი და რატიევის ჩამოსვლას ვუცდი, მაგრამ აგერ სამი თვეა და მისი ამბავი არა ვიცი რა.

თქვენ მუცლით უნდა ხოხავდეთ და ღმერთს ეხვეწებოდეთ, რომ რატიევმა რწმუნების წერილი ჩამოგიტანოთ პეტერბურგიდან. კიდევ ერთხანს მოვიცდი, მაგრამ გაფრთხილებთ, რომ შედეგები შეიძლება იყოს საშინელი, ჯოჯოხეთური“[1]. ამ ამბავმა დიდად შეაშინა ტოტლებენი და ერთხანს საქართველოდან გაქცევაც კი დააპირა, მაგრამ, კვლავ ერეკლემ შეაჩერა იგი.

---

1 კაპიტანი დე გრაი დე ფუა, გაზ. „წითელი დროშა“, № 121, 10/X, 1964.

III თავი

მეფე ერეკლე II-ისა და გრაფ ტოტლებენის ლაშქრობა ახალციხის საფაშოზე

გრაფ ტოტლებენის უეცარმა გადაწყვეტილებამ, დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთში გადმოსვლამ, სოლომონსა და ერეკლეს შორის უნდობლობა და უკმაყოფილება ჩამოაგდო. ბზარი გაჩნდა იმ კეთილ მეგობრობაში და ურთიერთსამხედრო დახმარების საქმეში, რომელიც დაიდო მათ შორის ხელშეკრულების სახით 1758 წელს. უკვე ცხადი იყო, რომ ქართველ მეფეებს რუსეთის ჯარი საკუთარი ინტერესებისათვის უნდოდათ გამოეყენებინათ და სწორედ ამიტომ ჩამოვარდა უთანხმოება მათ შორის. გამოდის, რომ რუსეთის ჯარის გამოყენება საცილობელ საქმედ ყოფილა გადაქცეული მეფე ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს შორის. ტოტლებენის საქციელი არც რუსეთის მთავრობისათვის იყო მოსაწონი. იმერეთის მეფე სოლომონთან უთანხმოებით ტოტლებენი უნებურად ოსმალეთს დახმარების საშუალებას აძლევდა. „იგი იმერეთს საუკეთესო შემთხვევაში გაეცალა და უნებლიეთ დახმარება გაუწია რუსეთ-საქართველოს საერთო მტერს (ოსმალეთს), რომლის წინააღმდეგაც საომრად საქართველოში გამოგზავნილი იყო"[1] თვით გენერალი ტოტლებენი.

მეფე ერეკლესა და გრაფ ტოტლებენის შეთანხმება ახალციხეზე გალაშქრების შესახებ ჯერ კიდევ 1769 წლის აგვის-

---

1 შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე, „სოლომონ I-ის პოლიტიკური მოღვაწეობა", საკანდიდატო დისერტაცია, 1948, გვ. 137.

ტო-სექტემბერში მოხდა და შემთხვევითი არ იყო ამ მიმართულებით ლაშქრობა. სამხრეთ საქართველო ანუ სამცხე-საათაბაგო, რომლის ცენტრიც ქ. ახალციხე იყო, საქართველოს სამხრეთის კედელსა და ციხებურჯს წარმოადგენდა. ამ მხარეში განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა ენიჭებოდა არტანუჯის ციხეს; ეს იყო კარი საქართველოსი. არტანუჯიდან მოდიოდა დიდი გზა, რომელსაც ძველად „ქართლის გზა" ეწოდებოდა. ამ გზით მომავალი მტრის ჯარი ჯერ კლარჯეთში შემოვიდოდა, შემდეგ „არსიანის კარით", რომელიც იწყებოდა იქ, სადაც ღადოს (იმერეთის მთები) და აჭარის მთები ერთიანდებოდნენ, მიდიოდა პირდაპირ სამხრეთისაკენ არტანუჯსა და არტაანს შორის მდებარე ადგილამდე, ხოლო აქედან კი ქართლში გადადიოდა. აქვე აღსანიშნავია ამ ბუნებრივი სიმაგრეების ის ღირსებაც, რომ არტანუჯი კეტავდა ჭოროხის ველს, სამცხე-საათაბაგოს დასავლეთის მხარეს, რომელიც მაგარ ციხე-სიმაგრეთა ზოლს წარმოადგენდა თორთუმის ციხის მეთაურობით; არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ამ ზოლზე თუხარისის ციხესაც. ხოლო სამხრეთ საქართველოს დასავლეთი საზღვრის სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე უფრო სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე იყო. ბასიან-ტაოში შემოსული მტერი მოყვებოდა პირდაპირ მტკვრის ხეობას და თუ გზას არ ჩაუკეტავდნენ, მტერი პირდაპირ არტაანში შემოვიდოდა.

არტაანიდან გზა სამცხესა და ჯავახეთში მოდიოდა, აქედან კი მტერი რამდენიმე გზით სულ ადვილად შეიძლებოდა შეჭრილიყო როგორც დასავლეთ საქართველოში, ისე ქართლში. ახალციხიდან შეიძლებოდა გადასვლა დასავლეთ საქართველოში, ხოლო არსიანის მთაზე გოდერძის გადასასვლელით — აჭარაში, სადაც ძველადვე აშენებული იყო გოდერძის ციხე. ახალციხიდან ქუთაისში გადასვლა შეიძლებოდა ღადოს მთაზე ზეკარის გადასასვლელითაც. ამ გადასასვლელსაც ძველი დროიდანვე ჰკეტავდა ოძრხეს (აბასთუმნის) ძლიერი ციხესიმაგრე. გოდერძისა და ოძრხეს სიმაგრეები ჰკეტავდნენ აგრეთვე მდინარე რიონისა და აჭარისწყლის ხეობას, ამ ხეობიდან კი შეიძლებოდა ჭოროხის ხეობაში გასვლა და იქიდან შავშეთ-კლარჯეთში შეჭრა.

ახალციხიდან დასავლეთ საქართველოში მესამე გადასასვ-ლელიც არის, გურკელის გადასასვლელი, რომელიც პირდა-პირ გადადიოდა ღადოს (იმერეთის) მთაზე. აქაც წინუბან-გურკელის მიდამოებში აშენებული იყო მაგარი ციხესიმაგრე, რომელიც ამ გადასასვლელ გზას იცავდა.

მტერი ყოველთვის მდინარე მტკვრის ხეობას მოჰყვებოდა. მდ. მტკვრის ხეობის გზა სამხრეთიდან, არტაანიდან იწყება ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ, ტაშისკარამდე. სამცხის ძველი საზღვარიც აქედან იწყებოდა. ტაშისკარიდან იწყება უკვე შიდა ქართლის გაშლილი ველი.

სამხრეთ საქართველოს გზებით შემოდიოდა მტერ-მოყვა-რე. ეს გზები გამოყენებული იყო როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიანობის დროს ვაჭრობისათვის. ფ. ენგელსი ეხება რა რუსეთ-თურქეთის 1853—1856 წლის ომს, წერს: „თბილისისა და არზრუმის შემაერთებელი გზები ორივე მოწინააღმდეგი-სათვის საოპერაციო ხაზებად გადაიქცევა. არსებობს სამი გზა: ერთი ზემო მტკვრისა და ახალციხის გაყოლებაზე მიდის, მეორე — ქვემო მტკვრისა და ერევნის, მესამე — ორ პირ-ველ გზას შუა მთებსა და ყარსზე... ახალციხის გზით თურქე-თის არმიას შეუძლია პირდაპირ კავკასიის მღელვარე ოლქებში შესვლა, მაგრამ რუსეთის კორპუსს, რომელიც ბათუმიდან ჭოროხის ხეობით და ოლთისის მხრიდან არზრუმისაკენ დაი-ძვრის, შეუძლია წინწამოწეული თურქეთის ფრთა დასცეს... შეუძლია თურქეთს გზა მოუჭრას, ... არზრუმსაც კი დაეუფ-ლოს, რომელიც ნამდვილი აზიური წესით არის გამაგრებული და, შაშასადამე, ვერავითარ სერიოზულ წინააღმდეგობას ვერ გაუწევს“[1].

მტკვრის ხეობის გასწვრივ გზის გარდა, მტერს შეეძლო არტაანიდან პირდაპირ ჯავახეთში შესულიყო, აქედან კი თბი-ლისში ორი გზით შეეძლო შეჭრა, ერთი თაფარავნის ტბის დასავლეთ ნაპირიდან თრიალეთში გადასვლით მანგლის-თბი-ლისის გზით. მეორე, ჯავახეთიდან სამცხეში ჩამოვიდოდა და აქედან ბორჯომის გზით ქართლში შეიჭრებოდა. ჯავახეთიდან

---

[1] ვ. ენგელგარდი, კ. მარქსი და ფ. ენგელსი საქართველოს შესახებ, ჟურნალი „ბოლშევიკი“, № 6, 1937, გვ. 45.

ბაკურიანის გზითაც შეიძლებოდა ბორჯომის ხეობაში ჩასვლა. უძველესი დროიდან სწორედ ამ გზებით მოიწევდა გარეშე მტერი საქართველოსკენ. ამიტომაც საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით. ყველაზე მეტად სამცხე-საათაბაგო ირბეოდა. ბოლოს მტერი დარბევასაც აღარ დასჯერდა და მთლიანად დაიპყრო ეს მხარე.

ამ მხარეში დამკვიდრებული ოსმალეთი შუაზე ხლეჩდა საქართველოს, შესაძლებლობის დროს კი საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის ბატონ-პატრონი ხდებოდა; ამიტომაც ოსმალების მიერ ამ მხარის დაპყრობის შემდეგ საქართველო წელში ვეღარ გასწორდა. აქედან ხდებოდა მუდმივი თავდასხმები, როგორც დასავლეთ საქართველოზე, ასევე ქართლზე. ეს იმდენად მოსახერხებელი პოზიცია იყო მტრისათვის, რომ დაღესტნისა და ჭარ-ბელაქნის უბატონო ლეკები კახეთისა და ქართლის გავლით დიდი ხნით თავს აფარებდნენ ახალციხეს.

ამრიგად, ბასიან-ტაოდან, თუ არზრუმიდან წამოსული მტერი არტაანს ვერ ასცდებოდა, თუ ჯავახეთზე გავლას მოისურვებდა ახალქალაქი უნდა გაევლო, სამცხეზე გავლით ქალაქ ახალციხეს მოადგებოდა. ეს სამი დიდი ქალაქი და ციხე ეგრეთწოდებულ სამკუთხედს ჰქმნიდნენ. „ცხადია, რა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა აღნიშნულ სამკუთხედს არტაანი — ახალციხე — ახალქალაქი. ეს იყო შუაგული, ციტადელი მთელი იმ ბუმბერაზ ციხისა, რომელსაც წარმოადგენდა საქართველო. ამ სამკუთხედის ხელში ჩაგდებითა და აქ დამკვიდრებით მტერს საშუალება ეძლეოდა თავისუფლად ეწარმოებინა ოპერაციები და ის მიმართულება აერჩია, რომელსაც მოისურვებდა"[1].

საკმარისი იყო მტერს ამ ე. წ. სამკუთხედის რომელიმე ერთი ქალაქი აეღო, რომ მის ხელში იყო დანარჩენი ქალაქებიც და მის გარშემო მყოფი ტერიტორიაც. მტრის სწორედ ამ ხშირმა შემოსევებმა განსაზღვრეს ძველ საქართველოში მესხეთის მეწინავე სადროშოდ დაარსების საკითხიც. მტერზე პირველი იერიში მესხებს ჰქონდათ დაკისრებული. მესხებთან ერ-

---

[1] ი. გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, სამხედრო ხელოვნება საქართველოში, 1915, გვ. 27.

თად მეწინავე სადროშოს ქვეშ დგებოდნენ თორელები, კლარ-ჯები, შავშები და აჭარლები, ე. ი. იმ კუთხის მცხოვრებლები, სადაც უფრო ხშირად იმართებოდა ბრძოლები. ძველად საქარ-თველოს ლაშქარი იყო „...ოთხ სადროშოთ განყოფილი, რამე-თუ წინამბრძოლნი იყუნენ თორელნი, ციხისჯვარელნი და ახალციხელნი, და მიმყოლი მათნი სრულიად მესხნი და კლარჯნი, და სომხითისა, რომელნი ეპყრათ“[1].

მეწინავეთა სადროშოს ლაშქარმა კარგად იცოდა სამხ-რეთ-საქართველოს ადგილობრივი თავისებურებანი, ბრძოლის ველი, მთა-გორები, ფონი და გადასასვლელი გზები, სამალავი და მოსაფარებელი ხევები, მოქმედების ასპარეზიც თავისუფა-ლი იყო მათთვის. თავდაცვით თუ შეტევით ბრძოლებში ასეთ პრინციპზე შექმნილი ლაშქარი უკეთესად იბრძოდა. ჯერ ერ-თი მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ერთი კუთხის მოსახლეობის თავშეყრა ერთი სადროშოს ქვეშ უფრო ადვილი და მოსახერ-ხებელი იყო; მეორე მხრივ, თვითეული სადროშოს მოსახლეო-ბა ერთი მეორეს იცნობდა და უფრო მეტი მხარდაჭერა და იმედი ჰქონდა ბრძოლის დროს. ომში შერცხვენა და ლაჩრობა ნაცნობებთან უფრო თავმოსაჭრელი იყო, ვიდრე უცნობებთან.

გარდა სამხედრო სტრატეგიული მდებარეობისა და მოსა-ხერხებელი სამიმოსვლო გზებისა, ახალციხის მხარეს გარკვე-ული სამხედრო სტრატეგიული ციხესიმაგრეები ჰქონდა ერთ მთლიან მაგისტრალზე. „მგელ-ციხე, ოლოდის, ახჩიის ქვაბებ. ვარძია, თმოგვი, ხერთვისი, ასპინძა, ახალციხე, აწყური, ბორჯომი, ახალდაბა, სურამი, გორი სხვილო ერთ მთლიან მაგის-ტრალს ჰქმნიდა. ... ქართველები ცდილობდნენ ნიადაგ მზად-ყოფნის მდგომარეობაში ჰქონოდათ ეს სიმაგრეები. როცა ქარ-თველები ახალციხის მხარეს კარგავდნენ, კიდევ უფრო მწვა-ვედ ისმოდა ქართლის ციხე-სიმაგრეების მოვლა-შენახვის სა-კითხი“[2], რასაც მეფე ერეკლე თავის შვილებს არაერთხელ მიუთითებდა.

ქართველები ძველთაგანვე ციხეების მშენებლობის საუ-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 22.

[2] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 291.

კეთესო ოსტატები იყვნენ. არცერთ მეზობელ თუ შორეულ მხარეში იმდენი ციხესიმაგრე არ არის, რამდენიც ამ პატარა ქვეყანაშია, განსაკუთრებით კი მის სამხრეთ ნაწილში.

რომაელი ისტორიკოსების ცნობებით ორი ათასი წლის წინათ ქართველებს გამაგრებული ციხესიმაგრეები ჰქონიათ. აი რას წერენ ისინი დარიალის გადმოსასვლელზე გამაგრებულ ციხესიმაგრეთა შესახებ: დარიალის გზა „... გასასვლელი მოზღუდულია რკინით შემოკედილი დირეებით... მდინარის გამოღმა აგებულია კუმანიად წოდებული სიმაგრე, აშენებული იმ მიზნით, რათა დააბრკოლონ მრავალრიცხოვანი ტომების გადმოსვლა“.

ძველად ციხეს, გარდა თავდაცვისა, სამეურნეო მნიშვნელობაც ჰქონდა. ციხის გალავნის დამცველთ ციხის ახლომახლო ტერიტორიაზე ბაღ-ვენახები და ბოსტნები ჰქონდათ გაშენებული. ისინი მესაქონლეობასაც მისდევდნენ. მათ ყველა საშუალება ჰქონდათ, რომ ციხე დიდი ხნის განმავლობაში მტკიცედ დაეცვათ. „ციხე ადამიანის ცოცხალი ძალის გაძლიერების საშუალებაა, მებრძოლის ეოხერხება და დახელოვნება. ქართველ ხალხს სწამდა: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“-ო, და მას არა ერთი „ხერხიც“ უხმარია, რომელიც მტრის რიცხვისათვის დაუპირისპირებია“[1].

სწორედ ამ ზემოხსენებულ მაგისტრალზე განლაგებული ციხეების დაკავებისა და ხელში ჩაგდების აუცილებლობამ გადააწყვეტინა მეფე ერეკლე მეორეს რუსეთის ლაშქართან ერთად შეტევები დაეწყო ახალციხის მიმართულებით.

1770 წლის 17 მარტს დაბა სურამში, მეფე ერეკლესა და გრაფ ტოტლებენის მონაწილეობით მოეწყო სამხედრო თათბირი. ამ თათბირზე მოწვეული იყო იმერეთის მეფე სოლომონ პირველიც. სურამის სამხედრო თათბირს მეფე სოლომონი შინაური მტრებისა და ოსმალეთის შემოსევის გამო ვერ დასწრებია და თავის სამეფოს სახელით თავისი ძმა იოსებ კათალიკოსი და თავადი აბულაძე წარმოუგზავნია, რომლებსაც განუცხადებიათ, რომ მეფე სოლომონს „ჰსურს მიმდინარე ომში

---

1 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ქართლის ცხოვრების ძველი და ახალი ფურცლები, 1942, გვ. 13.

ახალციხის ციხე

სამსახური გაუწიოს (რუსეთის იმპერატორს), თავისი ჯარით, დროის დაუკარგავად იმერეთიდან ახალციხეზე წავა და იქ შეგვიერთდება“-ო[1]. ახალციხის საფაშოს განადგურება და მისი განთავისუფლება ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო, არა მარტო ქართლ-კახეთის, არამედ იმერეთის სამეფოსთვისაც, იმიტომ რომ ახალციხის საფაშო იმერეთის მეფის მოწინააღმდეგე ძალების მუდმივ თავშესაფარს წარმოადგენდა. ახალციხის ფაშას ჯარები არაერთხელ დასხმიან თავს დასავლეთ საქართველოს.

გარდა ამისა, ახალციხე იყო ტყვეთა ვაჭრობის ბაზარი. ამ სოციალური სიმახინჯის წინააღმდეგ ბრძოლის სხვა ღონისძიებასთან ერთად საჭირო იყო იმ ქალაქის ხელში ჩაგდება, სადაც გასაყიდად თავს უყრიდნენ მთელი ამიერკავკასიის ტყვეებს. „მთელი ყაჩაღთა თარეშის შედეგად მარტო ინტენსიური მეურნეობა კი არ ირღვეოდა, ქართველობას გადაშენება ელოდა. ... ავაზაკები თურქეთის მონათა ბაზრებს ორი გზით უკავშირდებოდნენ: ჩრდილოეთ კავკასიიდან — ყირიმის, ხოლო სამხრეთით — ახალციხის საფაშოს გზით. ყირიმის სახანო და ახალციხის საფაშო, თურქეთის აგრესიის ბაზები, წარმოად-

---

1 Грамоты... том I, зд. 219.

გენდნენ მონათა ბაზრებსაც და ძირითად კომუნიკაციებსაც შიდა თურქეთის მონათა ბაზრებისაკენ. სანამ თურქეთი ზემოხსენებულ „სავაჭრო" კომუნიკაციებს ინარჩუნებდა და მონათა ბაზრად რჩებოდა, ტყვეების მტაცებლობა, ბუნებრივია, ძნელი ასალაგმავი იყო (მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ ლეკებისათვის ტყვე ძირითადად გაცვლა-გამოცვლის საგანი იყო)"[1].

ამრიგად, სურამის სამხედრო თათბირზე გადაწყდა: ლაშქრობა დაეწყოთ ახალციხის საფაშოზე ბორჯომის ხეობის გზით: ქართველებისა და რუსეთის ჯარის მიერ ბორჯომის, აწყურის, ახალციხის, ასპინძის, ხერთვისის, ახალქალაქის და სხვა ციხესიმაგრეთა დაკავებით ოსმალეთი დაკარგავდა იმ ფრიად ხელსაყრელ სტრატეგიულ პოზიციებს, რომლებიც მრავალი ბრძოლის შემდეგ თურქეთმა ხელში ჩაიგდო. ახლა კი მათი დაკარგვა ამიერკავკასიაში ოსმალთა ბატონობას საფრთხეს უქმნიდა.

ახალციხისათვის ბრძოლის დროს ქართველი პოლიტიკოსები ორ ამოცანას ისახავდნენ მიზნად: მტრისათვის ქართლზე თავდასხმის მარჯვე პლაცდარმი მოეშალათ და მიტაცებული ქართული მიწა-წყალი შემოეერთებინათ. ერეკლეს გადაწყვეტილი ჰქონდა, ესარგებლა რუსეთ-თურქეთის ომით და რუსეთის სამხედრო და დიპლომატიური დახმარებით ოსმალთა ხელიდან გამოეგლიჯა ძველისძველი ქართული მიწა — სამცხე-საათაბაგო.

ახალციხის საფაშოზე გალაშქრებას ისიც აჩქარებდა და ხელს უწყობდა, რომ იქ ოსმალთა ჯარი ცოტა იყო და ფაშას არ შეეძლო რუსეთ-საქართველოს შეერთებული ლაშქრისათვის სერიოზული ძალების დაპირისპირება.

მეფე ერეკლე დიდ ყურადღებას აქცევდა მეზობელი მაჰმადიანური თუ ქრისტიანული ქვეყნების მუდმივი დაზვერვისა და მეთვალყურეობის საკითხებს. მას კარგად ჰქონდა შესწავლილი ახალციხის საფაშოს საომარი შესაძლებლობანი. ერეკლეს თავისი საიმედო აგენტი არამარტო ახალციხის ფაშას,

---

1 ვ. მაჭარაძე, მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ტ. II, 1968, გვ. 34.

არამედ ოსმალეთის სულთანისა და ირანის შაჰის კარზეც კიჰყავდა. ერთი წუთითაც გამორიცხული არ არის ის ფაქტი, რომ მეფე ერეკლე იმ დროსაც, 1770 წლისათვის, არანაკლებ დაზვერვებს აწარმოებდა ოსმალეთის სახელმწიფოშიც.

ერეკლე მეორემ უკეთესად იცოდა, რა ხდებოდა ოსმალეთის ცენტრში, მის დედაქალაქ კონსტანტინოპოლში, ვიდრე იქ მყოფმა რუსეთის ელჩმა. „ერეკლეს იმდენად კარგი დაზვერვა ჰქონდა, რომ თბილისიდან პეტერბურგში გაგზავნილი ცნობები თურქეთის ვითარებისა და თურქეთის მთავრობის გეგმების შესახებ უფრო ზუსტი იყო, ვიდრე კონსტანტინოპოლიდან რუსი რეზიდენტის და რუსეთის აგენტების მოხსენებები"[1]. მეტად საინტერესოა მეფე ერეკლეს მიერ დაწესებული მუდმივი მეთვალყურეობა და დაზვერვითი საქმიანობა ოსმალეთის სახელმწიფოში, განსაკუთრებით კი ქართლის მოსაზღვრე ახალციხის საფაშოზე. ზემო ქართლის უფროსს ოთარ ამილახვარს მეფე ერეკლე ერთ-ერთ წერილში სწერს: „... შენი წიგნი მოგვივიდა, ახალციხის მხარის ამბავი მოგეწერა. ჩვენც იქით აქეთ კაცნი გვყვანან, რომ იმათ ამბავი არ გვაკლია, არიან კაცნი ქრისტიანენი და თათარნიცა, რომ ამბავს წვრილად იწერებიან. შენის მოწერილის ამბისა ზოგი რამ კიდეც ემოწმება და დიაღ კარგსა იქ, რომ იქაურს ამბავს კითხულობ. იქ, ახალციხეს რაც ლეკის ჯარია, ჩვენ სარწმუნოდ ვიცით ხათრიჯანის კაცისაგან, რომ სულ ხუთას კაცს ათნაკლები კაცნი არიან, იქაური ამბავი არც ჩვენ გვაკლია, მაგრამ მაინც კარგათ იქ, რომ იქაურს ამბავს კითხულობ და კიდევაც ნუ მოიშლი"[2]. ეს საბუთი ცოტა მოგვიანებით, 1788 წ. 8 ივნისს არის დაწერილი, მაგრამ აქედან ცხადი ხდება, რომ ერეკლე II არა მარტო ასპინძის ომის წინ აწარმოებდა განსაკუთრებულ დაზვერვას ახალციხის საფაშოზე, არამედ მას შემდეგაც, როდესაც თურქეთთან იგი ასე თუ ისე შერიგებული იყო და ურთიერთკავშირის სამშვიდობო ხელშეკრულებებიც ჰქონდა გაფორმებული. ზემოაღნიშნული წერილიდან ნათლად ირკვევა, რომ მეფეს მზვერავებად არა მარტო ქართველები და სომხები, არამედ თათ-

---

1 ვ. მაჭარაძე, ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, 1968, გვ. 33.

2 საქართველოს ცენტრალური არქივი, ფ. 226, საბ. 2497.

რებიც ჰყოლია, რომლებიც დაწვრილებით და სანდო ცნობებს აწვდიდნენ მას. ერეკლე II არა მარტო მტრის ქვეყნის ცნობებს აგროვებდა, არამედ ფხიზლად იცავდა თავისი ქვეყნის საიდუმლო ცნობებს.

მეფე ერეკლემ ისიც კარგად იცოდა, თუ ახალციხის ფაშას რომელ სოფელში ჰყავდა მზვერავები და რომელ ოჯახთან იყვნენ ისინი დაკავშირებულნი. აი რას წერს 1790 წელს 10 მარტს იგივე ოთარ ამილახვარს:

„ბატონო ამილახორო ოთარ, მერმე ქაიხოსრო ლევანანიშვილის ქალი რომ არის მანდ, თქვენ კარგად უნდა გაფრთხილდეთ, რომ ახალციხიდამ იმასთან მამსვლელი კაცი იყოს ვინმე და ან მაგისაგან გაგზავნილი კაცი იყოს ვინმე და გზავნიდეს, კარგათ, ფრთხილად, უნდა... ის კაცი ჩაიგდოთ, კარგად გაჩხრიკოთ, ან აქედამ გაგზავნილი წიგნი ექნება და ან იქიდამ მოსული წიგნები — ასე კარგათ უნდა გაფრთხილდეთ, რომ ახალციხიდამ მოსული კაცი, მანამ მაგასთან მოვიდოდეს, თქვენ ჩაიგდეთ, წიგნებიცა და კაციც საჩქაროთ ჩვენთან გამოგზავნეთ“.[1]

მეფე ერეკლე, როგორც დიდი სარდალი ეჰვმიუტანელია, მაგრამ ამავე დროს იგი შორსმჭვრეტელი სახელმწიფო მოღვაწე და დიდი დიპლომატიც იყო. „ერეკლე ამა თუ იმ ქვეყანას, შორეულს თუ ახლობელს კეთილ მეზობლობდა, ან მტრობდა იმის მიხედვით, თუ ეს მოყვრობა—მეგობრობა, ან მტრობა — ქიშპობა რას მოუტანდა თავის ქვეყანას“[2].

იმისათვის, რომ ოსმალეთის ყურადღება მოედუნებინა და ახალციხის ფაშა ომის სამზადისს არ შესდგომოდა, მეფე ერეკლემ თურქეთის სულთანს ელჩი გაუგზავნა. აი რას სწერს ამ ელჩობის შესახებ ერეკლე მეფის ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე: „განიზრახა ხვანთქართან გაგზავნა ელჩისა და წარავლინა კარისა თვისისა მირზა გურგინა, სომეხი ვინმე ყარაბაღით მოსრული. გარნა მრავალთა ენათა მეცნიერი და ცნობით გონიერი, რომელიცა მოვიდა კონსტანტინოპოლს და ყოვე-

---

1 საქართველოს ცენტრალური არქივი, ფონდი 226, საბუთი 372.

2 დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. III. 1968, გვ. 225.

ლივე დაბარებული მეფისა ირაკლის მიერ, განუცხადა ვეზირსა ხვანთქარისასა, რომელმანცა მიიღო იგი და დიდა პატივ-სცა: თუმცა აქენდა მრავალი წყენა მეფის ირაკლისა-გან".

ერეკლეს ელჩობით დიდად ნასიამოვნებმა სულთანმა ქართველი მეფისა და ნასი ელჩის პატივსაცემად არ დაიშურა არაფერი. საჩუქრის გარდა, ტყვეობიდან გაანთავისუფლეს ბევრი ქართველი, რომლებიც ოსმალებსა და ლეკებს ჰყავდათ ადრე მოტაცებული. ომან ხერხეულიძე წერს: ერეკლეს ელჩს სტამბოლში „აჩუქეს მრავალი, წარმოუვლინეს დესპანი, მოუძღვანეს ცხენი შვენიერად აღკაზმული და ძვირფასი ქურქი და გარდა ამისა, რომელიცა უწინარეს ამისსა დატყვებულნი ხალხნი აღსიხას (ახალციხეს—ს. ხ.) წარესხათ რაოდენნიმე თავადთა გვამი ცოლ-შვილით და სხვანიცა მდაბალნი გლეხნი, რომელნიცა ქრცხინვალით წარყვანილ-იყვნენ და გინა თუ სხვათა სოფლებთა-გან აღსიხას (ახალციხე — ს. ხ.) იგინი ყოველნი განთავის-უფლნეს და მოუწერეს სულეიმან ფაშას განთავისუფლება მათი და მშვიდობა ურთიერთისადმი"...[1]

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ახალციხის საფაშოზე გალაშქრებისათვის მეფე ერეკლეს ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ სპარსეთში შინაგანი არეულობა იყო. მეფე ერეკლე კარგად ერკვეოდა იმდროინდელ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების რთულ დიპლომატიაში და შესაფერის მომენტს ყოველთვის თავის სასარგებლოდ იყენებდა. იგი საკითხის გადასაწყვეტად დროულად ატარებდა სამხედრო თუ დიპლომატიურ ღონისძიებებს. ოსმალეთზე ლაშქრობის დაჩქარებას ერეკლე განსაკუთრებით იმიტომ მოითხოვდა, რომ იცოდა იმდროინდელ ირანში შინაგანი არეულობა იყო — ქერიმხანი იქ ხელისუფლებისათვის იბრძოდა. მეფე ერეკლე ამ პერიოდში გამოდიოდა ამიერკავკასიის ხალხების გაერთიანების მედროშედ. იგი ერთგვარი კოალიციის შექმნასაც კი მოითხოვდა ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ.

ამრიგად, მეფე ერეკლესა და გრაფ ტოტლებენს ხელშემწყობი საგარეო და საშინაო პირობები ჰქონდათ იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ გაელაშქრათ ახალციხის საფაშოზე, სა-

---

1 ქართლის ცხოვრება, II. 1854, გვ. 496.

დაც ახალციხის ფაშას ჯერ კიდევ თავისი ჯარებისათვის თავი არ მოეყარა. 1770 წელს 17 მარტს სურამის სამხედრო თათბირზე მეფე ერეკლეს თან ახლდა 7000 მეომარი, სამი ქვემეხი და 2000 კაცს კიდევ ელოდა. ამავე დროს მეფე ერეკლემ ოთხი ათასი ჯარისკაცი თავის მოკავშირესა და ერთგულ ყარაბაღის ხანს მიაშველა. ამ მონაცემების თანახმად, ქართლ-კახეთს 1770 წელს 13000 მეომრის გამოყვანა შეძლებია, თითქმის ამდენსავე მეომარს ასახელებს გრაფ ტოტლებენის ადიუტანტი კაპიტანი დე გრაი დე ფუა; „ერეკლე არ ჩაერია გრაფის საქმეებში (აჯანყებული ოფიცრების შესახებ— ს. ხ.), მაგრამ მეტიც ვეღარ მოითმინა, თავისი ჯარი, რომელიც 12000 კაცისაგან შედგებოდა, აყარა და მტკვრის გადასალახავად გაემართა". ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ 1770 წლის მონაცემებით იმდროინდელ საქართველოში ნახევარ მილიონზე ნაკლები მოსახლეობა იყო, მაშინ როდესაც ამავე პერიოდში თურქეთი ახერხებდა ნახევარმილიონიანი არმიის გამოყვანას. ამას უნდა დაემატოს ლეკებიც, ისინი ხომ ხონთქრისათვის დიდ რეზერვს წარმოადგენდნენ.

მეფე ერეკლემ სურამის სამხედრო თათბირის შემდეგ რუსეთის ლაშქარი ორი კვირის სურსათ-სანოვაგით მოამარაგა და დაიმედებული იყო, რომ ამ ლაშქრობაში იმერეთის მეფე სოლომონიც მიიღებდა მონაწილეობას. თუმცა ამ დროს სოლომონ I-ს ბრძოლა ჰქონდა დადიანთან. მეფე სოლომონმა დანაპირები ვერ შეასრულა. არა მარტო იმიტომ, რომ არ სურდა ახალციხეზე ლაშქრობა, არამედ მისი ქვეყნის შინაგანი სირთულე ამის საშუალებას არ აძლევდა. „1770 წლამდე დასავლეთ საქართველო თურქეთის სავასალო იყო, ქვეყნის უმთავრეს ციხეებსა (ცუცხვათის, შორაპნის, ბაღდადის, ქუთაისის) და ნავსადგურებში (სოხუმი, ფოთი, ბათუმი) თურქ იანიჩართა გარნიზონები იდგა. ამ ციხეებზე დაყრდნობით თურქები ერეოდნენ ქვეყნის საშინაო საქმეებში და ატარებდნენ ძალად გამაჰმადიანების პოლიტიკას. დასავლეთი საქართველო თურქეთს უხდიდა ხარკს ტილოთი და ქალ-ვაჟებით. მსხვილი ფეოდალები სარგებლობდნენ შექმნილი ვითარებით და დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ (რაჭის ერისთავი), ხოლო მთავრები (გურიელი, დადიანი, შარვაშიძე) სრული

დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ"[1]. ასეთ რთულ ვითარებაში დიდმა სარდალმა და სახელმწიფო მოღვაწემ სოლომონ I-მა თავისი ქვეყანა ვერ დააგდო უპატრონოდ და ახალციხეზე ვერ ილაშქრა. მაგრამ მიუხედავად მეფე ერეკლეს მთელი მონდომებისა და ყოველგვარი ხელშეწყობისა, გრაფი ტოტლებენი ახალციხეზე ლაშქრობის დაწყებას აჭიანურებდა და ათასგვარ რაღაცას იმიზეზებდა. როგორც მეფე ერეკლე აღნიშნავს, იგი... „სადღეისოდ აგდებდა მტერზედ მისვლასა და მიზეზობდა მიზეზთა უძლურთა, რადგანაც გონებაში ეს (ღალატი — ს. ხ.) ედვა... ვინაჲთგან მძებნელი იყო მიზეზისა, რათამც ეპოვნეს მიზეზი მტერთა ზედა მიუსვლელობისა, ამისათვს, განაგრძელებდა დროთა, მაგრამ რაოდენ შემძლებელ ვიყავით აღმასრულებელ ვიქენით მიზეზებითა მათ მისთა".[2]

გრაფ ტოტლებენის მიმართ ერეკლეს ნათქვამი სრული ჭეშმარიტებაა. ტოტლებენს რომ ახალციხის საფაშოზე ლაშქრობა არ სურდა, ეს ჩანს ტოტლებენის წერილიდან, რომელიც 1770 წ. 6 აპრილს ქვიშხეთიდან გრაფ ზაქარია ჩერნიშევს მიწერა: „უმორჩილესად გთხოვ, აქედან ჩქარა წამიყვანოთ, ჩემს მაგივრად ჩემი რაზმი სხვა გენერალს ჩააბაროთ... ძალა არ მყოფნის"[3]. გრაფ ტოტლებენის თაღლითობასა და უსაქმობას ადასტურებს თავისივე ადიუტანტი კაპიტანი დე გრაი დე ფუა. იგი წერს: „ერეკლე მოითხოვდა დაუყოვნებლივ გადაგველახა მტკვარი, რომ მტრის მიწაზე უხვად გვეშოვა სურსათ-სანოვაგე. გენერალი ადგილიდან არ იძვროდა, სანამ ორი კვირის მარაგს მაინც არ მიიღებდა". ერეკლემ მიიღო ზომები, რომ ორი კვირის მარაგი შეეგროვებინათ რუსეთის ლაშქრისათვის, მაგრამ გრაფი ტოტლებენი მაინც ადგილიდან არ იძროდა. ბოლოს მეფე ერეკლემ მეტიც ვეღარ მოითმინა, თავისი ჯარი, რომელიც 12000 კაცისაგან შედგებოდა, აყარა და მტკვრის გადასალახავად გაემართა. ტოტლებენიც იძულებული იყო უკან გაჰყოლოდა. ტოტლებენის ლაშქარი 1200 მებრძოლისაგან

---

1 ვ. მაჭარაძე, ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, 1968, გვ. 38.

2 Грамоты... том II, вып. I. стр. 27—28.

3 ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, გვ. 58.

შედგებოდა. ქვიშხეთიდან ქართველებისა და რუსების ჯარი 1770 წელს 14 აპრილს ბორჯომთან ახლო მდებარე სოფელ სადგერში მისულა. აქედან აწყურში მისვლა შეიძლებოდა ორი გზით: ერთი მტკვრის მარცხენა ნაპირის გაყოლებით, ეს კარგი შარაგზა იყო, რომლის სიგრძე 40 კმ აღწევდა, ხოლო მეორე — მტკვრის მარჯვენა მხარეს საცალფეხო, ვიწრო გასასეელებით, მისი სიგრძე 24 კმ. შეადგენდა. პირველი გზით მეფე ერეკლეს ლაშქარი დაიძრა, მეორე გზით კი ტოტლებენი წავიდა. რუს-ქართველთა ჯარი სოფელ საკირეში (ბორჯომის რაიონი) შეერთდა და 16 აპრილს აწყურის ციხეს შემოადგა. გენერალი ტოტლებენი აწყურთან თავისი ჯარის ნახევრითა და 6 ზარბაზნით მივიდა. დანარჩენი სადგერში დატოვა.

სურამის სამხედრო საბჭოს თათბირზე ტოტლებენს მეფე ერეკლეს 7000 მეომრისათვის რომ შეუხედია, გაჰკვირვებია ღა მეფისათვის წინადადება მიუცია თავისთან დაეტოვებინა 500 მეომარი, დანარჩენები კი სახლებში გაეშვა. ამის შესახებ გრაფის ადიუტანტი წერს: „ტოტლებენმა იფიქრა — ახალციხეს მეც ავიღებო და ერეკლეს რაღად გავუზიარო გამარჯვებაო“. ამრიგად, აწყურთან მისულ ტოტლებენს ახლდა 600 მეომარი და 6 მცირეყალიბიანი ზარბაზანი. ერეკლე თავისი საკუთარი ძალებით ცდილობდა ახალციხის აღებას, სანამ ოსმალები ახალციხის საფაშოს დახმარებას აღმოუჩენდნენ. 1769 წლის 14 ივნისის მოხსენებით ბარათში ახალციხე აღწერილია შემდეგნაირად: „ახალციხის ქვეყანა, რომელიც არის ქართლის ქვეყნისა ნაწილი ერთი, რომელიც უჭირავს ახლა ხონთქარსა ძალითა, და არიან გამაჰმადიანებულნი, და ადგილ ადგილ მცირედნი ქრისტიანებიც იპოვებიან, და ჰქვიან ადგილთა ამათ საათაბაგო. ამას მთაცა აქუს და ბარიცა. ვაკეა მინდურიანი და კეთილნაყოფიერი. არს დასავლით კერძო მდებარეობა ამისი და მცირედრე დაზიდული სამხრით კერძოდაცა, არს მესაზღვრე ჩვენის ადგილებისა—ზემოქართლისა, სომხითისა და თრიალეთისა. აქა ზის ვეზირი სამთუღიანი და არს შემძლებელი თავისავ ადგილში ხუთის ათასის მეომრის კაცის გამოყვანისა, მაგრამ ჯაბანნი და შეუბედავნი არიან ომისა შინა. ამას მრავალნი ადგილები აქუს ლეკისაგან აოხრებული და იმათგან მრავალი ძალი აქუსთ დაკლებულ, და ეს ახალციხელნი ჩვენ-



აწყურის ციხე.

თან უშფოთლად არიან და მშვიდობით[1]". მეფის რუსეთის ლაშქრის დახმარების მოიმედე ერეკლემ ოსმალებთან მშვიდობიანობა დაარღვია და 1770 წლის 16 აპრილს შუადღისას რუს-ქართველთა ლაშქრით აწყურის ციხეს შემოადგა. მეფე ერეკლემ მდინარე მტკვარზე სახელდახელოდ ხიდი ააგებინა და მახლობელ სოფლებში ქართველ მეომართა რამდენიმე რაზმი სურსათ-სანოვაგის საშოვნელად გაგზავნა. ერეკლეს წინასწარ ჰქონდა შემუშავებული საომარი გეგმა, რომლის მიხედვით რუს-ქართველთა ჯარს ჯერ ახალციხის ახლო მდებარე სოფლები უნდა დაეკავებინა, სურსათ-სანოვაგე და პირუტყვი მოეგროვებინა და შემდეგ იერიში მიეტანა პირდაპირ ქალაქ ახალციხესა და სხვა ციხე-ქალაქებზე.

როგორც თვით ერეკლე მეორე 1770 წ. 10 მაისს თავად გრაფ გოლიცინს წერდა: „.... აწყურის ციხის შემოდგომა ჩემი ნება არ იყო, ამისათვს, რომ რადგან მტრის მამულში ვიყავით, უმჯობესად ეს აღმოჩნდა: მათნი ქონებულნი, რომელნიც სოფლებით სურსათი აქუნდათ, სულ ჩუჴნ მოგვეგროებინა და შემდგომად მისსა, უკეთუ უმჯობეს იქნებოდა, მივსულიყავით

[1] Грамоты... том II. вып. I. стр. 8.

ახალციხეზედ, და თუ არა, ან მასვე აწყურსა, და ან სხუათა რომელთამე ციხეთა და ქალაქთა მტერთასა შემოვდგომოდით, მაგრა ესე არა ჰყო ღრ. ტოტლებენმან...“

თითქმის ასეთივე სამოქმედო საომარ გეგმას ურჩევდა ანტონ მოურავოვი 1770 წ. 18 აპრილს მიწერილი წერილით გრაფ ტოტლებენს: „ჩემის აზრით უფრო კარგი იქნებოდა, თუ კი რამდენიმე დღით დატოვებული იქნებოდა აწყურის ციხე და ინებებდით პირდაპირ მოწინააღმდეგის სოფლებისაკენ წასვლას, რომლებიც ერეკლეს განცხადებით აქვე ახლანდელ ლაგერთან 25—30 კმ. დაშორებულნი არიან, იქ დაბანაკდეთ და მოიმარაგოთ რამოდენიმე თვის სანოვაგე. შემდეგ ალყა შემოარტყათ კიდევ იმავე სიმაგრეს და თვითონ ქალაქ ახალციხეს“. ერეკლეს მიერ შემუშავებული საბრძოლო გეგმა სამხედრო თვალსაზრისით საუკეთესოდ იყო შედგენილი. ერთი მხრივ, ის დახმარების ყოველგვარ საშუალებას მოუწყვეტდა აწყურისა და ახალციხის მეციხოვნეებს, გადაუჭრიდა საკომუნიკაციო გზებს, მეორე მხრივ, რუს-ქართველთა ჯარი მომავალ ომში უზრუნველყოფილი იქნებოდა სურსათ-სანოვაგითა და პირუტყვით. ერეკლეს მიერ წარმოდგენილი გეგმა რომ მიეღო ტოტლებენს, ეჭვს გარეშეა, ეს ბრძოლა წარმატებით დაგვირგვინდებოდა.

ეხება რა აწყურის ციხის აღების საკითხს, მკვლევარი ვ. მაჭარაძე მართებულად დაასკვნის: „აწყურის ციხის აღების სხვა საშუალებაც არსებობდა — მტრის ზურგში ღრმად შეჭრა, მეციხოვნე ჯარის მოწყვეტა მტრის დანარჩენი ჯარებისაგან — აი, რას შეეძლო ციხის გარნიზონის წინააღმდეგობის გატეხა. ასეთ პირობებში ციხის ალყა მცირე ძალებითაც შეიძლებოდა განხორციელებულიყო და გარედან დახმარებას მოკლებული მტერიც წინააღმდეგობას ვეღარ გასწევდა.“[1]

ტოტლებენმა მეფე ერეკლეს და რუსეთის სამეფო კარის მრჩევლისა და წარმომადგენლის ანტონ მოურავოვის საომარი გეგმა არ მიიღო და აწყურის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით სოფ. თისელში მიმავალ გზასთან ახლოს უგარეთის გორაზე, ზედა უბნის მიდამოებში განლაგდა და აწყუ-

---

1 ვ. მ ა ჭ ა რ ა ძ ე, ასპინძის ბრძოლა, 1957, გვ. 60.

რის ციხეს ყუმბარები დაუშინა. ამის შესახებ მისივე ადიუტანტი კაპიტანი დე გრაი დე ფუა წერს: „ერეკლემ მტკვარზე სახელდახელოდ ხიდი ააგებინა, ტოტლებენმა კი მახლობელ (უგარეთის, ზედაუბნის — ს. ხ.) გორაკზე თავისი 4 ზარბაზანი განალაგა და ციხეს ყუმბარები დაუშინა. მაგრამ თორმეტგირვანქიანი ყუმბარა რას დააკლებდა აწყურის ციხის მტკიცე კედლებს!"

გენერალ ტოტლებენის გეგმით ჯერ უნდა დაწყებულიყო შეტევა აწყურის ციხეზე და შემდეგ ახალციხეზე. ქედმაღალმა გენერალმა ბევრი იტრაბახა აწყურის ციხის აღებაზე, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. როგორც ერეკლე წერს: „ესე ვითარი პირობა დაჰსდუა ჯარში. რომ მტერს დღესვე ციხეს წავართევო, და ესე ვერ შევიტყეთ, — ვერ შეიძლო. თუ არ ინება"-ო. ტოტლებენს სურდა პირველი მისვლისთანავე მტრის ქვეყანაში ბრწყინვალე გამარჯვება მოეპოვებინა რუსეთის იარაღისათვის, ეგონა რამდენიმე საათში აიღებდა აწყურის ციხეს და დიდებით შეიმოსებოდა, მაგრამ ბედმა უმტყუნა. გენერალმა ქართველების მიერ აშენებულ და თურქ იანიჩარების მიერ გამაგრებულ აწყურის ციხეს ვერაფერი დააკლო. „მეორეს დღესაც კიდევ იგივე პირობა დასდუა, მაგრა მისნი საქმენი სიმართლით და სიწორით ვეროდეს ვნახეთ-ო" — აღნიშნავს მეფე ერეკლე. ტოტლებენი მარტო ერთ მხარეს, აწყურის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით, თისელის გზით ახლოს მდგარ უგარეთისა და ზედაუბნის გორაკზე ყოფილა განლაგებული, აწყურის ციხის ჩრდილო-დასავლეთიდან კი, მტკვრის მარცხენა ნაპირიდან მტერი თავისუფლად მოქმედებდა, იგი ახალ-ახალ შევსებას, საომარ იარაღსა და სურსათ-სანოვაგეს ღებულობდა ახალციხის ფაშასაგან. მაგალითად, 1770 წ. 18 აპრილს აწყურის ციხეში შეგზავნილ იქნა 2000 მაშველი მეომარი. ეტყობა ტოტლებენს დროის გაყვანა უნდოდა, იგი მოსწყენილი იყო ახალციხის ფაშას მიერ. ტოტლებენმა ახალციხის ფაშასთან საიდუმლო კავშირი დაამყარა ჯერ კიდევ ასპინძის ომის წინ, 1770 წ. დასაწყისში. ამას ადასტურებს რუსი ოფიცრების დაკითხვის ყაზანის სასამართლო ოქმები, სადაც ოფიცერი კარლო დე გრალი 1770 წ. 4 ოქტომბერს სასამართლოს უჩვენებს: „მე გამომიძახა გრაფმა ტოტლებენმა... მიბრ-

ძანა, ახალციხის ფაშასთან მიმეწერა პირველი წერილი შემდეგი სიტყვებით: რამდენიმე დღის წინად ჩემი რაზმიდან გაიქცა შვიდი ჰუსარი ქართველი თარჯიმანით და იმყოფება ხსენებულ ფაშასთან, თხოვდა მას, რომ ისინი მისთვის გამოეგზავნა, აეღო მათი გამოსასყიდი ფასი ან თურქებში გაეცვალა, რომლებიც მას არ ჰყავდა... მეორე წერილი, ფრანგულ ენაზე მისი (ტოტლებენის) ხელით დაწერილი.. ახალციხის ფაშას... გაუგზავნა". შემდეგ განაგრძობდა დე გრალი: „დეკემბრის დასაწყისში ვიღაცამ მოიყვანა შეპყრობილი ჯაშუში, ტომით ებრაელი, რომელიც, როგორც მე ბევრისგან გავიგონე, მოგზავნილი იყო ახალციხის ფაშასაგან. იგი თვეზე მეტხანს იყო დამწყვდეული ცხინვალის ციხეში ძლიერი დაცვის ქვეშ, რის შემდეგ გრაფმა გამოიძახა დასახელებული ებრაელი და მიბრძანა მე მისი (ტოტლებენის) ბრძანებით მისივე მდივნის, რომელიც მასთან იმყოფებოდა, ქრისტიანი ზიგეს ხელით დაწერილი წერილი ამ ებრაელისათვის მიმეცა და ამასთანავე მიმეცა 7 მანეთი, თვით კი გამოუცხადა მას (ჯაშუშს), რომ თუ ის მასთან დაბრუნდებოდა და პასუხს მოუტანდა, მისცემდა ას მანეთს: წერილის შინაარსი- მე არ ვიცი, და არავისაგანაც გამიგონია, მაგრამ როდესაც მე მეფესთან ვიყავი, მეფემ მკითხა, რა შემთხვევით გაუშვა გრაფმა პატიმრობიდან ის ებრაელი, რომელიც ჯაშუშად ითვლებოდა. ამაზე მე ვუპასუხე, რომ არ ვიცი, რისთვის ბრძანა გრაფმა მისი გაშვება-მეთქი".[1] აქედან უკვე ნათელია, რომ გენერალი ტოტლებენი ახალციხის ფაშას ჯაშუშთა ქსელში გაება და თავის საქმიანობით დიდი ზიანი მიაყენა ამ ლაშქრობას.

თავისი მოქმედებით იგი ახალციხის ფაშას საშუალებას აძლევდა ძალები მოეკრიბა და აწყურს შიშველებოდა, ხოლო ახალციხე და სხვა ციხე-სიმაგრეები უკეთესად გაემაგრებინა.

„თუ ტოტლებენს ციხის აღება ნამდვილად სურდა და ეს მას შესაძლებლად მიაჩნდა, მაშინ მას ციხის სრული გარემოცვა უნდა განეხორციელებინა"[2].

ტოტლებენმა ვერაგულად უღალატა მეფე ერეკლე მეორე-

---

1 ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, 1957, გვ. 111—112.

2 იქვე, გვ. 61.

სა და ქართველ ჯარს, აწყურიდან აიყარა და სასწრაფოდ უკან გაბრუნდა ბორჯომის ხეობით. ერეკლეს მან მოტყუებით რამდენიმე მეომარი, ცხენები და სახედრები გამოართვა, ვითომდა სადგერში დატოვებული თოფ-ზარბაზნების მოსატანად. სინამდვილეში კი 18 აპრილს ღამით თავის ჯარს ბარგი აჰკიდა და ჩუმად გააპარა, ხოლო მეორე დღეს, ე. ი. 19 აპრილს თვითონაც თან მიჰყვა.

ტოტლებენის მიერ აწყურის ციხის იერიში „ერეკლეს ცუდად ენიშნა. მართლაც, ოთხი დღის ამაო ბომბარდირების შემდეგ ახალციხიდან მოვიდა შვიდიათასი თურქი და ლეკი მეომარი. ტოტლებენმა რომ მტრის მოახლოება შეამჩნია, თავისი არტილერია ცხენებს აჰკიდა, ბრძოლის ველი დატოვა და სურამს დაბრუნდა“[1]. ტოტლებენი ბრძოლის ველს იმ დროს გაეცალა, როდესაც აწყურის ციხესთან მოსულ ლეკ-ოსმალთა ჯარიდან ლეკებმა ერეკლე მეფესთან შერიგება მოითხოვეს, მას მძევლებიც აძლიეს და სთხოვეს ნება დაერთო ქართველების მხარეზე გადასულიყვნენ, მაგრამ „ოსმანთ არ გამოუშვეს შესარიგებლად. ამავე დღეს აიყარა ტოტლებენი, წერს ერეკლე ა. გოლიცინს.... შევიტყვეთ, რომ უკან დაბრუნებას აპირებდა, და მსწრაფლად თვთ მე გამოუდეგ და მიველ ღრაფთან, ვნახე გზაზედ მიმავალი, ჯარი წინ გაესტუმრებინა და თითონ რაოდენითა მეზარბაზნით და მცირედის კაცით უკან მივიდოდა...

... მე მიველ და ღრაფს დიდად ვევედარე... გამობრუნებას მტერზედ“[2]. ერეკლეს ხვეწნა მუდარის შემდეგ გენერალი ტოტლებენი თვალთმაქცურად ორი ზარბაზნით უკან გამობრუნდა, მოსაჩვენებლად შორი მანძილიდან ოთხი-ხუთი ყუმბარა ესროლა აწყურის ციხეს და უკან გაბრუნდა ბორჯომის ხეობისაკენ. მან ერეკლეს პირობა მისცა, რომ ახლომახლო, კარგ საბალახო ადგილას გაჩერდებოდა...

ტოტლებენის ასეთი მოქმედება გაუმართლებლად მიუჩნევია ანტონ მოურავოვსაც და უცდია ტოტლებენზე ზეგავლე-

---

1 კაპიტანი დ ე გ რ ა ი დ ე ფ უ ა... გაზეთი „წითელი დროშა“, № 121. 10/X, 1964.

2 Грамоты... том II, вып. I, зд. 29.

ნის მოხდენა და უკან დაბრუნება, მაგრამ ამაოდ. ავანტიურისტმა გენერალმა ტოტლებენმა ვერაგულად უღალატა ქართველებსა და მეფე ერეკლეს. მას ერთადერთი მიზანი ჰქონია, როგორმე მეფე ერეკლე ჩაება ოსმალეთის წინააღმდეგ ომში და შემდეგ მიეტოვებინა. ზემოთ თქმულს ადასტურებს ამ ამბის მომსწრე გერმანელი მოგზაური გულდენშტედტი. ის წერს: „კაპიტანმა ივანე ლეონტიევმა მეფე ერეკლეს ბრილიანტებით მდიდრულად შემკული ანდრიას ორდენი გადასცა, „ხოლო გრაფს 50000 მანეთი ფული. როგორც კი გრაფმა ეს გაძლიერება მიიღო, ერეკლე მეფესთან ერთად, რომელსაც 4000 კაცი ჰყავდა, აპრილში დაიწყო საომარი მოქმედება. მათ გაილაშქრეს მტკვარზე მდებარე თურქულ ციხე აწყვერის წინააღმდეგ. მას შემდეგ, რაც გრაფმა მთავარ მიზანს მიაღწია — ერეკლე მეფე ნამდვილად ჩააბა თურქებთან ბრძოლაში, და ციხეს კი თავის განკარგულებაში მყოფი ქვემეხებით ვერა ავნო, წავიდა უკან ქრცხინვალისაკენ იმ საბაბით, რომ სურსათი მაკლიაო"[1].

ეხება რა გრაფ ტოტლებენის აწყურიდან უკან დაბრუნების საკითხს, ზაქარია ჭიჭინაძე წერს: „ტოტლებენის ღალატი სულ სხვა მრუდე გზით ახსნეს... მეისტორიეებმა ეს ბოროტება დასწამეს იმერლებს და იმერეთის მეფეს სოლომონ დიდს, რაც სამარცხვინო უნდა იყოს ჩვენთვის და ჩვენი ისტორიისათვისაც".

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მკვლევარი ზ. ჭიჭინაძე დიდად ამცირებს სახელოვანი მეფე-სარდლის, ერეკლეს პიროვნებას. იგი წერს: ტოტლებენის აწყურიდან უკან დაბრუნების „ამბის გაგონებამ მეფეზე მეტად ცუდად იმოქმედა. ამ დროს მეფემ (ერეკლე მეორემ — ს. ხ.) გენერალს დაუჩოქა, დაუწყო მუხლებზე კოცნა და ხვევნა, რომ ეხლა ღალატი არ იქნება, რაკი ოსმალნი მზად არიან, ნუ იქმთ ამას, თორემ უთქვენოდ მე ოსმალნი ქართველებს სულ დამიხოცავენო. გენერალმა უარი უთხრა. მეფე ერეკლე კი მაინც განაგრძობდა თავის თხოვნას და ხვეწნას. მეფე ერეკლეს ხვეწნამ სამ საათს გას-

---

[1] გულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, 1964, გვ. 225.

ტანა, მაგრამ გენერალი მაინც უარზე იდგა და წასასვლელად სამზადისს მიეცა. მეფე ერეკლემ კიდევ მიმართა თხოვნით და ცრემლით ეხვეწა". ზაქარია ჭიჭინაძე იმასაც კი იგონებს, თითქოსდა გენერალმა ტოტლებენმა უბის ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და მეფეს უთხრა: „აი ამ ქაღალდზე დაწერე და ხელი მოაწერე, რომ შენ საქართველოს რუსეთის სახელმწიფოს აძლევ და მე მხოლოდ მაშინ შემეძლება, რომ შევისმინო თქვენი თხოვნა და გიშველო, უამისოდ კი მე ნება არა მაქვს თქვენი შველისა-ო"[1]. ეს ცნობა სინამდვილეს მოკლებულია.

უნდა აღინიშნოს, რომ იმდროინდელი ისტორიკოსები თუ მემატიანეები — დავით ბატონიშვილი, მდივანბეგ ომან ხერხეულიძე და მატიანე „შედეგი კახეთის ცხოვრებისა", ავანტიურისტ და მოღალატე ტოტლებენის უკან დაბრუნებას მიაწერენ ზოგიერთი ქართველის მიერ „ავი სიტყვების" მიტანას გრაფ ტოტლებენთან. მაგალითად, დავით ბატონიშვილი წერს: „წარმოიშო რომელთამე ვერაგთა ქართველთაგან შორის მეფისა და გრაფსა სამდურავი, სადაც აწყურით დაბრუნდა ღრაფი"[2]. თითქმის ასეთსავე აზრს იმეორებს მეფე ერეკლე მეორის იმდროინდელი ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე: „ხოლო შთააგდეს შური ბორჩალოთა კაცთა და უზიდევდენ ღრაფ ტოტლებენს ავსა სიტყვასა და ამის ძალით შემოსწყრა ღრაფი ტოტლებენი მეფესა, აიყარა თავისის ჯარით და წარმოვიდა".

ტოტლებენის ღალატს ბაგრატ ბატონიშვილი იმერეთის მეფე სოლომონ პირველს მიაწერს: „მეფემან სოლომონმან მსმენელმან ამისაგან უღალატა მეფესა ირაკლის, უკან იქცა თვითცა და უკუნ აქცივა რუსეთის მხედრობაცა, რომელნიცა წარმოვიდნენ მხედრობანი რუსთანი რუსეთსავე".[3]

უნდა აღინიშნოს, რომ დავით და ბაგრატ ბატონიშვილების ცნობები სანდო არ არის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით; მაგალითად, ისეთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტიც კი, როგორიც იყო ასპინძის ომი, სწორედ არა აქვთ დათარიღებუ-

---

1 ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, ასპინძის ომის ისტორიის სიყალბე და რუსეთის გენერალ ტოტლებინის ღალატის სინამდვილე, 1920, გვ. 12—13.

2 დ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი ისტორია, ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის რედაქციით, 1941, გვ. 11.

3 ი ქ ვ ე, გვ. 54.

ლი. დავით ბატონიშვილი ასპინძის ომის თარიღად მიიჩნევს 1769 წელს, ხოლო ბაგრატ ბატონიშვილი — 1768 წელს. ტოტლებენის უკან დაბრუნების მიზეზად პროფ. ს. კაკაბაძე რუსი ოფიცრების აჯანყებას ასახელებს, რაც არ არის სწორი. იგი წერს: „ტოტლებენის მიერ ბრძოლის ველის მინებების მიზეზი იყო მის წინააღმდეგ ზოგი რუსის ოფიცრის შეთქმულება, რომელშიდაც ეჭვიანმა გენერალმა რუსის მთავრობის მიერ საქართველოში დანიშნული რეზიდენტი (ანტონ მოურავოვი — ს. ხ.) და თვით მეფეც (ერეკლე — ს. ხ.) გარია“[1].

გენერალმა ტოტლებენმა, ვიდრე ახალციხეზე გაილაშქრა, და, თავის წინააღმდეგ შეთქმული ოფიცრები დააპატიმრა და დროულად თავიდან მოიცილა. ამრიგად, აწყურთან ბრძოლის ღროს მის გარშემო მხოლოდ და მხოლოდ ერთგული ოფიცრები იყვნენ.

ტოტლებენმა პირველად 1770 წლის თებერვალში შეიპყრო რუსეთის არტილერიის ნოვატორი, ყველაზე ჭკვიანი და ნიჭიერი პოდპოლკოვნიკი ს. ჩოლოყაშვილი, გაძარცვა და ბადრაგით რუსეთში გაგზავნა. მიუხედავად იმისა, რომ ს. ჩოლოყაშვილი საქართველოში გამოგზავნილი იყო -რუსეთის იმპერიის გენერალური პროკურორის ვიაზემსკისა და სამხედრო კოლეგიის წინადადებით, გრაფი მაინც არ მოერიდა მის დაპატიმრებას. ტოტლებენის მიერ ს. ჩოლოყაშვილის უმიზეზოდ დაპატიმრების შესახებ წერს თვით ტოტლებენის ადიუტანტი: „პოდპოლკოვნიკ რატიევთან (რატიშვილი) ერთად ჩამოვიდა რუსეთიდან აგრეთვე პოდპოლკოვნიკი ჩოლოყაევი (ჩოლოყაშვილი — ს. ხ.), რომელმაც ერეკლე დაითანხმა ტოტლებენთან ერთად 1770 წლის პირველ აპრილს ახალციხეზე გალაშქრებაზე. ამიტომ, როცა ჩოლოყაევი ცხინვალს მოვიდა, მას შარი მოსდო, ჩემი ბრძანების გარეშე თბილისს რად ჩამოიარეო, დააპატიმრა იგი და რუსეთს გაგზავნა“. ცხადია, რომ ტოტლებენმა სრულიად უდანაშაულოდ დააპატიმრა ს. ჩოლოყაშვილი. „რაკი ჩოლოყაშვილის წინააღმდეგ საჩივრის აღ-

---

1 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საქართველოს მოკლე ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, 1920, გვ. 114.

ძვრის საფუძველი არ არსებობდა ის გაათავისუფლეს, მაგრამ ტოტლებენის მიერ ნაძარცვის დაბრუნებას ვეღარ ეღირსა".[1]

1770 წლის 3 აპრილს გენერალმა ტოტლებენმა მაიორი რემენნიკოვი და ოფიცერი ჩოგლოკოვი დააპატიმრა. თითქოსდა შეთქმულებს გრაფი ტოტლებენი უნდა დაეღუპათ და რუსეთის კორპუსი ჩოგლოკოვს უნდა ჩაებარებინა.

ამის შესახებ კაპიტანი დე გრაი დე ფუა წერს: „ქედმაღალმა და ქარაფშუტა ჩოგლოკოვმა სურამში ჩამოსვლისთანავე რამდენიმე პირის თანდასწრებით რემენნიკოვის კარავში განაცხადა, რომ მას დავალებული აქვს თვალყური ადევნოს გრაფ ტოტლებენის ყოფა-ქცევას. თუ გენერალი არ დაიშლის თავის ჟინიანობას, მას იგივეს დამართებს, რაც პრუსიაში დაემართა. (ცნობილია, რომ პრუსიაში ტოტლებენი თავისმა ოფიცრებმა შეიპყრეს და პეტერბურგში ჩამოიყვანეს, შემდეგ იმპერიიდან გააძევეს)"[2].

საინტერესოა, ვინ შეატყობინა ტოტლებენს შეთქმულების ამბავი?. მკვლევარი ვალერიან მაჭარაძე წერს: „რაც შეეხება შეთქმულებას, ტოტლებენმა ყალბი მოწმის დასახელებაც კი ვერ შესძლო; ვერ დაუსახელა სასამართლოს, თუ ვინ შეატყობინა მას, რომ 3 აპრილს მისი დაღუპვა იყო დანიშნული". აქამდე უცნობი იყო ის პიროვნება, რომელმაც გრაფ ტოტლებენს შეატყობინა ოფიცერთა შეთქმულება. ამ ამბავს ნათელი მოჰფინა კაპიტან დე გრაი დე ფუას დღიურის გამოქვეყნებამ.

აღნიშნულ დღიურში ვკითხულობთ, რომ ჩოგლოკოვის ზემოთ ნათქვამი სიტყვები ლეიტენანტმა ნავროზოვმა ტოტლებენს მოახსენა. ტოტლებენმა დრო არ დაკარგა, მყისვე დააპატიმრებინა ჩოგლოკოვი და რემენნიკოვი და რუსეთს გაგზავნა. ეტყობა, ჯაშუშ ნავროზოვს ტოტლებენმა სიტყვა მისცა, რომ არ გასცემდა და ამიტომ გენერალმა მეფის რუსეთის სასამართლოს მოწმე არ დაუსახელა, მიუხედავად იმისა, რომ „... უამისოდ სასამართლო მათ არავითარ სასჯელს არ ადებსო"[3].

---

1 ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, 1957, გვ. 89.

2 კაპიტანი დე გრაი დე ფუა, გაზეთი „წითელი დროშა", № 121, 10/X, 1964.

3 ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, 1957, გვ. 90.

მიუხედავად იმისა, რომ გენერალმა ტოტლებენმა მკაცრად დასაჯა ყველა შეთქმული აწყურის ციხის იერიშის წინ და მას მოწინააღმდეგე აღარ ჰყავდა, მაინც ვერაგულად უღალატა მეფე ერეკლეს. ამ მდგომარეობამ დიდი უკმაყოფილება და უნდობლობა გამოიწვია ტოტლებენისადმი არა მარტო რუს ოფიცრებში, არამედ თვით ჯარისკაცთა შორისაც. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ შემდეგ გენერალ ტოტლებენის წინააღმდეგ ყველაზე აშკარად გამოვიდნენ პოდპოლკოვნიკი რატიევი (რატიშვილი) და ბოგდანოვი, რომლებმაც გრაფ ტოტლებენის დაპატიმრება მოინდომეს დაბა სურამში. რატიევთან ერთად ამ შეთქმულებაში მონაწილეობდნენ პატიმრობიდან გამოქცეული ჩოგლოკოვი და ანტონ მოურავოვი, რომლებსაც მეფე ერეკლეც დაუყოლიებიათ თავიანთ განზრახვაზე ტოტლებენის დაპატიმრების შესახებ. „რატიევმა, ჩოგლოკოვმა და მოურავოვმა, — წერს კაპიტანი დე გრაი დე ფუა, — დაიყოლიეს ერეკლე, თავისი ჯარით ჩასულიყო სურამს, დაეპატიმრებინა ტოტლებენი და გაეგზავნა რუსეთს". სწორედ ამ შეთქმულების წინა დღეს, სურამიდან თბილისში ჩასულა გენერალ ტოტლებენის ადიუტანტი კაპიტანი დე გრაი დე ფუა, რომელსაც მეფე ერეკლესათვის განუცხადებია: — „თქვენი გეგმა იცის გენერალმა, ამიტომ ის მომზადებული დაგხვდებათ. ამას გარდა იცოდეთ, რომ თავისი ჯარი არ გასწირავს მას და ატყდება სისხლისმღვრელი ბრძოლა, რასაც მისი უდიდებულესობა — რუსეთის იმპერატორი არ გაპატიებთ. ესეც რომ არ იყოს, მართალია, ტოტლებენის საქციელი საძრახისია, მაგრამ მისი გასამართლებისა და დასჯის უფლება საქართველოს მეფეს არა აქვს". მეფე ერეკლეს ფრანგი კაპიტნის დე გრაი დე ფუას გონივრული აზრისათვის ანგარიში გაუწევია და თავის განზრახვაზე ხელი აუღია. გენერალ ტოტლებენს შეუტყვია თუ არა შეთქმულების ამბავი, სასწრაფოდ სურამის ჩრდილოეთით, რუსეთისაკენ გასასვლელი კარი — დუშეთის და ანანურის ციხესიმაგრე დაუკავებია. ყოველ შემთხვევისათვის, თუ მეფე ერეკლე თავისი ჯარით ტოტლებენს თავს დაესხმოდა, მას საშუალება ექნებოდა გასცლოდა და დარიალის გზით უკან— რუსეთში დაბრუნებულიყო.

1771 წლის 22 აპრილს სამხედრო კოლეგიის უმაღლესმა

სასამართლომ, რომელსაც თავმჯდომარეობდა ყაზანის გუბერ-ნატორი ბრატინი, გამოიტანა განაჩენი: პოლკოვნიკ რატიევსაც და ოფიცერ ბოგდანოვსაც „ოფიცრის ჩინი ჩამოერთვათ და ჯარისკაცებად იქნენ განწესებული"[1]. დასჯილი რატიევი „გა-იგზავნა პირველ არმიაში, სადაც მალე ისახელა თავი და სა-ხელმწიფო საბჭომ 1771 წლის 10 დეკემბერს, რუმიანცევის შუამდგომლობით, იგი პოდპოლკოვნიკის წოდებაში აღადგი-ნა". დანარჩენი ბრალდებულები: დე გრალი, ხვაბულოვი (ქო-ბულაშვილი), ნაზაროვი, ყაზანის სამხედრო სასამართლომ დამ-ნაშავედ არ სცნო, მაგრამ ტოტლებენის საიდუმლოების გაცე-მისათვის ისინი თითო ჩინით მაინც დააქვეითა.

ზემოთ თქმულიდან ირკვევა, რომ აწყურიდან ტოტლებენის უკან დაბრუნებაში რუს ოფიცრებს არავითარი ბრალი არ მი-უძღვით. როგორც საბუთების შესწავლით ირკვევა, რუსი ოფიცრები კი არ იყვნენ შეთქმულნი, არამედ თვით ტოტლე-ბენი იყო შეთქმული ოფიცრების წინააღმდეგ და 1770 წლის თებერვლიდან, თანდათანობით, მოხერხებულად იცილებდა მათ თავიდან; ხოლო როცა აწყურის ციხესთან მან უმსგავსო საქციელი ჩაიდინა — მოკავშირე ბრძოლის ველზე მიატოვა და ახალციხის ფაშასთანაც საეჭვო მიმოწერა გააბა. პატიოსანი ოფიცრები დაეჭვდნენ და აშკარად გამოვიდნენ ტოტლებენის წინააღმდეგ. ასეთია ისტორიული სინამდვილე[2].

იმდროინდელი მთავრობის უპირველესი მინისტრი გრაფი ნ. პანინი მეფე ერეკლეს უსაყვედურებდა, „შენ და შენი ჯარი გულხელდაკრეფილი იდექით აწყურთან და გენერალ ტოტლე-ბენის „გმირულ ბრძოლებს უყურებდით". აუცილებელია აღინიშნოს, რომ აწყურის ციხესთან მომხდარ შეტაკებებში ქართველი ჯარი აქაურებს (რუსებს) ნაკლებად ეხმარებოდნენ მხოლოდ მაყურებლის როლში გამოდიოდნენ მხოლოდღა მა-შინ, როდესაც ტოტლებენმა უკან დახევა იწყო, გადაწყვიტეს (ქართველებმა) ბრძოლა თვითონ დაეწყოთ. აქედან შეიძ-ლება ასეთი დასკვნის გაკეთება, რომ იმათ (ქართველებს) უნდოდათ ქართული სისხლის დაცვა და რუსული სისხლის

---

[1] ვ. მაჭარაძე. ასიპნძის ბრძოლა, 1957, გვ. 93.

[2] იქვე.

დაღვრა. იმის Მიუხედავად, რომ საქმე მიდის არა რუსეთის სასარგებლოდ, არამედ საქართველოს სასარგებლოდ და თქვენ საკუთარ სახელზე"[1]. ეს სრული სიცრუეა და ისტორიულ Ჭეშმარიტებას ეწინააღმდეგება.

ტოტლებენს აწყურთან სულ ექვსასი მეომარი Ჰყავდა, განა შეიძლებოდა ახალციხის საფაშოზე ლაშქრობისას ერეკლე მას დაყრდნობოდა? მაშ რატომ ითხოვდა ერეკლე ამ ლაშქრობისათვის რუსეთიდან დაᲯინებით 15 პოლკს?

ზემოთ აღნიშნულ ავტორთა თვალსაზრისს უარყოფენ თვით გენერალი ტოტლებენი და რუსეთის მთავრობის წარმომადგენელი ლვოვი, თავიანთ მოხსენებით ბარათებში, რომლებიც ორივემ რუსეთის მთავრობას წარუდგინეს თავის გასამართლებლად. გრაფ ტოტლებენის მიერ მტრის ქვეყნიდან უკან დახევა და ერეკლეს მიტოვება, მისი მოხსენების მიხედვით, თითქოს მოხდა სურსათის ნაკლებობის გამო.

13 მაისს ლვოვი წერდა, რომ მხოლოდ მოახლოებულმა შიმშილმა გვაიძულა დავბრუნებულიყავით... მტრის ქვეყანაში რომ გავედით, მხოლოდ ექვსი დღის საკმარი პური გვქონდა, ხოლო ქართველები სოფლებს ძარცვავდნენ"[2]. ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე ყოველთვის დიდი გულისყურით ეკიდებოდა რუსეთის Ჯარის მომარაგებას და მის უზრუნველყოფას სურსათით. ბევრᲯერ მეფე მათ სურსათ-სანოვაგეს უფასოდაც ან ნახევარ ფასში აძლევდა. ერეკლე II თავის ხელქვეითებს მკაცრად სთხოვდა რუსებისათვის განკუთვნილი სურსათ-სანოვაგე, შეშა და ფურაᲟი დროზე მიეტანათ.

აი რას წერს მეფე ერეკლე Ჯერ კიდევ 1770 წლის 16 იანვარს ზემო ქართლის სარდალს ამილახვარს: „...რუსებისათვის მისატანათ ვიზედაც შეწერილი ბზე და შეშა იყოს დარჩომილი ახლავ მიუტანეთ და თუ ამ იანვრისათვის ის არ ეყოფოდესთ, როგორც წინაზე სოფლებისათვის ბზე და შეშა შეგვეწეროსთ ამ იანვრის საყოფი შეაწერეთ და მიუტანეთ. ამაზე ბეᲯითი იყავით, რომ შეშა და ბზე არ დააკლდესთ. ამ იანვრის საყოფი გაურიგეთ, რაც ერისთვის ყმაზე იყოს, იასაულები გაგზავნე

---

1 Грамоты... том I, გვ. 256.

2 ი ქ ვ ე, გვ. 200.

მიატაინე, რაც საკათალიკოზოზე არის შოშია სარდალისათვის ოქმი მიგვიწერია. გაუგზავნე მიატაინე. ერთი პირი ჯარი ახლა მოსასვლელია რუსისა. პატარა ლიახვზე უნდა დადგეს. ყველგან ყადაღა უყავით ფქვილი, ქერი მზად დაიჭირონ გასასყიდათ. თქვენც პატარა გაიძარით, საქმე ნახეთ, საქმეზე ბეჯითი იყავით"[1]. აქედან ნათლად ჩანს, რომ მეფე ერეკლეს არა მარტო საქართველოში მყოფი რუსეთის ჯარი მოუმარაგებია ყველაფრით, არამედ იმის თადარიგიც დაუჭერია, თუ ახალი ჯარი ჩამოვიდოდა წინასწარ უზრუნველეყოთ ყოველგვარი პროდუქტით.

გრაფი ტოტლებენი და კაპიტანი ლეონი მოხსენებით ბარათებში თავს იმართლებდნენ პროდუქტების უკმარობით, რაშიც მეფე ერეკლეს ადანაშაულებდნენ. მათ მოხსენებით ბარათებზე დაყრდნობით რუსეთის მეფის მთავრობას საპატიოდ მიუჩნევია ტოტლებენის უკან დაბრუნება, მეფე ერეკლეს მიმართ კი საყვედური გამოუთქვამთ. გრაფი ნ. პანინი ამის შესახებ მეფე ერეკლე მეორეს წერს: „თქვენ და პოლკოვნიკი რატიევი მოღალატეობას აბრალებთ გრაფ ტოტლებენს. რატიევი ტოტლებენს (ბრალდებას) ვერ უმტკიცებს, თქვენ კი მოტივად მოგყავთ მხოლოდ აწყურიდან უკან დაბრუნება. ტოტლებენს თქვენგან პირობა ჰქონდა, რომ სურსათ-სანოვაგით მოამარაგებდით, მაგრამ თქვენ სურსათს არ აწვდიდით და ჯარი დამშეული იყო. ეს იყო მიზეზი აწყურიდან უკან დაბრუნებისა".[2] მეფე ერეკლეს საყვედურს წერს ეკატერინე მეორეც. მაგრამ ეს არ შეეფერება სინამდვილეს. არა ერთი საბუთი მოიპოვება ზემოთ თქმული მონაჭორის გასაბათილებლად მაგალითად: თვით ტოტლებენის ადიუტანტი კაპიტანი დე გრაი დე ფუა ამის შესახებ წერს: „პირველ აპრილს სურამში მოვიდა ერეკლეც საჭირო რაოდენობის ქართველი ჯარით. გრაფმა მას მოსთხოვა სურსათ-სანოვაგე; ერეკლემაც ბრძანება გასცა და თხუთმეტი დღის საყოფი სურსათ-სანოვაგე მიაწოდა რუსთა მხედრობას".

ქართველებს თავიანთი ხარჯი თვითონვე ჰქონდათ წამოღე-

---

1 საქართველოს მუზეუმი, ფონდი Hd, საბ. 1346.

2 Грамоты... том I, стр. 256.

ბული. პირიქით, ტოტლებენს იმდენი სურსათ-სანოვაგე ჰქონდა, რომ ნაწილი სურამში დაუტოვებია და მოჭარბებული კი ქართველი მეომრებისათვის მიუყიდია. მეფე ერეკლე 1770 წლის 10 მაისს გოლიცინს წერს: „როდესაც ქვიშხეთიდამ მტერზედ განვემზადენით რაც სურსათი მთხოვა ღრაფმა პური და ქერი უშოვნეთ, ასე რომ სურამშიაც მრავალი დააგდო, და საკლავიც უშოვეთ, ამაების ზოგისა ფასი არცკი მიუცია. რადგან ჩვენი ჯარი დიდიხნის გამოსული იყო თავის ადგილთაგან, ვისაც პური და ქერი შემოაკლდა, იმის (ტოტლებენის) მესურსათისაგან იყიდეს; თვითონ მე, რავდენისამე ჩვენის ჯარის კაცისათვს მეც ვიყიდე პური და ქერი — რაც რომ მთის კაცნი შორიელნი გვახლდენ იმ ჯარისთვის“.[1]

დავუშვათ, რუსეთის სამეფო კარის ვიცე-კანცლერის თავად გოლიცინის წინაშე მეფე ერეკლე თავს იმართლებს წერილით, მაგრამ ამასვე ადასტურებს რუსეთის რწმუნებული საქართველოში ანტონ მოურავოვიც. იგი 1770 წლის 19 აპრილს ტოტლებენს სწერს: „ერეკლე მეფეს გაგზავნილი ჰყავს 500 მეომარი მოწინააღმდეგის სოფლებში სურსათ-სანოვაგის მოსატანად. ეშვს გარეშეა, რომ ისინი სანოვაგეს მოიტანენ და საკუთრად თქვენი პერსონალისათვის გიგზავნის რამოდენიმე გამომცხვარ პურს, ჩემის მხრიდან თავს უფლებას ვაძლევ მოგახსენოთ, რომ თვით ერეკლესაც აღარ აქვს სურსათ-სანოვაგე თავისი მეომრებისათვის, თუმცა თავისი ხალხისათვის ნაბრძანები აქვს სურსათის შოვნა“. ტოტლებენსა და მის ჯარს რომ 19 აპრილისათვის სურსათ-სანოვაგე არ ჰკლებიათ, ამას მოწმობს ტოტლებენის ერთგული მოხელის კაპიტან ლვოვის წერილი, რომელიც რუსეთში მიუწერია: რუსებს 6 დღისათვის საჭირო პურის მარაგი ჰქონდათ, ისინი მტრის ქვეყანაში 15 აპრილს შევიდნენ და 6 დღის მარაგი 21 აპრილამდე ეყოფოდათ“. დავუშვათ, რომ სურსათის ნაკლებობას მართლაც ჰქონდა ადგილი. განა სურსათის უქონლობით ჯარი ფრონტს სტოვებს? განა ეს მოკავშირე ჯარის მტრის პირისპირ მიტოვებას ამართლებს?“[2].

---

1 Грамоты... том II, вып. I, стр. 27.

2 ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, 1951, გვ. 65.

აწყურის სამხედრო ლაშქრობის მარცხის მიზეზად ზოგიერთი მკვლევარი ორ სარდლობას ასახელებს. თითქოსდა მთავარსარდლობა სურდათ გრაფ ტოტლებენსაც და მეფე ერეკლე მეორესაც. არც ეს მოსაზრებაა სწორი. აწყურის საომარი გეგმებიდან და მისი მსვლელობიდან ნათლად ჩანს ის ამბავი, რომ დიდ სარდალსა და სამხედრო სტრატეგს მეფე ერეკლეს აწყურის ბრძოლის ხელმძღვანელობა თვითონება გრაფ ტოტლებენისათვის მიუნებებია. ხოლო როდესაც ტოტლებენს აწყურიდან უკან დაბრუნება გადაუწყვეტია და ეს ამბავი მეფე ერეკლეს გაუგია, სასწრაფოდ ტოტლებენს ხლებია. აი რას სწერს ამის შესახებ მეფე ერეკლე გრაფ გოლიცინს 1770 წლის 10 მაისს: „მე მიველ და ღრაფს დიდად ვევედრე და ჩემი თავი ვითა ერთი მისისა კამანდისა ოფიცარი ეგრეთ კამანდაში ვაძლივე, და მრავალს ვევედრე გამობრუნებას მტერზედ“. ყოველივე ზემოთ თქმულის შემდეგ, ბუნებრივია, ისმება კითხვა: მაშ რა იყო მიზეზი ავანტიურისტ გენერალ ტოტლებენის აწყურიდან უკან დაბრუნებისა?

ეს იყო ვერაგული ღალატი მეფე ერეკლესადმი. ავანტიურისტ გენერალს მეფის რუსეთის ნებართვით გადაწყვეტილი ჰქონდა ქართლ-კახეთის სამეფოს ტახტიდან მოეშორებინა ერეკლე და რუსეთის იმპერატორის სახელით ემართა საქართველო, თუ ამის შესაფერისი მომენტი მიეცემოდა.

აწყურიდან გენერალ ტოტლებენის უკან დაბრუნების შესახებ რუსეთის სამხედრო ისტორიკოსი პოტო წერს: „აწყურიდან უკან დაბრუნებით მეფეს აჩვენა ტოტლებენმა პირდაპირი ღალატი იმ საქმეებში, რომლის გულისთვისაც ის იყო გამოგზავნილი საქართველოში. უფრო მეტიც, მეფე ირაკლის თურქეთის საზღვრებში ყოფნის დროს ხალხში ხმა გავრცელდა, რომ ტოტლებენი სურამში დაბრუნდა იმ მიზნით, რომ მიეყვანა ქართველები ფიცის მისაღებად და ებრძანებინა მათთვის მისი უმაღლესობის (რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-ის — ს. ხ.) სახელით, რომ მათ არ ეცნოთ ერეკლე თავიანთ მფლობელად“[1].

მართლაც, რუსეთის იმპერიის სამეფო კარის თანხმობითა

---

[1] Исторический очерк Кавк. воин, გვ. 110.

და ნებართვით გერმანელმა ავანტიურისტმა და პატივმოყვარე გენერალმა ტოტლებენმა მტრის ქვეყანაში მეფე ერეკლეს ვერაგულად მიტოვებით „ერთი ჟამი დაიხელა“, ის იმედოვნებდა რომ მეფესა და ქართველ ჯარს თურქები და ლეკები ახალციხის მიდამოებში ამოხოცავდნენ. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ ტოტლებენს მეფე ერეკლესათვის ანდრია პირველის ორდენიც კი შეშურდა, ხოლო გენერალ ტოტლებენის თანამოსაქმე ლვოვს განზრახული ჰქონია მეფე ერეკლეს დაპატიმრება და ორდენის ჩამორთმევა. იგი 1770 წლის 7 მაისს ანანურიდან პოლკოვნიკ პერფილევისადმი გაგზავნილ წერილში წერდა. „ეხლა აუცილებლად დაადგინეს, დაბრუნდება რა ტომსკის პოლკი, მეფე ირაკლის ორდენი ჩამოერთვას და გაიგზავნოს რუსეთში. თავადები მოწინააღმდეგის პარტიისა, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, შევავიწროვოთ და მთელი საქართველო ქვეშევრდომად მის უმაღლესობას (იმპერატორ ეკატერინე II-ეს — ს. ხ.) ვაახლოთ. ქვეშევრდომობის მისაღებად საქართველოსათვის 8000 კაცი სრულიად საკმარისი იქნება“.[1]

პატივმოყვარე გენერალს სურდა რუს-ქართველთა მთელი ჯარი და თვით მეფე ერეკლეც უსიტყვოდ დამორჩილებოდა მის მიერ დასახულ უსუსურ გეგმას და ბრძანებებს. მაგრამ მეფე ერეკლე არ იყო ისეთი სარდალი, რომ ტოტლებენის სულელურ სურვილებს აჰყოლოდა. ბოლოს მეფე ერეკლეს პრინციპულმა გადაწყვეტილებამ, მარტო თვითონ გაელაშქრა მტერზე, ტოტლებენი აიძულა უკან გამოჰკიდებოდა. გონიერმა მეფე ერეკლემ აქედანვე შეატყო, რომ იგი საიმედო არ იყო. მეფისათვის ისიც ნათელი ყოფილა, თუ რატომ უღალატა ტოტლებენმა აწყურთან. ფრანგი კაპიტანი დე გრაი დე ფუა ამის შესახებ წერს: უკან დაბრუნებულმა ტოტლებენმა „იქიდან (სურამიდან — ს. ხ.) ერეკლესთან მე გამაგზავნა და დამაბარა: — პური გამომელია და ქართლში დავბრუნდი მის საშოვნელადო.

ერეკლემ ციცად მიმიღო. მან სთქვა: — მე კარგად ვხედავ იმ მიზეზს, რისთვისაც მიღალატა და მიმატოვა გრაფმა. მას

---

[1] Исторический очерк Кавк. воин, გვ. 110.

იმედი აქვს, რომ ამ ომში თურქები ბოლოს მომიღებენ, თვითონ კი ჩემს სამეფოს ხელში ჩაიგდებს, მაგრამ თქვენ თუ ჩემთან დარჩებით, თქვენი თვალით დაინახავთ, როგორ გაუცრუვდება იმედი გენერალს. შემდეგ ამის შესახებ შეგიძლიათ მოახსენოთ მას".

მეფე ერეკლესათვის უკვე ყველაფერი ნათელი გამხდარა, იგი ცდილობდა საქმე ისე წარემართა, რომ ლეკ-ოსმალებისათვის ცნობილი არ გამხდარიყო ტოტლებენის უკან დაბრუნების ამბავი.

ტოტლებენი კვლავ დასავლეთ საქართველოში გადაიხვეწა. ასეთი უთავბოლო ხეტიალით მან ქართველ მეფეთა და მთავართა შორის შუღლი და მტრობა გააძლიერა. ქართველი სახელმწიფო მესვეურები ბოლოს ამაში აშკარად დარწმუნდნენ. აღნიშნულის შესახებ რუსეთის სამეფო კარს მეფე სოლომონ I წერს: ტოტლებენის „ამა უწესოთა მიმოსვლითა მეფე ირაკლი და ჩვენ ძმობისა და ერთსულობისაგან ფრიად განგვყო და განგვაშორა, და რამდენნიმე მიზეზნი და სავნებელნიცა სიტყვანი დასთესნა შორსა ჩვენსა"-ო.

ტოტლებენის ვერაგული ღალატით „...ფაქტიურად ჩაიშალა საომარი კამპანია ყველაზე მოსახერხებელ ვითარებაში, რითაც საქართველოსთან ერთად რუსეთსაც დიდი ზიანი მიაყენა"[1].

ყოველივე ზემოთქმულიდან შემდეგი დასკვნა უნდა გავაკეთოთ: გენერალ ტოტლებენის ამგვარი მოქმედება შესაძლებელია სხვადასხვაგვარად იქნეს გაგებული.

მკვლევართა ერთი ნაწილი ამას მიიჩნევს ტოტლებენის თვითნებურ მოქმედებად. ისინი ფიქრობენ, რომ ამ შემთხვევაში იგი ღალატობდა რუსეთის მთავრობას. ამ მოსაზრებას აძლიერებს ის გარემოებაც, რომ გენერალი ტოტლებენი ადრეც იყო შემჩნეული მეფის რუსეთის ღალატში, კერძოდ, პრუსიაში, შვიდწლიანი ომის დროს (1756—1763).

მეორე მხრივ ეჭვის აღმძვრელია საქართველოდან უკან გაწვეული ტოტლებენის დიდი პატივით მიღება რუსეთის სამეფო კარზე პეტერბურგში, მისი დაჯილდოება წმინდა ალექ-

---

[1] ვ. მ ა ჯ ა რ ა ძ ე, ასპინძის ბრძოლა, 1957, გვ. 106.

სანდრეს ორდენით და მოქმედი კორპუსის მეთაურად განწესება პოლონეთში.

გენერალ ტოტლებენს რომ რუსეთის სამეფო კარის დაუკითხავად ემოქმედა საქართველოში, მის მოწინააღმდეგე რუს ოფიცრებს არ გაასამართლებდნენ, რომელთა ერთი ნაწილი დააქვეითეს, ხოლო მეორე ნაწილი — გადაასახლეს.

ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ კი აშკარაა, გენერალ ტოტლებენის უტაქტო მოქმედებამ რუსეთ-თურქეთის ომის მსვლელობის პერიოდში, არა მარტო საქართველოს, არამედ თვით რუსეთის ინტერესებსაც დიდი ზიანი მიაყენა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ ამ ორი მოსაზრებიდან რომელი შეეფერება სინამდვილეს, მომავალი კვლევა-ძიება გამოარკვევს.

IV თავი

ქართველების გმირული ბრძოლა აწყურისა და ასკინძის მიდამოებში

გენერალ ტოტლებენის ვერაგულმა ღალატმა ქართველ ლაშქარში დიდი არეულობა და აღშფოთება გამოიწვია. ქართველები ხმამაღლა გაჰყვიროდნენ ტოტლებენის ვერაგულ ღალატზე და შურის საძიებლად იწევდნენ იქ დარჩენილ რუსეთის წარმომადგენელ ანტონ მოურავოვზე და იმ რუს ყაზახებზე, რომლებიც ტოტლებენს არ გაჰყვნენ და გადასწყვიტეს ამ საბედისწერო, კრიტიკულ მომენტში მეფე ერეკლესთან დარჩენილიყვნენ. აი რა სწერს ანტონ მოურავოვი 1770 წლის 30 აპრილს ტოტლებენს: რუსების უკან დაბრუნებიდან „არ გასულა ნახევარი საათი, რომ ჯარში ატყდა უსიამოვნო ლაპარაკი და ყვირილი. ყველა მათგანი ყვიროდა, რომ თქვენმა ჯარმა გვიღალატა და უკან წავიდა, ჩვენ მარტონი დაგვტოვა და უსათუოდ დავიღუპებითო. სწორედ ამ დროს მტერი ყოველ მხრიდან ურტყამდა. ისინი (ქართველები — ს. ხ.) გამხნევების მაგივრად ერთიმეორეს ამ მწუხარებას უძლიერებდნენ. ეს ამბავი იქამდე მივიდა, რომ სტოვებდნენ ყველაფერს და ბანაკიდან გარბოდნენ, მიუხედავად თავიანთი მეთაურების წყრომისა და მოფერებისა, და მეფის დასწრებისა... ზოგი იმ ზომამდე მივიდა, რომ ხმლები იძრეს და ჩემს მოხელეებსა და ყაზახებს დახოცვა დაუპირეს. მე ტკბილი სიტყვებით და მეთაურების დახმარებით დავაწყნარე ისინი. ამ მდგომარეობამ ერეკლე მიიყვანა საშინელებამდე. როგორც იქნა, მეომრები ცოტა დააშოშმინეს და აწყურიდან სამი კილომეტრის დაშორებით შეჩერდნენ"[1].

---

[1] Грамоты... том I. გვ. 105.

ამ ამონაწერიდან უკვე ნათელი ხდება თუ როგორი ამბავი გამოიწვია ქართველებში ტოტლებენის ვერაგულმა ღალატმა და აწყურიდან მისმა უკან დაბრუნებამ. „ტოტლებენის საქციელმა ქართველთა ჯარში აღშფოთება, არევ-დარევა და შიში გამოიწვია. მტერმა რაკი ეს შეამჩნია, გული მოეცა, ციხიდან გამოვიდა და ქართველებს თავს დაესხა. ერეკლემ ჯარის რჩეული ნაწილი შეახვედრა მტერს და დაზარალებული ის ისევ ციხეში შერეკა“[1].

მეფე ერეკლემ ახალ გარემოებასთან და მოვლენებთან დაკავშირებით სასწრაფოდ შეცვალა საომარი მოქმედების გეგმა, რადგან პირველი სამოქმედო გეგმა — რუს-ქართველთა მთელი ძალებით ქ. ახალციხეზე იერიშის მიტანა — აღარ გამოადგებოდა. ტოტლებენის მოულოდნელად უკან დაბრუნებით მკვეთრად შეიცვალა ძალთა თანაფარდობა და ვითარებაც, მაგრამ ტოლებენის გაქცევამ ვერ შეაკრთო მრავალჭირნახული სარდალი. ერეკლემ სასწრაფოდ დაიწყო მოქმედება.

ერეკლემ კარგად იცოდა, რომ ამ მეტად კრიტიკულ და თითქმის გამოუვალ მომენტში ბრძოლის შედეგები იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რამდენად განსჭვრეტდა მისი ბასრი თვალი და მახვილი გონება შექმნილ ვითარებას. ერეკლეს კი შექმნილ ვითარებაში ამის დრო და საშუალება არ ჰქონდა. მან თურქ ტყვეთა დაკითხვით და ადგილობრივი ქართველების საშუალებით შეიტყო, რომ ახალციხის ფაშას განზრახული ჰქონდა გენერალ ტოტლებენს ფეხდაფეხ უკან დადევნებოდა და ბორჯომის ვიწრო ხეობაში მთლად გაენადგურებინა. ეს ამბავი და ახალციხის ფაშას ძალთა რაოდენობა მეფე ერეკლესათვის უცნობებია სოფელ უდის (ადიგენის რაიონი) ადგილობრივ მცხოვრებს, ვინმე იაკობ გზირიშვილს. ი. გზირიშვილი იმ დროს ფაშას საიაცი (შიკრიკიც) ყოფილა. იგი იმდენად სწრაფად მოსიარულე ყოფილა, რომ 10 საათის განმავლობაში ახალციხიდან ქუთაისში ჩასულა[2].

---

1 ნ. ბერძენიშვილი, ...საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1950, გვ. 399.

2 გაზეთი „ივერია“, № 210, 1899, გვ. 3.

ერეკლეს მთავარი ამოცანა იყო ახალციხის ფაშას ძალები თავისკენ მიეზიდა, რათა რუსეთის ჯარი ბორჯომის ხეობას გასცლოდა და სამშვიდობოს გასულიყო. იგი ცდილობდა გათამამებული მტრისათვის ნაადრევი გამარჯვების შანსი ხელიდან გამოეტაცა. რუსეთის ჯარის წასვლით იმდენად გათამამდნენ აწყურის მეციხოვნეები, რომ ოსმალეთის დელიბაშებთან (თავზე ხელაღებული მეომრები) ერთად ქართველებს თავს დაესხნენ. ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით მტრებმა პირველი თავდასხმისთანავე 70 ქართველი მოიტაცეს, ციხეში შეიყვანეს, ხმლებით აკუწეს და ციხის მაღალი კედლებიდან ქართველებსვე გადმოუყარეს მათი გვამები. როგორც მემატიანე „შედეგი კახეთის ცხოვრებისა" აღნიშნავს, მტრის უმეტესობას დელიბაშები შეადგენდნენ. გაამაყებული დელიბაშები აწყურის გზაზე შეჯახებიან ქართველებს: „... გზასა ზედა შეემთხვა მეფესა მხედრობა დელიბაშებისა, რომელსაცა სძლო მეფემან".

რუს-ქართველთა ჯარის მისვლა აწყურის ციხესთან ადრევე შეუტყვია ახალციხის ფაშას, და იგი თავის მხრივ დროულად შესდგომია ბრძოლისათვის მზადებას. მან მრავალრიცხოვანი ლეკთა რაზმები დაიქირავა და უხვი საჩუქრებისა და მოწყალების მიცემით ქართველების წინააღმდეგ საბრძოლველად წაახალისა. ახალციხის ფაშამ დაღესტნისა და ჭარ-ბელაქნის ლეკები სხვა ძალებთან ერთად აწყურში გაგზავნა ქართველების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ახალციხის ფაშას ორი ათასი ლეკი და ოსმალო შეერთებია კიდევ. ამას დაემატა მდ. მტკვრის მარჯვენა და მარცხენა მხარეს დასახლებული სოფლებიდან მაჰმადიანთა მოსახლეობის გამოსვლა ქართველების წინააღმდეგ. ერეკლეს ყოველგვარი ზომა მიუღია, რათა მტრისათვის ეგრძნობინებინა, რომ რუსეთის ჯარის უკან წასვლის მიუხედავად, ქართველებს საკმარისი ძალები ჰყავთ, რომ მტრის ჭარბ ძალებს ვაჟკაცურად გამკლავებოდნენ. ეხება რა აღნიშნულ საკითხს, აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს: აწყურის ციხიდან ტოტლებენის უკან გაბრუნებით „საშინელი მდგომარეობა შეიქმნა, მაგრამ ამ უაღრესი განსაცდელის დროსაც ერეკლე მეფის დიდებულმა სამხედრო ნიჭმა იხსნა ჩვენი ერი და სამშობლო სხვაგვარად



აწყურის ბრძოლის გეგმა.

აუცილებელი განადგურებისაგან: მცირე ლაშქრითურთ მან სამხედრო გეგმისა და ხერხის წყალობით რუსთა მოქმედებით გათამამებული ოსმალთა მრავალრიცხოვანი ჯარი ჯერ ადგილობრივ (აწყურთან — ს. ხ.), შემდეგ ს. ასპინძასთან საშინლად დაამარცხა და მთლად მოსპო."[1] ასეთ კრიტიკულ მომენტში გამომჟღავნდა ერეკლე მეორის დიდი ნიჭი და გამჭრიახობა.

მტრის პირველი იერიშების მოგერიების შემდეგ ერეკლემ მთელი სიმკაცრით აღადგინა წესრიგი თავის ლაშქარში და იგი საბრძოლო რაზმებად დაჰყო; მთელი თავისი ჯარი მეფე ერეკლემ სამ ძირითად ნაწილად განალაგა აწყურის მიდამოებში. პირველ ნაწილს ციციანოვი (ალექსანდრე ციციშვილი) უსარდლა და ხიდიდან მარცხნივ ახლო მდებარე ტყეში ჩაასაფრა. ციციანოვმა მიიღო დავალება, როდის უნდა ჩაბმულიყო ომში და რა უნდა გაეკეთებინა. მეორე ნაწილს მეფემ თავისი უფროსი ვაჟი გიორგი ჩაუყენა სათავეში და ხიდიდან მარჯვნივ სამი ვერსის მანძილზე (სოფ. საყუნეთის მხარეს) განალაგა. ხოლო მესამეს თვითონ ერეკლე სარდლობდა. მეფე წინ წარუძღვა თავის ჯარს, ხიდის პირდაპირ ოთხიოდე ვერსით დაიხია უკან (სოფელ ტყემლანას მიმართულებით კუმოდოს მიდამოებში) და მტრის რვაათასიანი ცხენოსანი ჯარის პირველი დარტყმის თავის თავზე მისაღებად მოემზადა. თურქთა კარგად შეიარაღებული მხედრობა აწყურის ციხის მხრიდან მოადგა

---

[1] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. V. 1953, გვ. 69.

მტკვარს. ახალციხის ნამინ ფაშას მიერ გამოგზავნილი ლეკ-ოსმალთა ჯარი 1770 წლის 17 აპრილს მეფე ერეკლეს ბრძანებით აგებულ ხიდს მოადგა. მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ მტრის ჯარმა ხიდი გაიარა და მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს გადავიდა. როდესაც მათ ახლომახლო ადამიანთა ნიშანწყალი ვერ ნახეს, გზა გააგრძელეს სოფელ ტყემლანას მიმართულებით და პირდაპირ ერეკლეს თავდაცვის ხაზს, კურდღელაურის სერსა და მის მარჯვენა მხარეს მდებარე თავქარას ველზე, სოფ. თისელის მთიდან გამომდინარე მანგალას პატარა წყალს და მის ღრმა ხევს მიადგნენ, სადაც მეფე ერეკლეს ჯარი იყო ჩასაფრებული. „ბრძოლა ფიცხელი და დაუნდობელი იყო, ქართველები და თურქები ხმალდახმალ იბრძოდნენ. ომი მეტისმეტად გამწვავდა. ორივე მხარე თავგანწირვით იბრძოდა. ამ დროს თავზარდამცემი ყიჟინით მტკვრის მარჯვენა მხარიდან მოვარდა გიორგი ბატონიშვილი მამის დასახმარებლად.

მოულოდნელ დარტყმას ვეღარ გაუძლო ოსმალთა ჯარმა, ციციანოვი საფარიდან უთვალთვალებდა საომარ მოქმედებას. თურქებმა ხიდის დასაცავად და საჭიროების შემთხვევაში უკან დახევის უზრუნველსაყოფად ათასი ჯარისკაცი დატოვეს. როდესაც ციციანოვმა დაინახა, რომ თურქთა ჯარი შედრკა და ერეკლემ მტერი ხიდისაკენ უკუაქცია, გამოვიდა საფარიდან, ხიდის მცველთა რიგები აირია, ხიდი თვითონ დაიკავა და თურქებს უკან დასახევი გზა მოუჭრა.

სამივე მხრიდან მოეძალნენ ქართველები. შედრკნენ თურქები, მოაწყდნენ ხიდს. ხიდი რომ დაკავებული დახვდათ, მტკვარში ჩაცვივდნენ. ადიდებული მდინარე კი ვერცერთმა მათგანმა ვერ გადალახა, ახალციხისაკენ ამბის მთხრობელმაც კი ვერ გააღწია.

მეფე ერეკლეს გამარჯვება სრული და განუყოფელი იყო". მან დაუძახა დე გრაი დე ფუას და უთხრა:

— „წადით და მოახსენეთ თქვენს გენერალს, რაც თქვენი თვალით ნახეთ. უთხარით მას, რომ არ გეღალატა, ერთ კვირაში ავიღებდით ახალციხესთქო. მე დავბრუნდები თბილისს და თქვენი გენერლის მოქმედების შესახებ ყველაფერს მის

უდიდებულესობას იმპერატორს (ეკატერინე მეორეს — ს. ხ.) შევატყობინებო"[1].

ბრძოლის წინ მეფე ერეკლე მეორეს თავისი ჯარისკაცებისათვის შემდეგი სიტყვებით მიუმართავს: „— ქართველებო, ჩემო განუყრელო ძმანო — ყოველ განსაცდელში! ეს იცოდეთ, რომ ჩვენი უკან დაბრუნება არ იქნება, იმიტომ რომ, თუ რუსების ჯარს ოსმალო მიეწევა, დიდს ვნებას მისცემს და მას უკან გაქეზებულნი ოსმალ-ლეკნი საქართველოს აგვიოხრებენ; უმჯობესია ამისათვის ჩვენ აქ გავწყდეთ. ეხლა ამის შემდეგ თქვენ იცით და თქვენმა ვაჟკაცობამ, ქართველებო"[2]. „უმჯობეს არს სიკვდილი ჩემი, ვირემდის ამათგან რუსეთის მხედრობას ევნოს რამეო"[3]. რუსეთის სამეფოს წარმომადგენელი საქართველოში ანტონ მოურავოვი, ამ ომის თვითმხილველი და მონაწილე, შემდეგ წერს: მეფე ერეკლე მეორის სიტყვებით „გამხნევებული 500 ცხენოსანი... გადავიდა შეტევაზე, თურქებისა და ლეკების წინააღმდეგ, რომლებმაც იმ წუთშივე დაიწყეს უკან გაქცევა. ამ ბრძოლაში ერეკლეს ერთი მეომარი მოუკლეს და სამი დაუჭრეს". მტერმა კი აწყურის მიდამოებში დიდძალი მსხვერპლი გაიღო. ნაწილი ადიდებული მტკვრის ტალღებმა დაახრჩო, ნაწილი კი ქართველთა ხმლით მოისრა და ბრძოლის ველზე უსახელოდ და უპატრონოდ დალია სული.

აწყურის სახელოვან ბრძოლაში განსაკუთრებით თავი უსახელებია ხევსურთა რაზმს, რომელიც მეფე ერეკლეს მცველთა ბანაკში იმყოფებოდა. მეფე ერეკლეს შემდეგ, აწყურის ბრძოლის ლეგენდარულ გმირად ასახელებენ სიღნაღის რაიონის სოფელ კოლაკის მკვიდრს, ლუარსაბ ოთარის ძე ვაჩნაძეს, რომელსაც ლეკების წინააღმდეგ ბრძოლებშიც ბევრჯერ უსახელებია თავი. იგი მეფე ერეკლე მეორეს მუდამ თან ახლდა. მისმა პაპამ ასლან ვაჩნაძემ სამშობლოსა და მეფის ერთგულებაში ბრძოლის ველზე დალია სული, ხოლო ლუარსაბის მამა, ოთარი ვაჩნაძე, მეფე ერეკლეს თან ახლდა ინდო-

---

[1] კაპიტანი დ ე გ რ ა ი დ ე ფ უ ა... გაზეთი „წითელი დროშა", 1964, № 123.

[2] გაზეთი „ივერია", 1888, № 87.

[3] ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1854, გვ. 491.

ეთში და იქ ერთ-ერთ ბრძოლაში ვაჟკაცურად დაიღუპა, ლუარსაბის გამზრდელი ბიძა, ყაფლან ვაჩნაძე, ერეკლეს თვალწინ მოკლეს 1753 წელს ფანახანთან ბრძოლის დროს, განჯაში. ლუარსაბ ვაჩნაძეს განსაკუთრებით უსახელებია თავი აწყურის ციხესთან გამართულ დელიბაშების წინააღმდეგ ბრძოლაში. ბრძოლის წინ საომარ მოედანზე თავით ფეხამდე შეიარაღებული ერთი გულადი და მამაცი დელიბაში გამოსულა და ქართველებისათვის დაუძახია: „აბა ვაჟკაცი ვინც ხართ, გამოდით!“ მოულოდნელად ქართველი მეომრები შემკრთალან. დელიბაში კი უფრო გათამამებულა, თავის მოხდენილ ცხენს დააქროლებდა და ქართველთა ბანაკს თანდათან უახლოვდებოდა. ქართველთა ბანაკიდან ლუარსაბ ვაჩნაძეს ვეღარ მოუთმენია და მეფე ერეკლეს მუხლმოდრეკით შეევედრებია: „დიდებულო მეფევ, ამაზე მეტს სირცხვილს ვეღარ ავიტან, შენი ჭირიმე ნება მიბოძე, ერთი გავეთამაშო ამ წყეულს, ან მომკლავს, ან შევაკვდები!“ აქამდე მდუმარედ მყოფმა ირაკლიმ უბრძანა: „აბა, ლუარსაბ, გადი და შენ იცი, მხოლოდ ნუ აჩქარდებიო“.

ორივე ბანაკი სულგანაბული უყურებდა ორი გოლიათის სამკვდრო-სასიცოცხლო თავგანწირულ ბრძოლას. ერთი რომელიმე მათგანის გამარჯვება მთელი მისი რაზმის გამარჯვებად ითვლებოდა. დელიბაშმა იერიში მიიტანა. იგი შეეცადა მოწინააღმდეგე შუბით უნაგირიდან მაღლა აეტაცა ჰაერში. ამ დროს ლუარსაბმა ცხენდაცხენ დელიბაშს მხარი აუკრა, მაგრამ დელიბაშის დამიზნებული შუბი ლუარსაბს პირდაპირ სახეში მოხვდა და წვერ-ულვაში თან გაატანა. „ლუარსაბი არ შეუშინდა დაკოდვას: მოატრიალა ცხენი და თვალის დახამხამებაზედ ამოიღო ნიშანში: ...და დელიბაში ცხენიდან გადმოვარდა თავდაყირა. გადმოხტა მარდად ლუარსაბი, მოსჭრა თავი დელიბაშს და ცხენიანად მიიჭრა ირაკლისთან, დაუხალა წინ დელიბაშის თავი და შესძახა: „ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგიშალოს ბატონო მეფევ!“ გადმოხტა ცხენიდან და მუხლებზედ აკოცა მეფეს, რომელმაც ააყენა და გადაჰკოცნა“[1].

---

1 პ. ცხვილოელი, ლუარსაბ ყორიასაულბაში, თავ. ვაჩნაძე (ონანაშვილი), გაზეთი „ივერია“, 1883, № 112.

ამ გადმოცემის სინამდვილეს ისტორიული დოკუმენტიც ადასტურებს. კერძოდ კი მეფე გიორგი მე-12-ის წყალობის სიგელი ლუარსაბ ვაჩნაძისადმი, რომელშიც ვკითხულობთ: „შენი სიყრმითგან მრავალს ომებში სახელოვნად გარჯა, მოკვლა და ცოცხლის მორთმევა, აგრეთვე ასპინძას, დიდად რომ გაგვიჭირდა, ბატონს მამაჩვენს და ჩვენს წინ სახსოვრად ხელის გამოღება თვით ჩვენის თვალით უყურებდით, დელიბაშმა პირდაპირ შუბით პირის სახეზედ მძიმედ დაგჭრა, მაგრამ როგორც მამაცობას შვენოდა, არ უმტყუნე და თოფით ჩამოაგდე"[1]. ლუარსაბ ვაჩნაძეს ასეთივე გმირობა გამოუჩენია აღა-მაჰმად ხანის წინააღმდეგ კრწანისის ველზე გმირულ ბრძოლაში და იგი, სიკვდილამდე მეფე ერეკლეს განუყრელი მხლებელი და ერთგული ყოფილა.

მიუხედავად ქართველების ასეთი გმირული გამარჯვებისა, მეფე ერეკლემ ვერ გაბედა პირდაპირი იერიშის მიტანა ქ. ახალციხეზე. ამრიგად, ახალციხის აღების გეგმა ჩაიშალა. ბორჯომის ხეობით კი თბილისში დაბრუნება იგივე დამარცხებას უდრიდა და უარეს შედეგს მოუტანდა ქართლ-კახეთის სამეფოს. ლეკ-ოსმალთა ლაშქარი ჯერ კიდევ საბოლოოდ განადგურებული არ იყო, მას ახალ-ახალი ძალები ემატებოდა და უეჭველად უკან გაბრუნებულ ქართველებს ბორჯომის ხეობის ვიწრო გასასვლელებით დაედევნებოდა და მთლად ამოწყვეტდა.

ერთ-ერთი ზეპირი გადმოცემით, სოფელ კოთელიის (ახალქალაქის რაიონი) მკვიდრს ნიკოლოზ ბერიძეს (ეგრისელს) შეუტყვია თუ არა რუს-ქართველთა ჯარის მოსვლა აწყურში, ჰერულისა და თისელის მთების ძნელად მისასვლელი ბილიკებით სასწრაფოდ აწყურში ჩასულა და მეფე ერეკლესთან გამოცხადებულა. მეფისათვის მოუხსენებია, რომ ახალქალაქისა და ხერთვისის მეციხოვნეები აწყურში წამოსულან ერეკლეს წინააღმდეგ. იმავე ნ. ბერიძეს უკისრია ქართველთა ლაშქრის მეგზურობა აწყურიდან ასპინძამდე. მას ისე სწრაფად და კარგად უტარებია ერეკლეს ჯარი, რომ ახალქალაქ-

---

1 ცხვილოელი. ლუარსაბ ყორნისაულბაში, თავ. ვაჩნაძე (ონანაშვილი). გაზეთი „იკერია", 1893, № 113.



ელაზის გზა.

ხერთვისის მეციხოვნეებისათვის დაუსწრიათ, სანამ ისინი ახალციხის ფაშას ჯარებს შეუერთდებოდნენ.

მტრისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა ნ. ბერიძის მეგზურობის ამბავი და ახალციხის ფაშას სპეციალური საიდუმლო ბრძანება გაუცია, რათა ცოცხლად შეეპყროთ ქართველთა ჯარის მეგზური და მასთან მიეყვანათ. ვინც ამ დავალებას შეასრულებდა, გასამრჯელოდ დიდ ჯილდოს ჰპირდებოდა, ოქროს სახით. თურქებმა მართლაც შესძლეს ფაშას ბრძანების შესრულება. ვერაგულად შეიპყრეს მოხუცი ნიკო ბერიძე და საშინელი წამების შემდეგ თავი მოჰკვეთეს. მისი მოკვეთილი თავი მარგილზე წამოაგეს და მცველებიც მიუჩინეს, მაგრამ ქართველმა პატრიოტებმა მცველები შეიპყრეს, ხოლო ნიკოლოზ ბერიძის ცხედარი პატივით მიაბარეს მიწას როკეთის (ელაზის) გზის პირას; რომელი გზითაც მან ქართველთა ჯარი აწყურიდან ასპინძაში გადაიყვანა.

ახლაც არის რუგეთის გზის ნაპირზე დიდი ლოდი, რომელსაც გმირის ყორღანს, „ობოლ საფლავს" ეძახიან. ძველად თურმე სოფ. კოლეთიიდან ყოველწლიურად, გვიან შემოდგომით, მიდიოდნენ ამ საფლავთან და პარაკლისს უხდიდნენ ნ. ბერიძეს[1].

---

[1] აღნიშნული გადმოცემა ჩაგვაწერინა ნ. ბერიძის მე-6 თაობის ჩამომავალმა, არქიტექტორმა ს. ბერიძემ.

აწყურიდან ასპინძაში ორი გზით შეიძლება მისვლა: ერთია — აწყურ-ახალციხის გზა, რომლის სიგრძე 20 კმ-ია. ეს გზა ახალციხიდან მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირს მიჰყვება სოფ. მინაძემდე, შემდეგ კი გზა მდინარის მარჯვენა მხარეს გადაინაცვლებს, ამ გზის მანძილი ახალციხიდან ასპინძამდე 32 კმ.

მეორე გზაა — ელაზის საცალფეხო გზა[1], რომლის სიგრძე 12 კმ-ს უდრის. აწყურიდან ელაზის გზა გაივლის კურდღელაურის სერის მარჯვენა მხარეს, შემდეგ მანგალას წყალს, შემდეგ გზა გაივლის ტყემლანას სერს, აქვე ჩამოდის პატარა წყალი, გამომდინარე რუგეთის მთიდან, რომელსაც შავ წყალს უწოდებენ. გზა შემდეგ გაივლის პატარა ხევს, ბადალას ხევის სახელწოდებით. აქვე არის ძველი ნასოფლარი ხიდისთავი. ვახუშტი ბატონიშვილი ამ სოფლის მდებარეობას ზუსტად ამ ადგილზე მიუთითებს. აქვე სულ ახლოს მდებარეობს მეორე ნასოფლარი, რომელსაც კუმოდისი ეწოდება.

ელაზის გზა შემდეგ გადის კოდიანის მთის ძირზე. გზის მარჯვენა მხარეს მდებარეობს ნასოფლარი კოპაძე. გზა გაივლის ნასოფლარ ბლორძის მარჯვენა მხარეს, შემდეგ ნასოფლარ ორფოლის მარცხენა მხარეს, საიდანაც იწყება კოდიანის მთა.

ელაზის გზა მთის წვერზე გადაივლის ორ გორაკს შორის, რომელიც მოგვაგონებს უნაგირს. ზედ მთის წვერზე, სადაც გზა გადის, მშვენიერი ანკარა ცივი წყარო მოჩუხჩუხებს. ამ წყაროს ელაზის წყაროს უწოდებენ. შემდეგ გზა გაივლის სოფელ იდუმალას და ბოლოს დაბა ასპინძაში მიდის. ამ გზის მანძილი დაახლოებით 12 კმ-ია.

მეფე ერეკლემ აწყურშივე შეიტყო ადგილობრივი (ქართველი) მოსახლეობისაგან, კერძოდ კი ნიკო ბერიძისაგან, რომ ახალციხის ფაშას ბრძანებით აწყურის ციხის მოსაშველებლად წამოსულან ახალქალაქისა და ხერთვისის მეციხოვნე იანიჩრები, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ ასპინძის მიმართულებით ქართველებისათვის გზები შეეკრათ, ნაწილი კი

[1] აღნიშნული გზა ჩვენ მიერ შესწავლილი იქნა ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს 1949 წ. სადიპლომო შრომის, „ასპინძის ომთან" დაკავშირებით.

აწყურის მეციხოვნეებს მიშველება. „... ცუდი საქმე მოელოდა ქართველ ჯარს. იგი ეხლა ხაფანგში მომწყვდეულივით იყო, ამიტომ ახალციხის ფაშა ცას დაეწია, წათამამდა და იმედი ჰქონდა ერეკლე ეხლა ხელიდან ვეღარსად წაუვიდოდა და ისე შეანანებდა ამ თავხედ შემოჭრას ოსმალეთში, რომ მთელ სიცოცხლეში არ დავიწყებოდა. ქართველთა მხედრობას მთლად განადგურებას უპირებდა, ხოლო თვით მეფეს ტყვედ წაყვანას"[1].

ამრიგად, ლეკ-ოსმალთა ჯარს განზრახული ჰქონდა ქართველებისათვის ასპინძის ხეობაში გზების შეკვრა, ერთი მხრიდან ახალქალაქ-ხერთვისის მეციხოვნეების დახვედრით, ხოლო მეორე მხრიდან აწყურ-ახალციხის ჯარების შეტევით. ოსმალო-ლეკები მეფე ერეკლეს ფეხდაფეხ დადევნებიან. ამის შესახებ ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე წერს: აწყურის მიდამოებში „... იქმნა ბრძოლა ძლიერი და ფიცხელი, ვიდრე სამ საათამდე და ლეკნი და ოსმალნი უკუდგნენ სიმაგრეთა და რუსნიცა შემოვიდნენ ხეობაში სამშვიდობოს და ამისა შემდგომად მეფე ირაკლი აიყარა მასვე დღესა (19 აპრილს — ს. ხ.) და წარმოვიდა ჯავახეთის მხრისაკენ მინდორზედ, გამოვლო აწყვერიდამ 12 ვერსი და ამას ღამესა მუნ დაივანა და გამოჰყვნენ ოსმალ-ლეკნიცა"[2].

ზოგიერთი ცნობით, ახალქალაქ-ხერთვისის მეციხოვნე ჯარების რაოდენობა გაზვიადებულია. ზაალ ორბელიანი, რომელიც მეფე ერეკლემ რუსეთში გაგზავნა ასპინძის ომის შემდეგ, ყიზლარის კომენდანტს უსახელებს 8000 კაცს, ხოლო თურქი ტყვეები 8800 კაცს, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. ამ საკითხში არც რუსეთის რწმუნებულის ანტონ მოურავოვის ცნობა უნდა იყოს მართალი. სოფ. იდუმალასთან მომხდარი ბრძოლის შესახებ იგი წერს: „უახლოვდებოდნენ რა სოფელ ასპინძას, მათ (ქართველებს — ს. ხ.) შეხვდათ 5000 ცხენოსანი დელიბაში ლევანდის ლაშქარი"[3].

---

1 ზ. ედილი (ელიდაშვილი). ერეკლე მეფე და გრაფი ტოტლებენი, გაზეთი „საქართველო", 1916, № 140.

2 ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1854, გვ. 491.

3 Грамоты... том I, გვ. 107.

1770 წ. 19 აპრილს ასპინძის მიდამოებში გადასულ ქართველთა ლაშქარს შემოხვდა ახალქალაქისა და ხერთვისის მეციხოვნეების 1500 მეომარი, რომლებსაც ახალციხის ფაშასაგან ნაბრძანები ჰქონდათ მეფე ერეკლესათვის გზა ჩაეკეტათ ასპინძის გასასვლელებში.

ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, ახალციხისა და ხერთვისის მეციხოვნეებს აწყურისაკენ წამოსვლის დროს საშინლად დაურბევიათ გზის პირას მდებარე ქართველების სოფელი ნიჯგორი (ასპინძის რაიონი).

ამ სოფლის მოსახლეობა გახიზნულა ახლომახლო გამოქვაბულებსა და ხევებში. ხოლო ამ სოფლის თავკაც დიმიტრი ლონდარიძის ხელმძღვანელობით სოფლის მამაკაცები შეკრებილან და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართავთ მტრისათვის. ახალქალაქის და ხერთვისის მეციხოვნეებს ნაბრძანები ჰქონდათ მეფე ერეკლესათვის ასპინძასთან გზები ჩაეკეტათ და სოფელ ნოჯგორს მალე გასცილებიან, რითაც სოფლის მოსახლეობას საფრთხე თავიდან ასცილებია[1].

მეფე ერეკლეს ბრწყინვალე სამხედრო ნიჭი სოფ. იდუმალასთანაც გამოვლინდა. მან მტერს პირველადვე ცხენოსანთა გულადი რაზმი შეაგება. მტერი შედრკა. ბრძოლაში მეფე ერეკლემ ახალი რაზმები ჩააბა. ქართველები მოხერხებული მაღლობი ადგილებიდან უტევდნენ ოსმალთა მეციხოვნეებს. ოსმალები მეტად მამაცურად იბრძოდნენ და ერთი წუთითაც არ სურდათ ცოცხალი თავით ბრძოლის ველი ქართველებისათვის დაეთმოთ. მაგრამ ქართველ მებრძოლთა ახალ-ახალი ძალების ჩაბმამ ბრძოლაში თავისი ნაყოფი გამოიღო, ოსმალები ერთიმეორეში აირივნენ და გაქცევით უშველეს თავს. მეფე ერეკლემ გაქცეულ ოსმალებს გზა მოუჭრა და იძულებული გახადა ადიდებულ მტკვარში გადაცვენილიყვნენ.

ამ ბრძოლის შესახებ 1770 წ. 10 მაისს მეფე ერეკლე მეორე ვიცე-კანცლერ გრაფ გოლიცინს წერდა: „ღვთის მოწყალებით და მ. დ. ბედნიერებით მოვხუდით და გაგვემარჯვა იმ ლევანდებზედ, ასეთს ძლეულობას მიეცნენ, რომ ნახევარი მათი არ გასულა, — ზოგნი მტკუარში მოიშთუნენ გაქცეულნი

---

1 აღნიშნული ცნობა მოგვაწოდა გრიგოლ ვასილის ძე გვარამაძემ.

და ზოგნი ჯლმითა მოისრნენ“. მტერმა ამ ბრძოლაში 500 მეომარი დატოვა ბრძოლის ველზე, დანარჩენი ადიდებულმა მტკვარმა დაახრჩო. ქართველებს მოუკლეს 4 თავადი და 10 რიგითი მეომარი. აი რას წერს ამის შესახებ ამ ომის მონაწილე ანტონ მოურავოვი 1770 წ. 30 აპრილს გენერალ ტოტლებენს: „უახლოვდებოდნენ რა სოფ. ასპინძას, მათ (ქართველებს — ს. ხ.) შეხვდათ 5000 ცხენოსანი დელიბაშის, ლევანდის და ისეთ ადგილებს, სადაც მარცხნივ (სოფ. იდუმალას და ოშორის — ს. ხ.) მაღალი გორებია, რომლებზედაც ზევით მისვლა ვერაფრით ვერ მოხერხდება და მარჯვნივ კი მტკვარი, გორებიდან კი მდინარე მტკვრამდე მანძილი იყო მხოლოდ ორი კილომეტრი, სადაც ირაკლი არჩეული ცხენოსნებით შეეჯახა მათ. თუმცა, თურქები ძალიან იცავდნენ თავს, მაგრამ ბოლოს იძულებულნი გახდნენ უკან დაეწიათ, იმათ (ოსმალებმა—ს. ხ.) მიწაზე 500-მდე მკვდარი მეომარი დარჩათ, თვითონ ირაკლის კი მოუკლეს 4 თავადი და 10 რიგითი მეომარი“[1].

ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, რადგან ეს ბრძოლა მოხდა ასპინძის ახლოს სწრაფად, ფარულად და იდუმალად, ამიტომ მიიღო სოფელმა სახელწოდება „იდუმალა“. ეს გადმოცემა სინამდვილეს არ შეეფერება, რადგან ამ სოფლის სახელი—„იდუმალა“ მოხსენებულია თურქ-დამპყრობთა მიერ 1595 წ. შედგენილ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“. ამ დოკუმენტის მიხედვით მე-16 საუკუნის ბოლოსათვის ამ სოფელში 17 კომლი ცხოვრობდა, რომლებიც ყოველწლიურად ოსმალთა სასარგებლოდ 10.000 მანეთს იხდიდნენ[2].

---

1 Грамоты... том I, гз. 107.

2 გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. II, 1941, გვ. 139—140.

V თავი

ქართველების გრწყინვალე გამარჯვება ასპინძის ომში

ახალციხის ნამინ ფაშამ აწყურიდან ჯავახეთისაკენ ერეკლე მეორის წასვლა რომ გაიგო, სასწრაფოდ თურქეთის ძირითადი შეიარაღებული ძალები და ლეკთა რაზმები დაადგენა ასპინძის გზის შესაკრავად. მტრის ძალებს ასპინძაში ახალ-ახალი რაზმები ემატებოდა. 1770 წლის 19 აპრილს იდუმალასთან ბრძოლა თითქმის არ დამთავრებულიყო, რომ ახალციხის მხრიდან 4000-იანი ცხენოსანი ლაშქარი გამოჩნდა, რაზედაც მეფე ერეკლე ვიცე-კანცლერ გოლიცინს წერდა: „ასე მცირეს ხანს, რომ ჯერ მტრის (იდუმალასთან ახალქალაქისა და ხერთვისის მეციხოვნეების—ს. ხ.) დევნისაგან არ გამოვბრუნებულიყავით, აწყურითგან ოთხი ათასი კაცი ოსმანი და ლეკნი, ფაშისგან გამოგზავნილნი, მოვიდნენ ჩვენზედ“[1]. ამასვე ადასტურებს ანტონ მოურავოვის ცნობაც, ისიც მტრის 4000 მეომარს ასახელებს, ხოლო ასპინძის ომში ტყვედ ჩავარდნილთა ჩვენებით ლეკ-ოსმალთა ჯარის რაოდენობა 8000 კაცი იყო. ამასვე უნდა დავუმატოთ სოფელ იდუმალასთან გადარჩენილი ახალქალაქისა და ხერთვისის მეციხოვნეები (500 კაცი) და ის ადგილობრივი მაჰმადიანური მოსახლეობა, რომელნიც ახალციხის ფაშას ბრძანებით ასპინძის ველზე ქართველების წინააღმდეგ იყვნენ გასულნი. „ტყვეების ცნობა საეჭვო არ უნდა იყოს, რადგან მარცხის შემდეგ, საკუთარი ჯარის რიცხვის გადიდება დასაქადი საქმე როდი იყო. გარდა ამისა, ტყვეებს

[1] Грамоты... том II, вып. I, გვ. 29—30.

ერეკლესადმი პატივისცემის საფუძველიც არ ჰქონდათ, რადგან მეფემ მათი გამოსყიდვა არ დაუშვა და ისინი რუსეთში გაგზავნა. ამასთან, ეს ტყვეები რიგითი მებრძოლები არ ყოფილან, რომ მათთვის ჯარის რიცხვი უცნობი ყოფილიყო. ასე რომ, ტყვეების ჩვენებას ანგარიში უნდა გაეწიოს. რაც შეეხება ერეკლეს ცნობას, რადგან მეფე საექსპედიციო ჯარის გადიდებისათვის კვლავაც იბრძოდა, საფიქრებელია, ერეკლეს ამჯერად საჭიროდ არც მიაჩნდა რუსეთის მთავრობისათვის ემტკიცებინა, რომ მან თურქთა დიდი ძალები დაამარცხა. ალბად, ამიტომ ერეკლე მტრის ძალების რიცხვს განგებ ამცირებდა"[1].

ამრიგად, ასპინძის ომში ლეკ-ოსმალთა ჯარი და ადგილობრივი მაჰმადიანური მოსახლეობა, რომლებიც ქართველების წინააღმდეგ ომში გამოდიოდნენ, 10—15 ათას მეომარზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. ზოგიერთ მკვლევართა შეხედულებით ლეკ-ოსმალთა ლაშქარის რაოდენობა მეტად გაზვიადებულია.

ასპინძის სახელოვან ბრძოლაში ქართველების ლაშქარი 5—7 ათასს არ აღემატებოდა. ზემოთ მოყვანილი ცნობიდან ვიცით, რომ 1770 წ. 17 მარტს დაბა სურამში მეფე ერეკლე 7000 კაცით გამოცხადდა. ფრანგ კაპიტან დე გრაი დე ფუას ცნობით ერეკლე მეორემ სურამიდან „თავისი ჯარი, რომელიც 12 000 კაცისაგან შედგებოდა, აყარა და მტკვრის გადასალახავად გაემართა" ახალციხის მხარეს. ქართველთა ლაშქრის ეს რიცხვიც გადაჭარბებულია. ერეკლემ 4000 მეომარი თავის მეგობარ ყარაბაღის მმართველს მიაშველა ახალციხის ლაშქრობის დროს. ხოლო დანარჩენი ნაწილი თავისი ჯარისა კახეთში დატოვა ლეკების შემოსევის თავიდან აცილების მიზნით. აქვე ანგარიში უნდა გაეწიოს იმდროინდელ ქართლ-კახეთის მოსახლეობის რიცხობრივ შემადგენლობასაც. აკად. ივ. ჯავახიშვილის ცნობით 1770 წ. ქართლ-კახეთში ცხოვრობდა 55290 კომლი. დაახლოებით ნახევარი მილიონი კაცი[2]. ამ მცირერიცხოვანი მოსახლეობიდან დიდი რაოდენობის ჯარის გამოყვანა ვერც მო-

---

[1] ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, 1957, გვ. 67.

[2] იქვე, გვ. 16—17.



ერეკლე II-ის დროინდელი საომარი იარაღები.

ხერხდებოდა. გარდა ამისა, ფეოდალურ ქართლ-კახეთში ლაშქრის გამოყვანა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ჯერ ერთი, საომარი იარაღი ყველა გლეხს არ ჰქონდა. იმერეთის მიტროპოლიტი მაქსიმე ქუთათელი 1769 წ. 14 მარტს მეფის რუსეთის სამეფო კარისათვის დაწერილ მოხსენებით ბარათში ჩამოთვლის იმ საომარ იარაღებს, რომლებსაც იმდროინდელი იმერელი მეომარი ხმარობდა. „იმერლები ხმარობენ ომში თოფსა, ხმალსა და შუბსა, იმ რიგათ, როგორც ოსმალნი შეიბმიან და ქვეითიცა და უფრო ცხენოსანიცა. ხალხი იქაური მამაცი, მეომარი... თოფსა, ჯმალსა და ტყვიას შოობენ ოსმალოს ქვეყნიდამ, ყიზილბაშიდამ და ტფილისის ქალაქიდამ; თოფის წამალს თუმცა იმერეთშიაც აკეთებენ, მაგრამ უფროსი ერთი ამ ზემოწერილის ქალაქებიდამ შოობენ“[1]. ცოტათი გაუმჯობესებული იყო საომარი იარაღები ქართლ-კახეთში. მეფე ერეკლეს ლაშქარს ზარბაზნებიც კი ჰქონდა ასპინძის ომში.

ზემოთ ჩამოთვლილი საომარი იარაღების მსგავსი იარაღი იყო ქართველების მიერ გამოყენებული აწყურისა და ასპინძის სახელოვან ბრძოლებში.

ფეოდალურ ქვეყანაში ლაშქრის გამოყვანას აძნელებდა ისიც, რომ გლეხი კაცი ამავე დროს მიწის მუშაც იყო და მოლაშქრეც. იმ დროს მუდმივი ჯარი არ არსებობდა საქართველოში, ერეკლემ იგი ასპინძის ომის შემდეგ, 1774 წ. დააწესა. მაშინდელ მეომარ-მოლაშქრეს ყველაფერი თავისი უნდა ჰქონოდა, მათ შორის სურსათ-სანოვაგეც. ამის გამო მაშინდელი ლაშქრობა დიდხანს ვერ გასტანდა, ორ ან სამ კვირაში უნდა გადაწყვეტილიყო ბრძოლის ბედი. ხოლო ბრძოლის შემდეგ. მეფის ბრძანებით მეომრები თავ-თავის სახლებში ბრუნდებოდნენ.

ეხება რა აღნიშნულ საკითხს, პროფ. იასე ცინცაძე წერს: „მაშინდელ საქართველოს არ შეეძლო თვეების განმავლობაში ჯარი შეყრილი ჰყოლოდა, ორი-სამი კვირის შემდეგ იძულებული ხდებოდნენ შეყრილი ჯარი დაეშალათ, რადგან მისი რჩენა სახელმწიფოს არ შეეძლო. სახელმწიფოს არც იარაღის

---

[1] Грамоты... том II, вып. I, гр. 4.

საკმაო საწყობები ჰქონდა და არც სურსათის"[1]. ამრიგად, ასპინძის ომში ქართლ-კახეთის ლაშქრის რაოდენობა 5—7 ათასს არ უნდა აღმატებოდა, ხოლო ლეკ-ოსმალეთისა 10—15 ათას მეომარს.

ერთი რამ კი ცხადზე უცხადესია. მთელი განვლილი ისტორიის მანძილზე გაუთავებელ სისხლისმღვრელ ბრძოლებში ქართველები სამშობლოს დასაცავად, მტერთან შედარებით, მცირერიცხოვანი რაზმით გამოდიოდნენ საბრძოლველად. მტერი ყოველთვის ბევრად მეტი იყო ქართველებზე. ასე იყო ასპინძის ომის დროსაც. ორჯერ და სამჯერ სჭარბობდნენ ქართველებს ლეკ-ოსმალთა რაზმები.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურასა და პრესაში დღემდე შემორჩენილია აზრი, თითქოს ლეკ-ოსმალთა ლაშქარი ასპინძის მიდამოებში მოვიდა აწყურ-ახალციხის გზით, ურავლის ხეობით, სოფლების: ახდილას, მაჭიხევის, ჭობარეთის, ზველის, სახუდაბელ-ორგორის გავლით, შემდეგ მდინარე მტკვრის მარცხენა მხარეს კაკაველის გავლით და ასპინძის ხიდზე გადასვლით. მაგალითად, დავითი და ბაგრატ ბატონიშვილები ერთხმად აღიარებენ, ასპინძის ომში ლეკ-ოსმალთა ლაშქარი მოვიდა მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირიდან, ე. ი. კაკაველზე გავლით, ასპინძასთან მდებარე ხიდის გადმოვლით, ნახევარი ჯარი გადმოსულა ასპინძის ახლოს ხვილიშის ეკლესიის მიდამოებში, ნახევარი კი ღამის სიბნელის გამო ვეღარ გადმოსულა და იქვე დაბანაკებულა.

დავით ბატონიშვილი წერს: „ღამესა (19 აპრილს — ს. ხ.) მას გამოვიდნენ უკუმ ნახევარი ხიდისა ასპინძისასა, ნახევარიც ლამობდა მეორე დღესა გადმოსვლად"[2]. ამასვე აღნიშნავს ბაგრატ ბატონიშვილიც. ხოლო რაც შეეხება მატიანეს „შედეგი კახეთის ცხოვრებისა", ის წერს: „ღამესა მას გამოვიდნენ უკვე ნახევარნი ხიდსა ასპინძისასა და ნახევარიცა ლამოდნენ

---

1 ი ა ს ე ც ი ნ ც ა ძ ე, აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე, 1963, გვ. 129.

2 დ ა ვ ი თ და ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ე ბ ი, „ახალი ისტორია, ახალი მოთხრობა", თ. ლომოურის რედაქციით, 1940, გვ. 54.

მეორესა დღესა გადმოსვლად"[1]... ასპინძის ომის ამბით დიდად დაინტერესებული ზაქარია ედილაშვილი (ზ. ედილი) კი წერს: „ერეკლეს შეეძლო გზა მოეკრა მათთვის და ხიდზე არ გამოეშვა, მაგრამ ერეკლემ განზრახ არ მოუსპო ხიდზე გადმოსვლის საშუალება, ის, პირიქით, გზიდან ჩამოეცალა, მთებს ამოეფარა, რათა მტერს შესძლებოდა თავისუფლად გადმოსვლა ხიდზე".

„ეს პირველი (სოფელ იდუმალასთან — ს. ხ.) შეტაკება ჯერ კიდევ თითქმის გათავებული არ იყო, და ქართველები მტრის დევნისაგან არ გამობრუნებულიყვნენ, რომ ასპინძის ხიდს თურქების და ლეკების მთავარი ჯარი მოადგა და მტკვრის მარჯვენა ნაპირას გადმოსვლა დაიწყო. ერეკლემ განგებ უკან დაიხია და მოწინააღმდეგეს აცალა იმდენი ჯარი გადმოეყვანა, რამდენის გადმოყვანასაც ვიწრო ხის ბოგირზე შეძლებდა დაღამებამდე. მაგრამ მტრის ლაშქარმა მთლიანად მარჯვენა ნაპირას გადმოსვლა ვერ მოასწრო და თითქმის მისი ნახევარი მარცხენა ნაპირას დარჩა"[2].

ასე რომ ყოფილიყო, მეფე ერეკლე უკან კი არ დაიხევდა, პირიქით, ხიდთან მიიკრებოდა და ყოველ გადმოსულ ლეკ-ოსმალს სათითაოდ მოსპობდა. ანდა ხიდს აუყრიდა და მტერი ასპინძის ველზე ვეღარ გადმოვიდოდა, მდინარე მტკვრის უზომოდ მოდიდების გამო.

დაბოლოს, ადგილობრივ მოსახლეობაში დღემდე შემორჩენილია ასპინძის ომისა და ლეკ-ოსმალთა ჯარების ასპინძის ხიდზე გადმოსვლის ამბავი.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ცნობა სინამდვილეს არ შეეფერება და აი რატომ: „ჯერ ერთი, თუ მართლა მტრის ჯარმა 19 აპრილს ვერ მოასწრო გადმოსვლა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ე. ი. ასპინძის ახლოს, ხვილიშის ველზე და მეორე დღეს კი, ე. ი. 20 აპრილს ბრძოლა დაიწყო, როგორც ანტონ მოურავოვი და ზაალ ორბელიანი აღნიშნავენ, დღის პირველ საათზე, მაშინ მტრის ჯარი, რომელიც ღამის სიბნელის გამო

---

1 ქართლის ცხოვრება, ტ. II, დ. ჩუბინაშვილის რედაქციით, 1854, გვ. 507.

2 გ. ქიქოძე, ერეკლე II, 1947, გვ. 67—68.



ხვილიშის ეკლესია.

მდინარის მარცხენა ნაპირზე დარჩა, მეორე დღეს (20 აპრილს) დილიდანვე დაიწყებდა ხიდზე გადმოსვლას და მათთვის აშკარა იქნებოდა ქართველების მიერ ხიდის აყრა და როდესაც დამარცხდნენ, თავის საშველად ხიდს აღარ მიაშურებდნენ. ამ მოსაზრებას ადასტურებს მეფე ერეკლეს წერილი ნ. პანინისა და გრაფ გოლიცინისადმი: „აწყურითგან ოთხი ათასი კაცი ოსმალნი და ლეკნი, ფაშისაგან გამოგზავნილნი, მოვიდნენ ჩვენზედ"[1]. მართლაც, ასპინძის ხიდზე გადმოვლით რომ მოსულიყვნენ ასპინძაში მტრის ჯარები, მაშინ მეფე ერეკლე ზემოთ დასახელებულ წერილებში მტრის მოსვლას აღნიშნავდა ახალქალაქის მხრიდან, ან უკეთ, ასპინძის მხრიდან და არა აწყურის მხრიდან.

მტრის ჯარი რომ აწყურ-ახალციხის მხრიდან, სოფელ მინაძე, ტობა, რუსთავზე გამოვლით მოსულა, ამას მოწმობს ერეკლე მეფის ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე. იგი წერს: მეფე ერეკლემ „... გამოვლო აწყურიდამ 12 ვერსი და ამას ღამესა (19 აპრილს — ს. ხ.) მუნ დაივანა და გამოჰყვნენ ოსმალ-

[1] Грамоты... том II, вып. I. გვ. 29—30.



ასპინძის ბრძოლის გეგმა.

ლეკნიცა: ამას ღამესვე აარჩევეს ოსმალთა კაცნი ცხენოსანნი, მოასწრეს წინ და ასპინძის ხრამის პირი შეუკრეს, მოვიდა მეფე ირაკლი და ასპინძის ხიდის ისრები ააყრევინა და მტკვარში გარდააყრევინა[1]. აქედან ნათელი ხდება, რომ მტრის ჯარი ასპინძის ხიდის ორივე ნაპირზე არ მდგარა, თორემ ხიდის აყრის ამბავი მათთვის უკვე იმავე ღამეს იქნებოდა ცნობილი.

ქართველთა ლაშქარი სოფელ ასპინძის ზემოთ გორაკებზე განლაგდა 1770 წლის 19 აპრილს.

ალ. გარსევანიშვილის ცნობით მეფე ერეკლემ თავის ჯარი სამად გაჰყო:

მარცხენა ფრთა ჩააბარა თავის უფროს შვილს, გიორგი

---

1 ომან ხერხეულიძე, ცხოვრება მეფის ირაკლის მეორისა, ქართლის ცხოვრება, II, 1854, გვ. 491—492.



ასპინძის ციხე.

ბატონიშვილს, რომელიც ასპინძის ველის სამხრეთ-აღმოსავლეთით სოფელ დამალაში იდგა. მესხ მოსახლეობაში დღემდე შემორჩენილია გადმოცემა, თითქოს სოფელმა დამალამ (ამჟამად ტამალა) სახელწოდება მიიღო იმასთან დაკავშირებით, რომ მეფე ერეკლემ ასპინძის ომის დროს (1770 წ.), ამ ადგილას დამალა თავისი ჯარი, რომელსაც ხელმძღვანელობდა გიორგი ბატონიშვილი. ეს გადმოცემა სწორი არ არის, თურქების მიერ 1595 წ. შემდგარ საგადასახადო წიგნში „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში"[1] ნახსენებია სოფელი დამალა (ტამალა). ამ დოკუმენტის მიხედვით ამ სოფელში ცხოვრობდა 5 კომლი (ქართველი), რომლებიც ოსმალთა სასარგებლოდ ყოველწლიურად იხდიდნენ 8000 აჩჩას[2].

მარჯვენა ფრთა ჩააბარა თავის სიძეს, დავით ორბელიანს და ზაალ ორბელიანს, რომლებიც ასპინძის ჩრდილო-დასავლეთით ლაშისხევში გამაგრებულან.

---

[1] გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ს. ჯიქიას რედაქციით. 1941, გვ. 136.

[2] ოსმალური ფულის ერთეულია. უდრიდა 86 კაპიკს.

ცენტრში კი, ასპინძის ციხის ბოლოს, სოფელ ოთის გზის მარჯვნივ, ზემო მხარეს — აგარებში თვითონ მეფე ერეკლეს ჯარი განლაგდა. აი რას წერს ამ ადგილის შესახებ XVIII საუკუნის სახელოვანი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი: „ამას (სველის, ანუ ლაშისხევის—ს. ხ.) ზეით ერთვის მტკვარს ასპინძის ჭევი აღმოსავლეთიდამ, გამოსდის კოდიანისას ანუ ჯავახეთის მთას. ამის შესართავთან არს ხიდი მტკვარსა ზედა. ასპინძის თავს და აგარის ბოლოს არს ციხე კლდესა ზედა შენი, მაგარი. ასპინძის ზეით, ჩრდილოეთ, არს მგელციხე, მაგარი, დიდშენი. ამავე ჭევზედ, ოთას, არს კლდესა შინა გამოკვეთილნი ქვაბნი დიდ-დიდნი, სახიზრად"[1].

ასპინძის ომის დროს ასპინძის ციხე ჯერ კიდევ მთელი ყოფილა, მაგრამ მასში უკვე თურქი მეციხოვნეები აღარ მდგარან.

ასპინძის ციხე XX საუკუნის დასაწყისში დაანგრევინა აწყურის მკვიდრმა ახალციხელი ეფენდის შვილმა თეიფიყ ჰამიდ-ოღლიმ. „მან მოისურვა დუქნის აგება ასპინძის ქვემოთ სახელმწიფო გზის პირად... მიუხედავად იმისა, რომ ამ გზის პირად ასპინძის მინდვრებზედ ფეხს ვერ ავუქცევთ შენობების საუკეთესო ქვას, იგი უხერხო ალაგას რკინის კეტებით მხნედ, შეუდგა გარკინავებულ ციხის კედლების დაქცევას. ეს ციხე აოხრებული ნანგრევი იყო, მაგრამ მაღალი კედლები და ყოველი კუთხე, მთელი სურათი ციხისა მთლად იყო დაცული"[2]. ასპინძის ომის დროს აქ ქართველები ცოტანი იყვნენ უმეტესობა გამაჰმადიანებული ყოფილა.

მეფე ერეკლესა და მის ლაშქარს ასპინძის არემარეში დასაყრდენი და მომხმარე ადგილობრივი მოსახლეობიდან არავინ ჰყავდა. ქართველები ამ ქართულ მიწაზე მტრულ გარემოცვაში იყვნენ მოქცეულნი.

მეფე ერეკლის მიერ ასპინძის მიდამოებში შემუშავებული საომარი გეგმა და ლაშქრის განლაგება ძველი ქართული სამხედრო ხელოვნების ტრადიციების მიხედვით ყოფილა შემუ-

---

1 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 127.

2 გაზეთი „ივერია", 1900 წ. № 98.

შავებული. დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული, ერთიანი საქართველოს ლაშქარი ოთხ ნაწილად, ოთხ სადროშოდ იყოფოდა. მაგრამ, სარდლის შეხედულებით, სამ ნაწილადაც შეიძლებოდა მტერზე იერიშის მიტანა.

მეფე ერეკლემ ასპინძის მიდამოებში, სამხედრო თვალსაზრისით, საუკეთესო ბუნებრივი პოზიციები დაიკავა. როგორც ზაალ ორბელიანი ყიზლარის კომენდანტის სახელზე დაწერილ მოხსენებით ბარათში აღნიშნავს: „მეფე ერეკლემ მტრის დასაზვერად თავისი ჯარი სამ ნაწილად გაჰყო... მაგრამ იმ დღეს ბრძოლა არ მომხდარა“[1].

მეფე ერეკლემ გაითვალისწინა რა ის მდგომარეობა, რომ მაჰმადიანთა გარემოცვაში იყო და ყოველი მხრიდან მოსალოდნელი იყო მტერს ახალი მაშველი ძალები მომატებოდა, გადაწყვიტა 19 აპრილს მდ. მტკვარზე ასპინძის ხიდის აყრა, რადგან მტკვრის მარცხენა მხარეს მრავალი სოფელი (დიდი და პატარა ვარნეთი, ბნელა, ოსკერია, აწყვიტა, ქუნცა, როკეთი, ორგორა, სახუდაბელი, ახაშენი და სხვ.) მაჰმადიანი მოსახლეობით იყო დასახლებული და ყოველთვის შეეცდებოდნენ დახმარება აღმოეჩინათ ახალციხის ფაშასათვის ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში. „ხოლო ღამესა (19 აპრილს — ს. ხ.) მას წარგზავნა მეფემან ერისთავის — შვილი აღაბაბა, სვიმონ მუხრან ბატონის შვილი — ნასაღჩიბაში და ხუდია ბორჩალოელი, ჩინებული და მამაცი ყოველსა საქართველოსა შინა და ამცნო მათ, რათა აჰყარონ ხიდი ასპინძისა და მათ სრულ — ჰყვეს ყოველივე ბრძანებული მეფისა“[2] — აღნიშნავდა მემატიანე. მეფე ერეკლემ გაითვალისწინა, რომ მტრის ჯარის უმრავლესობა ცხენოსანი იყო. ამიტომ იმავე რაზმს დაავალა ასპინძის ხევზე ჩამომავალი ადიდებული ღელის წყალი ასპინძის ხნულებში გადაეშვათ, რათა მტერს ბრძოლის ველზე ხელი შეშლოდა და ოსმალთა ცხენოსანი ლაშქარი ლაფში ჩაფლულიყო. ეს ასეც მოხდა. მეორე დღეს, 20 აპრილს მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის ვაკე

---

[1] Грамоты... том I, вып. I, зз. 461.

[2] „შედეგი კახეთის ცხოვრებისა“, ქართლის ცხოვრება, II, 1854, зз. 507.



ასპინძის ხიდის ბურჯი.

ბრძოლის ველად გადაიქცა. ილია ალხაზიშვილი წერს: „ასპინძასთან მტკვრის ხეობის მარჯვენა ნაწილი საკმაოდაა გაფართოებული არე-მარე უტყეოა, ხოლო თითონ სოფელი ბაღ-ბოსტნებით არიან შემკული. ასპინძის ბოლო 3—4 ვერსის სიერცეზედ მტკვრამდე დაქანებულია. ძრიელ ნაყოფიერი ყანებია, რომელთაც პატარ ხევი (თეზინის—ს. ხ.) ჰრწყავს. ხევი სოფელს მარჯვნივ ჩამოუდის ციხე-კოშკთან და ამ ხევის წყლით და გაყვანილი რუებით ისარგებლა მეფე ერეკლემ, როდესაც უბრძანა ერთგულ ქართველებს: აბა ბიჭებო, რჯულისათვის და მამულისათვის! ამაღამ უნდა მტრის იდუმალ ჩაშალოთ მტკვარზედ ხიდი და ხნულები წარღვნათ ამ ადიდებულ ხევით“[1]. ამ დროს გაზაფხული იყო და ასპინძის ხევის ღელის წყალი მართლაც ადიდებული იქნებოდა.

მეფე ერეკლესდროინდელმა ასპინძის ხიდის მარჯვენა ბურჯმა დღემდე მოაღწია. იგი დაბა ასპინძიდან 2 კილომეტრით არის დაშორებული. ამ ბურჯს საძირკვლად აქვს დიდი ლოდი, რომელიც შეჭრილია მდინარის კალაპოტში, სწორედ ამ ლოდის წყალობით მოაღწია დღემდე ხიდის მარჯვენა ბურჯმა. წყლის ზედაპირიდან ლოდის სიმაღლე ერთ მეტრზე მეტია, ხოლო მასზე დაშენებული კირდუღაბიანი კედლის სიმაღლე

1 გაზეთი „ივერია“, 1898 № 34.

2 მეტრი, სიგანე 5 მეტრი და სიგრძე 27 მეტრია, რომელიც უპირისპირდება ასპინძის ახლოს მდებარე ხვილიშის ეკლესიის ველს. ხვილიშის ეკლესიის ნანგრევებიდან ასპინძის ხიდის ბურჯამდე დაახლოებით კილომეტრნახევარია. ადგილობრივი მესხები ერეკლესდროინდელ ხიდის მიდამოებს „საკუპრეს“ უწოდებენ. ხიდის ბურჯს კი — ერეკლეს ნახიდარს, ხოლო ხიდის ბურჯის ზემოთ ვაკე ადგილებს დღესაც „საკირეს“ ეძახიან. გადმოცემით, ამ ადგილებში უწინ თურმე კირს ამზადებდნენ.

გათენდა 1770 წლის 20 აპრილი. არც ქართველებს და არც ოსმალებს ბრძოლის დაწყება პირველებს არ სურდათ. ქართველებს ასპინძის არემარეში კარგი პოზიციები ეკავათ და მეფე ერეკლეს არ უნდოდა მისი მოშლა. ლეკ-ოსმალთა ჯარიც დამალული იკო მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირთან, ასპინძის დაბლა, შარაგზის ქვემო მხარეს, თეზინის ხევის, ასპინძის შესავალში „დიდი ჭურების“ (ამჟამად სატყეო მეურნეობის ქვემოთ მდებარე ვაკე ადგილები), „მრგვარი ყანების“ (ამჟამად რაიკომის შენობის ქვემო მხარე, სადაც ასპინძის კოლმეურნეობის ბაღებია გაშენებული), საკირესა და ხვილიშის მიდამოებში; მტერი ქართველების მხრივ მოელოდა შეტევის დაწყებას. დღის პირველ საათამდე ბრძოლა არც ერთ მხარეს არ დაუწყია. მეფე ერეკლეს მტრის გამოსატყუებლად სამხედრო ხერხისთვის მიუმართავს: დაახლოებით ასი კაცი გაუგზავნია ჩასაფრებული მტრის მხარეს ცხენებზე ხურჯინგადაკიდებულნი, ვითომდა სურსათ-სანოვაგის მოსატანად. მეფე ერეკლემ „სურსათ-სანოვაგის“ მომტანი ქართველები, განგებ, ჩასაფრებული მტრის მხარეს გაგზავნა, რომ მტერი შეცდომაში შეეყვანა და ჩასაფრებულნი ადგილებიდან წამოეშალა.

როგორც ირკვევა, მეფე ერეკლეს სამხედრო ხერხს გაუჭრია, „სურსათ-სანოვაგის“ მომტან ქართველებს მტერი გამოუტყუებიათ ჩასაფრების ადგილებიდან. მეომრებს, წინასწარ მეფის დარიგების მიხედვით, ხმლების ქნევით, უკან-უკან დაუხევიათ და ოსმალთა დადევნებული ლაშქარი თავიანთ მთავარ ბანაკთან, ასპინძის ციხის ზემო მხარეს — აგარებთან მიუყვანიათ. ამ დროს მეფის ჯარიც ჩაბმულა ბრძოლაში, მაგრამ მტერი იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ

ქართველთა ზოგიერთი რაზმი მოუშლია და მასში არევ-დარევა შეუტანია. მეფის ახლო მდგომი რამდენიმე რაზმი ბრძოლის ველიდან გაქცეულა კიდეც. საქმის გამოსწორება კვლავ დიდებულ მეფე ერეკლეს უკისრია. ჯერ თავისი ლაშქარი გაუმხნევებია შემდეგი სიტყვებით: „გულოვანო მხნენო ქართველებო, ჩემო განუყრელო ყოველსა საშინელებაში, ჩემო გულის ძმებო! ეს ამისთანა გაჭირვებული ომი ჩვენს თავზედ პირველი არ არის. კარგად გაარჩიეთ, დაინახეთ რა სიკვდილის ლხინი არის დღეს! ვიომოთ სიკვდილამდის, ასე სიკვდილამდის, რომ ჩვენი ზურგი მტერმა არ დაინახოს: ეს ჯაბანთა წესი არის. თქვენ წინ გადაწყვეტით ვაღიარებ, რომ დღეს უნდა გამოვესალმნეთ ჩვენს თავს, აქ უნდა გავწყდეთ. ჩვენს ცოლშვილში სირცხვილია დამარცხებით მისვლა, მერე რა პირს დაგვინახავენ ის ჩვენი კარგი დედაკაცნი? — შავსა დამარცხებულ პირსა, თან გვეტყვიან: ჯაბნებო, წადით დაიკარგენით ჩვენგანითაო... აბა ჩემო გულის ძმებო, მინამ იმათ წინ ამ სირცხვილით წარვდგებოდეთ, გვიჯობს ჩვენს წმინდას სიკვდილზე თმები ვაწეწინოთ იმათ, ჩვენს დაქცეულს სისხლზედა, ჩვენის მამულისათვის. გავწყდეთ ქართველებო, მე აქ თქვენთან ვიმყოფები ერეკლე!“.[1]

დიდი მხედართმთავრები და სახელმწიფო მოღვაწენი გადამწყვეტი ბრძოლის წინ მებრძოლთ შთამაგონებელი და ამაღელვებელი სიტყვებით მიმართავდნენ ხოლმე. მებრძოლებს აღაფრთოვანებდა პეტრე I, სუვოროვის, კუტუზოვის, პეტრე ბაგრატიონის და სხვათა მგზნებარე სიტყვები.

მეფე ერეკლემ გაითვალისწინა რა შექმნილი მძიმე მდგომარეობა, თვითონ გადაეშვა ბრძოლის ცეცხლში, მისმა შემხედვარე ქართველებმა დაივიწყეს ყოველგვარი შიში და გმირ მეფეს ხმალამოწვდილნი კვალდაკვალ მიჰყვნენ მოზღვავებულ ოსმალთა შესამუსრავად. ქართველების ვაჟკაცურმა და გაბედულმა შეტევამ მტერი შეაჩერა და ბოლოს უკუაქცია კიდეც.

აი რას მოგვითხრობს ამ ბრძოლის შესახებ ომან ხერხეულიძე. მეფე ერეკლე თავისი სიტყვის დამთავრების შემდეგ „... ეკვეთა ძლიერად და ძალითა ღვთისათა აოტნა ოს-

---

[1] ჟურნალი „მნათობი“ № 1. 1869 გვ. 5

ორთაბრძოლა (მხატვარი ს. მაისაშვილი)

მალნი: ამისი მხილველნი სპანიცა მეფისახი მოიქცნენ და დაუწყეს დევნა ლტოლვილთა ოსმალთა და მრავალნი მოსწყვიტეს. გამობრუნდნენ გამარჯვებულნი“.

ამ პირველი ბრძოლის შემდეგ ერთი საათიც არ იყო გასული, რომ ლეკ-ოსმალთა ახალი ძალები გამოვიდნენ ბრძოლის ველზე, მათი რაოდენობა დაახლოებით 1000 კაცამდე ყოფილა. დაიწყო ორივე მხრივ ფიცხელი ბრძოლა. მტერი ქართველებს გამხეცებით უტევდა. ამ ბრძოლაში მტრის ერთ რაზმს მოუძღოდა დაღესტანში დიდად განთქმული კოხტა ბელადი. ქართველების მარცხენა ფრთა შედრკა და უკან დახევა დაიწყო, მაგრამ მეფე ერეკლესა და დავით ორბელიანის ჯარების გმი-

რულმა შეტევამ მოწინააღმდეგე. წელში გატეხა. მრავალ-ომგადახდილმა მეფე ერეკლემ იცოდა, რომ მოწინააღმდეგის სარდლის მოკვლით მტერი სულიერად დაეცემოდა, რითაც გამარჯვების სასწორი ქართველების მხარეზე გადაიხრებოდა. ასეთი ხერხი გმირ მეფეს არაერთხელ გამოუყენებია მტრის მიმართ ბრძოლებში. და აი ახლაც ნიშანში ამოიღო... უცებ იელვა ერეკლეს ხმალმა და უსულოდ დაეცა დაღესტნის ლეკების სახელგანთქმული სარდალი, ქართველების დაუძინებელი მტერი, ახალგაზრდა კოხტა ბელადი. ამ ბრძოლის მომენტს ერეკლე II ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე ასე აგვიწერს: „... ვირე ერთი საათი განვიდოდა (პირველი ბრძოლის შემდეგ — ს. ხ.), უკან გამოდგომილნი ოსმალ-ლეკნი, მოიწევნენ რიცხვით ვიდრე ათასადმდე და სპანი მეფისანი გზის სივიწროს მიზეზითა აშლითა და თავწვრილად მოვიდოდეს დასტა დაწყობილნი. ოდეს იხილნა მეფე-მან ირაკლი ეს ჯარები მიწევნილი, მაშინვე თვით გამობრუნდა რამოდენითამე ჩინებულითა და შინაყმითა თვისითა და შვიდთა ხევსურთა, განჰსწირა თავი თვისი და ეკვეთა ფიცხლად, ვიდრე სიკვდილადმდე და იყვნენ ყოველნი მეფისათანა მყოფნი ქართველ-კახნი მხნედ და უმეტეს შვიდნი იგი ხევსურნი... თვით მეფე-მან მოჰკლა დაღისტნის წარჩინებული და მხნე ბელადი კოხტა“[1]...

ადგილობრივ მოსახლეობაში ბევრი თქმულება და გადმოცემა შემორჩა დღემდე ასპინძის ომისა და მისი გმირის, ერეკლე მეორის შესახებ. ე. წ. „ახალციხის ქრონიკებში“ ვკითხულობთ: „კოხტა ბელადმა გაითხოვა თავისთან ერეკლე მეფე და ორ მხარესვე გათავდა სროლა, პირველ შეყრისვე დაასწრო მეფემ, ჰკრა ხმალი, გადასჭრა წელზე, ფეხები უნაგირზე დარჩა, თავტანი ძირს დაეცა“[2].

კოხტა ბელადთან მეფე ერეკლეს ბრძოლის ამბებს 1898 წელს, სოფელ ხიზაბავრაში (ასპინძის რაიონი) მცხოვრები 80 წლის მოხუცი, სტეფანე ტატურაშვილი ილია ალხაზიშვილს

---

1 ო. ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე. ცხოვრება მეფის ირაკლი მეორისა, ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1854, გვ. 492.

2 აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზ. ფელნ. № 27, გვ. 204.

შემდეგს მოუთხრობდა: „მეფე ერეკლე ასპინძას ჩამოვიდა ორი ათასი კაცითა, მტკვარი მაშინ ადიდებული იყო. თურბაზე (თათრების სასაფლაოზე), ზედ იმ ასპინძის მისასვლელში იყო ჩხუბი, მეფემ უთხრა, ნუკი შევებმებით ჯარით, აი ერთი თქვენი გამოვიდეს, ერთიც ჩვენთაგანი და ვნახოთ ვინ-ვის აჯობებსო, მაშინ ლეკებიდგან ამაყად გამოვიდა კოხტა ბელადი, ერეკლე მეფე თეთრ ცხენზე იჯდა და ყველას უბრძანა: მეფეს ნუღარ დამიძახებთ, თეთრცხენიანი დამიძახეთო.

კოხტა ბელადმა უთხრა: აბა დონღუზო (ღორო — ს. ხ.) გამექეციო, გააჭენა ცხენი ერეკლემ, გამოუდგა კოხტა ბელადი... „მოვიდა თეთრცხენაო“ დაუძახა თავის კაცმა მეფეს და წამსვე კოხტა ბელადის მოქნეული ხმალი ასცდა მეფეს, რადგან ცხენს მუცელზედ მოექცა. ხმალმა სულ წაიღო უნაგირის აიარ-ყაში (თავი). მოაჯდა მეფე ცხენს და დაჰკივლა კოხტა ბელადს: აბა შენ თითონ დონღუზო, ახლა შენ გამექეციო. გამოუდგა ერეკლე... კოხტა ბელადმა თამამად შემოჰხედა მეფეს და შემოსძახა: „რაო დონღუზო, რა გინდაო?“. მყრალო ლეკო გაიარე, გაიარეო, — მიაძახა მეფემ და ამ დროს ერეკლემ მოუქნია ხმალი და ისე გაუარა ხმალმა, რო ლეკმა ვერც კი გაიგო რა... გადასჭრა კაცი... კოხტამ უთხრა: გიაურო ვერ მომარტყი, მაგრამ ცოტა რომ შეინძრა, ტანი ძირს ჩამოვარდა და ფეხები კი უზანგებში დარჩა... აი ეგ მინდოდაო, ღაიძახა მეფემ და მოუბრუნდა ჯარს: აბა და ბიჭებო ხმალი ამ წუნკლებსო!“[1].

კოხტა ბელადის სიკვდილის შემდეგ ლეკ-ოსმალთა ჯარები ერთიმეორეში აირია და ცხვრის ფარას დაემსგავსა. ქართველების სიხარულს კი საზღვარი არ ჰქონდა. გული მოეცათ და მტერს გულდაჯერებით შეუტიეს. დამარცხებულმა და გაქცეულმა ლეკ-ოსმალთა ჯარებმა თავის საშველად ხიდს მიაშურეს. „ხოლო რაკი აღმოჩნდა, რომ უკან დასახევი გზაც შოკრილი იყო, მეფის ბრძანებით ხიდის წინასწარ დაზიანების გამო, მტერი მორალურადაც დაეცა და ბრძოლის უნარი დაკარგა“[2].

ერეკლეს ბრწყინვალე სამხედრო ნიჭმა ხიდის აყრით მტერს

---

1 გაზეთი „ივერია“, 1898 წ. № 34.

2 ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, 1957, გვ. 68.

ხიდზე გადასვლის საშუალება ადრევე მოუსპო. ამ დროს მტკვარი საშინლად იყო ადიდებული. მტერი ქართველების ხმლით სიკვდილს წყალში დახრჩობას ამჯობინებდა და წყლის ზვირთებში უმოწყალოდ ინთქებოდა.

კოხტა ბელადის სიკვდილის შემდეგ „... ლტოლვილთა ოსმალ-ლეკთა ასპინძის ხიდს მიჰმართეს და ქართველნიცა სდევნიდენ ფიცხელად, ხიდის ფიცრები უწინარესვე აყრილი იყო და რომელმანცა სიკისკისითა ერთს ისარზედ არ განვლო, მისგან კიდე ყოველნი მოსწყვიტეს და მრავალნი წყალში შეაცვივდენ, და მოიშთვნენ; ვინადგან იმ ჟამს მტკვარი განდიდებულ-იყო, ამისათვის ვერ უძლეს მშვიდობით განრინება მტკვრისა-გან“ აღნიშნავს მემატიანე.

ქართულ საისტორიო და მხატვრულ ლიტერატურაში დღემდე შემორჩენილია და დამკვიდრებული ერთი ანეკდოტური შეხედულება გიორგი ბატონიშვილის შესახებ, თითქოს მან ასპინძის ომში მამას უღალატა და სოფ. დამალაში ჩასაფრებული თავისი ჯარი არ მიაშველა. ასეთი შეხედულება მომდინარეობს XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან. ხალხში კი ერეკლე მეორის სიკვდილის (1798 წ.) შემდეგ ასეთი ამბები დაკავშირებული იყო ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ატეხილ ბრძოლებთან.

მეფე გიორგი XII მოწინააღმდეგე დასი ცდილობდა სახელი ვაეტეხა გიორგისათვის და ამიტომ ცილისმწამებლურ ამბებს უგონებდნენ. ეს ყველაფერი გადმოცემული აქვს ალ. ჯამბაკურ ორბელიანს (ერეკლეს ასულ თეკლე ბატონიშვილის შვილს), რომლის ოჯახიც მეფე გიორგის მოწინააღმდეგეთა ჯგუფში ყოფილა.

„ორი ათასზე მეტი ჯარი ჰყვანდა ამ დროს ბატონიშვილ გიორგის. ის გამბედავი, მამისებური ვაჟკაცი იყო გულით, მაგრამ იმ დროს მეფის ოჯახში მტრებმა მლიქვნელი ენით მოატყუეს და ერთ სიმაგრეში (დამალაში — ს. ხ.) გაამაგრეს. თუ მეფე ირაკლი თავისი ჯარით დააბრუნონ, აქ ჩვენ გავიმარჯვებთ და მას უკან მტერსაც დავამარცხებთო. ისიც გულით წრფელი იყო, დაუჯერა. თითქოსდა მეფე ერეკლემ გიორგი ბატონიშვილთან შიკრიკი ანტონ აქიმბაში ყარაშვილი გააგზავნა, რათა სასწრაფოდ მოშველებოდა ასპინძის ომში ქართველებს;



ასპინძის ბრძოლა (მხატვარი ს. მაისაშვილი).

როდესაც ანტონ ყარაშვილი გამოცხადებულა და მეფის ბრძანება გადაუცია, გიორგი ბატონიშვილს უპასუხნია: „ანტონ ექიმბაშო, დამიჯერე, შენც აქ იყავ ჩვენთან. თუ ისინი დააბრუნონ, მას უკან ჩვენს ჯარს ჩვენ დავიჭერთ“[1]. ეს პირდაპირ ცილისწამებაა გიორგი ბატონიშვილის მიმართ. ეს რომ მართალი ყოფილიყო, მეფე ერეკლე რომელიც მაშინ ისეთი ძლიერი იყო და ისეთი დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, ურჩ შვილს არასგზით არ აპატიებდა ღალატს. მით უფრო 1795 წ. აღა-მაჰმადხანის შემოსევის კრიტიკულ მომენტში მეფე ერეკლე კახეთს არ

1 ჯამბაკურ ორბელიანი, ასპინძის ომი (მასალები საქ. ისტორიისათვის), ჟურნ. „მნათობი“, 1869, № 1, გვ. 13.



ჩააბარებდა გიორგი ბატონიშვილს და არც თავის ბეჭკვიდრედ აღიარებდა. პირიქით, გიორგი ბატონიშვილმა ახალციხის საფაშოზე ლაშქრობის დროს დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა აწყურთან ბრძოლაში. იმ დროს, როდესაც გენერალმა ტოტლებენმა ვერაგულად უღალატა მეფე ერეკლეს და აწყურიდან უკან გაბრუნდა, მეფეცა და მისი ჯარიც პირველ ხანებში სასოწარკვეთილებამ მოიცვა. სწორედ მაშინ გამოიჩინა გიორგი ბატონიშვილმა გმირობა, გაამაყებულ ლეკ-ოსმალებს მტკვრის მარჯვენა მხრიდან თავზარდამცემი ყიჟინით მიეკრა და ბრძოლის ბედიც ქართველების სასარგებლოდ გადაწყვიტა. აი რას წერს ამ ომის მონაწილე და უტყუარი მოწმე ფრანგი კაპიტანი დე გრაი დე ფუა: აწყურთან ბრძოლა „... ფიცხელი და დაუნდობელი იყო. ქართველები და თურქები ხმალდახმალ



ბატონიშვილი გიორგი ერეკლეს ძე
(მხატვარი მ. გვაჯაია).

იბრძოდნენ. ომი მეტისმეტად გამწვავდა. ორივე მხარე თავ-განწირვით იბრძოდა. ამ დროს თავზარდამცემი ყიჟინით მტკვრის მარჯვენა (სოფელ საყუნეთის — ს. ხ.) მხრიდან მოვარდა გიორგი ბატონიშვილი მამის დასახმარებლად"[1]. გიორგი ბატონიშვილი აწყურის ბრძოლის გარდა ასპინძის ბრძოლაშიც ღებულობდა მონაწილეობას. თუმცა ერეკლეს ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე არ ასახელებს გიორგი ბატონიშვილს და არც დავით ორბელიანს, მაგრამ როცა წერს, ერთ-ერთი ბრძოლის

---

1 კაპიტანი დ ე გ რ ა ი დ ე ფ უ ა, გრაფ ტოტლებენის ექსპედიცია საქართველოში, გაზ. „წითელი დროშა", № 123, 1964, 14/X.

მომენტში ჩასაფრებული ქართველთა ლაშქარი ჩაება ბრძოლაშიო, ჩვენი აზრით, ეს უნდა ყოფილიყო გიორგი ბატონიშვილის ჯარი. აი რას წერს ომან ხერხეულიძე: მეფე ერეკლეს მიერ კოხტა ბელადის მოკვლის შემდეგ „.... მყისვე ივლტოდენ ოსმალ-ლეკნი და მოუდგნენ ქართველ-კახნი და უმრავლესნი ოსმალ-ლეკნი მოსწყვიტეს"[1]. აქ გამოთქმაში „მოუდგნენ ქართველ-კახნი" უნდა ვიგულისხმოთ, რომ ერეკლეს მთელი სამეფო ჯარი მონაწილეობდა ამ ომში და მათ შორის ალბათ გიორგი ბატონიშვილისაც.

პლატონ იოსელიანმა, რომელმაც XIX საუკუნის 60-იან წლებში დაწვრილებით შეისწავლა და აღწერა გიორგი XII ცხოვრება და მოღვაწეობა, ასპინძის ომში გიორგი ბატონიშვილზე წაყენებული ბრალდების შესახებ წერს: „იტყვიან მტერნი მეფის ძისა გიორგისა, არ მიაშველა ჯარი 900 კაცისა მამასო. რაზედა ფუძნებენ თქმულობასა ამას? არ ვიცი. დროსა ამას ასპინძის ომისსა (1770 წ. — ს. ხ.), ჯერეთ არ იყო შფოთი მეფისა ირაკლისა სახლში და არცა ძმანი მისნი, დედინაცვლისაგან (დარეჯან დედოფლისაგან — ს. ხ.) შობილნი, იყვნენ სრულსა ჰასაკსა მოსულნი. ერთობა მეფისა სახლისა იყო მტკიცედ დამყარებული სიყვარულისა ერთისა მეორისადმი, ერთობითა"[2].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ომში მონაწილე ანტონ ბოურავოვიც რუსეთში საიდუმლოდ გაგზავნილ წერილებში არ დამალავდა გიორგი ბატონიშვილის ასეთ მოქმედებას. ყოველივე ზემო თქმულიდან ვასკვნით, რომ ასპინძის ომში გიორგი ბატონიშვილისადმი წაყენებული ბრალდება პირდაპირ ცილისწამებაა და ისტორიულ სინამდვილეს მოკლებულია. ეხება რა ერეკლე მეორისა და მისი შვილების ურთიერთდამოკიდებულების საკითხს, პროფ. იასე ციხცაძე სამართლიანად დაასკვნის: „ვერავინ ვერ დაგვიმტკიცებს ჩვენ, რომ ერეკლე მეფემ თავის შვილებს რაიმე დაავალა და რომელიმე მათგანმა შესრულებაზე უარის თქმა გაბედა. ერეკლეს ავტორიტეტი ისე

---

1 ქართლის ცხოვრება, ტ. II. 1854. გვ. 492.

2 პ ლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ცხოვრება გიორგი მეცამეტესი, აკ. გაწერელიას რედაქციით, 1938, გვ. 9.

დიდი იყო, რომ მისი ვაჟიშვილები მისი მორჩილებიდან გამოსვლას ვერ ბედავდნენ, წყაროებიდან ეს ძალიან კარგად მოსჩანს. ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ მომხდარი ამბების მიხედვით მსჯელობა წინა წლებზე უმართებულოა"[1]. პროფ. იასე ცინცაძის აზრითვე, გიორგი ბატონიშვილის შესახებ ცილისწამება და ზემოაღნიშნული სიცრუე გაავრცელა ირანის შაჰის აგენტმა არტემ არარატელმა და ეს სიყალბე მისგანვე აიღო რუსმა ისტორიკოსმა პ. ბუტკოვმა, რაც ისტორიულ სინამდვილეს არ შეესაბამება.

მტრის ჯარი სასტიკად დამარცხდა, ლეკ-ოსმალებმა ასპინძის ბრძოლის ველზე 4000-ზე მეტი მოკლული დატოვეს, დანარჩენი ადიდებულმა მტკვარმა დაახრჩო. ლეკ-ოსმალთა ჯარიდან ცოცხალი გადარჩა 13 კაცი, რომლებმაც გაქცევით უშველეს თავს, ხოლო ქართველებმა ტყვედ ჩაიგდეს 57 კაცი. ერეკლე მეორე, ვიცე-კანცლერის მ. გოლიცინისადმი გაგზავნილ წერილში ასპინძის ომის შესახებ წერს: „რადგან ღვთის მოწყალებით სასოება გვქუნდა მათზედ ძლევისა, ხიდი უწინვე წავუხდინეთ, ომი მოგვივიდა ურთიერთ მიმართ ძლიერი და ფიცხელი; მცირეს დროს ისინიც იძლევნენ და მიისწრაფეს მსასოებელთა ხიდისათა ხიდისა მიმართ, და ხიდი წამხდარი დახვდათ, და ვსდევნიდით რა მოისწრაფეს მდინარედ, რომელ არს მტკვარი, და ესრეთ ამოსწყდნენ ჯრმლით და მოიშთუნენ წყლით, რომელ თვით თვალითა ჩვენთა ვხედავდით ოცნი, გინდა ოცდახუთნიღა განერნენ — ესრეთ აღიკოცნენ, და რომელნიც ახალციხესა შინა პირველნი, ანუ ჩინებული კაცნი იყვნენ, ფაშანი, ანუ ბეგნი სრულიად მოსწყდნენ და ეგრეთვე დაღისტნის ჩინებულნი და თავნი, რომელნიც მუნ იყოფოდნენ ისინიც აღიკოცნენ"[2].

ასპინძის ბრძოლაში 14 ფაშა და სანჯაყის მფლობელი და 6 ლეკთა ბელადი იქნა მოკლული. 1770 წ. 12 მაისს მეფე ერეკლე მეორე გრაფ ნ. პანინს შემდეგს წერდა: „... მოკუდა (ასპინძის ომში): არტაან ბეგი ბექირბეგი, რომელიც იყო ახალ-

---

1 იასე ცინცაძე, აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე, 1963, გვ. 128.

2 Грамоты... том II, вып. I, зз. 30.

ციხის ჩინებულთაგანი — ყოველთა ზედა თავი, მოკუდა გო-
ლა ფაშა, მოკუდა შავშეთის ბეგი, ორი არტაან ბეგის ძმისწუ-
ლი — ემინ ბეგი, ქისკან ბეგი, ნარიმანის ბეგი, არტაანის ყა-
ლაი ბეგი, თაოსკარის (ტაოს კარი — ს. ხ.) მუსალიმი რაჯაბა-
ღა, ახალციხის გუმროქჩი ჰამადაღა, ლევანდის ბაშაღა, ფაშის
სალამაღასი, საჰყალაღასი ფაშისა, ბანლი უსაფ აღა, ბაშდელი
ბელუქბაში, დაღისტნის ჩინებულნი და თავნი კაცნი, კუმუხის
მთავრის შვილი, რომელს თვით ხონთქარმა ფაშობა მისცა, აჯი
გაჰრაი, და ამისი სიკვდილი უფრო ჩანს, ვიდრე სიცოცხლე,
ამ მიზეზით, [რომ] მისი ცხენი აღკაზმული ჩვენ მოგვართვეს,
და ჩვენი კაცი ახალციხეს აღარ დავა მტრობის მიზეზით, და
ზოგნი სიცოცხლესაც ამბობენ; მალაჩილა (კოხტა ბელადი. —
ს. ხ.), რომელი იყო დაღისტნის პირველი და ჩინებული ბე-
ლადი, ყოყა ბელადი, უსუფ ბელადი, ჰაჯიმამედ ბელადი, მუსა
ბელადი"[1]...

ქართველებმა ასპინძის ომში ტყვედ ჩაიგდეს 57 კაცი, მათ
შორის ერთი ლეკი, ხოლო სამხედრო ალაფს შეადგენდა: 25
დროშა, მრავალი თოფი, ხმალი, ხანჯალი, დიდძალი ოქრო-
ვერცხლი, დიდებული კარვები და სხვა მრავალი.

ყველაფერი ეს ქართველებს დარჩათ. ადგილობრივი მო-
სახლეობის გადმოცემით, ასპინძის ომში ბევრი ლეკ-ოსმალი
ადიდებულ მტკვარს დაუხრჩვია, მდინარეს სოფელ მუსხთან
(ახალციხის რაიონი) როგორც ტივი, ისეთი შეკვრა ჩამოუტა-
რებია ლეკ-ოსმალთა გვამებისა. მტკვრის მარცხენა ნაპირზე
მუსხის თუთის ბაღებთან ახლოს, ე. წ. ლაზარეს (ეუეუნაძის)
მორევში წყალს ერთი დამხრჩვალის გვამი დიდხანს უტრია-
ლებია, მუსხელი პავლე შეცურებულა მორევში და გამოუტა-
ნია გვამი, რომელსაც გუდით სავსე ოქრო ჰქონია მოკიდებუ-
ლი. მოუხსნია ოქროს გუდა და გვამი კვლავ წყლისათვის მიუ-
ცია. ამ ოქროთი ისე გამდიდრებულან პავლეს ჩამომავალი,
რომ გვარად ოქრომელიძეები დაუმკვიდრდათ[2]. ესეც იმას
მოწმობს, რომ ასპინძის ომში ლეკ-ოსმალებს დიდი სიმდიდრე

---

1 Грамоты... том II, вып. I, гз. 31.

2 ეს გადმოცემა ჩაგვაწერინა 75 წლის მოხუცმა ქალმა ნინო ოქრომე-
ლიძე-ბერიძემ. სოფ. ერკოტაში (ასპინძის რაიონი).



დავით სარდალი (მხატვარი მ. გვაჯაია).

დარჩენიათ ბრძოლის ველზე, ნაწილი კი ადიდებულ მტკვარს წაუღია.

ასპინძის ომში ქართველებმა ნაკლები მსხვერპლის გაღებით ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს. ქართველების მხრივ მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი ფრიად მცირე იყო, შეიძლება კაცს დაუჯერებლადაც მოეჩვენოს აღნიშნული მსხვერპლი, რომ ამ ცნობებს მარტო ქართველი კაცი გვაწვდიდეს. აი რას წერს მეფის რუსეთის წარმომადგენელი საქართველოში ანტონ მოურავოვი: ასპინძის ომში „ერეკლეს დანაკლისს შეადგენდა: მოკლული 25 კაცი, დაჭრილი—მისი სარდალ-მეთაური, თავადი ალექსანდრე ციციშვილი, იასე ერისთავი და 5 რიგითი ჯარისკაცი"[1].

---

[1] Грамоты... том I, გვ. 461.

ასპინძის ბრძოლაში ბევრ ქართველს გამოუჩენია თავი, მაგრამ განსაკუთრებით ერთხმად ასახელებენ მეფე ერეკლესა და მის სარდალს — დავით ორბელიანს, რომლის გმირობას ბესიკმა სპეციალურად ქება უძღვნა ლექსში—„ასპინძისათვის". „ბესიკი ქებათა ქებას ასხამს ასპინძის სახელოვან გმირს (დავით ორბელიანს — ს. ხ.), თავის მეგობარსა და პატივისმცემელს... ბესიკმა ამ ლექსით გამოხატა თავისი ღრმა პატრიოტული აღტყინება ქართველი მხედრების სამამაცო საქმეებით. მან ძლიერი მხატვრული სიტყვით აღბეჭდა მომხდურ ვერაგ მტერზე შესანიშნავი გამარჯვების საერთო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ქართველობისათვის"[1]. ბესარიონ გაბაშვილი დავით სარდალს აღტაცებით მიმართავს — „ასპინძის მიწა გიწამებსო".

„დელი ლევანდს ჰკრი, ლევანდი ბაშ-აღას მიაბრუნებდა,
ხმალს განერკვია, მაშალა, ძღარბივით ქურქში ბრუნავდა;
მწყურვალე ხრმალი დაგეთროთ, ცათაცა შეაძრწუნებდა,
თეთრი ტაიჭი სისხლითა შეღებას არა ზრუნავდა".

ბესარიონ გაბაშვილის გარდა, მეფე ერეკლეს ამ გმირული ომის შესახებ რაფიელ ერისთავმა 1880 წელს დაწერა პოემა „ასპინძის ომი", სადაც დიდ ხოტბას ასხამს ამ ომის მონაწილე ყველა ქართველსა და მის მხედართმთავარს, ასპინძის ომის გმირს, მეფე ერეკლე მეორეს.

ასპინძის ომში დიდი გმირობა გამოუჩენია საქართველოს ყველა კუთხის მოსახლეობას, მაგრამ ქართული ისტორიული წყაროები უფრო მეტად ხევსურებს ასახელებენ.

განსაკუთრებით ხოტბას ასხამენ ასპინძის სახელოვან გმირს — მეფე ერეკლე მეორეს. მესხეთში მის შესახებ ასეთი ლექსი გამოუთქვამთ.

„ერეკლემ დაუქნია, მხრები დაათალაო,
ხმალდახმალ შევა ქართველი, ცხვარივით წამოშალაო,
იმათი თოფ-იარაღი ქალაქში ჩაიტანაო,
ასპინძის ბოლოს ლეკები ავლაბარ გამოყარაო,
შარშან შემძვრალი ჩირგვებში,
დღესაც არ გამომძვრალაო".

---

1 ალექსანდრე ბარამიძე, ბესიკი, 1962, გვ. 17.

„ასპინძას ერეკლე ვნახე, ხელში ეჭირა ხმალიო,
ჩეხა დაუწყო ლეკ-ოსმალთ, ადინა სისხლის ღვარიო,
კოხტა ბელადიც იქ მოკლა, მასაც გაუპო თავიო,
რისთვის ეომე ერეკლეს, ხომ არ გეგონა ქალიო?"
(ხალხური)

„შენ ერეკლე ოქმიანო,
ცხენ ლამაზ უნაგრიანო;
შენი ნახოცი ლეკები
ასპინძის ბოლოს ჰყრიანო,
ყვავი-ყორანი ლეშსა სჭამენ
კაჭკაჭნი თვალებს სთხრიანო".

ასპინძის ბრძოლაში თავი დიდად უსახელებიათ ზაალ ორბელიანს, სოლომონ თარხნიშვილს, ელიზბარ ფალავანდიშვილს, გ. ნათანაიშვილს, დემეტრე ორბელიანს, მეფის მცველთა უფროსს იოანე აბაშიძეს, გლეხთა წრიდან თავი უსახელებიათ: დავით დემურაშვილს, ბერელა კობახიძეს, სოლომონ ხატულაშვილს და სხვებს. გამოჩენილი მებრძოლები ყოფილან აგრეთვე გოგია სამხარაძე — მცხეთელი გლეხი და გივი ბოდაველი — ფშავი.

ქართველების გარდა ამ ომში თავი უსახელებიათ იმ რუს კაზაკებსა და ოფიცრებს, რომლებიც გრაფ ტოტლებენს აწყურიდან უკან არ გამოჰყვნენ და მეფე ერეკლეს ერთგულების გამო ქართველთა ჯართან დარჩნენ ბოლომდე. მეფე ერეკლე 1770 წ. 13 მაისს ნ. პანინს ანტონ მოურავოვის შესახებ სწერს: „... თავის ვალდებულება მ. დ. (მის დიდებულებისადმი) სამსახურზედ არ დაუკლია, და ასე გვახალისებდა ჩვენც მ. დ. სამსახურზედ და იმედს გვაძლევდა... ვალი ჰსძევს, და ეს ამისთანა ერთგულება კიდეც საქმითაც აღასრულა ჩვენთან ყოფითა, ასპინძის ომში გაუყრელად დასწრებითა"[1].

ადგილობრივი მესხი მოსახლეობის გადმოცემით, ასპინძის ომში მეფე ერეკლეს ჩაშველებია სოფელ ხიზაბავრაში, ნიჯგორსა და სარში მცხოვრები ქართველი მოსახლეობა ვისაც

[1] Грамоты... том II, вып. I, зд. 35.

თოფ-იარაღი ჰქონდა, იმით შეიარაღებულა, ვისაც არა და ორთითებითა და ცელებით უბრძოლიათ ლეკ-ოსმალთა წინააღმდეგ[1]. მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფ. ერკოტის მცხოვრები ქართველებიც ერეკლეს მოსაშველებლად მოსულან, მაგრამ, რადგან ერეკლეს მიერ მდინარე მტკვარზე ხიდი აყრილი ყოფილა, წყალდიდობის გამო მდინარეში ვერ გასულან და მაღლა გორებიდან ადევნებდნენ თვალს ომის მსვლელობას. აი, რას მოგვითხრობს ამის შესახებ სიმონ ტივაძე: „მე მოვესწარი ასპინძის ომსო, კარგა მოზრდილი ვიქნებოდი, ასე 15—16 წლისა, სხვებთან ერთად ერკოტის სერებიდან (სამი ვერსია ასპინძიდან) გადმოვცქეროდი ომს. ერეკლეს ჯარმა, რომ კიჟინი დასცა და შეუტია, მტრის ჯარი დაეშვა დაბლობისაკენ, მოაშურა მტკვარსა ხიდზე გასასვლელადო, ხიდი აყრილი დახვდა და შიგ წყალში ცვივდებოდაო. იმ დროს მტრის ჯარიდან ერთი ცხენიანი როგორც იყო გამოვიდა ადიდებულ მტკვარში, — მეორე ნაპირას. დანარჩენები სულ დაიღუპნენო... გაგვიგონია მოხუცთაგან, რა დღესაც ომი უნდა გამართულიყო, იმ დღეს დილით ერეკლე მეფე წირვაზედ ბრძანდებოდაო, საჩქაროდ შევიდნენ ეკლესიაში და მოახსენეს: მეფევ, რას აგვიანებ, მტერი მოგვიახლოვდა, საცაა დაგვეცემაო, მაგრამ წირვა მაინც არ დატოვა, როცა დამთავრდა, ჯვარს ემთხვია და გამოვიდა ეკლესიიდან და ჯარს გაუძღვა საბრძოლველად"[2].

ბრძოლის შემდეგ ქართველთა ლაშქარმა 21 აპრილს სოფ. ხიზაბავრაში დაისვენა, ხოლო 22 აპრილს ახალქალაქისაკენ გაემართა. გზად გაიარა ქართველებით დასახლებულ სოფელ ხიზაბავრაში, ამ სოფლის მოხუცებულების გადმოცემით, 1770 წლის 22 აპრილს ხიზაბავრელებს მეფე ერეკლესა და ქართველი ჯარის პატივსაცემად დიდი ლხინი გადაუხდიათ. ამ დღეს ორასი ძროხა დაუკლავთ, ღვინოც საკუთარი ჰქონიათ ხიზაბავრელებს. ვენახის ნაშთები დღესაც ბლომად მოიძებნება ამ სოფლის არემარეში. გასული საუკუნის მოღვაწე ილია ალხა-

---

1 აღნიშნული ცნობა მოგვაწოდა სტეფანე მამუკაშვილმა.

2 ს. ტივაძის მოგონება ასპინძის ომის შესახებ, გაზეთი „ივერია", № 44, 1898.



ახალქალაქის ციხე.

ზიშვილი გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე ერეკლეს ხიზაბავრაში ყოფნის შესახებ შემდეგს წერს: „იმავ დღეს მეფე ერეკლე თავის მხლებლებით ხიზაბავრას ამობრძანდა. ღამე აქ დაისვენა. თავით ფეხებამდე ზილხი (აბჯარი — ს. ხ.) ეცვა, მხოლოდ თვალებიღა უჩანდა და ხელის მუჭა ქონდა ცარიელიო. ზილხი რო გაიხადა, დაბერტყა და სამი ოყა (9 გირვანქა) ტყვია დასცვივდაო...

— აი, ბიჭებო, ამდენი ტყვია მომარტყეს იმ წუნკლებმაო, ხიზაბავრიდან სისხამ დილას მეფე ერეკლე გაეშურა ტფილისისაკენ მანგლისის გზითო“[1]. სოფელ ხიზაბავრიდან ქართველთა ლაშქარი ახალქალაქს მივიდა, მეფე ერეკლემ ახალქალაქის მეციხოვნეებს წინადადება მისცა უბრძოლველად დანებებოდნენ, მაგრამ შიშით არავინ გამოსულა გარეთ. მეფე ერეკლე 1770 წ. 12 მაისს გრაფ. ნ. პანინს წერს: „ამას (ასპინ-

[1] ი ლ. ა ლ ხ ა ზ ი შ ვ ი ლ ი, გაზეთი „ივერია“, № 34, 1898.

ძას — ს. ხ.) უკან ახალქალაქი, რომელიც რომ მტრის ადგილშია, ყასაბჩა (ყასაბის წყალი — ს. ხ.) ჩინებული და ციხე მაგარი, ამათ კაცი და წიგნი მივუვლინეთ და შემორიგებას ვაწვიეთ, მაგრამ, რადგან რომ რამდენიმე ოსმანთა ჯარისკაცი შიგ ციხესა და ქალაქში უდგათ, ჩვენთან მოსვლა ვეღარ შეიძლეს"[1]. არტილერიის გარეშე ამ ციხის აღება შეუძლებელი იყო, ერეკლეს ჯარს კი ახალციხეზე ლაშქრობის დროს მარტო სამი ზარბაზანი ჰქონდა წამოღებული. მეფეს არ ჰქონდა დრო და არც საშუალება, რომ ალყა შემოერტყა ან იერიში მიეტანა ახალქალაქის ციხესიმაგრეზე.

ამდენი წვალების, ბრძოლისა და ნატვრა-სურვილის მიუხედავად, ერეკლემ ვერც ახლა ისარგებლა აწყურის, იდუმალასა და ასპინძის სახელოვანი გამარჯვებების ნაყოფით, რადგან იგი სასწრაფოდ ჯავახეთ-თრიალეთის გზით 1770 წლის 29 აპრილს მშობლიურ დედაქალაქ თბილისში დაბრუნდა.

„ასპინძის ბრძოლაში მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების გამოყენება საბოლოო მიზნის განხორციელებისათვის ერეკლე II ვერ შეძლო"[2].

მეფე ერეკლე ახალციხის საფაშოდან სასწრაფოდ უკან დაბრუნების გამო რუსეთის სამეფო კარის წინაშე თავს იმით იმართლებდა, თითქოს რუსთა კორპუსის მომარაგების გულისათვის დაბრუნებულიყოს. ამის შესახებ იგი გრაფ გოლიცინს წერს: „მუნით წარმოსულნი ტფილისს მივედით, ამ მიზეზითა, რომ მ. დ. ბრძანებით ჯარი მოსასვლელი იყო,.. რადგანაც ეს საქმენი ასე გვეგულებოდა, ამისათვს მოვედით ქალაქად ჩვენდა, რათა მივსცეთ ამათ რიგი დგომისა, სურსათისა და აღლაშქრებისა". ამით მეფე ერეკლეს სურს, რომ რუსეთის იმპერიის დიდ მოხელეს ვიცე-კანცლერს რუსეთის ერთგულება დაუმტკიცოს.

პროფ. სარგის კაკაბაძე ერეკლეს სასწრაფოდ დაბრუნებას ქართლ-კახეთის სამეფო ჯარის სიმცირეს მიაწერს: „მეფემ

---

1 Грамоты... том II, вып. I, гз. 31.

2 შ. მ ე ს ხ ი ა, ვ. გ უ ჩ უ ა, საქართველოს ისტორია, VII—X კლასების სახელმძღვანელო, 1968, გვ. 150.

ვერ შესძლო ჯარის სიცოტავის გამო წინსვლის განგრძობა და დაბრუნდა უკანო"[1]. არც ეს მოსაზრებაა სწორი.

მეფე ერეკლეს სასწრაფოდ უკან დაბრუნების მიზეზი იყო გენერალ ტოტლებენის ვერაგული განზრახვა. ერეკლეს სამეფო ტახტიდან ჩამოგდება, ქართველი ხალხის ძალით დაფიცება რუსეთის იმპერიის ერთგულებაზე და ქვეყნის მართვა იმპერატორის სახელით.

მეფე ერეკლეს უამრავი ცნობა მისდიოდა აწყურიდან უკან დაბრუნებული ტოტლებენის ავად მოქმედების შესახებ; „ერეკლესა და ტოტლებენს შორის დამოკიდებულება სავსებით გაფუჭდა. გენერალს მეფის ტახტიდან ჩამოგდება და საქართველოს დაპყრობა დიდიხანია გადაწყვეტილი ჰქონდა. ახლა, როცა აწყურიდან წასვლით ვერაფერს მიაღწია, მან ქართლის დაპყრობის საკითხი რუსთა კორპუსის სამხედრო საბჭოში დასვა და დასტურიც მიიღო"[2].

თვით მეფე ერეკლე გოლიცინისადმი მიწერილ წერილში გაკვრით აღნიშნავს ამის შესახებ, როდესაც იგი რუსეთის ჯარის ჩამოსვლასთან დაკავშირებით წერს: ჩვენი დაბრუნების მიზეზი რუსეთიდან ახალი ჯარის მოსვლა და მისი მომარაგება იყო „და ღრაფისაც არ ვიცოდით იმ დროს სად იყო"[3]. მეფემ ყველაფერი იცოდა, სად იყო ტოტლებენი და რა ბოროტსა და შავ საქმეებს აკეთებდა. მეფემ ისიც იცოდა, რომ გენერალი მოკავშირეებს აგროვებდა იმ ხალხისაგან, რომლებიც ერეკლეს მეფობის პოლიტიკას არ თანაუგრძნობდნენ. ესენი იყვნენ: რეაქციონერი თავადები, განსაკუთრებით კი „ძარკოზაშვილის დარბაზეულთა" ნაშთები.

გენერალ ტოტლებენის ავაზაკური საქციელის შესახებ მისივე ადიუტანტი დე გრაი დე ფუა თავის დღიურში წერს: „ამასობაში ჩვენმა კაზაკებმა ჩვეულებისამებრ დაიწყეს მოსახლეობის ძარცვა-გლეჯა. განსაკუთრებით იტაცებდნენ ხარებსა და

---

1 ს. კაკაბაძე. საქართველოს მოკლე ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, 1920, გვ. 114.

2 ნ. ბერძენიშვილი. ივ. ჯავახიშვილი ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1950, გვ. 399.

3 Грамоты... том II, вып. I, гв. 30.

ცხენებს. გლეხებმა ტოტლებენს საჩივრის არზა მიართვეს. მან ზომები არ მიიღო და კაზაკებს ახლა სხვებმაც მიბაძეს. ერთი სიტყვით, საქართველოში ისე ვცხოვრობდით, როგორც დაპყრობილ ქვეყანაში".[1] არაიშვიათად ყოფილა შემთხვევა, რომ რუსი ჯარის დასახმარებლად გამოსულ გლეხებისათვის თვით ტოტლებენს ურმიდან ხარ-კამეჩი გამოუშვია და თავის ჯარისკაცებისათვის დაუკლია, გლეხებისათვის კი კაპიკიც არ მიუცია.

ზემოთ ნათქვამს უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ერეკლე მტრის ქვეყანაში იყო და ყოველთვის მოსალოდნელი იყო ახალციხის ფაშას ქართველების წინააღმდეგ ახალი ძალები გამოეყვანა, რადგან იგი საბოლოოდ დამარცხებული არ იყო. ამ უკანასკნელის ხელში იყო სამცხე-საათაბაგოს ყველა საუკეთესო ციხესიმაგრე. გვიანფეოდალურ ხანაში კი მტერზე გამარჯვება და ქვეყნის დაპყრობა მაშინ იყო სრულყოფილი, როცა ამ მხარის ყველა ციხესიმაგრე ქართველების ხელში აღმოჩნდებოდა. ამას ქართველებმა ვერ მიაღწიეს. მათ აუღებელი დარჩათ აწყურის, თვით ახალციხის, ხერთვისისა და ახალქალაქის ციხესიმაგრეები.

აწყურთან, იდუმალასთან და ასპინძასთან მომხდარი გმირული ბრძოლების შესახებ სულ სხვანაირი ამბები ჩაიტანეს ქ. თბილისში: გენერალ ტოტლებენის აწყურიდან უკან დაბრუნების შემდეგ მეფე ერეკლე მთელი თავისი ლაშქრით ლეკ-ოსმალებმა ამოხოცესო. ამ ხმებსა და ჭორებს ისიც დაემატა, რომ ადიდებულ მტკვარს თბილისში აწყურის, იდუმალასა და ასპინძის მიდამოებში დამხრჩვალ ლეკ-ოსმალთა გვამები ჩაეტანა და იმ გვამებს მეფე ერეკლეს მტრები ქართველებად ასაღებდნენ. დამხრჩვალ ადამიანთა სხეული ასპინძიდან თბილისამდე ისე შეეცვალა აბობოქრებულ მდინარეს, რომ მათი გამოცნობაც კი ჭირდა. ამ ჭორებს უფრო მეტად ტოტლებენის მომხრეები და მეფე ერეკლეს მოწინააღმდეგეები, „მარკოზაშვილის დარბაზთა" მონაწილენი ავრცელებდნენ. მთელი თბილისი ძაძით შემოსილა.

იმდროინდელი ამბების თვითმხილველი თავადი სოლომონ

---

1 კაპიტანი დ ე გ რ ა ი დ ე ფ უ ა, გაზეთი „წითელი დროშა", № 120, 1964.

— ერეკლე მეორის მეუღლე დარეჯან
დედოფალი (მხატვარი მ. გვაჯაია).

თარხნიშვილი, რომელიც თბილისში დარეჯან დედოფალს ხლებია, გადმოგვცემს: „მე იმ დროს (1770 წ. აპრილის თვეში) აქ, ქალაქში ვიყავი, დედოფალს დარეჯანს ვახლდი სასახლეში, როდესაც ერთი პატივცემული მოხუცი მოქალაქის ქვრივი საჩქაროდ შემოვიდა დედოფალთან და გულხეთქებით მოახსენა: შენი ჭირიმე დედოფალო, ჩქარა ავიყარნეთ, ტყეში სადმე დავიხიზნეთ, მეფე თავისი ჯარით დიდს საშინელებაში ჩავარდნილაო. ეს რომ თქვა, მაშინვე დედოფალი ფეხშიშველა გამოვიდა და სიონისაკენ წავიდა“[1]. დედოფალს მთელი ოჯახის

[1] ალ. ჯამბაკურ ორბელიანი, ასპინძის ომი (მასალები საქართველოს ისტორიისათვის), ჟურნალი „მნათობი“, № 1, 1869, გვ. 10.

წევრები და სასახლის მსახურნი თან გაჰყოლიან. სიონისაკენ მიმავალს ბაზარი გაუელია. ამ ამბის შემხედვარე ბაზრის ხალხს ყველაფერი მიუტოვებია და დედოფლის ამალას თან გაჰყოლია. სიონთან იმდენ ხალხს მოუყრია თავი, რომ ეკლესიაში ტევა არ ყოფილა. დედოფლის ბრძანებით ღვთისმშობლის ხატი გარეთ ეკლესიის ეზოში გამოუსვენებიათ. ამ პანიკას ისიც ემატებოდა, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მტკვრის პირას ნაპოვნ ლეკ-ოსმალთა გვამებს ქართველებად ასაღებდნენ.

თბილისში ხმა დარხეულა, ლეკ-ოსმალთა ჯარი თბილისის ასაოხრებლად მოდისო. ამ ჭორებს თურმე ისიც აძლიერებდა, რომ ქართველების მოწინავე რაზმს ასპინძის ომში დახოცილ ოსმალთა ტანსაცმელი ჩაუცვამთ და თბილისელებს ისინი ოსმალებად მოსჩვენებიათ. მაგრამ, როდესაც თბილისს მოუახლოვდნენ, ასპინძის ომში გამარჯვებულმა გმირებმა ქართული სიმღერა დასძახეს:

„ვისაც მოუკლავს, ის მოკლავს,
ნადირსა შავი ტყისასა,
ვინც დახვდა, იგი დახვდება
გულდაგულ რაზმსა მტრისასა“.

ქართულმა სიმღერამ თბილისელები დაამშვიდა. თბილისის მოქალაქეთა გლოვა სიხარულითა და ზეიმით შეიცვალა. ასპინძის სახელოვანი გმირი მეფე ერეკლე თავისი გამარჯვებული ლაშქრით მშობლიურ ქალაქ თბილისში შევიდა 1770 წ. 29 აპრილს. მადლიერმა ქართველმა ერმა მეფე ერეკლეს ამ გმირული ბრძოლების გამო ასპინძის გმირი უწოდა.

მეფე ერეკლემ ასპინძის სახელოვან ომში გამარჯვების შესახებ სასიხარულო ამბავი აცნობა როგორც იმერეთის მეფე სოლომონ I-ს, ასევე თავის სიმამრს, სამეგრელოს მთავარს— დადიანს.

ამას მოწმობს ანტონ მოურავოვისადმი გაგზავნილი მეფე ერეკლეს წერილი, სადაც ვკითხულობთ: „ასპინძის გამარჯვე-

ბის მეოთხეს დღეს დადიანთან ერთი ჩემი კნიაზი გავგზავნე, და ჩემი ამბავი და ეს გამარჯვება მივწერე, და აგრეთვე მეფეს სოლომონს მივწერე"[1].

მეფე ერეკლეს ასეთივე მახარობელი გაუგზავნია რუსეთის სამეფო კარზე მანამ, სანამ ასპინძის ომში დატყვევებულ ლეკოსმალებსა და მტრის დროშებს გაუგზავნიდა. აი, რას წერს ამის შესახებ მეფე გრაფ ნ. პანინს: მაღალი იმპერატორობის „ბედნიერებით და ღვთისა მიერ შეწევნით, მტერთაზედა გავიმარჯვეთ რა, წარმოიგზავნა ჩვენ მიერ მახარობელი უმაღლესსა კარსა კნიაზ გრიგოლ ხვაბულოვი (ქობულაშვილი — ს. ხ.) და გიორგი ნათანაილოვი (ნათანალიშვილი — ს. ხ.) აზნაურნი, რომლებიც ბრძოლაში დამსწრეები არის, და ამის მიერ მოგზსენდებათ ბრძოლის ამბავი, უკეთუ ინებებს" დედოფალი ეკატერინე.[2] ასპინძის ომის შემდეგ მეფე ერეკლემ ზაალ ორბელიანი თავისი ამალით მოამზადა და 1770 წ. 4 აგვისტოს რუსეთში გაისტუმრა. მას თან გაატანა რუსეთის იმპერატორის საპატიოდ ასპინძის ომში გამარჯვების შედეგად მოპოვებული ნადავლის ნაწილი: 3 ტყვე, 25 დროშა, აქედან 9 ფარჩისა, დანარჩენი კი ძვირფასად ნაქარგი და სხვა ნივთები; როგორც ანტონ მოურავოვი აღნიშნავს, ამ სამ ტყვეთაგან იყო „ერთი ახალციხელი ისმაილ აღა და მეორე არზრუმელი რეჟება აღა, ხოლო ლეკი ერთი განთქმული ყოფილი წინამძღვრის, ე. წ. კოკის, რომელიც ეხლანდელ ომის დროს მოიკლა, შვილი — ატა".

მეფე ერეკლემ თავისი გმირული ბრძოლებით სასტიკად დაამარცხა და წელში გატეხა ახალციხის ფაშა, მაგრამ თავის პოლიტიკურ მიზანს — სამცხე-საათაბაგოს საქართველოსთან შემოერთებას ვერ მიაღწია.

ასპინძის ბრძოლას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, პირველ ყოვლისა, იმერეთის სამეფოსათვის. იმ დღეს, როდესაც რუს-ქართველთა ლაშქარი აწყურის ციხეს შემოადგა, ახალციხის ფაშა იძულებული გახდა მთელი თავისი ძალები და ყურადღება აწყურის ციხისაკენ მიემართა. იგი უმწეო იყო რაიმე

---

[1] Грамоты... том II, вып. I, გვ. 43—44.

[2] იქვე, გვ. 33.

დახმარება გაეწია დასავლეთ საქართველოში ოსმალთა მეციხოვნეებისათვის.

სწორად შეაფასა იმერეთის მეფე სოლომონ I-მა ახალციხის ფაშას მძიმე მდგომარეობა და 1770 წლის 17 აპრილს ალყა შემოარტყა ქ. ქუთაისს, რომელიც გამაგრებული ჰქონდათ ოსმალთა მეციხოვნეებს. „ახალციხის ქრონიკების“ -ავტორი, თვითმხილველი, ამის შესახებ წერს: „17 აპრილს (1770 წ. — ს. ხ.) ქრისტიანის (ქართველების) მეფე სოლომონ I — ჯარი ქუთაისის ციხეს დაესხნენ, მრავალი ცხენი, ვირი თუ ხვადაგი იშოვნეს და კაცებიც (თურქი მეციხოვნენი — ს. ხ.) მოკლეს, ციხიდან ათიოდე ზარბაზნები და მრავალი ხელთოფები ესროლეს, მაგრამ ვერაფერი ავნეს“. 19 აპრილს „მეფე (სოლომონი — ს. ხ.) ქუთაისს შემოადგაო“,—წერს იგივე მემატიანე. ან კიდევ 5 მაისს „ცუცხვათის ციხე აიღო მეფე სოლომონმა“. ამასობაში რუსი ჯარიც გადავიდა დასავლეთ საქართველოში და ბაღდადის ციხე და ქუთაისიც აიღეს. აი, რას ვკითხულობთ ქუთაისის ციხის აღების შესახებ „ახალციხის ქრონიკებში“. „5 მარიობ (აგვისტოს — ს. ხ.) პარასკევ საღამოს 4 საათს რუსები იერიშით მივიდნენ ქუთაისის ციხეზედ და აიღეს, თათრები ზოგი დახოცეს, ზოგი დაიჭირეს და ზოგნი გაიქცნენ“[1]. 8 აგვისტოს ქუთაისის ციხე რუსებმა იმერეთის მეფე სოლომონს მისცეს. ამრიგად, ოსმალეთსა და ახალციხის ფაშას იმდენად დიდი მსხვერპლი გაუღიათ ერეკლესთან აწყურ-ასპინძის ბრძოლებში, რომ იგი ვეღარ მიშველებია დასავლეთ საქართველოში თავის მეციხოვნეებს, ამით კი სოლომონს საშუალება მიეცა თავისი ქვეყანა გაეწმინდა დამპყრობთაგან. იკვლევს რა ასპინძის ომის შედეგებს, მკვლევარი ვ. მაჭარაძე სამართლიანად შენიშნავს: „ასპინძის ომმა წელში გატეხა ახალციხის ფაშა და წაართვა მას იმერეთის ციხეების დასაცავად აქტიურად გამოსვლის შესაძლებლობა, რამაც უზრუნველყო თურქი ოკუპანტების იმერეთიდან განდევნა, ამას კი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ საქართველოსათვის“.[2]

ასპინძის გმირული ომის შედეგები კარგად ესმოდათ იმ-

---

1 ახალციხის ქრონიკები, ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერი № 29, გვ. 8.

2 ვ. მ ა ჭ ა რ ა ძ ე, ასპინძის ბრძოლა, 1957, გვ. 127.

დროინდელ დასავლეთ საქართველოს მესვეურებსა და თვით ახალციხის ფაშასაც, ხოლო მეფე ერეკლე 1770 წ. 30 აგვისტოს ანტონ მოურავოს პირდაპირ წერდა, რომ ტოტლებენს კი არ უნდა მიეწეროს ბაღდადისა და შორაპნის კოშკების აღება, არამედ იგი შედეგია ასპინძის ომისაო. ტოტლებენი „ნუ თუ ამას იქადის, რომ რაღაცა ორიოდ კოშკი შორაპანისა და ბაღდადისა აიღო, რომლებშიაც თხუთმეტ-თხუთმეტი მეომარი კაცი მდგარა? ის ციხეები (ბაღდადისა, შორაპნისა და ქუთაისის ციხეები — ს. ხ.) იმ მიზეზმა აიღო, შიგ საზრდო ვეღარ შეუტანეს მეშველის უძალობითა; და სხვა მტრის მამულში იმისაგან (ტოტლებენისაგან — ს. ხ.) გაკეთებული მ. დ. სამსახური არ გვინახავს რა“[1].

ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ ასპინძის ომში ქართველების გამარჯვებამ ნაწილობრივ მაინც შეუწყო ხელი რუსეთის მთავარ ფრონტს. 1770 წ. ზაფხულში ომის ცენტრალურ ფრონტზე რუმიანცევის ხელმძღვანელობით ჩატარებულ ბრწყინვალე ოპერაციებს ლარგსა და კაგულთან დიდი შედეგები მოჰყვა: „თურქეთის მთავარი ძალები სასტიკად დამარცხდნენ და საომარი ოპერაციები დუნაიზე იქნა გადატანილი. მეორე არმიაც წარმატებით იბრძოდა — ბენდერის ციხის წინააღმდეგობა გატეხილი იქნა, ყირიმელი თათრებიც ბლოკირებული იყვნენ. რუსეთის ფლოტმა ჩესმასთან თურქეთის ფლოტი გაანადგურა და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში გაბატონდა“[2]. ეს გამარჯვება, რა თქმა უნდა, ძირითადად, რუსმა ხალხმა მოიპოვა, მაგრამ ქართველთა ბრძოლამ ოსმალებს არანაკლები ზიანი მიაყენა და დაბრკოლება შეუქმნა, რითაც საშუალება არ მისცა მთელი თავისი ძალები რუსეთის მთავარ ფრონტზე გადაესროლა. ამ დროს ოსმალეთს საქართველოს წინააღმდეგ გარკვეული ძალები ჰყოლია დაბანდებული.

აწყურისა და ასპინძის მიდამოებში ქართველების გამარჯვებამ დიდად შეუწყო ხელი თვით ოსმალეთში ქართველი მოსახლეობის განმათავისუფლებელ მოძრაობას და პატრიო-

---

[1] Грамоты... том II, вып. I, გვ. 54.

[2] ვ. მ ა ჯ ა რ ა ძ ე, ასპინძის ბრძოლა, 1957, გვ. 107.

ტიზმს. ქართველების ამ გამარჯვების შედეგად დიდი აჯანყება დაიწყო აჭარაშიც. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ოსმალეთის სულთანი იძულებულია ანგარიში გაუწიოს ჯაყელთა გვარს, რომლებსაც 1744 წლიდან ფაშობა ჩამოართვა (უსუფ III ჯაყელს). ახალციხის ფაშებად მხოლოდ ოსმალთა მოდგმის მოხელეები ინიშნებოდა. ასპინძის ომში ახალციხის ნამინ ფაშას დამარცხების შემდეგ კი ჯაყელთა გვარის წარმომადგენელი სულეიმანი დაინიშნა ფაშად. დაბოლოს, ასპინძის ომის შედეგად მეფე ერეკლემ ახალციხის ფაშასა და თვით ოსმალეთის სულთანსაც დაანახვა, რომ იგი დიდად მოიმედე არ არის ავანტიურისტ ტოტლებენისა და რომ მას თვითონ შესწევს საკუთარი ძალა, პასუხი გასცეს დამპყრობლებს.

მეფე ერეკლემ ახალციხის საფაშოს წინააღმდეგ არამარტო რუსეთ-თურქეთის ომის დროს გაილაშქრა, არამედ მანამდეც არაერთხელ დაურბევია ეს მხარე, იმის საპასუხოდ, რასაც თვით ახალციხის ფაშა აკეთებდა ქართლის სოფლების დასარბევად. მეფე ერეკლეს საქართველოში რუსეთის ჯარის ჩამოსვლის შემდეგ უფრო გაუხშირებია თავდასხმები ახალციხის საფაშოზე. ასპინძის ომის შემდეგ მეფე ერეკლე რუსეთის ყოველგვარი ჩარევის გარეშე თავს დაესხა ყარსისა და ახალციხის მხარეებს. 1770 წ. 1 ივლისს ანტონ მოურავოვისადმი მიწერილ წერილში ერეკლე მეორე აღნიშნავდა: „იქიდამ (იმერეთიდან — ს. ხ.) ბრძანებასა მწერს, რომ მტერზედ წადიო, რომელიც რომ არ მეჭირვება მე იმისგან (ტოტლებენისაგან — ს. ხ.) მტერზედ მისულის წვევა. შენმა ბრწყინვალებამ იცის, რომ მნახველიც ხარ და გაგონილიც გაქუს, რომ ჩვენი ჯარი ახალციხისა და ყარსის ქვეყანასა სცემს და აოხრებს: არც ახალციხეს აქეთ და არც ყარსს აქეთ სოფლებში შენობა აღარ არის ახალქალაქის, შორაგალის, აწყურისა და ხერთვისის გარდა, და ესენიც არტილერიით არიან გამაგრებულნი“[1].

მეფისა და ტოტლებენის უთანხმოება და მტრობა დიდად უშლიდა ხელს საერთო მიზანს — თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს. მიუხედავად ამისა, მეფე ერეკლე ერთი წუ-

---

[1] Грамоты... том II, вып. I, гз. 43.

თითაც არ ეშვებოდა ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ქვეყნის დარბევა-აოხრებასა და მოსახლეობის ტყვედ წამოყვანას. ამის შესახებ 1770 წ. 4 ივლისს მეფე ერეკლე გრაფ ნ. პანინს წერს: „ჩვენ, ბრძანებისაებრ თქვენისა, კვალადცა არა ვაცადებთ მტერობად ქვეყანასა ახალციხისა და ყარსისა, და მარდის მსუბუქს ჯარს ვგზავნით, და რომელსა მტერობას შეიძლებენ — რბევითა და წარმოტყვევნვით მეცადინობენ“. ამ წერილიდან ნათლად ჩანს, თუ რა დიდი ზიანი მიუყენებიათ ქართველებს ახალციხისა და ყარსის მხარის სოფლებისათვის.

ვინაიდან ასპინძის ომის შემდეგ მდგომარეობა გენერალ ტოტლებენსა და მეფე ერეკლეს შორის მეტად გამწვავდა, ანტონ მოურავოვმა და პოდპოლკოვნიკმა რატიშვილმა მეფე ერეკლე დაითანხმეს რომ სურამთან მდგომი ტოტლებენი შეეპყროთ, როგორც მოღალატე. მეფეს ამ განზრახვაზე ხელი ააღებინა გენერალ ტოტლებენის ადიუტანტმა დე გრაი დე ფუამ; ტოტლებენმა ეს რომ შეიტყო, სურამიდან სასწრაფოდ აიყარა და ანანურისა და დუშეთის ციხეებში გამაგრდა, რათა რუსეთისაკენ გასასვლელი გზა თავისუფალი ჰქონოდა. დუშეთში მდგარმა ტოტლებენმა გამოსცა მანიფესტი პოდპოლკოვნიკ რატიშვილის შესაპყრობად. გენერალი მას თვითნებობისათვის ადანაშაულებდა, რომ მისი ნებართვის გარეშე თავისი რაზმით ერეკლეს მიემხრო, შემდეგ გენერლის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობაშიც მიიღო აქტიური მონაწილეობა.

ტოტლებენმა მეფე ერეკლეს უნებართვოდ არა მარტო ანანურისა და დუშეთის ციხეები დაიკავა, არამედ თავისი ჯარები ეყენა: „მუხრანის, ქრცხინვალისა და სურამის ციხეებშიც“. ამის შემდეგ გენერალმა თვითონ სცადა შეეპყრო და ამოეწყვიტა მეფე ერეკლე და მისი ოჯახი. ტოტლებენმა დაიწყო მეფის ერთგული ხალხის დარბევა და აკლება. პირველად იგი თავს დაესხა არაგვის მოურავს, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილს. ამის შესახებ იგი მეფეს 1770 წ. პირველ აგვისტოს წერდა: „...ტოტლებენი როგორის სახით დამესხა,... ამიკლო ყოვლისფრათ რაცკი მქონდა, და ჩემთან მყოფი თქვენი თავადიშვილი იესე როჭიკაშვილი მომიკლა, და რაც თქვენი წყალობა ან თვალი, ან მარგალიტი, ან ოქრო, ან ვერცხლი, ან სახლის მოფენილობა, ან ტანი, ან ფეხი, და ან ცხენი და იარაღი მქონდა და

მყვანდა ჩემის სახლობისა აღარაფერი დამრჩომიარა"[1]. გარდა იმისა, რომ ავანტიურისტი ტოტლებენი თავადებს ძარცვავდა, არც ღარიბ გლეხებს ინდობდა, ძალით ართმევდა ხარ-კამეჩს და თავის ჯარისკაცების გამოსაკვებად ხოცავდა. ამის შედეგად ბევრ გლეხს ისე ამოუწყდა გამწევი ძალა, რომ მომდევნო წელს გაზაფხულზე მინდორი დაუთესავი და მოუხნავი დარჩა.

თვით მეფეც ძალიან შეწუხებულა: 1770 წ. 12 მაისს ნ. პანინს გულისტკივილით წერდა: გერმანელმა ტოტლებენმა „...მრავალნი ბოროტნი იმოქმედა ჩვენს ქვეყანაში ჩემს თავადებზედ და აზნაურებზედ, და ჩემს გლეხკაცებზედ, და თვით ჩემზედაც, მრავალის წამებით ჩემი სული შეაწუხა"... ან კიდევ, „მე ჩემსა და ჩემის ქვეყნის უბედურებას ვაბრალებ ამისთანას შფოთის შემთხვევას, რასაც მწუხარებაში ღრაფ ტოტლებენისაგან შეუყენებულნი ვართ. მე სპარსეთში სხვას კაცის ამხანაგათაც ვყოფილვარ და სპარსეთის ჯელმწიფისა-თვისაც მიმსახურია. მაგრამ მე ჩემს ჟამში ამისთანას შფოთსა და მწუხარებას არ შევსწრებივარ, და აღარც ამდენის ქვეყნის იმისგან გასაწყლებისა და უსამართლოდ და ურიგოდ მოქცევის მოთმინებაღა შემიძლია". არანაკლები ბოროტება და უკანონობა ჩაიდინა გერმანელმა გენერალმა ტოტლებენმა დასავლეთ საქართველოშიც.

ტოტლებენს მეფე ერეკლესთან უსიამოვნო ურთიერთობისა და აწყურთან აშკარა ღალატის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში აღარ დაედგომებოდა. ამ დროს ტოტლებენმა გაიგო, რომ იმერთა მეფეს — სოლომონს შორაპანი აუღია და გამარჯვებით გათამამებულს ქუთაისისათვის ალყა შემოურტყამს. აღარც თვითონ დააყოვნა, ჯართან ერთად 12 დღე შეუსვენებლად იარა, დასავლეთ საქართველოში გადავიდა და ქუთაისს მიადგა. მეფე სოლომონს დიდად გაუკვირდა მისი მოულოდნელი გამოჩენა იმერეთში, მაგრამ რადგან დამხმარე ძალა სჭირდებოდა, ტოტლებენთან ძველი ნაწყენობა დაივიწყა და მასთან ერთად შეუდგა საბრძოლო მზადებას. 1770 წ. 7 ივნისს ტოტლებენმა სახელდახელო კიბეები გააკეთებინა და ქუთაისის ციხის კედლებზე იერიში მიიტანა. გრაფის ადიუტანტი დე

---

1 Грамоты... том II, вып. I, გვ. 49.

გრაი დე ფუა წერს: „დილას „ვაშას“ ძახილით ქალაქში შეეიჭერით. არა მარტო კედელზე გადასვლის დროს არ შეეხვედრივართ არავითარ წინააღმდეგობას, არამედ ქალაქშიც ვერ ვნახეთ ვერცერთი შეიარაღებული თურქი. ტოტლებენმა იფიქრა, ნადავლს მაინც ვიშოვიო და ჯარი მიუსია ქალაქს. მაგრამ თურქებს ყველაფერი წაეღოთ. გ'აფის მრისხანებას საზღვარი არ ჰქონდა: აშკარა იყო, სოლომონს შეეტყობინებინა თურქებისათვის იერიშის დღე და ხელი შეეწყო მათი გაქცევისათვის. ტოტლებენმა ეს ამბავი კარგად გამოარკვია“. ტოტლებენის ადიუტანტის გადმოცემით, სოლომონს თურქების გაპარვისათვის თითქოს დიდი რაოდენობით ოქროც აეღოს.

ქუთაისის ციხიდან თურქების გაპარვის საქმეში აქტიური მონაწილენი ტოტლებენმა დააპატიმრა და „რუსეთს გაგზავნა დაუპირა გასასამართლებლად, იმპერატორის ინტერესები რად შელახეთო.

სოლომონის მიერ გაგზავნილი იმერთა შეიარაღებული რაზმი თავს დაესხა მცველებს და თავისი ხალხი გაიტაცა“[1].

გერმანელი მოგზაური გულდენშტედტი აზვიადებს თავისი თანამემამულის გენერალ ტოტლებენის როლს თურქებისაგან დასავლეთ საქართველოს განთავისუფლების საქმეში. იგი წერს: 1770 წ. „აგვისტოს ბოლომდე მან (ტოტლებენმა — ს. ხ.) უკვე აიღო თურქების მიერ დაკავებული ციხეები შორაპანი, ბაღდადი და ქუთაისი, გასწმინდა მთელი იმერეთი თურქებისაგან და აღუდგინა სოლომონ მეფეს მთელი მისი ქვეყანა“.[2] არც იმაშია გულდენშტედტი მართალი, რომ აცხადებს, „გაწმინდა მთელი იმერეთი თურქთაგან და აღუდგინა სოლომონ მეფეს მთელი მისი ქვეყანა“-ო. სოლომონს თავისი გმირული ბრძოლებით უკვე თურქებზე გამარჯვება მოპოვებული ჰქონდა, მან ტოტლებენის ჩასვლამდე მტერს ხელიდან გამოჰგლიჯა ცუცხვათის, ბაღდადის, შორაპნის და სხვა ციხე სიმაგრეები. ქუთაისის აღების დროს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდი უსიამოვნება ჩამოვარდა გრაფსა და სოლომონს შორის.

---

[1] კაპიტან დ ე გ რ ა ი დ ე ფ უ ა, ...გაზეთი „წითელი დროშა“, № 123, 15/X, 1964.

[2] გულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, 1964, გვ. 227.

აქედან გრაფი ფოთისაკენ გაემგზავრა; ფოთთან 3 თვე ისე იდგა, რომ არაფერი გაუკეთებია და საბოლოოდ 1771 წლის ივნისში, იძულებული გახდა ქუთაისში გამობრუნებულიყო.

ამის შემდეგ გრაფ ტოტლებენსა და იმერეთის მეფე სოლომონს შორის მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა. ტოტლებენმა თავი ვეღარ გაართვა თავის მოვალეობას, იგი მხოლოდ ადგილობრივ ხელისუფალთა უკმაყოფილო ელემენტებს ეყრდნობოდა და ქართველ მეფეთა არავითარ გონივრულ რჩევას არ უსმენდა. ამას თვით რუსეთის ხელისუფლებაც კარგად ხვდებოდა. რუსეთის სამეფო ხელისუფლებამ საგანგებო რწმუნებული გამოგზავნა საქართველოში შექმნილი მდგომარეობის შესამოწმებლად და, დარწმუნდა რა ტოტლებენის უმოქმედობაში, გაიწვია ის რუსეთში და მის ნაცვლად გენერალი სუხოტინი გამოგზავნა.[1]

---

1 ლ. ციხისთავი, XVIII საუკუნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის სწავლება IX კლასში, 1958. გვ. 43.

VI თავი

მეფე ერეკლე II-ისა და მეფე სოლომონ I-ის ლაშქრობა ახალქალაქისა და ყარსის მხარეს

გენერალ სუხოტინს დავალებული ჰქონდა, რაც შეიძლება ახლო კავშირი დაემყარებინა საქართველოს მეფეებთან, განსაკუთრებით კი ერეკლე მეფესთან. მას პირველ ხანებში მართლაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა ერეკლესთან. 1771 წ. 13 ივნისს ქართლის სოფელ ხელთუბანში გენერალმა და ქართველმა მეფეებმა ოსმალეთზე გალაშქრების სამხედრო გეგმა შეადგინეს. ამ გეგმით რუსეთის კორპუსს პირველი იერიში ფოთის ციხეზე უნდა მიეტანა, ხოლო ქართველთა ძალებს იგი თურქეთის შემოტევისაგან უნდა დაეცვა და თავის მხრივ ახალციხის საფაშოზე მიეტანა იერიში. „ერეკლე მეფეს 14.300 კაცი უნდა გამოეყვანა, აქედან 2 ათასი კაცი უნდა დაეყენებია ბორჩალოს, 2 ათასი კახეთს, 300 კაცი გორს. ამ ჯარს ქვეყანა უნდა დაეცვა ლეკებისაგან. თვით მეფე 10 ათასიანი კორპუსით ახალქალაქ — ახალციხე — ყარსის მიმართულებით უნდა შეჭრილიყო, თარეშით თურქები შეეწუხებინა, რათა არ მიეცა მათთვის საშუალება მიშველებოდნენ ფოთის ციხეს. სოლომონ მეფეს 6 ათასიანი ჯარით ახალციხიდან ბაღდადისაკენ მიმავალი ხეობები უნდა შეეკრა: გურიელს უნდა შეეკრა ტრაპიზონიდან ზღვისპირზე მიმავალი გზა; ხოლო დადიანს — აფხაზეთიდან მომავალი გზა, ამასთან უნდა დაეცვა ქუთაისთან კომუნიკაციები და უშუალოდ დაეფარა კორპუსი“[1].

---

[1] ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, 1957, გვ. 119.

გენერალ სუხოტინმა ვერ გაითვალისწინა საქართველოს კლიმატური პირობები, რამაც დიდად ავნო შორეული რუსეთის მებრძოლებს. მათ აქაური ჰავა ვერ აიტანეს და ციებცხელებით დაავადდნენ. სწორედ ამის გამო, ფოთის ლაშქრობის კამპანია ჩაიშალა და საუკეთესო დროც უქმად დაიკარგა. ეს გეგმა რომ განხორციელებულიყო, ოსმალებს დიდ ზიანს მიაყენებდა. ყოველივე ამის შემდეგ გენერალი სუხოტინი რუსეთის იმპერატორს ეხვეწებოდა, გაეწვია ის საქართველოდან. „ფოთის კომპანიით გაწბილებული გენერალი 1771 წ. 29 ოქტომბერს ქუთაისიდან იმპერატორს უპატაკებდა: „ბედმა მიმდინარე კამპანიაში მთელი ჩემი საქმე გაანადგურა; ავადმყოფს, რომელიც ძლივსღა ვსუნთქავ, არც კორპუსის მეთაურობისა და არც მტრის წინააღმდეგ მოქმედების თავი არა მაქვს. ისე მძიმე ავადმყოფი ვარ, რომ ჩემს გამოჯანმრთელებას დიდი დრო უნდაო“[1]. ამავე დროს იგი სამხედრო კოლეგიას აცნობებდა: „მოკლულ იქნა 4 კაცი, დაიჭრა — 15, ავადმყოფობითა და ჭრილობებით მოკვდა—293, გაიქცა—57, სახეზეა ჯანმრთელი — 782, ავადმყოფია—1994“[2]. ამის შემდეგ რუსეთის სამხედრო კორპუსის საომარ მოქმედებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. გერმანელი მოგზაური გულდენშტედტი რუსეთის ჯარისკაცთა ავადმყოფობის მიზეზად მიიჩნევს ხილის უზომოდ ჭამას. იგი წერს: „იმერეთისა და სამეგრელოს ძალიან თბილი და ნესტიანი ჰავა, რომელშიც ჯარისკაცებს მოუხდათ 2 წლის განმავლობაში ველზე ცხოვრება, და ხილის სიჭარბე — რომელსაც მკუხესა და უზომოდ სჭამდნენ, გახდა მიზეზი მრავალი ავადმყოფობისა, რომლებმაც კორპუსის დიდი ნაწილი იმსხვერპლა“.

მეფე ერეკლეს საომარი გეგმა, რომელიც შესთავაზა მან გენერალ ტოტლებენს, სუხოტინსა და იმერეთის მეფე სოლომონს, ერთადერთი სწორი და გონივრულად მოფიქრებული გეგმა იყო არა მარტო ასპინძის ომის დროს, არამედ მას შემდეგაც. ერეკლეს სამხედრო ნიჭის წყალობით შედგენილი საომარი გეგმა თუ განხორციელდებოდა, ოსმალები ამ ბრძოლაში

---

[1] ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, 1957, გვ. 121.
[2] იქვე.

სასტიკად დამარცხდებოდნენ. „თურქეთის წინააღმდეგ ომში ქართველთა ძირითადი ძალების გაერთიანება და წარმართვა შეიძლებოდა მხოლოდ ახალციხის მიმართულებით, რაც წარმატების უტყუარი გარანტია იყო. ეს კარგად ესმოდა იაზიკოვს, რომელიც მტკიცედ უჭერდა მხარს ერეკლეს გეგმას, მაგრამ ტოტლებენი ამას წინ აღუდგა, ხოლო სუხოტინმა კი ვერ გაიგო იგი. აი, რა იყო ერთობლივი მოქმედების განუხორციელებლობისა და საქართველოს ფრონტის წარუმატებლობის ძირითადი მიზეზი"[1]. როგორც ჩანს, ახალი გენერალი ძველი გენერლისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ უკვე გაკეთებულ საქმეებს აფუჭებდა[2].

1771 წლის 15 ივნისს ხელთუბნის სამხედრო თათბირის შემდეგ მეფე ერეკლე მთელი მონდომებით შეუდგა ლაშქრის შეგროვებასა და ახალციხის საფაშოზე სალაშქროდ მზადებას.

მეფე ერეკლე ლაშქრის სამზადისთან ერთად ახალციხის საფაშოში დიდ საიდუმლო საქმიანობასაც ეწეოდა ქართულ მაჰძადიანურ მოსახლეობაში, რათა ისინი როგორმე აეჯანყებინა ოსმალეთის წინააღმდეგ. ასპინძის ომში ქართველების ბრწყინვალე გამარჯვებამ დიდი გავლენა იქონია ამ მხარის ქართველ მებრძოლთა პატრიოტულ მოღვაწეობაზე. ამ დროს კვლავ ცოცხლდება იდეა დედასამშობლოს — საქართველოსთან შემოერთებისა. ამის ნათელი მაგალითია ხერთვისელი იბრაჰიმ ბეგის საქმიანობა. ერეკლეს ენერგიული მოქმედების შედეგად 1771 წ. ოქტომბერში იბრაჰიმ ბეგმა უღალატა ახალციხის სულეიმან ფაშას (ჯაყელს) და ერეკლეს მხარეზე გადავიდა, ხოლო თავისი მტკიცე ციხესიმაგრე ხერთვისი ქართველებს ჩააბარა. ისტორიკოსი ომან ხერხეულიძის თქმით: ”ფეფემა ირაკლიმ „...მოიბირა ერთი ბელადი (იბრაჰიმ ბეგი აბაშიძე — ს. ხ.) ხერთვისისა, შეჰყარა ჯარები, მივიდა საწინააღმდეგოდ ხონთქრისა და რომელიცა არის პირველი ციხე ათაბაგისა ხერთვისი, დიდად განმაგრებული იგი, აღიღო და თვისნი მეციხოვნენი შეაყენნა“.

---

1 ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, 1957, გვ. 127.

2 შ. ბურჯანაძე, საკანდიდატო დისერტაცია, სოლომონ I პოლიტიკური მოღვაწეობა, 1948, გვ. 194.



ხერთვისის ციხე.

აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს „ახალციხის ქრონიკების“ ავტორი ხოჯა ოსანათ ტერ იოანე. იგი წერს: 1771 წ. 24 ივლისს „ლეკებისა და თათრების ჩხუბი ყოფილა ახალციხეში და ლეკები წასულან... 30 (ოქტომბერს — ს. ხ.) ხერთვისის ციხის აღება თქვეს ერეკლე მეფისაგან... ხოლო 18 (ნოემბერს — ს. ხ.) ხერთვისის ციხის აღება თქვეს თათრებისაგან“.

გერმანელი მოგზაური გულდენშტედტი მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის მეფე ერეკლეს ახალქალაქზე გალაშქრების შესახებ. „ერეკლე მეფე დაჰპირდა (გენერალ სუხოტინს—ს. ხ.), რომ მთელი ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში 9000 კაცით იქნებოდა ბანაკად; ამის მაგიერად, აგვისტოში მხოლოდ 3000 კაცით გადავიდა თრიალეთში და, თურქებთან მიახლოვებამდე, 4 კვირის შემდეგ კვლავ დაშალა ლაშქარი. ბოლოს მან ოქტომბერში კვლავ ამდენივე ლაშქარი შეკრიბა, დაესხა თურქებს ხერთვისში და დაარბია, მაგრამ არ

აილო, აქედან ყველა (მეომარი — ს. ხ.) კვლავ ისევე სახლში გაუშვა; მას შემდეგ სულ სამი კვირა იდგნენ ბანაკად". მეფე ერეკლე ხელთუბნის საომარი გეგმის მიხედვით თუ მოსვენებას არ აძლევდა ოსმალეთის ქვეყანას თარეშობდა მასზე და ციხე-სიმაგრეებსაც იკავებდა ამით ლაშქრობისათვის მტკიცე დასაყრდენს ქმნიდა მტრის ქვეყანაში.

მეფე ერეკლეს ხერთვისის იბრაჰიმ ბეგი, როგორც საპატიო კაცი, რუსეთის იმპერიის სამეფო კარზე წარუგზავნია. ამის შესახებ ერეკლე წერს: „ვინადგან თვითცა ინება სურვილით თაყვანისცემა უმაღლესისა კარისა, ლეონს ძესა ჩემსას გამოჰყუა-ო". ამ ელჩობას გაჰყოლია აგრეთვე მისი ბიძა — კათალიკოსი ანტონი დიდი საჩუქრებით.

სწორედ ამ პერიოდს (1772 წ. 25 იანვარი) დაემთხვა სამხედრო კოლეგიის ბრძანება საქართველოდან რუსეთის ჯარის უკან გაწვევის შესახებ. 1772 წლის 4 თებერვალს ეკატერინე მეორე იმერეთის მეფე სოლომონს წერდა: „მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მთავრობას ცდა არ დაუკლია და ხარჯიც გასწია, საქართველოდან საომარ კამპანიას რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია, ამიტომ საქართველოში ჩვენი ჯარის დატოვება ზედმეტად მიგვაჩნია და საჭიროდ ვთვლით მის უკან გაწვევას, რათა გამოვიყენოთ იგი იქ, სადაც მას შეუძლია ნამდვილად სარგებლობა მოიტანოს"-ო[1]. მოგზაურ გულდენშტედტის ცნობით, საქართველოდან რუსეთს ჯარი უკან გაუწვევია იმის გამო, რომ საქართველოს მეფე-მთავრებს შორის უთანხმოება ყოფილა, რომელიც დიდად უშლიდა ხელს საერთო საქმეს. იგი წერს: — „ყველა ამ 4 მთავარს (მეფე ერეკლეს, მეფე სოლომონს, დადიანსა და გურიელს— ს. ხ.) შორის არ იყო თანხმობა; მხოლოდ თანხმობის მეშვეობით შეიძლებოდა მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება მტრისათვის".

პეტერბურგის სამეფო კარი ხედავდა, რომ ამ გარემოებათა გამო საქართველოში მტერზე წარმატებას ვერ მიაღწევდნენ, ამიტომ 1772 წლის თებერვალში დაადგინეს კორპუსი უკან გაეწვიათ.

ეხება რა იმერეთის სამეფოს 1768—1784 წლების მდგო-

---

[1] ვ. მ ა ჭ ა რ ა ძ ე, ასპინძის ბრძოლა, 1957, გვ. 123.

მარეობას, მკვლევარი შ. ბურჯანაძე აღნიშნავს, რომ „იმპერატორის რუსეთისა და ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ ინტერესთა სხვადასხვაობამ რუსეთის სამხედრო ძალა საქართველოში პარალიზებული გახადა“. რუსეთის ჯარის უკან გაწვევა ყველაზე მძიმე აღმოჩნდა იმერეთის მეფე სოლომონისათვის და არც თვით ერეკლე მეორისათვის იყო სახარბიელო, რადგანაც რუსეთის ჯარის ჩამოსვლამ მთლად გადაამტერა საქართველოს მეზობელი მაჰმადიანური ქვეყნები. ახლა მისი წასვლა უკან, ეს იყო საბედისწერო მოვლენა ქართველი ხალხისათვის. დიდი თუ პატარა მაჰმადიანური სახანოები და ახალციხის საფაშო, ირან-ოსმალეთის სახელმწიფოთა დაგალებით, მეფე ერეკლეს ერთდროულად აეშალნენ. ლეკებმა კი მთლად აიშვეს თავი. ისინი დღე და ღამ მოსვენებას არ აძლევდნენ ქართლ-კახეთს. სამეფოში შექმნილი მძიმე მდგომარეობა სწორად გამოხატა მეფე ერეკლემ ნ. პანინისადმი 1774 წლის 21 აგვისტოს მიწერილ ერთ-ერთ წერილში: „...გველებივით პირდაღებული თურქები რკალს გვარტყავენ, სპარსელები მძვინვარე ლომებივით შემოგვყურებენ, ხოლო ლეკები მშიერ მგლებსავით ჩვენზე კბილებს ილესავენ. ყველანი ერთად ბორგავენ შურისძიებით, რადგან ჩვენ ქართველებმა დავარღვიეთ ზავი მათ მიმართ“[1].

ყოველივე ამის შემდეგ რუსეთის იმპერატორი ეკატერინე მეორე ქართლ-კახეთის მეფე ერეკლეს იმედს აძლევდა, თუ რაიმეს დაიპყრობ ოსმალეთის ქვეყნიდან (ახალციხის საფაშოდან), შეეცდები თურქეთთან ზავის დადების დროს იგი დაგიმკვიდროთო. ხოლო სოლომონს იარაღისა და ფულის მოწოდებას ჰპირდებოდა და აღუთქვამდა, რომ ოსმალეთთან ზავის დადების დროს იმერეთი დავიწყებული არ იქნებოდა რუსეთის მხრივ.

1772 წლის ივნისს რუსეთის ჯარის წასვლის შემდეგ პირველი იერიშები საქართველოზე ახალციხის სულეიმან ფაშამ (ჯაყელმა) დაიწყო. აი, რას მოგვითხრობს ამის შესახებ ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე: „ხოლო ამაზედ გაიერთა აღსიხის (ახალციხის — ს. ხ.) ფაშამ ლეკნი, მოიყვანა დაღისტნის ჯა-

[1] Грамоты... том I, гр. 408.

რები და აოხრებდნენ ავაზაკებრ ქართლსა და იყო მარადის ქართლსა შინა მათ-გან დაუცხრომელი ჰრბევა, თუმცა მეფე-მან ირაკლი არა მისცა თავსა განსვენება და მრავალ-გზის დაამარცხნა ლეკნი. გარნა იგინი არა დაჰსცხრნენ..“

ამ დროს საქართველოს მიმართ არც სპარსეთი იყო კეთილ-განწყობილებაში, იგი შესაფერის მომენტს ელოდა საქართველოს დასასჯელად. აფასებდა რა საქართველოში შექმნილ მდგომარეობას, მეფე ერეკლე მაინც გულს არ იტეხდა და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი რუსეთის ერთგულების პოზიციაზე დგომა, მიუხედავად იმისა, რომ გერმანელმა ტოტლებენმა ამდენი უსიამოვნება და ზიანი მოუტანა ამ ორი ერის მტკიცე მეგობრობას. ქართველმა მეფეებმა — ერეკლემ და სოლომონმა მტკიცე სიტყვა მისცეს ერთმანეთს, რომ დაივიწყებდნენ იმ უსიამოვნებას, რაც ჩამოვარდა მათ შორის. 1770 წ. გენერალ ტოტლებენის მოქმედების გამო.

ამიერკავკასიიდან, კერძოდ კი საქართველოდან, ოსმალეთის წინააღმდეგ გახსნილი ფრონტი რუსეთ-თურქეთის მთავარი ფრონტის — ყირიმისა და ბალკანეთის ფრონტის დამატებითი ნაწილი იყო. ამ ფაქტს ისიც მოწმობს, რომ როდესაც 1772 წლის ზაფხულში რუსეთ-თურქეთის მთავარ ფრონტზე, დროებითი ზავი ჩამოვარდა, რუსეთის ჯარების სარდალი რუმიანცევი გენერალ სუხოტინს იმავე წლის პირველ ივნისს ცნობას უგზავნიდა დროებითი ზავის შესახებ, რათა საქართველოს ფრონტზეც სამხედრო ოპერაციები დროებით შეეწყვიტათ. ქართლ-კახეთის სამეფოსა და ახალციხის საფაშოს შორის დროებითი ზავი ჩამოვარდა. მაგრამ ფაშას ზავის ვადა არ დაუცავს და იმერეთისათვის ლეკების რაზმი მიუსევია, რომელიც სოლომონ მეფეს სასტიკად დაუმარცხებია.

ქართველები დროებით ზავს თითქმის ერთი წლის განმავლობაში მტკიცედ იცავდნენ (1772 წლის ზაფხულიდან 1773 წლის ზაფხულამდე), მიუხედავად იმისა, რომ ახალციხის ფაშა სულეიმანი ხშირად თავს ესხმოდა, როგორც ქართლს, ასევე იმერეთს. აი, რას წერს ოსანათ იოანე: თათრების მიერ „ქრცხინვალის მოგლეჯა თქვეს“, ან კიდევ „სურამის მოგლეჯა თქვეს.“.... ლეკების მოსვლა თქვეს საჩხერეს, 22 მაისს ირაკლი მეფისაგან ლეკის და თათრების დახოცა თქვეს. 1773

წლის 22 ივნისს „ქუთაისიდან ავიყარეთ ყველანი თათრის და ლეკის შიშით“[1].

მტრის შემოსევებს მეფე ერეკლე საკადრისად პასუხობდა. ქართველი მეფეები კარგად ხედავდნენ შექმნილ მძიმე მდგომარეობას, ამიტომ ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებმა ჯერ კიდევ 1758 წელს ერთმანეთთან სამხედრო კავშირი დადეს: „რომელსაც ქვეყანაში მტერი შემოვიდესო, ერთმანეთს მივეშველნეთო“. ეს კავშირი ერეკლესა და სოლომონს შორის 1770 წლამდე არ დარღვეულა. ამ ურთიერთ სამხედრო კავშირს თავის დროზე ორივე ქვეყნისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ახლაც დღის წესრიგში დგებოდა მისი ხელახალი განახლება-აღდგენა. მეფე ერეკლესთან დაახლოებით და მასთან სამხედრო კავშირის აღდგენით განსაკუთრებით დაინტერესებული ყოფილა იმერეთის მეფე სოლომონ პირველი. ამას მოწმობს რუსეთის წარმომადგენლის კაპიტან ლვოვის წერილი გრაფ პანინისადმი. იგი წერს: „სოლომონ მეფემ მთხოვა, ირაკლი მეფესთან მივიდე იმ განზრახვით, რომ ამაზე ადრე სოლომონ მეფე ყოველთვის ეძებდა ირაკლი მეფის მეგობრობას და დახმარებას, რაშიც მას ირაკლი მეფე კიდევაც აიმედებდა,... სოლომონ მეფე ენერგიულად თხოულობს, რომ ირაკლი მეფემ, აქაური ჩვეულების მიხედვით, იკისროს მათ შორის საჭირო მოვალეობა იმ მხრივ, რომ მტრის თავდასხმათა შემთხვევაში ერთმანეთს ჯარებით დაეხმარონ, როგორც ამის შესახებ მოვალეობაში ჩაიწერება; რის შესასრულებლადაც სოლომონ მეფე თხოულობს, რომ ირაკლი მეფემ ქართლში ადგილი და დრო დაუნიშნოს, რადგან სოლომონს სურვილი აქვს მასთან მივიდეს ორივე მხარისათვის ესოდენ სასარგებლო განზრახვის შესასრულებლად“[2]. 1772 წ. 10 სექტემბერს ივანე ლვოვი ქართლში გადმოსულა იმერეთის მეფის სოლომონის დავალებით ამ საქმის მოსაგვარებლად, მაგრამ ქართლ-კახეთის მეფეს ამ დროს არ ეცალა, იგი ლაშქარს აგროვებდა

---

1 „ახალციხის ქრონიკები“, ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 29, გვ. 21.

2 Грамоты... том I, გვ. 363—364.

ქიზიყს წასასვლელად, რადგან იქ ხუნძახის ბატონი მუცალი შემოჭრილიყო და ქვეყანას სასტიკად აოხრებდა.

ამასობაში დრო გადიოდა. სამხედრო კავშირის დადება კი ძნელდებოდა გარეშე მტრის, განსაკუთრებით დაღესტნის, ჰარ-ბელაქნის ლეკებისა და ახალციხის სულეიმან ფაშას თავდასხმებისა და თარეშის გამო. ისინი მოსაზღვრე სოფლებს ეცემოდნენ და ანადგურებდნენ, მოსახლეობა კი ტყვედ მიჰყავდათ.

როდესაც მეფე ერეკლე და სოლომონი საქართველოს გამოხსნასა და აღდგენაზე ფიქრობდნენ, ენერგიასა და ზრუნვას არ აკლებდნენ საქართველოს გაძლიერებისა და დაცვის საქმეს, ამ დროს გურიისა და სამეგრელოს მესვეურნი იმდენად დაბრმავებული იყვნენ ფულის მოგებით, რომ ყოველნაირ ზნედაცემულ და სამარცხვინო საქმიანობას ეწეოდნენ — საკუთარ მოძმეთ პირუტყვებივით ოსმალებზე ტყვედ ჰყიდდნენ. ოსმალების მიერ დასავლეთ საქართველოში დაკავებული „... ციხეები ტყვის მსყიდველთა ბუნაგებად იქცნენ. ციხისა და მის გარშემო მდებარე სოფლების მოსახლეობა თანდათან მაჰმადიანდებოდა. ოსმალები ამ ციხეებიდან ადვილად ერეოდნენ ფეოდალების ურთიერთობაში და ქვეყნის საბოლოოდ დასაპყრობად თანდათან გზას იკვლევდნენ"[1]. ამ საქმეში ოსმალებს დასავლეთ საქართველოს მთავრები დადიანი და გურიელი უწყობდნენ ხელს. იმისათვის, რომ მეფე სოლომონის ქვეშევრდომობიდან თავი დაეღწიათ, ისინი ოსმალების მხარეზე გადავიდნენ. ეს მდგომარეობა გერმანელ მოგზაურ გულდენშტედტსაც შეუნიშნავს და თავის ერთ-ერთ მიმოხილვით წერილში წერს: „დადიანის და გურიელის შესახებ უტყუარად გაირკვა, რომ ისინი უფრო თურქების მხარეზე იყვნენ, ვიდრე რუსებისა"[2].

ამ დროს გმირმა მეფე ერეკლე მეორემ ხუნძახის ბატონი სასტიკად დაამარცხა და უკუაქცია, რის შემდეგაც მას საშუალება მიეცა 1772 წლის 27 ივლისს სოფ. სანგარში იმერეთის მეფე სოლომონს შეხვედროდა და მასთან სამხედრო ხელ-

---

1 საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1950, გვ. 393—394.

2 გულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, 1964, გვ. 229.

შეკრულება დაედო. ამ ხელშეკრულებაში განსაკუთრებული პატივისცემით მოხსენებულია რუსეთის დედოფალი ეკატერინე ბეორე, რათა ქართველმა მესვეურებმა თურქებსა და ირანს აგრძნობინონ, რომ მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ჯარი საქართველოდან გაწვეულ იქნა, ქართველი მეფეები მაინც რუსეთის ერთგულნი არიან და ეს სამხედრო კავშირიც რუსეთის იმპერატორის სახელით და შთაგონებით იქნა დადებული. ეხება რა იმერეთის მეფე სოლომონის საგარეო პოლიტიკის მდგომარეობას, მკვლევარი შოთა ბურჯანაძე წერს: „ამ ხელშეკრულების მთავარი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს მეფეებმა სამხედრო ურთიერთდახმარების გაწევა იკისრეს და სამუდამოდ მეგობრები გახდნენ. აგრეთვე ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ეს ხელშეკრულება რუსეთის იმპერატორის ნებასურვილის ქვეშ იწერება“. გარდა იმისა, რომ ამ ხელშეკრულებით ორივე ქვეყნის მეთაური კისრულობდა ურთიერთ სამხედრო დახმარებას და შემწეობას, „მეფეები შეთანხმდნენ აგრეთვე იმაზეც, რომ არ მიეცათ თავშესაფარი ერთმანეთის პოლიტიკური მტრებისათვის“. მანამდე კი „მარკოზაშვილის დარბაზის“ შეთქმულების მონაწილენი, ქართლიდან გაძევებული მეფე ერეკლეს პოლიტიკური მტრები, იმერეთის სამეფო კარზედ პოულობდნენ თავშესაფარს.

1773 წ. 27 ივლისს ხელშეკრულების პირობის თანახმად ორივე ქვეყანაში ლაშქრის შეგროვება დაიწყო; ორივე ლაშქარი სურამში უნდა შეერთებულიყო. მაგრამ მტერს არ ეძინა. ოსმალეთის სულთანი ქართლ-კახეთზე ხუნძახის ბატონს მუცალსა და ჭარ-ბელაქნის ლეკებს უსისინებდა, ხოლო იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ დადიანსა და ახალციხის ფაშას. ამავე დროს ახალციხიდან ლეკები არც ქართლს ასვენებდნენ — თავს ესხმოდნენ და საშინლად არბევდნენ მის სოფლებს. „ქართველ მეფეთა შორის კავშირის აღდგენით შეშფოთებული ახალციხის ფაშა ამოქმედდა. ამის გამო ერთობლივი ლაშქრობა დროებით შეფერხდა....“[1] მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, 1773 წ. 4 ოქტომბერს ქართველი მეფეები ხუთ-ხუთ ათასიანი ლაშქრით სურამში ერთმანეთს შეხვდნენ. მეფე ერეკლემ მე-

---

[1] ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, 1957, გვ. 128.

ფე სოლომონი დაიყოლია და გორიდან თრიალეთის გზის გავ-
ლით ჯავახეთზე ილაშქრეს.

მტერიც ფხიზლობდა. ახალციხის ფაშამ წინასწარ დაიქი-
რავა ლეკთა ჯარი და ქართლის მოსაზღვრე ციხესიმაგრეებსა
და სოფლებში დააყენა. ხოლო ადგილობრივი მაჰმადიანები
შეაიარაღეს და ციხესიმაგრეებში დააყენეს. ქართველ ჯარს
რომ არ დახმარებოდნენ ადგილობრივი ჯავახელი ქართველე-
ბი აჰყარეს და თათრებთან ერთად ძალით ციხესიმაგრეებში
შერეკეს. ქართველების ზოგიერთ დიდ სოფელში იანიჩარები
დააყენეს და ქართველებს სოფლიდან გარეთ გასვლა აუკრძა-
ლეს

1773 წ. 17 ოქტომბერს ქართველთა ლაშქარი ახალქალაქის
ციხეს მიადგა. როგორც კაპიტანი ივანე ლვოვი აღნიშნავს, 17
ოქტომბერს ქალაქში შეიჭრა ქართველების ჯარი და ჯავახელი
ქრისტიანი მოსახლეობის დახმარებით დაიკავა ახალქალაქის
ციხე. მემატიანე „შედეგი კახეთის ცხოვრებისა "ამის შესახებ
შემდეგს მოგვითხრობს: „...შემოიკრიბეს ორთავე მეფეთა
მხედრობანი ქართველთა და იმერთანი, მივიდნენ ახალქალაქს
და მოერტყნენ გარს, იქმნა უძლებ მუნ მეფე იმერთა სოლო-
მონ, რომლისა-გამო უკმოიქცნენ". როგორც ამ ცნობიდან
ირკვევა, ქართველთა ლაშქარს ახალქალაქის ციხე ვეღარ აუ-
ღია სოლომონ მეფის მძიმე ავადმყოფობის გამო. საქართვე-
ლოს ამ მდიდარ მხარეში ქართველ მეფეთა ლაშქარი 6 დღეს
დარჩა და მეფეებმა ლაშქარი საშოვარზე გაუშვეს. ქართვე-
ლები იმდენად გათამამდნენ, რომ ყარსამდე მიაღწიეს. მათ
აქ ბევრი ტყვე და საქონელი ჩაიგდეს ხელში. ამ ლაშქრობის
შესახებ ერეკლეს ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე წერს: მეფე
ერეკლე „ეზრახა ამ (ახალციხის საფაშოზე ლაშქრობის—ს. ხ.)
საქმეზედ იმერთა მეფესა სოლომონს, შეჰკრიბნენ ორნივე მე-
ფენი სურამის ბოლოს, გარდავლეს მთა საციციანოსი (თრია-
ლეთის—ს. ხ.), მივიდნენ და ჯავახეთის ახალ-ქალაქს შემოად-
გნენ და ძლიერად შეამჭირვეს, კნინღა აღებამდე. გარნა ამ ჟამსა
მეფე იმერთა სოლომონ ფრიად ავად შეიქმნა საოფლით, რო-
შელი სიკვდიდ მიახლდა, ამის-თვის ინებეს წარმოყვანა მეფის
სოლომონისა, გაუკეთეს მოაბა, აიყარნენ იმერნი და წამოიყვა-
ნეს მეფე სოლომონ და მეფე ირაკლიცა შემოეცალა ციხესა

ახალ-ქალაქისასა და მოარბიეს მამულნი აღსიხისანი (ახალციხის—ს. ხ.), არტაანი და ჯავახეთი, მრავალი ტყვენი და საქონელი წამოასხეს და წამოვიდნენ". ქართველებმა ამ ლაშქრობის დროს 20 კაცი დაკარგეს, რამდენიმე კი დაიჭრა.

ქართულ საისტორიო ლიტერატურაში დღემდე დამკვიდრებულია აზრი, რომ ახალქალაქის ლაშქრობიდან სასწრაფოდ უკან დაბრუნების მიზეზი იყო იმერეთის მეფე სოლომონის ავად გახდომა; ჩვენი აზრით, ახალქალაქის ლაშქრობიდან სასწრაფოდ უკან დაბრუნების მიზეზი მარტო იმერეთის მეფე სოლომონ I ავადმყოფობა არ უნდა იყოს. ამას უნდა დაემატოს კახეთში ნურსალ ბეგისა და ჭარ-ბელაქნის ლეკთა დიდი შემოსევა. ამ შემოსევის შესახებ ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე არაფერს წერს, მაგრამ „შედეგი კახეთის ცხოვრების" მემატიანე მეტად საყურადღებო ცნობას გვაწვდის: „ხოლო ახალქალაქსა ყოფასა მეფისასა მოვიდნენი ლეკნი ჭარისა კერძოთ და წარსტყვენვეს სოფელი ფხოველი და წარიყვანეს ტყვედ მოურავის შვილის პაატას მეუღლე, რომელიცა შეირთო უსეინხან-მან შაქისა-მან: კვალად შეჰყარა ნურსალ ბეგმან მხედრობა დიდი ლეკთა და შთავიდა შაქი-შირვანსა კერძო, მუნი უეცრად წარმოვიდა და დაესხა ბოდბეს და იავარჰყო რამდენიმე უბანი: მაშინ მხნედ იყვნენ ბაღაანი, ამოვიდა სიღნაღით მოურავი რევაზ ენდრონიკას-შვილი მაღაროს, სადაცა შემოიკრიბნენ ქისიყნი, ჰსძლეს და მოსწყვიტეს უმეტეს ათასისა და მუნ ლეკმან ერთმან ჰყო ტყვედ დიაცი ერთი, სწადდა რა დამდაბლება მისი, წააძრო ხანჯალი და მოკლა ლეკი იგი დიაცმან და ესრეთ განერა დიაცი იგი და წარვიდა ნურსალ სირცხვილეული"[1]. ლეკები ამის შემდეგაც კვლავ შემოსევიან კახეთს. აქედან წათლად ჩანს, რომ კახეთში ლეკთა უბრალო თარეში კი არ ყოფილა, არამედ დიდი ლაშქარი შემოჭრილა ნურსალ ბეგის ხელმძღვანელობით. კახეთში ლეკთა შემოსევა ახალციხის სულეიმან ფაშას განკარგულებით უნდა მომხდარიყო, რათა ამით ერეკლესათვის სერიოზული საფრთხე

---

[1] „შედეგი კახეთის ცხოვრებისა", ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, 1854, გვ. 508.

შეექმნა კახეთში. სწორედ ამ შემოსევამ შეუშალა ხელი ჯავახეთის ლაშქრობას.

თუ რა დიდი ზიანი მიაყენეს მტერს ქართველებმა ჯავახეთის ლაშქრობის დროს ჩანს ერეკლესა და სოლომონის 1773 წლის დეკემბერში რუსეთის მთავრობის პირველ მინისტრ ნ. პანინისადმი მიწერილი წერილიდან. „რაოდენ ჩვენგან შეიძლებოდა ორნივე ვეცადენით ჯარის გაკეთებასა და მივედით ახალციხის ქვეყანასა და მამულს შინა, და რადგან იქ დაგვეცა და... კმასაყოფელი ვნება მიიღო მტერმან და მათმა ადგილებმა წარმოტყვევნით, და სიკვდილით, და დაწვით და დაქცევით, და უკეთუ უბედურობისა გამო სნეულება (მეფე სოლომონის — ს. ხ.) საწინააღმდეგოდ არ აღგვჩენოდა, მტერი უდიდესსა ვნებასა და ოხვრასა მიიღებდნენ... თუმცაღა იმათაც მომშველნი აზრუმიდამ და ყარსიდამ, და სხვას ადგილებიდამაც ჰყავდათ. და ლეკნიც ყოველთვის ჰყავსთ, მაგრამ... ჩვენთან პირდაპირობა ვერ გაბედეს და თუ ზაფხული ყოფილიყო, თავიანთთვის მომშველებელს უმეტესს იშოვნიდნენ“.[1] ქართველ მეფეთა ამ წერილში დასახელებული მიზეზი თურქების სუსტი წინააღმდეგობის გაწევის შესახებ ქართველი ლაშქრის მიმართ, რასაკვირველია, სიცივისა და ყინვის ბრალი არ არის, ოქტომბრის თვე ჯავახეთისათვის, თუ გინდ არზრუმ-ყარსისათვის ზამთრის თვე არ არის, ამ პერიოდში არასოდეს გზები არ იკეტება და ამდენად ოსმალეთის მიერ ჯარის მოუშველებლობა ახალქალაქის ციხისადმი ამით არ აიხსნება. მთავარი მიზეზი ამისა ის არის, რომ თურქებმა რუსეთის მთავარ ფრონტზე ბალკანეთ-ყირიმში ისეთი დიდი მარცხი და ძალთა განადგურება განიცადეს, რომ იმის საშუალება აღარ ჰქონდათ, ჯავახეთში ქართველი ლაშქრისათვის წინააღმდეგობა გაეწიათ და პირისპირ საბრძოლველად გამოეყვანათ ოსმალეთის ჯარი. ამის შედეგად ოსმალთა ლაშქარი და მოსახლეობა იძულებული გამხდარა ქართველების შიშით ციხე-სიმაგრეებში ჩაკეტილიყო. ხოლო ნიალის ყურის (ვარძიის ზემოთ) დასახლებულ ქართველებს საშუალება მიეცათ აყრილიყვნენ და ქართლში დასახლებულიყვნენ.

სწორედ ქართველების ჯავახეთში ლაშქრობის გამარჯვე-

[1] შედეგი კახეთის ცხოვრებისა, ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, 1854, გვ. 97.

ბას მოჰყვა 25—26 ოქტომბერს ხერთვისის ციხესიმაგრის ხელში ჩაგდება და აჭარაში განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყება. ამრიგად, ქართველ მეფეთა ლაშქრობა ახალციხის საფაშოზე დაიწყო 16 ოქტომბერს და დამთავრდა 30 ოქტომბერს.

ჯავახეთსა და ყარსზე ქართველ მეფეთა ლაშქრობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ ერთი, მეზობელ მაჰმადიანურ თურქეთსა და ირანს აგრძნობინეს, რომ საქართველოს საკუთარი ძალებით არა მარტო თავისი ქვეყნის დაცვა და განმტკიცება შეეძლო, არამედ შესწევდა საკმაო უნარი და ძალა, რომ სხვისაგან დამოუკიდებლად შეტევები ეწარმოებინა ისეთ დიდ მტრულ მაჰმადიანურ ქვეყანაზე, როგორიც იყო თურქეთი. მეორეს მხრივ, ამ ლაშქრობით იმდროინდელ მეფის რუსეთს ქართველებმა დაუმტკიცეს, რომ ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებს გენერლების — ტოტლებენისა და სუხოტინის ძალდატანებისა და ჩარევის გარეშე შეეძლოთ დაემყარებინათ მეგობრული ურთიერთობა და უნარი შესწევდათ გაერთიანებულიყვნენ არა მარტო საკუთარი ქვეყნის დასაცავად, არამედ მოწინააღმდეგის ქვეყანაში შესაჭრელად და ასაწიოკებლად. აი, რას წერს ომან ხერხეულიძე: „მეფეს ირაკლის-თან იყო ლვოვი ივან ლავრენტიჩი მინისტრად წარმოვლენილი. მან უთხრა მეფეს ირაკლის: „ვინად-გან თქვენსა და ღრაფ ტოტლებენსა შორის შფოთი რამე არს შთამოვარდნილი, თუ რომ ოსმალთ არ აეშლები და ერთს რამე სამსახურს არ დაანახვებ იმპერატრიცა ეკატირინა ხელმწიფას, შენ უთუოდ ღრაფი შეგასმენს და ეს ასე არ ვარგაო"[1]. აქედან ჩანს, რომ რუსეთის სამეფოს ერთგული მოხელე ივანე ლვოვი, რომელიც კარგ დამოკიდებულებაში იყო ქართველ მეფეებთან, ურჩევს ოსმალეთის წინააღმდეგ ლაშქრობას არა მარტო იმისათვის, რომ მეფე ერეკლემ თავისი ერთგულება დაუმტკიცოს დედოფალ ეკატერინეს, კაპიტანი ივანე ლვოვი კარგად ხედავდა, რომ ამ ლაშქრობით რუსეთის მთავარ ფრონტს მდგომარეობას შეუმსუბუქებდა, ამით ოსმალთა სულთანი იძულებული გახდებოდა

---

[1] ომან ხერხეულიძე, ცხოვრება მეფის ირაკლი მეორისა, ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, 1854, გვ. 492.

საქართველოს საზღვრებიდან არა მარტო ჯარი, არამედ მოსახლეობაც არ გაეწვია ბალკანეთისა და ყირიმის ფრონტზე რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ მეფე ერეკლე არ იყო ისეთი მმართველი, რომ კაპიტან ლეონისათვის დაეჯერებინა. იგი არ გადაწყვეტდა ისეთ დიდ საკითხს, როგორიც იყო ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება, რომ ეს მისი ქვეყნისთვის სასარგებლო არ ყოფილიყო.

ქართველ მეფეთა მეგობრობის ნათელი დადასტურება იყო 1774 წლის იანვარში იმერეთში შემოჭრილი 4000-იანი ლეკ-ოსმალთა ჯარის სასტიკი განადგურება იმერეთისა და ქართლის ჯარების მიერ, ეს ფაქტი ქართველ მეფეთა სამხედრო კავშირის ბრწყინვალე მაგალითია. გმირ მეფეთა მიერ ამის შემდეგაც არ შეწყვეტილა მზადება ახალციხის საფაშოზე სალაშქროდ, მაგრამ ლეკების ხშირი შემოსევებისა და სხვადასხვა მიზეზების გამო ეს ლაშქრობა ვეღარ განხორციელდა.

ამ ლაშქრობამ ერთხელ კიდევ განამტკიცა ქართველების ის გმირული წარმატებები, რომელსაც მეფე ერეკლეს ხელმძღვანელობით 1770 წლის აპრილში მიაღწიეს აწყურის, იდუნალასა და ასპინძის მიდამოებში. ამ ლაშქრობამ მოსახლეობას გაუღვივა პატრიოტული გრძნობა და კვლავ აღუძრა საქართველოსთან შეერთების სურვილი. საქართველოს მეფეთა წარმატებამ გავლენა მოახდინა თურქეთისაგან დამონებულ აჯარაზეც, რომლებიც ახალციხის ფაშას აუჯანყდნენ და დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფოდნენ.

ქართველების ამ ლაშქრობის შემდეგ ახალციხის ფაშასა და ბეგების ერთადერთ მიზანს წარმოადგენდა შურისძიება ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებზე. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-თურქეთის ომი დამთავრდა და 1774 წლის 10 ივლისს სოფ. ქუჩუკ-კაინარჯში ზავიც დაიდო, ამ ზავს საქართველოსთვის მაინცდამაინც სარგებლობა არ მოუტანია. რუსეთ-თურქეთის 1768—1774 წლების ომში რუსეთმა გაიმარჯვა დრომოჭმულ და მომაკვდავ თურქეთზე. რუსეთს ამ ზავით გზა ეხსნებოდა შავ ზღვაზე. იგი უფრო მტკიცედ იკიდებდა ფეხს ბალკანეთში, ამიერკავკასიასა და ყირიმში. თურქეთმა ამ ომში დაკარგა ყირიმი და ამიერკავკასია. ოსმალებს ბევრი ომი გადაუხდიათ, ბევრჯერ გაუმარჯვიათ, ბევრჯერაც დამარცხებუ-

ლან, მაგრამ ის მარცხი, რაც მათ განიცხადეს 1768—1774 წწ. სულ სხვაა. აი რას სწერს მკვლევარი ო. გიგინეიშვილი ამ ომის შედეგებზე: „ომებში დამარცხება თურქეთისათვის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, მაგრამ არც ერთი ომი არ იყო ოსმალეთის იმპერიისათვის ისეთი მძიმე თავისი შედეგებით, როგორც 1768—1774 წლების ომი რუსეთთან. ამ ომმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოს მეურნეობის მთავარი დარგი და სახელმწიფო შემოსავალის ძირითადი წყარო — ომები დეფიციტურ დარგად იქცა და სახელმწიფოსათვის ზარალის მეტი არაფერი მოჰქონდა“.[1]

ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულება რუსეთის სასარგებლოდ საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტად იქცა. ამ ომში (1768—1774 წწ.) რუსეთის გამარჯვებით უკმაყოფილო იყო, არა მარტო დამარცხებული თურქეთი, არამედ მისი წაქეზებლებიცა და მხარის დამჭერი ევროპის ისეთი დიდი სახელმწიფოები, როგორიც იყო ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრია და სხვ.

ამრიგად, რუსეთ-თურქეთის 1768—1774 წწ. ომში საქართველოდან წარმოებული ბრძოლები თურქეთის წინააღმდეგ იყო რუსეთისათვის დამატებითი ფრონტი. ეს ბრძოლები დაიწყო 1770 წლის 15 აპრილიდან და გაგრძელდა 1774 წლის 30 ოქტომბრამდე. ამ პერიოდს თავისი შესაფერი სახელი უნდა მოეძებნოს. მას უნდა ეწოდოს ასპინძის ომი და არა ასპინძის ბრძოლა. ომი უფრო ფართო ცნებაა, იგი დიდი ხანგრძლივობით ხასიათდება, ვიდრე ბრძოლა. ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფოებმა რუსეთ-თურქეთის ომის დროს არაერთი სახელოვანი ბრძოლა გადაიხადეს. ყველა ეს ბრძოლა (აწყურის, იდუმალას, ასპინძის, ახალქალაქის ლაშქრობაც) უნდა გაერთიანდეს და უნდა ეწოდოს მას ასპინძის ომი, იმიტომ, რომ ქართლისა და იმერეთის სამეფოები ოსმალეთზე მრავალთავდასხმას ახდენდნენ, მაგრამ ამ ბრძოლაში მთავარი და გადამწყვეტ გამარჯვებას მეფე ერეკლემ მხოლოდ და მხოლოდ ასპინძის ბრძოლაში მიაღწია. ამრიგად, ასპინძის ომის წინა პე-

[1] ო. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1967, გვ. 162.

რიოდად უნდა მივიჩნიოთ ბრძოლები აწყურისა და იდუმალას მიდამოებში, ხოლო ასპინძის ომის შემადგენელ ნაწილად ჩაითვლება ქართველ მეფეთა ის ლაშქრობა, რომელიც მათ ოსმალეთის წინააღმდეგ მოაწყეს 1773 წ. ოქტომბერში. იგი ძირითადად მტრის მამულში თარეშისა და დარბევის სახით წარმოებდა, მაგრამ მაინც ასპინძის ომის შემადგენელ ნაწილად უნდა მივიჩნიოთ.

* * *

რუსეთთან ზავის დადების შემდეგ ახალციხის ფაშამ საქართველოზე შეტევებს უმატა.

თურქ-ოსმალები და ლეკები თავს ესხმოდნენ არა მარტო დასავლეთ საქართველოს, არამედ, ქართლ-კახეთსაც. ამის შესახებ მეფე ერეკლეს ისტორიკოსი ო. ხერხეულიძე წერდა: „ამისა (ახალქალაქის ლაშქრობის—ს. ხ.) შემდგომად მიესმა ესე ყოველი მეფის ირაკლისა-გან ხონთქარს და განძვინდა მეფეს ირაკლის ზედა და მისცა აზრუმს აქეთი სულეიმან ფაშას და წარმოუგზავნა უნჯი (საქონელი, ამ შემთხვევაში ოქრო—ს. ხ.), რათა განიმრავლოს ჯარები და ემტეროს მეფეს ირაკლის და ქართლსა: ხოლო მან წარგზავნა საგანძური დიდ-ძალი დაღისტანს და მოიყვანა დაღისტნის ჯარები აღსიხას (ახალციხეს—ს. ხ.) და იწყო ავაზაკებრ რბევა ქართლისა“. 1785 წ. 10 იანვარს „ქართლში ლეკების და თათრების ჯარი მიიშალა... ლეკებმა ნაშოვარი ხასები მოიყვანეს“ ახალციხეში. ხუნძახის ბატონი ომარ ხანი 20 ათასი კაცით კახეთის საზღვრებს მოადგა, აიღო ბორჩალოს ციხე, დებედის ხევით აიარა ახტალა და მადნები სულ ააოხრა. ამის შემდეგ „ლეკები და ომარ ხანი ხიზაბავრისაკენ (ასპინძის რაიონი—ს. ხ.) მოვიდა“[1]. ამ გაუთავებელ თავდასხმებს ზემო ქართლსა და კახეთზე ახდენდა ახალციხის ფაშა ოსმალეთის სულთნის უშუალო მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს რუსეთ-თურქეთს შორის ომი უკვე დამთავრებული იყო, ხონთქარს უნდოდა შური ეძია საქართველოზე. ამის შესახებ ომან ხერხეულიძე წერს: „გარნა არა დასცხრა სულეიმან-ფაშა, ბრძანებითა ხვანთქრისათა და იყო

---

1 „ახალციხის ქრონიკები“, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერი № 29, გვ. 43.

ვარადის ტყვენვა-ოხრებასა შინა ავაზაკებრ და ჯარადცა წარ-
მოაელინა ერთი პირი ჯარი ზემო-ქართლს, მოარბიეს ზემო-
ქართლი და მოვიდნენ უფლისციხეს". ამ დროს ქართლ-კახე-
თის ჯარი ერთად იდგა ქართლში. დიდი ბრძოლისა და მსხვერ-
პლის გაღებით მეფე ირაკლის ჯარებმა ძლივს დაამარცხეს ოს-
მალთა ლაშქარი და ქართლიდან განდევნეს. რაც დრო გადიო-
და, მით უფრო ხშირდებოდა ახალციხის ფაშას თარეში
ქართლზე. ერთხელ მოულოდნელად თავს დაესხნენ ცხინვალს
და დიდძალი ტყვე და საქონელი იგდეს ხელთ ოსმალებმა.

ცხინვალის ლაშქრობიდან დიდი დრო არ იყო გასული, რომ
ახალციხის სულეიმან ფაშა ახლა დიდძალი ჯარით შუა ქართლ-
ში შემოიჭრა და „მოადგა ქართლის ციხეს, ერთ დღეს ადგა,
მეორე დღეს ამბავი მიუტანეს: — მეფე ირაკლი წარმოვიდა
შენზედო. აიყარა მსწრაფლ და ვითარცა მეოტი ივლტოდა.
გარნა იყო მარადის ავაზაკებრი რბევა რაოდენიმეს წელსა"[1]
ოსმალთა ხონთქარი სპეციალურად ოქრო-ვერცხლს გზავნიდა
დაღესტანში ლეკების დასაქირავებლად, ქართლ-კახეთზე მა-
თი თავდასხმების მოსაწყობად. მეფე ერეკლე ამ მდგომარეო-
ბამ დააფიქრა და გადაწყვიტა მორიგე ჯარი შემოეღო, რამაც
მეტად დადებითი შედეგი გამოიღო. „მორიგე ლაშქრის მიზან-
შეწონილობა, მისი დიდი სარგებლიანობა მალე აშკარა შეიქნა.
ლეკების თარეში შეწყდა, ქვეყანა ნორმალურ ცხოვრებას და-
უბრუნდა, მიტოვებული სოფლები ისევ მოშენდა, გლეხებმა
ციხე-გალავნები დასტოვეს, მინდვრად გავიდნენ და მშვიდო-
ბიან სოფლის მეურნეობას შეუდგნენ"[2].

მეფე ერეკლეს საშუალება მიეცა ახლა თვითონ დაეწყო
ოსმალეთის ხონთქრის შეწუხება და თავს დასხმოდა ახალცი-
ხისა და ყარსის ქვეყნებს. ერეკლეს ხშირი თავდასხმების გამო
ოსმალეთის სულთანი იძულებული გამხდარა ეჩიელა ირანის
შაჰის კარზე. „გარნა დარწმუნებულ-იყო ხვანთქარი, რომელ
ფრიად შეაწუხა მამული მისნი და ამის-თვის წარავლინა ელჩი

---

1 ო მ ა ნ ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე, ცხოვრება მეფისა ირაკლი მეორისა, ქართლის ცხოვრება, 1854, გვ. 495.

2 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მორიგე ჯარი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, 1965, გვ. 222.

თვისი ხვანთქარ-მან ერანის მეპატრონის ქერიმ ხანისათანა და შეუთვალა: „თუმცა ჩვენსა და თქვენსა-შორის არს მშვიდობა, რამეთუ ზავ-გვიყოფიეს. გარნა ეგრეთცა აღგიშვია ერთი ლომი (რომელს-არს საქართველოს ვალი), რომელი აოხრებს მარადის სამფლობელოსა ჩემსა და ამის-გამო იხარჯვის ჩემ-განარა-მცირედი ხაზინანი, რომლისა-თვის მაქვს განცხადება მეგობრისადმი თქვენისა, რათა დააყენოთ იგი ესე ვითარისა მძლავრებისა-გან"[1].

სპარსეთის მპყრობელ ქერიმ ხანს იმდენად გახარებია ერეკლეს გმირული ბრძოლები, რომ თაკის ხანებისათვის განუცხადებია „...ხონთქარი დააჩოქა და ჩემ-თან აჩივლებსო"...[2] ამისათვის ქერიმ ხანმა მეფე ერეკლეს „წარმოუგზავნა ხრმალი და ცხენი ოქროსა იარაღითა აღკაზმული"[3]. ქართლ-კახეთის სამეფოსა და ირანის ასეთი კეთილმეზობლური დამოკიდებულება 1778 წლამდე გრძელდებოდა, შემდეგ კი მდგომარეობა დიდად შეიცვალა. ოსმალეთიც ძვირფას საჩუქრებს უგზავნის ერეკლეს. მეფე ერეკლემ ამით ისარგებლა და გადაწყვიტა ოსმალებს შერიგებოდა და ერთხელ და სამუდამოდ გაენთავისუფლებინა ქართლ-კახეთი ირანის ქვეშევრდომობისაგან. „ერეკლეს მოლოდინი არ გამართლდა. ირან-ოსმალეთს შორის საქმე ომამდე არ მივიდა, ერეკლესა და ქერიმ-ხანის ურთიერთობა კი მეტად გამწვავდა. მაგრამ ამ ხანებში (1779 წელს) ქერიმ-ხანი გარდაიცვალა, ირანი ისევ არეულობამ მოიცვა და ირან-საქართველოს ურთიერთობის საკითხის სიმწვავე კარგა ხნით ვანელდა"[4].

მთელი მე-18 საუკუნე, განსაკუთრებით კი მისი მეორე ნახევარი, მეტად მძიმე და დაძაბული პერიოდი იყო საქართველოსათვის. საქართველოს ის ძალები აღარ ჰყავდა, რაც საუკუნის დასაწყისში, საერთაშორისო ვითარებაც შეიცვალა და დაიხლართა.

---

1 ომან ხერხეულიძე, ცხოვრება მეფისა ირაკლი მეორისა. ქართლის ცხოვრება, 1854, გვ. 495.

2 იქვე.

3 იქვე.

4 ნ. ბერძენიშვილი, ქართლ-კახეთის სამეფო 70-იან წლებში. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტომი II, 1965, გვ. 223.

არც ოსმალეთთან კავშირი გამოდგა დიდად სასარგებლო და ხანგრძლივი. თურქეთს საბოლოოდ უნდოდა საქართველო ოსმალურ საფაშოდ გაეხადა, ირანი კი ცდილობდა საქართველო თავის სახანოდ ექცია. ასეთ რთულ ვითარებაში ერეკლეს გამჭრიახმა გონებამ სწორად განსჭვრიტა, რომ მაჰმადიანი მეზობლების ნაცვლად შორეული ერთმორწმუნე ქრისტიანული რუსეთი არჩია მფარველად და მოკავშირედ. „ქართველები დარწმუნებული იყვნენ, რომ რუსეთისა და საქართველოს ინტერესები ამიერკავკასიაში ერთიმეორეს ეთანხმებოდა, რომ, მაშასადამე, რუსეთის მიერ საქართველოს მფარველობა საიმედო და სანდო იქნებოდა. საქართველოს ბედის რუსეთთან დაკავშირებით ერეკლე ირან-ოსმალეთის მოძალადეებისაგან თავისი ქვეყნის სამუდამოდ გამოხსნასა და მის აღდგენას ლამობდა"[1]. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა 1783 წ. 24 ივლისს ციხე გეორგიევსკში (იმიერკავკასია) რუსეთ-საქართველოს შორის ხელშეკრულების დადება. „მეგობრობის პირობის" (ტრაქტატის) მეოთხე მუხლში იგულისხმებოდა სამცხე-საათაბაგოს შემოერთება საქართველოსთან. მეფე ერეკლემ ამ მხარის შემოერთება არაერთხელ ითხოვა ამ ხელშეკრულების შემდეგაც და ბოლოს ანდერძიც კი დატოვა ამის შესახებ.

საქართველოს რუსეთთან დაკავშირებამ ირანის მბრძანებელი აღა-მაჰმად-ხანი მთლად გადარია. იგი 1795 წ. სექტემბრის თვეში 35 ათასი კაცით თბილისს დაესხა და მთლიანად გაანადგურა.

დიდი სახელმწიფო მოღვაწე, ბრწყინვალე სარდალი და შესანიშნავი დიპლომატი მეფე ერეკლე მეორე გარდაიცვალა 78 წლის ასაკში, 1798 წლის 11 იანვარს ქალაქ თელავში „...იმავე პალატსა და იმავე საწოლში..., სადაც დაიბადა"[2].

1801 წლის 12 სექტემბერს საქართველო რუსეთს შეუერთდა. ამიერიდან საქართველო დაცულ იქნა მაჰმადიანური ქვეყნებიდან. როგორც დიდი ილია წერდა: „დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა

---

1 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, გვ. 229.

2 გ. ქიქოძე, ერეკლე მეორე, 1947, გვ. 88.

და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ყღერა ხმლისა და მახვილისა, მტრის ხელით მოღერებულისა, ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე. გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრად-ღა დაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა...“[1]

საქართველოს რუსეთთან შეერთებას უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა ორივე ერისათვის. ამ ორივე სახელმწიფოს ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა. საქართველო რუსეთთან შეერთებით გადარჩა არამარტო ფიზიკური განადგურებისაგან, არამედ დაადგა აღმავლობისა და განვითარების გზას. მახლობელ აღმოსავლეთის ქვეყნებთან შედარებით, საქართველო პირველი ეზიარა რუსეთისა და ევროპის კულტურას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის. „ამ ახალი მოვლენის შესწავლა დიდ მნიშვნელობას იხვეჭს საქართველოს პოლიტიკურ ბედ-იღბალთან დაკავშირებით და მჭიდროდ ენასკვება საქართველოს რუსეთთან შეერთების პრობლემას. აშკარა არის ამ შეერთების პროგრესული მნიშვნელობა ქვეყნის სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის და ქართველთა ზოგიერთი ეროვნული მისწრაფების განხორციელებისათვის (მაჰმადიანური სამყაროს კლანჭებიდან ქართული მიწების გამოხსნა და ქართველთა კონსოლიდაციის პროცესის გაღრმავება)“[2].

დიდი რუსი ხალხის არაერთმა საუკეთესო შვილმა თავი შესწირა და სისხლი დაღვარა საქართველოს დაცვისა და მისი ტერიტორიის მთლიანობის აღდგენისათვის. დიდებული მეფესარდლის — ერეკლე მეორის ანდერძი, — სამცხე-საათაბაგოს ზოგიერთი ოლქის შემოერთება დედა სამშობლოსთან — საქართველოსთან, მხოლოდ რუსი ხალხის ძმური და უანგარო

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ასი წლის წინათ, თხზ. ტ. IV, 1955, გვ. 216—217.

[2] გ. მელიქიშვილი, საქართველოს ისტორიის შესწავლა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე, საისტორიო წერილები, 1968, გვ. 22.

დახმარების შედეგად მოხერხდა და საქართველოს კვლავ დაუბრუნა ახალციხის, ახალქალაქის, ყარსისა და აჭარის მთელი რიგი ოლქები. სამუდამოდ შეწყდა ყიზილბაშების, თურქ-ოსმალების და ლეკების თავდასხმები საქართველოზე[1].

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართველმა ხალხმა თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა დიდ რუს ხალხს. მისგან განუყოფელი იყო ჭირსა და ლხინში. 1801 წლიდან მოყოლებული მასთან ერთად იბრძოდა გარეშე მტრების წინააღმდეგ, დღეს კი ისევ დიდ რუს ხალხთან ერთად აშენებს თავის ბედნიერ აწმყოსა და უკეთეს მომავალს.

რუსეთთან მეგობრობას უდიდეს შეფასებას აძლევდნენ ჩვენი ერის სახელოვანი შვილები: დავით გურამიშვილი, ალ. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, დიდი ილია, აკაკი და სხვ. 1913 წელს აკაკი წერეთელი წერდა: „ჩვენ დიდად ვაფასებთ ძმობას და მეგობრობას რუსეთის ერთან. მართალია, რუს ხალხში ბევრია ისეთი, რომლებსაც არ სურთ და ეჯავრებათ ჩვენი ასეთი ძმური კავშირი, მაგრამ არის სამაგიეროდ, ახალგაზრდა რუსეთი, რომელთანაც ჩვენ გვსურს ხელიხელჩაკიდებული სიარული, არა მარტო ეროვნული, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალების, რომელსაც ეწოდება ძმობა, ერთობა, თანასწორობა“[2].

დღეს სწორედ ამ იდეალებით გამსჭვალული რუსი და ქართველი ხალხი, საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად აშენებს პირველ კომუნისტურ საზოგადოებას.

---

1 გ. ა ვ ა ლ ი ა ნ ი, მონოგრაფია რუსი და ქართველი ხალხის საბრძოლო ურთიერთობრობის ისტორიიდან, 1967.

2 გაზეთი „ალდე“, № 6, 1913.

ასპინძის ომის მოკლე ბიბლიოგრაფია

1. ომან ხერხეულიძე — შეფობა ირაკლი მეორისა მეფისა თეიმურაზის ძისა: ქართლის ცხოვრება (დასაბამითგან) მეცხრამეტე საუკუნემდის, ნაწილი მეორე (ახალი მოთხრობა, 1469 წლიდან ვიდრე 1800 წლამდე). გამოცემული ჟ. ჩუბინოვისაგან. სანკტ-პეტერბურღს. 1854 წ. გვ. 491—492.
2. შედეგი კახეთის ცხოვრებისა, ქართლის ცხოვრება, ნაწილი მეორე, 1854, გვ. 507—508.
3. Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, под ред. А. А. Цагарели. Том I. С. Петербург, 1891, том II, вып. I, 1898.
4. კაპიტანი დე გრაი დე ფუა — გრაფ ტოტლებენის 1769—1770 წლების ექსპედიცია საქართველოში, თარგმნილი ფრანგულიდან კ. გურულის მიერ, ახალციხის რაიონული გაზეთი „წითელი დროშა", 1964 № 108, 114, 117, 118, 120, 121, 123[1].
5. ი. ცინცაძე — ორი საბუთი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან 1768—1774 წ. რუსეთ-თურქეთის ომში, ენიმკის მოამბე, ტ. V—VI, 1940, გვ. 337—360.
6. ბაგრატ ბატონიშვილი, — ახალი მოთხრობა, თბილისი, 1941, გვ. 54—55.
7. დავით ბატონიშვილი, — ახალი ისტორია, თბილისი, 1941, გვ. 10—12.
8. ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, Ч. I, II, III... Ф. 8, оп. 94, св. 7, д. 55...
9. ხოჯა ოსანანთ ტერ-იოანე, — „ახალციხის ქრონიკები" — ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერი № 27—29 გვ. 204—205, გვ. 8—19.
10. გულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, (რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა თურქეთთან ომის პერიოდში), ტ. II 1964, გვ. 22—23. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ვ. გელაშვილმა.
11. В. Потто — Кавказская война, т. I, 1899, стр. 87—89.
12. П. Г. Бутков — материалы для первой истории Кавказа с 1722 по 1803 г. спб. 1869, I, стр. 281—283.

---

[1] ეს დოკუმენტი ინახება პარიზში, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში.

13. С. М. Соловьев — история России... Кн. V. т. XXV, стр. 1431, кн. VI. т. XXVIII. стр. 669.
14. З. Авалов — Присоединение Грузии к России. СПБ. 1906, 102—105.
15. Исторический очерк. Кавказская война, их начало до присоединения Грузии, под редакцией генерал-майора Потто. 1899, Тбилиси, стр. 106—112.
16. ერეკლე II — წერილი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ნ. პანინის სახელზე 1770 (ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 2856)[1].
17. ი. ცინცაძე — 1783 წლის მფარველობის ტრაქტატი, 1960.
18. ვ. მაჭარაძე — ასპინძის ბრძოლა, 1957.
19. ვ. მაჭარაძე — მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის — ტ. II, 1968.
20. ვ. მაჭარაძე — რუსეთის არტილერიის ნოვატორი სიმონ ჩოლოყაშვილი, ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა" — 1955, № 10, გვ. 24—26.
21. მ. ალექსიშვილი — რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის საკითხებისათვის, 1956.
22. შ. ბურჯანაძე — სოლომონ I-ის პოლიტიკური მოღვაწეობა, საკანდიდატო დისერტაცია, 1948.
23. ვ. მაჭარაძე — ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, 1968, გვ. 33—38.
24. Переписка грузинских царей с российскими государями 1659—1770.
25. М. Гиоргадзе — гр. Тотлебен и царь Грузии Иракли (Н. О. — новое обозрение), 1892, № 2821, 2824.
26. ი. ცინცაძე — საქართველოს ურთიერთობის ისტორიოგრაფიიდან, მიმომხილველი, ტ. III, 1963, გვ. 100.
27. ივ. ჯავახიშვილი — ქართველი ერის ისტორია, წიგნი V — 1953, გვ. 60—70.
28. ა. გორგაძე — საქართველოს მე-18 ს. სამხედრო ისტორიის მასალები, 1927, გვ. 20—29.
29. ს. ქეარიანი — ქართველი ერის ისტორია, XVIII—XIX სს. ტ. I, 1916, გვ. 22.
30. ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია — საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1950, გვ. 398—399.
31. საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1958, გვ. 352—360.
32. შ. მესხია, ვ. გუჩუა — საქართველოს ისტორია VII—X კლასების სახელმძღვანელო, 1970, გვ. 148—150.

---

[1] ეს წერილი 1939 წ. რუსეთიდან ჩამოუტანია ერთ-ერთ დამსვენებელს ილ. კრუგლოვს და მუზეუმისათვის ჩაუბარებია.

33. პ.ლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი — ცხოვრება გიორგი შეცამეტისა, აკ. გაწერელიას რედაქციით, 1938, გვ. 9—10.
34. ი. ც ი ნ ც ა ძ ე — აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე, 1963, გვ. 127—129.
35. ა ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ე — ბესიკი. 1962, გვ. 17, 82—83.
36. ლ. ც ი ხ ი ს თ ა ვ ი — XVIII საუკუნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორია, 1958, გვ. 42—45.
37. შ. ბ უ რ ჯ ნ ა ნ ა ძ ე — იმერეთის სამეფო 1768—1784 წლებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. III. 1961.
38. ო. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი — ახლო აღმოსაელეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1967, გვ. 162.
39. ვ. ტ ა რ ტ ა რ ა შ ვ ი ლ ი, „რუსეთ-თურქეთის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან“, 1968.
40. ა კ. ბ ე ლ ი ა შ ვ ი ლ ი — ბესიკის თავგადასავალი, 1961, გვ. 120—293.
41. ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი — ასპინძის ომი, თხზ. ტ. IX, გვ. 75—92.
42. ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე — ასპინძის ომის ისტორიის სიყალბე და რუსის გენერალ ტოტლებენის ღალატის სინამდვილე, — თბილისი, 1920, გვ. 16.
43. ი. ა ლ ხ ა ზ ი შ ვ ი ლ ი — ასპინძის ომი (ისტორიული მასალა), „ივერია“, 1898, № 34, გვ. 1—2.
44. ასპინძის ომის 170 წლისთავი, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1940, № 90.
45. ა. გ ა რ ს ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი — 20 აპრილი 1770 წლის; ანუ საკვირველი ომი ასპინძისა (ისტორიული წერილი), „ივერია“, 1888, № 85.
46. ინფარ (ხონელი) — ბიბლიოგრაფია, ასპინძის ომი იაკობ გოგებაშვილისა, „ივერია“, 1895, № 152.
47. ა. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი — ასპინძის ომი, გაზ. „კომუნისტი“, 1945, № 100.
48. ც ხ ვ ი ლ ო ე ლ ი (კარბელაშვილი პ.), გმირი ასპინძის ომისა (ეუძღვნი კონსტანტინე ლუარსაბის ძე ვაჩნაძეს), „ივერია“, 1893, № 113.
49. პ. ჭ ა ლ ე ლ ი — ძველებური ამბები, გოგია სამხარაძე (ერეკლე II-ის დროს გამორჩეული მეომარი გლეხები, ასპინძის ომის მონაწილენი), „დროება“, 1875, № 63.
50. ა. ჯ ა მ ბ ა კ ურ-ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი — ასპინძის ომი 1770-ისა (მასალა საქართველოს ისტორიისათვის), „მნათობი“, 1869, გვ. 1—11.
51. რ. ე რ ი ს თ ა ვ ი — ასპინძის ომი (მეფის ირაკლი მეორის და ოსმალეთ-ლეკთა შორის 1770 წ.), ტფილისი, სტეფანე მელიქიშვილის სტ. 1880, გვ. 22.
52. ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე — საქართველოს გაერთიანების აზრი XVIII საუკ. ტფილისი, 1907.
53. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე — საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, 1500—1810, გვ. 207—208.

54. ს. ქ ვ ა რ ი ა ნ ი — ქართველი ერის ისტორია XVIII—XIX ს. ტ.—I, 1918, გვ. 22.
55. გ. ქ ი ქ ო ძ ე — ერეკლე II, თბილისი, 1941, თავი XVII.
56. მ. მ ა რ უ ა შ ვ ი ლ ი — ლეგენდარული გამარჯვება, „ახალგაზრდა კომუნისტი", 1940, 18 აპრილი.
57. ესპინეთის ომი — „ახალგაზრდა კომუნისტი", 1940, 18 აპრილი.
58. ი. მ ა ი ს ურ ა ძ ე — მესხური ფოლკლორი ესპინეთის ომის შესახებ, ლიტერატურული საქართველო, 1940, 18 აპრილი გვ. 3.
59. ზ. ე დ ი ლ ა შ ვ ი ლ ი (ზ. ედილი), — გრაფი ტ-ტლებენი და ერეკლე II, (გაზ. „საქართველო", 1916, № 131, 132, 134, 136, 139, 140)[1].
60. ბ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი — ესპინეთის ომი (ლექსი, „ივერია"), 1898.
61. სოფ. ზველი (სვ. ტივაძის მოგონება ესპინეთის ომზე), „ივერია", 1898, 28/II, № 44.
62. ხალხური ლექსები (ესპინეთის ომზე), „ივერია", 1898, № 45.
63. მეფე ერეკლეს ლაშქრობა და ომები, „ივერია", 1890, № 137.
64. პ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი — ისტორიული მასალა მეფე ირაკლის ცხოვრებისა, (წერილები), „ივერია", 1890, № 232, გვ. 3.
65. სოფ. უდე (ახალციხის მაზრა), ესპინეთის ომში მონაწილე იაკობ გზირიშვილის შესახებ, „ივერია", 1899, № 210.
66. ესპინეთის (ახალციხის მაზრა) ციხის მდგომარეობა, „ივერია", 1900, № 98.
67. სამცხე-საათაბაგო, თბილისი 1905, გვ. 73—79.
68. Венденбаум — Кавказские этюды, Тбилиси, 1893.
69. Заказказский поход гр. Тотлебена в 1769—1771 г г.
70. პ. ც ხ ვ ი ლ ო ე ლ ი (კარბელაშვილი), გ. მ. ტოტლიბ გენრიხის-ძე გრაფი ტოტლებენი და ირაკლი მეფე („ივერია" — 1891, № 11).
71. ეინმე მ ე ს ხ ი — ივანე გვარამაძე, ხალხური ლექსები, ესპინეთის ომი, მეფე ერეკლე მეორე ხერთვისის ციხეში), ძველი საქართველო, ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტ. III, 1913—14, გვ. 239—243.
72. ს. ხ ო ს ი ტ ა შ ვ ი ლ ი — ესპინეთის ომი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა XII სამეცნიერო კონფერენციის თეზისებში. 1950, გვ. 80—81.
73. ესპინეთის ომის ორასი წლისთავისადმი (1770—1970 წწ.) მიძღვნილი სამეცნიერო სესია. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონთაშორის ალმასკომის ესპინეთის კულტურის განყოფილების მიერ დაბა ესპინეთში ჩატარებული სამეცნიერო სესიის თეზისები, 20 მაისი, 1970 წ. გვ. 1—24.

---

[1] გორის სახელმწიფო ისტორიის ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, 8102/182.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ავტორისაგან 3

I თ ა ვ ი რუსეთ-თურქეთის ომის წარმოშობა 6

II თ ა ვ ი ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის პოლიტიკური მიზნები რუსეთ-თურქეთის ომში 21

III თ ა ვ ი მეფე ერეკლე II-სა და გრაფ ტოტლებენის ლაშქრობა ახალციხის საფაშოზე 46

IV თ ა ვ ი ქართველების გმირული ბრძოლა აწყურისა და ასპინძის მიდამოებში . . 78

V თ ა ვ ი ქართველების ბრწყინვალე გამარჯვება ასპინძის ომში - 92

VI თ ა ვ ი მეფე ერეკლე II-ისა და მეფე სოლომონ I-ის ლაშქრობა ახალქალაქისა და ყარსის მხარეს . 134

ასპინძის ომის მოკლე ბიბლიოგრაფია 157